საქართველო ბეჭედია ბაჟაღლო და თბილისი – შიგ ჩასმული ბადახში

# თბილისელები®

№2 (628) ... –13 იანვარი * ფასი 1,50 ლარი

www.tbiliselebi.ge



რა ხდება მაშინ, როცა ჟეი.ბი საკუთარ თავთან მარტო რჩება და ვინ დაარქვა მას „შავი მარგალიტი“

გვ. 35

გვ. 46

ვინ ჩაატარა მეორე ექსპერიმენტი პრისტი ყიფშიძესთან ერთად და სად მიიღო მან სერიოზული გამოცდილება

გვ. 8

როგორი იქნება 2013 წელი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისთვის და რომელს მიეხმარებიან ვარსკვლავები დასახული მიზნების მიღწევაში



გვ. 75

რა რელიკვიას ინახავს კავსაძეების ოჯახი და ვისი გვირგვინი დაიდგა თავზე ირინა კავსაძემ



გვ. 74

რა წარმატებები მოუტანა ამსტერდამში ჩელოს იდუმალი ხმის სიყვარულმა ქეთევან როინიშვილს და სად დადის ჰოლანდიის დედოფალი მის მოსასმენად



გვ. 15

რა საერთო აქვს ირაკლი მარუაშვილს მეისი გრეისთან, ხულიო და ენრიკე იგლესიასებთან და სხვა წარმატებულ მუსიკოსებთან



რა ოცნებები აიხდინა ამერიკაში ჩასულმა ვლად არამოვმა და რატომ სთხოვდა ის ცოლს მშობიარობის რამდენიმე დღით გადადებას

გვ. 18

გვ. 71

რისი ოპერაციის გაკეთება დასჭირდა ოლიმპიურ ჩემპიონს, ლაშა შავდათუაშვილს და რატომ არ უმღერის ის გოგონებს სერენადებს



რამ გააოგნა სიდნეიში ჩასული თამარ ივერი ახალ წელს და ვინ უწყობს მას სანოლთან ეპლებიან ვარდებს შუა ზამთარში

გვ. 22



გვ. 70

რის გამო ჰქონდა ნათია დუმბაძეს დიდი ხნის განმავლობაში ნევროზი და რატომ დადიოდა თიკა მახალდიანი 50 გრადუს სიცხეში ჩექმებით

# გილოცავთ ქრისტეშობას!

# სად უნდა მივიდეს ცოლ-ქმარი, როცა წყვილს შვილი არ უჩნდება

## პროფესიონალები მუშაობენ ჟორდანიას კლინიკაში

*პროფესიონალიზმი, გამოცდილება, სანდოობა – ჟორდანიას კლინიკა გელით განახლებული ულტრათანამედროვე აპარატურით, მკურნალობის ეფექტური მეთოდებითა და წამყვანი სპეციალისტების მომსახურებით. მრავალწლიან ავტორიტეტს სულ ახლახან ახალი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სრული ულტრათანამედროვე აღჭურვა და გამოცდილი ექიმების შემადგენლობა დაემატა. ახალი ბიზნეს-ინვესტიციის დახმარებით განახლებული ჟორდანიას კლინიკა უნაყოფო წყვილთა მკურნალობის ყველაზე წარმატებულ კლინიკად იქცა. მათ, ვისაც უშვილობის პრობლემა აწუხებს, აღარ მოუწევთ წამყვან ევროპულ ქვეყნებში გამგზავრება და გაცილებით სოლიდური ფულადი სახსრების ხარჯვა. ჟორდანიას კლინიკაში თქვენს რეპროდუქციულ ფუნქციასა და ჯანმრთელობაზე იზრუნებენ ევროპული დონის აპარატურის საშუალებით და, რაც მთავარია – შედეგიანად. აღსანიშნავია ისიც, რომ ჟორდანიას კლინიკაში პირველი კონსულტაცია უფასოა. ამჟამად ინსტიტუტში უნაყოფო წყვილთა მკურნალობის შედეგად წელიწადში 1 000-ზე მეტი ბავშვი იბადება. ინსტიტუტში წარმატებით ფუნქციონირებს დამხმარე რეპროდუქციული ტექნოლოგიების საერთაშორისო განყოფილება, სადაც წარმატების მაჩვენებელი 80%-ს აღემატება:*



*ექსტრაკორპორალური (ინ ვიტრო) განაყოფიერება; ინსემინაცია; ექსტრაკორპორალური განაყოფიერება სპერმის ინტრაციტოპლაზმური ინიექციით, ტესტიკულებიდან და ეპიდიდიმუსიდან სპერმის ასპირაცია. ინსტიტუტში შექმნილია ბიოლოგიური მასალის ბანკი (სპერმისა და კვერცხუჯრედების). განყოფილებას ხელმძღვანელობს მედიცინის დოქტორი ელი გევა, მოწვეული რამატ ავივის ქალთა ჯანმრთელობის ცენტრიდან (თელ-ავივი, ისრაელი), კონსულტანტ-ემბრიოლოგია ტატიანა კოენ-მოლდავსკი (თელ-ავივი, ისრაელი). ინსტიტუტი საქართველოში ექსკლუზიურად ფლობს ახალ სამედიცინო აპარატურას, უახლეს ციფრულ, „სიმენსის" ფირმის რენტგენის აპარატს, აგრეთვე, „ვოლუსონ 8-ს", რომელიც მუცლის ღრუს ორგანოებისა და ნაყოფის შრეობრივი ტომოგრაფიული ულტრასონოგრაფიული გამოკვლევის შესაძლებლობას იძლევა.*

**ნინო მუსერიძე** *(მედიცინის დოქტორი, ექიმი-ემბრიოლოგი, ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის IVF განყოფილება):* ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის დანერგვა ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის ინსტიტუტის ინოვაციას წარმოადგენს. არა მხოლოდ საქართველოს, არამედ, ამიერკავკასიის მასშტაბით, ხელოვნური განაყოფიერების მეთოდის დანერგვასა და მაღალი შედეგიანობის მიღებას სწორედ ჟორდანიას ინსტიტუტმა ჩაუყარა საფუძველი 1998 წელს და ახლა ის გახლავთ ინ ვიტრო განაყოფიერების მხრივ ყველაზე გამოცდილი და კვალიფიციური კლინიკა. ჟორდანიას ინსტიტუტში ახალი ინვესტორის შემოსვლამ და კლინიკის ევროსტანდარტების დონეზე მატერიალურმა გადაიარაღებამ სულ სხვა იერსახე შესძინა ჩვენს კლინიკას.

**– როგორც ამბობენ, თქვენს კლინიკაში უნიკალური აპარატურაა შემოტანილი.**

– მაღალტექნოლოგიურ აპარატურას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს კლინიკის ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ჩვენთან გამოიყენება „ოლიმპუსის", „ორიჯიოს", „ნიკონის" და სხვა უმაღლესი კლასის აპარატურა. მინდა გითხრათ, რომ ჩვენი კლინიკა საერთაშორისო პროფილის გახლავთ. თითოეული პაციენტის მდგომარეობა ინდივიდუალურ მონიტორინგს ექვემდებარება და ინფორმაცია სრულად მიეწოდება საერთაშორისო აღიარების მქონე, ისრაელის წამყვანი კლინიკის მედიცინის დოქტორს – ელი გევას. ჩვენთან სამკურნალოდ ჩამოდიან უცხოეთიდან, რადგან, ჩვენს კლინიკაში მათ სთავაზობენ ევროპული გაიდლაინების მეთოდით ხარისხიან მომსახურებას უფრო დაბალ ფასებში, ვიდრე ეს უცხოეთშია. ამას ემატება გამოცდილი კადრებიც, რაც, ერთიანობაში, უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის მომსახურებას და იძლევა მაღალ შედეგიანობას. ასევე, მინდა ხაზგასმით ალვნიშნო, რომ ჩვენთან პაციენტის პირველი კონსულტაცია უფასოა და თითოეულ პაციენტთან ურთიერთობა მკაცრად ინდივიდუალურია, მათ შორის, ფინანსურ საკითხებშიც. ჩვენს კლინიკაში სოციალურად ხელმოკლე ოჯახებს ხშირად ფასდაკლებასაც ვთავაზობთ.

**– რამდენი ცდა არის საჭირო სასურველი შედეგის – ორსულობის მისაღებად?**

– ეს დამოკიდებულია პაციენტის ასაკზე, რეპროდუქციული სისტემის მდგომარეობასა და, რაც მთავარია, პაციენტის წინასწარ მომზადებაზე. თუ პაციენტი სათანადოდაა გამოკვლეული და მომზადებული პროცედურისთვის, უნდა ვივარაუდოთ, რომ ორსულობა მოხდება პირველივე ცდაზე. ჩვენ ზუსტად ვეუბნებით პაციენტს, რამდენპროცენტიანი შანსი აქვს მას განაყოფიერებისთვის. მინდა გითხრათ, რომ ჩვენს კლინიკაში განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ვეკიდებით ხელოვნური განაყოფიერების შედეგად მიღებული ორსულობის შედეგიანობას.

**ივა კუტივაძე** *(ექიმი-რეპროდუქტოლოგი):* პაციენტის ინდივიდუალური გამოკვლევის შემდეგ, ამერიკული და ევროპული ასოციაციების მიერ შემუშავებული მეთოდოლოგიით, ვცდილობთ, მივაღწიოთ მაქსიმალურ შედეგს. ასევე, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ მამაკაცები, რომლებსაც ეს პრობლემა აწუხებთ, ნუ იქნებიან უიმედოდ, რადგან, ჩვენ გვაქვს ძალიან მაღალი შედეგები მაშინაც, როცა სპერმის შემადგენლობაში სპერმატოზოიდების შემცველობა მინიმალურია, ზოგჯერ ნული პროცენტიც კი. ჩვენ მაინც ვახერხებთ, მკაცრად გამიზნული სამედიცინო და ქირურგიული ჩარევისა და მკურნალობის შედეგად, მივცეთ მამაკაცს საშუალება, ჰყავდეს მისივე გენეტიკური შთამომავალი. გვინდა ვუთხრათ როგორც ქალბატონებს, ასევე მამაკაცებს, რომ დროს ნუ დაკარგავენ – თითოეული დაკარგული თვე და წელი ამცირებს შანსებს, ჰყავდეთ ინ ვიტრო განაყოფიერების გზით გენეტიკური შთამომავალი. ჩვენ გვეამაყება, რომ ჟორდანიას კლინიკაში ინ ვიტრო განაყოფიერების შედეგად უამრავი ლამაზი და ჯანმრთელი შვილი ვაჩუქეთ უნაყოფო წყვილებს.



***საკონტაქტო მისამართი: ლუბლიანას ქუჩა №5 (ყოფილი რკინიგზის საავადმყოფო). ტელეფონი: 293-11-45. info@zhordania-inf.ge***

**ეკა ნაკაიძე**

# „სანდო პარტნიორები“

## ანუ, იქით დასახმარებლები

მართალია, **ყოფილი მმართველი ძალა კვლავაც ძველ ჩვენებაზეა** – „ნაციონალებსა“ და „ოცნებას“ შორის ფუნდამენტური განსხვავებაა, თუმცა, **როგორც ჩანს, როგორც აშშ-ის, ისე „ნატოს“ ხელმძღვანელობა სხვაგვარად ფიქრობს** (ანუ, საკუთარ ვერსიაზეა). ჰოდა, **რაკი ყველას თავისი ვერსია და პეიზაჟი ჰქონია**, გასულ კვირას **საქართველოს თავდაცვის მინისტრსა და მის აშშ-ელ კოლეგას შორის სატელეფონო საუბარიც შედგა.**

**ლეონ პანეტას**, ოფიციალური ინფორმაციით, **ღრმა მწუხარება გამოუთქვამს სერჟანტ გიორგი კიკაძის დაღუპვის გამო** და ისიც **და-**



**უძენია, რომ აშშ მხარს უჭერს და აფასებს საქართველოს კონტრიბუციას საერთაშორისო ოპერაციებში.** მეორე მხრივ, დააფასებს, აბა, რა წყალში გადავარდება, როდესაც, **საქართველოს, იმას გარდა, რომ „ნატოს“ არაწევრ ქვეყნებს შორის ავღანეთში ყველაზე მრავალრიცხოვანი კონტინგენტი ჰყავს**, ისინი **ავღანეთის ყველაზე ცხელ პროვინციაში არიან განლაგებულნი** (სწორედ ჰელმანდის პროვინციაშია დაღუპული ყველაზე მეტი სამხედრო მოსამსახურე). აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ **ქართული კონტინგენტის ოდენობა თვით „ნატოს“ წევრი ქვეყნების კონტინგენტებსაც აღემატება**. შესაბამისად, **მადლობა დამსახურებულია** (ისე**, ვითომ საკმარისი?!).** როგორც უნდა იყოს, **ლეონ პანეტას ქართველი სამხედროების მამაცობასა და პროფესიონალიზმზეც გაუმახვილება ყურადღება.**

თავის მხრივ, **ქართველ კოლეგას აშშ-ის თავდაცვის მდივანი დაურწმუნებია**, რომ, ჯერ ერთი, **საქართველო კვლავაც აშშ-ის სანდო პარტნიორად რჩება** (იმედია, ჩვენი აშშ-ელი პარტნიორები წყალს კვლავაც არ დაგვამადლიან) და ისიც აღუთქვამს, რომ **ქართველი სამშვიდობოები ავღანეთში მისიის დასრულებამდე დარჩებიან და ავღანეთის ეროვნული უსაფრთხოების ძალებს 2014 წლის შემდეგ პოსტაისაფურ პერიოდშიც დაეხმარებიან.**

ხოლო, **თუ ჩვენს რუკას დავხედავთ, ბუნებრივად იბადება კითხვა: ჩვენს თავს როდის დავეხმარებით?!**

# თავშესაფარი

## ჩაიდინეთ დანაშაული, მშვენიერო...

რაკი ყოველივე **უცხოს ფრიად ვეწაფებით, კოჰაბიტაციაც ისე შევისისხლხორცეთ** (ბუნებრივია, ოდენ ტერმინის, ანუ, ასოთა თამაშის დონეზე), **ჩვენს მეტყველებას ლამის**, თუ მთლად დედის რძესავით ვერა, **„ჰუმანასავით“ მაინც შეერგოს**.

ერთი მხრივ, **ნახელისუფლარნი თავისას არ იშლიან** (ყოფილი ჩინოვნიკების დაპატიმრებას მათ მიერ **ნალოლიავები დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებად აღიქვამს**), მეორე მხრივ კი, **არც ახლები იტეხენ იხტიბარს** (ან კი როგორ გაიტეხენ, როდესაც, **ლამის მთელ საქართველოს საკუთარ არა მხოლოდ ტყავზე აქვს ნაწნევი ქართული დემოკრატიის ხელკეტის ტკბილ-მწარე გემო**).

ერთი სიტყვით, საკუთარი **მოთხოვნები პრეზიდენტმა თავისავე წინასაახალწლო გამოსვლაში ჩამოაყალიბა** (პირადად მე ყველაზე მეტად **გული იმ პუნქტმა დამიკოდა, რომლითაც პრეზიდენტი თავისუფალი მედიის ზეწოლისგან გათავისუფლებას მოითხოვდა**), მანამდე კი **პრემიერ-მინისტრმა საზოგადოებას აუწყა, რომ, შესაძლოა, ყოფილი ჩინოვნიკების მიმართ ამნისტიის მსგავსი ღონისძიება გატარდეს,** რაც იმას ნიშნავს, რომ მათ **ჩინოვნიკობისას ჩადენილი დანაშაული უნდა ეპატიოთ**.

მოგვიანებით **ეს აზრი ნაახალწლევს პარლამენტის თავმჯდომარემაც განავრცო**. კერძოდ, ბ-ნი **უსუფაშვილი ბრძანებს, რომ მმართველი კოალიცია მზად არის, საჯარო მოხელეების მიმართ დაწყებული სამართლებრივი დევნა შეწყვიტოს**, თუმცა, აი, იმას კი **გვპირდება, რომ ეს ჰუმანური მიდგომა მძიმე დანაშაულის ჩამდენ ყოფილებზე არ გავრცელდება** (მოკლედ და პროზაულად რომ ვთქვა, **მკვლელებსა და დიდი ოდენობით ფულის გამფლანგველს, ნებისმიერ შემთხვევაში, გასკვანჩავენ**).

**ვის „გასკვანჩავენ“ და ვის ვერა, ამას საგაზაფხულო სესიის ფინალისკენ ვნახავთ**, ვინაიდან, **საყოველთაო შერიგების დოკუმენტზე მუ-**



**შაობას კანონმდებლები, სწორედაც რომ, საგაზაფხულო სესიაზე შეუდგებიან.**

თუმცა, **საქმეს კოჭებშივე ეტყობა, რომ მრავალი ნაჩინოვნიკარი მშრალზე მშრალი გამოვა,** რაც, თავისთავად, **აჩენს ეჭვს, რომ თანამდებობა ერთგვარი თავშესაფარი, ზედაც, ინდულგენციაა და,** შესაბამისად, როგორც არასდროს, **აქტუალურია შეგონება: ბედი მომეც, სანეხვეზე დამაგდეო** (ამ კონკრეტულ შემთხვევაში, **„სანეხვეში“, ზოგადად, სკამი იგულისხმება).**

# ზურიკელას სტილში

## „მე მაგიჟებენ შენი თვალები...“

საპრეზიდენტო **არჩევნების შემდეგვე იყო ცნობილი, რომ ჟერარ დეპარდიე მშობლიურ საფრანგეთს ტოვებდა.** თავდაპირველად, **ამგვარი გაწნირული სულისკვეთებით გაჟღენთილი ქცევის მოტივი თითქოსდა ნიკოლა სარკოზის დამარცხებას უკავშირდებოდა**, თუმცა, მოგვიანებით, გაირკვა, რომ **საქმე გაცილებით მიწიერად იყო.** რაკი საფრანგეთის ახალმა პრეზიდენტმა 2013 წლიდან ახალი კანონი აამოქმედა, რის მიხედვითაც, **ის, ვისი შემოსავალიც წელიწადში მილიონს აჭარბებს, 75 პროცენტით დაიბეგრება,** დეპარდიემ **მშობლიურ სანახებს საბოლოოდ უგანა** (რადგან, არ უნდა თავისი შემოსავლის 75 პროცენტის ხაზინაში ჩარიცხვა).

თუმცაღა, **ბელგიაში ელოდნენ** (სადაც იმავე შემოსავლის პატრონები 50 პროცენტით იბეგრებიან), **ფრანგ მსახიობს** (თუმცა, რაღა მსახიობი, უფრო – ბიზნესმენი) **ხელში რფ-ის მოქალაქეობა შერჩა**. მოკლედ, **მან მიმართა, პუტინმა კი დაუკმაყოფილა** და **რფ-ის პასპორტიც ჩაახუტა**. მაგრამ, ყველაზე საინტერესო მაინც **ახალგამომცხვარი, მაგრამ, აწ უკვე რუსეთის მოქალაქე დეპარდიეს წერილია,** რომელიც მას რფ-ის საზოგადოებრივი არხის ჟურნალისტებისთვის გაუგზავნია (რომლის პათოსიც არაფრით ჩამოუვარდება ზურიკელას მიერ რომულის დახმარებით მერისთვის მიწერილ წერილს).

მომყავს ციტატა: „**მე ვაღმერთებ თქვენს ქვეყანას** (ბუნებრივია, იგულისხმება რფ), **თქვენს ხალხს, თქვენს ისტორიას, თქვენს მწერლებს**. მე ვაღმერთებ თქვენს კულტურას, თქვენი აზროვნების თავისებურებას (აი, აქ კი ცოტა შეეშალა!). მამაჩემი თავის დროზე კომუნისტი იყო და უსმენდა მოსკოვის რადიოს (აშკარად მძიმე ბავშვობა ჰქონია!), ეს ჩემი კულტურის ნაწილია.“

„...მე უკვე ვესაუბრე ამის შესახებ ჩვენს პრეზიდენტ ფრანსუა ორლანდს, მან იცის, რომ **მე ძალიან მიყვარს თქვენი პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი და ეს გრძნობა ორმხრივია** (ვაი?!). მე ვუთხარი მას, რომ **რუსეთი უდიდესი დემოკრატიის ქვეყანაა**, ეს არ არის ქვეყანა, სადაც პრემიერ-მინისტრი თავის მოქალაქეს „უბადრუკს“ უწოდებს (რა თქმა უნდა, რფ-ში მოქალაქეებს პირდაპირ ხვრეტენ!).“

წერილი მთავრდება საბჭოთა პათოსით გაჟღენთილი ლოზუნგით: **„დიდება რუსეთს“!**

მე არ ვიცი, **გამოაცხადებს თუ არა ჩვენი პრეზიდენტი ამ წერილის ავტორს პერსონა ნონგრატად** ან **აკრძალავენ თუ არა ფილმებს ჟერარ დეპარდიეს მონაწილეობით** (ეს, მართლაც, ჯდება ქართული სახელმწიფოს მოქმედების ბოლოდროინდელ სტილში), მაგრამ, ის კი ზუსტად შევიტყვე, რომ, თურმე, **იქ, დალხენილი დემოკრატიის ქვეყნებშიც, საფუძვლიანად „უბერავენ“!**

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „თბილისელები“

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი **ზაზა ახობაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **ალექსანდრა ნაკაიძე**

პასუხისმგებელი რედაქტორი **ზაალ ცინაძე**

**განყოფილებები**
პოლიტიკა: ნინო ხაჩიძე, თამუნა სამადაშვილი
საზოგადოება და კულტურა: გოჩა მანველიძე, ნინო წულუკიძე, ნათია უტიაშვილი, სალომე გველესიანი, ეკა პატარაია, ნონა დათეშიძე, მარიკა ხიდურელი, ხატია კარანაძე, დალი მიქელაძე, თამუნა ახობაძე, თამუნა ნიჟარაძე, ეკა სალაღაია, ქეთი დიდებულიძე
რელიგია: ნათია უტიაშვილი, თამუნა ახობაძე
კრიმინალი და სამართალი: ნიკა ლაშაური, ეკა ბარაბაძე
დაიჯესტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე, ანა თაყაიშვილი
მედიცინა: ნონა დათეშიძე, მაია ნუცუბიძე
სპორტი: ლაშა გაბელია, უშანგი რუხაძე
სტილისტ-რედაქტორი: თამრიკო ზამთარაძე
სტილისტი: ნანა წერეთელი
კორექტორი: ხატია ჟღენტი
მთავარი რედაქტორის თანაშემწე: თამუნა ახობაძე
ოპერატორი: მაია კარანაძე
ფოტოკორესპონდენტები: ქეთი კვინიხიძე, თამუნა ჩალაძე
მხატვრები: ზაალ სულაკაური, სოფო ლომიძე, ჯემალ ფხალაძე
ვებ-გვერდის მთავარი მოდერატორი: გუგა ახობაძე
ოფისმენეჯერი: ინგა კერვალიშვილი
იურისტი: ქეთი უტიაშვილი
მთავარი ეკონომისტი: ნანა ბირჩაძე
კომერციული მენეჯერი: მარინა მჟავანაძე
საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი სარეკლამო დარგში: სოფი ლორია
სარეკლამო სამსახური: სოფი ლორია, მაია ფირცხალავა
მარკეტინგის მენეჯერი: ლევან მენთეშაშვილი

**რედაქციის მისამართია:** თბილისი, ასლანიდის (ყოფილი ალმასიანის) ქუჩა №14 სპორტის სასახლის გვერდით („მაკდონალდსის“ უკან)
ტელ: 233-42-24; 599 10-15-20 221-31-12
სარეკლამო სამსახური: 593 38-75-61; 221-31-34
დამფუძნებელი: შპს „თბილისელები პლუსი“
იბეჭდება გამომცემლობა „თბილისელებში“
ვებ-გვერდი: www.tbiliselebi.ge
ელექტრონული ფოსტა: info@tbiliselebi.ge tbiliselebi2001@gmail.com; tbiliselebi2001@yahoo.com

# ალი-კვალი

ჯერ კიდევ ახალი წლის დადგომამდე შევიტყვეთ, რომ **პრინცმა ჰარიმ ავღანეთში თალიბების მეთაური მოკლა**. აი, მაშინ, როდესაც **ჩვენმა მთავარსარდალმა „ფეისბუქის“ საკუთარი გვერდის მეშვეობით ამცნო ერსა და ბერს** და, რა თქმა უნდა, **სრულიად დედამიწის სპეცსამსახურებს, რომ ახალ წელს ავღანეთში**, ქართულ სამხედრო ბაზა „შუკვანზე“ შეეგებებოდა.



უფრო ზუსტად, **პრინცს უშუალოდ მიუღია მონაწილეობა ჰელმანდის პროვინციაში ჩატარებულ სპეცოპერაციაში** (ვერმტფრენ **„აპაჩიში“ იმყოფებოდაო, რომელსაც სამიზნე რაკეტა „ჰელფაირით“ გაუნადგურებია).**

მართალია, **ჩვენს მთავარსარდალს თალიბების არც მეთაური მოუკლავს** და, **მაინცდამაინც, არც ხმალდახმალ შებრძოლებია თალიბებს** (ანუ ვერც იმას ვიტყვით, ალი-კვალი ჰარიაო), თუმცა **პრეზიდენტის ადმინისტრაციამ არ დაგვამალა კადრები**, რომლებიც ასახავს, **თუ როგორ უკავშირდება პირველი პირი იმ საგუშაგოს, სადაც ინტენსიური ცეცხლი ყოფილა გახსნილი.**



ჩვენ არ ვიცით, **რამდენად აუმაღლა ბრძოლისუნარიანობა ქართულ კონტინგენტს მთავარსარდლის სტუმრობამ,** თუმცა, **თუ გავიხსენებთ, რომ, მაგალითად, პრინცი ჰარი უშუალოდ იღებს მონაწილეობას საომარ მოქმედებებში** (რაც, უდავოდ ამაღლებს ბრიტანეთის ჯარების ბრძოლისუნარიანობას), თუკი **მავანს ისტორიის ფურცლებისთვის „უშიში, ვითარცა უხორცოსავით“ შემორჩენის სურვილი კლავს**, იქნებ **ერთხელ ფიცხელ ომშიც გვენახა**, თორემ, **სანახაობას ხომ ბოლო 9 წლის განმავლობაში გადაჭარბებული დოზებითაც გვაძალებდნენ?!**

## „უშიში, ვითარცა უხორცო“

# აღიარების სანაცვლოდ

## ანუ, სამაგიერო?!

მართალია, **ისრაელის სახელმწიფომ დაგმო იერუსალიმის მაცხოვრის ტაძარში ქართველებისადმი მიმართული შეურაცხმყოფელი წარწერები,** ბოდიშიც მოიხადა და **წარწერებიც წაშალა**, თუმცა, ფაქტი, თუნდაც, ვანდალური, **არც ისე საწყენი იყო, რადგან, იმ წარწერებამდე მცირე ხნით ადრე საქართველომ**, რატომღაც, **მხარი დაუჭირა გაეროში პალესტინისთვის დამკვირვებელი სახელმწიფოს სტატუსის მინიჭებას** (ასე რომ, მავანთა მოუზომავი რეაქცია, მისაღები თუ არა, გასაგები იყო). შესაბამისად, **პირადად მე იმ წარწერების ავტორს, მაინცდამაინც, ვერ გავამტყუნებდი.**

მაგრამ, სულ ახლახან გაირკვა, რომ **შობის ბრწყინვალე დღესასწაულმა ქართველთა დიდი ჯგუფების გარეშე ჩაიარა**, იმ მარტივი მიზეზით, რომ **ისრაელის შსს-მ საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის მიერ გადაგზავნილი 46-კაციანი სიიდან ვიზა არც ერთს არ მისცა**. ანალოგიური **უარი მიიღეს იმ ტურისტულმა სააგენტოებმა, რომლებიც წინა წლებში ამ ბიზნესით აქტიურად იყვნენ დაკავებულნი.**

ისრაელში **საქართველოს ელჩი ამ უარს პალესტინისადმი საქართველოს მიერ გამომჟღავნებულ თბილ გრძნობებს არ უკავშირებს,** ჩვენი სასულიერო პირები კი აცხადებენ, რომ **უარის მიზეზი წინა წლებში ისრაელში ქართველების დარჩენის შემთხვევების მოხშირებაა,** მაგრამ, სავარაუდოდ, **ძაღლის თავი მაინც პალესტინისადმი გულშემატკივრობაშია დამარხული**.

და **თუკი ქართული დიპლომატია კვლავაც პალესტინელთადმი სიყვარულის ერთგულების გზით გააგრძელებს სიარულს**, არც ის არის გამორიცხული, **აღდგომის დღესასწაულზე სასწაულმოქმედი ცეცხლის გარეშეც დავრჩეთ.**

# „ზოგის უზერავს ასე“

## ანუ, მივიბაროთ?!

იმას გარდა, რომ **ყველას თავისი პეიზაჟი აქვს**, როგორც აღმოჩნდა, **იგივე ყველა, თავისებური მწყერებითაც გამოირჩევა**. ასე, მაგალითად, **ლატვიის სეიმს დიდი თავსატეხი გაუჩნდა**: აკრძალოს **თუ არა, როგორც საბჭოთადროინდელი გადმონაშთი, კინოფილმი „გაამოთ“** (რომლის ყოველ 31 დეკემბერს ყურებით საბჭოთა მოქალაქეებს თვალები ჰქონდათ ამოღამებული, მათ შორის, აწ უკვე „ნატოსა“ და ევროკავშირის წევრ ლიტვა-ლატვია-ესტონეთის ტერიტორიაზეც).

ერთი სიტყვით, **ლატვიის საზოგადოების ნაწილი დარწმუნებულია, რომ ამგვარი ფილმების ცქერისადმი მიდრეკილება მათ ცუდად ახასიათებს** (ასეთი გემოვნების მქონეთა ადგილი არ არის ცივილიზებულ დასავლეთშიო), მაგრამ, **მეორე ნაწილის აზრით, ამგვარი მიდგომა ლახავს ლატვიის რუსულენოვანი მოსახლეობის ინტერესს**.

ერთი სიტყვით, გადაწყვეტილება მისაღებია: ან **მოსახლეობის ჯეროვნად განვითარების მიზნით, ლატვიაში ზემოხსენებული ფილმი აიკრძალება**, ან, მისი **ცქერა-არცქერის არჩევანს მოსახლეობის ნებას მიანდობენ**, ანუ, ჩვენებური ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, **ქვეყანას წარსულში დააბრუნებენ**.

თუ გავიხსენებთ, რომ, სახელდობრ, **ჩვენ არა მხოლოდ კინოფილმებთან, ძეგლებთან ბრძოლაშიც უპრეცედენტო გმირობა გამოვიჩინეთ**, ვფიქრობ, დროულია, **ლატვიის სეიმს დახმარება კეთილშობილურად შევთავაზოთ**, თან, ამ ბოლო 9 წელიწადში **არა მხოლოდ ფილმების აკრძალვის ხერხებსა და მეთოდებში დავხელოვნდით**, არამედ, **მოქალაქეთა აზროვნების სწორ კალაპოტში მოქცევაშიც დავმარიფათიანდით**!

# ჯაყოეთი ძველ მოტივებზე

## „Деньги в перёд“

შესაძლოა, იმიტომაც, რომ **თბილისსა და მოსკოვს შორის სიმების გაბმის პროცესი იყნოსეს** ან, **სულაც, სხვა მიზეზით,** გასული წლის მიწურულს **„იუჟნაია ოსეტიას“ თვითგამოცხადებულმა და რფ-ის მიერ მხოლოდაღიარებულმა „პრეზიდენტმა“** თიბილოვმა **შემოგვითვალა, რომ ჯაყოეთი** (მიგნება ჩემია, ოღონდ, ბუნებრივია, მიხეილ ჯავახიშვილისგან ნასესხები) **„საქართველოსთან ნებისმიერ კონტაქტს გამორიცხავს**, ვიდრე თბილისი მათ დამოუკიდებლობას და ოსების გენოციდს არ აღიარებს“.



**შემონათვალში**, ჩვეულებისამებრ, **არც აფხაზი თანამოაზრეები გამორჩენია**, ამიტომაც, **ზედაც, პირველ პუნქტად დაამატა**, რომ (მოვიხმობ ციტატას): „უპირველესად, **საქართველომ „იუჟნაია ოსეტიასა“ და აფხაზეთის წინააღმდეგ ძალის გამოუყენებლობის შესახებ დოკუმენტს უნდა მოაწეროს ხელი**, რომელზეც მუშაობა ჟენევის დისკუსიის ფარგლებში უკვე დიდი ხანია, მიმდინარეობს. თუმცა, საქართველოს ხელისუფლება, ძველიც და ახალიც, ამ საკითხს მუდმივად გვერდს უვლის;“

მეორეც – **„საქართველომ უნდა აანაზღაუროს მატერიალური ზარალი, რომელიც რესპუბლიკას აგრესიის 20 წლის განმავლობაში მიაყენა.“**

იქვე **საჯაყოეთის პირველი პირი თანხასაც ანგარიშობს** (ჩვენ რომ თავი ზედმეტად არ გადავიღალოთ) და, **1992 წლის კურსით, 32 მილიარდ რუბლს გვთხოვს**. ამის პარალელურად, ცნობილია, რომ **მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიღების იმედი სოხუმსაც აქვს**, თუმცა, **მათი ფასი გაცილებით მეტია** (ეს უკანასკნელნი, ასე, **10 მილიარდ დოლარამდე ადიან**).

რაკი **ამ ჩვენი ორივე სეპარატისტული რეგიონის პირველკაცები აცხადებენ**, რომ **მხოლოდ ამგვარი პირობების შემდეგ გაგვხდიან დალაპარაკების ღირსად**, ნეტავ, „утром стулья“ თუ მაინც, **„деньги в перёд“?!**

**გვერდები მოამზადა**
**ნინო ხაჩიძემ**


ნდობის ტელეფონი
ინტიმი
0902 200 206
0902 200 244
მობილურებიდან

ზარი ფასიანია

1991 წლიდან, ანუ დამოუკიდებლობის პერიოდში ჩვენმა ქვეყანამ სამი მმართველობა გამოიარა. თითოეული ამომრჩევლის აბსოლუტური უმრავლესობის მხარდაჭერით მოვიდა ხელისუფლებაში, თუმცა პირველმა ორმა თავიანთი ვადების ბოლომდე მიყვანა ვერ შეძლო, ხოლო, რადგან ჯერჯერობით პრეზიდენტს უფლებამოსილების ვადა, ბოლო საკონსტიტუციო ცვლილებით, 2013 წლის ოქტომბრამდე გაუხანგრძლივდა, რთული სათქმელია, ისიც წინამორბედების ბედს გაიზიარებს (ვადაზე ადრე მოუწევს პოსტთან გამომშვიდობება) თუ ტრადიცია დაირღვევა (და ერთი პირველი პირი მაინც იპრეზიდენტებს ბოლომდე). ფსიქოლოგ რამაზ საყვარელიძესთან ერთად განვიხილავთ საქართველოს მმართველების მართვის თავისებურებებს.

# რით ჰგავდა და განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მართვის სტილი



შევარდნაძეს მოგებული ბრძოლებიც ჰქონდა, უბრალოდ მოღვაწეობის ბოლო პერიოდში შეექმნა იგივე პრობლემა, რაც – ბრეჟნევს, დაბერდა

– რეალურად ის თაობები, რომლებიც დღეს ცხოვრობენ საქართველოში, კომუნისტების მმართველობასაც მოესწრნენ და ეს მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ მმართველობის მათი სტილი მომდევნო პერიოდშიც გვხვდება.

**– მაშინ დავიწყოთ ნეტარსახსენებელი კომუნისტების პერიოდიდან. მმართველობის როგორი სტილი ჰქონდა კომპარტიას და რა მეთოდებით რაზმავდა მასებს?**

– კომპარტიამ რამდენიმე ეტაპი გამოიარა, იმით დაწყებული, როდესაც დასახვრეტთა სიებს ისე ეწერებოდა ხელი, რომ მხოლოდ რაოდენობა იყო მთავარი, და, როგორც ერთი ჩემი მეგობარი ხუმრობდა, დამთავრებული გავარდისფრებული კომუნისტებით და, თუკი პირველ პერიოდში ინტელიგენციას ხვრეტდნენ, მეორე პერიოდში ინტელიგენციასთან მეგობრობა უკვე კარგ ტონად ითვლებოდა კომუნისტისთვის და გვახსოვს, როგორ ცდილობდა ედუარდ შევარდნაძე ინტელიგენტების პარტიაში შეყვანას.

**– ეს ჩვევა მას დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტობისასაც გამოჰყვა.**

– დიახ და მის კვალს ხშირად მიჰყვებოდნენ სხვა ხელისუფლებებიც. ის გავარდისფრებული კომუნისტები უკვე სულ სხვანაირები იყვნენ, იმ მხრივ, რომ ბიზნესს დაუკავშირდნენ და გახდნენ საქმოსნები, რასაც დღეს ოლიგარქებს ვუწოდებთ. ოღონდ მათი ეს კავშირი ბიზნესთან იყო დაფარული. პარტიის წევრები უფრო ფულის კეთებაზე იყვნენ ორიენტირებულნი: მოსკოვი იყო ძალაუფლების ძირითადი ცენტრი და დანარჩენი უკვე – ამ მოსკოვთან ადაპტირების მეთოდები.

**– გადაჰყვა კომუნისტების მართვის რამე ნიშანი გამსახურდიას მმართველობას?**

– გამსახურდიას მმართველობას ჰქონდა ის თავისებურება, რომ, ძირითადად, გადაჰყვა იმ პერიოდის ხალხი, ვგულისხმობ მათ, რომლებიც ჩინოვნიკური ელიტის გარეთ იყვნენ, მაგრამ, ფაქტობრივად, არ ჰქონდათ მართვის გამოცდილება. ასეთი ხალხი აღმოჩნდა გამსახურდიას ხელისუფლებაში.

**– და როგორი იყო ამ გამოუცდელების მართვის სტილი?**

– აქ უკვე, ალბათ, ისევ კომუნისტებს უნდა დავუბრუნდეთ. იმდროინდელებს სიტყვა „მართვის“ ქვეშ ესმოდათ მხოლოდ ერთი რამ: თუ არ გიჯერებენ, უნდა დააპატიმრო, უნდა დაარტყა, ანუ ძალა გამოიყენო.

**– თუმცა ის პრობლემაც იყო, რომ არც მოსახლეობის უმეტესმა ნაწილმა იცოდა, როგორ მოქცეულიყო, თუ არ დაუჯერებდა იმას, რასაც ზემოდან ეტყოდნენ.**

– ეს პრობლემაც იყო, გეთანხმებით. კიდევ იყო თავისებურება: თუ ხელისუფლებაში ვარ, ჩემს ჭკუაზე უნდა იყოს ყველაფერი, რაც კომუნისტებისთვის იყო დამახასიათებელი. პოლიტიკური ელიტა ცდილობდა, ტოტალური გავლენა დაემყარებინა და ეს აისახა ზვიადის პერიოდზეც. გურამ პეტრიაშვილი, მაგალითად, მსჯელობდა იმაზე, როგორი უნდა იყოს ბალეტი და ასე შემდეგ. ეს ხომ კომუნისტებს ახასიათებდა – ისინი ყველაფერს აცენზურებდნენ თავიანთი გემოვნების მიხედვით.

**– ამ ცენზურას თავი ახლაც კი ვერ დავაღწიეთ.**

– ამიტომაც დავიწყე საუბარი კომუნისტების პერიოდიდან: კიდევ ვნახავთ ანალოგიებს დღევანდელობასთან.

**– თუმცა შემდეგ აღმოჩნდა, რომ ამასვე ემსხვერპლა გამსახურდიას ხელისუფლება: ვიღაცამ იფიქრა, თუ ისე არ იქნება, როგორც მე მინდა, ჩამოვაგდებო?**

– თუ ძალა არის გადამწყვეტი, ყოველთვის მოიძებნება სხვა ძალა და ამ შემთხვევაში, რთული სათქმელია, სად არის ხალხის ძალადობა და სად – დემოკრატია. ფაქტია, რომ მაშინ ქუჩამ გადაწყვიტა, გამოეყენებინა ძალა. რა თქმა უნდა, ეს შეცდომა იყო: დემოკრატიისთვის უნდა ებრძოლათ დემოკრატიულად. თუმცა ჩვენს ამ ჩამონათვალში გამოვტოვეთ კიტოვანი-იოსელიანი-სიგუას პერიოდი და ეგ ძალიან თვალში საცემი პერიოდი იყო. თუ გახსოვთ, იმის შემდეგ ქართველები ხშირად ვამბობდით, რაც გინდა, იყოს, ოღონდ ის არა და, ძირითადად, ეს ეხებოდა „მხედრიონს“ და ესეც ძალიან საყურადღებოა, რადგან მენტალურად სააკაშვილის პერიოდის მეორე ნახევარი ძალიან ჰგავდა „მხედრიონის“ პერიოდს. ვგულისხმობ ხელისუფლების კრიმინალიზაციას.

**– განსხვავდებოდა დემოკრატიული საქართველოს პრეზიდენტ შევარდნაძის მართვის სტილი „ცეკას“ პირველ მდივან შევარდნაძის მართვის სტილისგან?**

– არსებითად განსხვავდებოდა. „ცეკას“ პირველი მდივანი შევარდნაძე ხელისუფლებაში მოვიდა კორუფციასთან ბრძოლის ლოზუნგით, იმ კორუფციასთან ბრძოლის ლოზუნგით, რასაც შემდეგ სააკაშვილი შეებრძოლა. ამდენად, დაჭერების სერია, შიშის ზარი თან სდევდა „ცეკას“ მდივან შევარდნაძეს. რაც შეეხება დემოკრატიული საქართველოს მმართველ შევარდნაძეს: ის იყო მაქსიმალურად რბილი, ფაქტობრივად, თავისუფლად მიუშვა მედია, ოღონდ არა იმიტომ, რომ თვითონ არ ჰქონდა რეაქცია, არამედ იცოდა, დემოკრატიის იმიჯი გულისხმობს, რომ მედიას ხელი არ უნდა ახლო.

**– თუმცა, როდესაც შევარდნაძე იყო ქვეყნის მეთაური, „მხედრიონი“ სისხლს ანთხევინებდა ჟურნალისტებს, ირბეოდა რედაქციები.**

– რა თქმა უნდა, მე ვლაპარაკობ სუფთა შევარდნაძის პერიოდის სტილზე. დასაწყისში იყო პერიოდი, როდესაც შევარდნაძე და „მხედრიონიც“ ერთობლივად იყვნენ ხელისუფლებაში.

**– 1995 წლამდე პერიოდს გულისხმობთ, სანამ ჯაბა იოსელიანსა და კიტოვანს დაიჭერდა?**

– დიახ და ეს კიდევ თავისებური პერიოდი იყო, მაგრამ შევარდნაძის პერიოდს ჰქონდა კიდევ ერთი თავისებურება, რომელიც კვლავ კომუნისტებთან გვაბრუნებს, ოღონდ ბრეჟნევისდროინდელ საბჭოთა კავშირთან.

**– რას გულისხმობთ? ორდენებს რომ არიგ-**

## ლამარა ჩხიკვაძის გახსენება



არის წუთები, როცა რეალობასთან შეგუება გიჭირს... არ გინდა, დაიჯერო მომხდარი. სურვილი გიჩნდება, თვალები მაგრად დახუჭო. მერე გაახილო და ყველაფერი ძველებურად იყოს, თითქოს არც არაფერი მომხდარა. დრო ძალიან სწრაფად გადის და ჭრილობებს თითქოს აშუშებს, მაგრამ ვერაფერს მოვუხერხებთ შენი წასვლით გამოწვეულ სევდას და დარდს, არასოდეს განელდება მონატრების გრძნობაც. როცა ძებნას დაგიწყებთ და შენ აღარ იქნები...

ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი შენს ნათელ სულს.

**უახლოესი ადამიანები**

ჟურნალ „თბილისელების“ რედაქცია სამძიმარს უცხადებს ნინო (ნუნუკა) ბერიძეს და აკაკი თამაზაშვილს დედისა და სიდედრის, ქალბატონ

**ლამარა ჩხიკვაძის**

გარდაცვალების გამო.

**ებდა? თუმცა კაცებს ტუჩებში არ კოცნიდა ბრეჟნევივით.**

– იმას ვგულისხმობ, რომ კორუფცია მოალონიერა და მიუშვა. გარკვეული დაუდევარი დამოკიდებულება ჰქონდა იმის მიმართ, რაც ქვეყანაში ხდებოდა, ეს თავისებურებები ქმნიდა იმ „ზასტოის“, რომლის გამომწვევით გაბრაზებას არ იწვევდა. ბრეჟნევი არ იწვევდა აგრესიას. ასევე, შევარდნაძეც „დარდუბალას“ სახით ჩარჩა მეხსიერებაში და არა ბოროტი სატანისა. ბევრი რამით ჰგავს ეს „დარდუბალას“ სტილი ბრეჟნევისდროინდელი „ზასტოის“ სტილს.

**– შევარდნაძის მმართველობის სტილს შემდეგნაირად ახასიათებდნენ: ის აძლევდა პიროვნებას გასვრის საშუალებას, შემდეგ აგროვებდა კომპრომატებს და ამით იმორჩილებდა ბიოგრაფიადასვრილ ჩინოვნიკს. თუკი საბჭოთა დროს შეებრძოლა კორუფციას, დამოუკიდებელ საქართველოში რატომ მიუშვა?**

– შევარდნაძემ ბრძოლის რამდენიმე რაუნდი ჩაატარა: ნუ დაგვავიწყდება, ის შეებრძოლა ჯაბას და კიტოვანს.

**– და დაამარცხა ისინი.**

– დიახ. შეებრძოლა მთელ იმ გარემოცვას, რომელიც აფხაზეთის ომის შემდეგ რუსეთმა დაუნიშნა და, ფაქტობრივად, ისინიც დაამარცხა.

**– იგორ გიორგაძე ისე მოაშთო, რომ 2013 წელია და მაინც ვერ ბრუნდება.**

– დიახ და ეს იყო რუსეთის დამარცხება.

**– და კიდევ შევარდნაძის მმართველობის ანგარიშზეა ეუთოს 1999 წლის სტამბულის სამიტი, რომელზეც გადაწყდა რუსეთის ბაზების გაყვანის ვადები.**

– და რუსეთის ჯარების გაყვანაც. ასე რომ, შევარდნაძეს მოგებული ბრძოლებიც ჰქონდა, უბრალოდ მოღვაწეობის ბოლო პერიოდში შეექმნა იგივე პრობლემა, რაც – ბრეჟნევს, დაბერდა.

**– და რესურსი ამოწურა? არაერთი შეხვედრის შემდეგ შემექმნა შთაბეჭდილება, რომ მისთვის მთავარი მიღწევა მაინც საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრობაა და არა – საქართველოს პრეზიდენტობა.**

– შესაძლოა, აქ ნაკლები შემართება ჰქონდა, შესაძლოა, ნაკლები ინტერესიც.

**– იმას ამბობთ, რომ სიბერე იყო მისი მმართველობის მარცხის შედეგი და არა მართვის კომუნისტური ელემენტები?**

– შევარდნაძემ იცოდა ის, რაც იცოდა კომუნისტების პერიოდიდან, ანუ იცოდა მართვის ბრეჟნევის სტილი. მართალია, კომუნისტების პერიოდში ის ჭექა-ქუხილით მოვიდა, მაგრამ შემდეგ ხომ სწორედ მის პერიოდში აყვავდა კორუფცია?! შევარდნაძემ კორუფციასთან ბრძოლა გამოიყენა ტრამპლინისთვის, მაგრამ შემდეგ კორუფციაზე დაყრდნობით მართავდა ქვეყანას, ამიტომაც ქართულ პერიოდშიც იგივე სქემა გააგრძელა. მაგრამ შემთხვევითი არ ყოფილა ის, რომ მან მიუშვა კორუფცია. მისგან ერთხელ გამოვიდა ერთი პიროვნება, არ დავასახელებ მის სახელს, გაკვირვებული იყო, იცი, რა მითხრა, დასავლეთს მიაჩნია, რომ პირველ პერიოდში კორუფციული ფენა უნდა ამოსწიო, მათ დააყრდნო მმართველობა და პირველი მილიონრები რომ გაჩნდებიან, შემდეგ ისინი თვითონ მოუვლიან ქვეყანასო, ამიტომ კორუფციას არ ვუყურებ ძალიან მკაცრადო. ასეთი წარმოდგენა ჰქონდა მას მართვაზე და მისი ამ წარმოდგენის მინუსი ის იყო, რომ ამით კოზირი მისცა თავის მეტოქეებს: კორუფცია რომ არ ყოფილიყო ქვეყანაში, მას ვერც ვერაფრით დაუპირისპირდებოდნენ რეფორმატორები და ვერც შარს მოსდებდნენ. ანუ, ფაქტობრივად, მართვის ამ ბრეჟნევისდროინდელ პრინციპს ემსხვერპლა შევარდნაძის იმიჯი და ამის შემდეგ უკვე დაიწყო რეფორმატორების ბრძოლა ხელისუფლებისთვის.

**– სააკაშვილს გამოჰყვა რამე ბრეჟნევული?**

– არაფერი გამოჰყოლია, გარდა რიტორიკისა. სააკაშვილს აქვს ერთი საბჭოთა თავისებურება: მისთვის სულერთია, რას ლაპარაკობს. სხვა ქვეყნებში ლიდერებს ეს თავისებურება ნაკლებად აქვთ, ეს საბჭოთა ფენომენია, აი, ის, დემაგოგიას რომ უწოდებენ.

**– რა სიახლე შემოიტანა სააკაშვილმა მმართველობაში, რაც თვალშისაცემია კომუნისტური მართვის ელემენტებით გაჯერებული წლების შემდეგ?**

– ისევ კომუნისტური, ოღონდ უფრო ადრეული კომუნისტების მართვის ელემენტი, ამიტომაც იყენებენ მისი მართვისადმი ეპითეტ „ბოლშევიკურს“. განა იმიტომ, რომ იცოდა ბოლშევიკური მართვა, უბრალოდ ახალგაზრდობას და გამოუცდელობას თავისი ნიშნები მაშინაც ჰქონდა და ახლაც. ხელისუფლებაში მიიყვანა მხოლოდ თავისი ხალხი, პარტიული ერთგულება გახადა წამყვან თვისებად. ეს კომუნისტებისგან აიღო და, როგორც ახალგაზრდებს სჩვევიათ, იყო მაქსიმალურად რადიკალური ძალის გამოყენებაში: სადაც შეეძლო, ძალადობდა. ოღონდ ამას მოჰყვა ის, რაც კომუნისტებთან პლუსი იყო: წესრიგი, ადმინისტრირება, გადასახადების ამოღება და ასე შემდეგ, სხვათა შორის, ელიტური კორუფციაც იცოდნენ კომუნისტებმა. მათ ზედა ეშელონებს უყვარდათ კარგი ცხოვრება. ამ მხრივ, სააკაშვილიც, გარკვეულწილად, ბევრ საბჭოთა ნიშანს ატარებდა, ოღონდ ერთი თავისებურებაც იყო: საბჭოთა პერიოდს ახასიათებდა მხოლოდ საკარო გადატრიალებები. ამ რეჟიმში კი უკვე მთლად ასეც არ არის: ხალხი გარკვეულ როლს ასრულებს. საერთოდ, საბოლოოდ, ყველა ხელისუფალი თავის მეთოდებს ეწირება და, ფაქტობრივად, ამ ძალადობის გამოყენებას შეეწირა სააკაშვილი. მისი მმართველობისას ძალადობის კულტი რომ არ ყოფილიყო, მის მიმართ საზოგადოებას აგრესია არ გაუჩნდებოდა.

**– დასავლეთმა გამსახურდიას ბრალი დასდო დიქტატორულ მიდრეკილებებში, სააკაშვილი კი აღიარა დიდ დემოკრატად. არადა გამსახურდია, როგორც მმართველი, შეუდარებლად რბილი და ჰუმანური იყო. შევარდნაძეც, საბოლოოდ, მაინც არადემოკრატიულობისთვის დაიწუნეს. ფაქტია, რომ დასავლეთი ზედმიწევნით ზუსტად ფლობს ინფორმაციას ჩვენთან არსებულ ვითარებაზე, მაგრამ სააკაშვილი მისთვის მისაღები იყო მაინც.**

– დასავლეთი ცალკე თემაა. დასავლეთი თავის თამაშს თამაშობს. ზვიადი მიუღებელი იყო დასავლეთისთვის, იმიტომ რომ ზვიადისთვის იყო მიუღებელი დასავლეთი.

**– რატომ იყო მიუღებელი?**

– ასეთი „ეკავა“ და ესე ცალკე თემაა. დასავლეთისთვის შევარდნაძე მისაღები ფიგურა იყო, მაგრამ უკვე შემდეგ შევარდნაძეც რთული ფიგურა აღმოჩნდა დასავლეთისთვის, ისევე, როგორც კუჩმა. ამ ორმა ფიგურამ თავისი დაიწყო. ორივეს რაღაც სჭირდებოდა დასავლეთისგან, არადა, იმ პროცესებში დასავლეთი არ ერეოდა. შევარდნაძისთვის ეს იყო აფხაზეთი, კუჩმასთვის – ყირიმი. ამათ დაიწყეს ვაჭრობა, თუ თქვენ არ გვეხმარებით, მაშინ ჩვენ შევიცვლით კურსს და მუდმივად თამაშობდნენ დასავლეთისა და რუსეთის დაპირისპირებაზე. მობეზრდა ეს თამაში დასავლეთსაც და რუსეთსაც, შეიკვრნენ და გადმოაგდეს ერთიც და მეორეც. ასე რომ, ამ მხრივ, დიდი განსაკუთრებული არაფერი მომხდარა: დასავლეთმა თავისთვის უფრო რთული ფიგურები მოიშორა და ჩასვა უფრო მარტივი. და, ეს მარტივი, დიქტატორი იყო თუ დემოკრატი, დიდად არ აინტერესებდა. მთავარი იყო, დარქმეოდა დასავლეთის სახელი. მით უმეტეს, რომ ბუშს ჰქონდა ხავერდოვანი რევოლუციების იდეა და იმ იდეას უწყობდა ხელს.

**– სააკაშვილი პირველი ოქტომბრის შემდეგაც იგივეა, როგორც მმართველი, რაც პირველი ოქტომბრამდე იყო?**

– სულ ცოტა ხნის წინათ გახდა ისეთი, როგორიც პირველ ოქტომბრამდე იყო. ძალიან გაკვირვებული ვიყავი და ძალიან მომწონდა პირველი ოქტომბრის შემდეგ. სააკაშვილის პოლიტიკური თამაში საინტერესო ხდებოდა, ახლა, ისევ იგივე რომ დაიწყო, აღარ არის საინტერესო.

**– ყველას ერია რაღაც საბჭოური და არ აქვს მნიშვნელობა, უფრო ლენინს ჰგავდნენ, ტროცკის თუ ბრეჟნევს. ეს საბჭოური ატავიზმი იწვევდა იმ შეცდომებს, რომლებსაც ისინი უშვებდნენ?**

– მე მზამზარეული პასუხი არ მქონია, ჩვენს ანალიზში კი გამოგვივიდა, რომ ყველა ეს შეცდომა სწორედ საბჭოთა პერიოდიდან მოდიოდა, თუ ჩავთვლით, რომ ტოტალიტარულობა, ხელისუფლების ყველაფერში ჩარევა, კორუფციის როლი მართვაში საბჭოთა მემკვიდრეობაა, მათ მარცხში საბჭოთა ნალმი იყო ჩადებული.

**ნინო ხაჩიძე**

## თორნიკე უტიაშვილის გახსენება



7 იანვარს 19 წელი შეგისრულდებოდა. ეს დღე ძალიან მძიმეა ჩვენთვის.

თო! (თორნიკე) – ვეძახით უნებურად, ძველი ჩვეულებისამებრ. არ გვეხმაურება, ან როგორ გვიპასუხებს მარადისობიდან? ხალხს უთქვამს, წუთისოფელი წუთისააო. თვრამეტი წელი ერთ წუთში გაქრა, რომელიც სიყვარულით, სითბოთი და ხალისით სავსემ განვლე. ექვსი თვე გავიდა და არაფრით არ ივსება უშენობით გამოწვეული სიცარიელე. ცრემლიან მონატრებად იქეცი. დედა და ბებია კი დამძიმებული გულით მივყვებით ცხოვრების დინებას და თვითონაც გვიკვირს, როგორ ვუძლებთ მონატრებისა და განშორების ენით აუწერელ, მტანჯველ გრძნობას!

გვენატრები, გვიყვარხარ და გვახსოვხარ!!!

**დედა – დიანა**

**ბებიები – სულიკო და ლიანა ხვედელიანები**

**ბაბუები – თემურ ალუღიშვილი, ჯემალ და ჯიმშერ ხვედელიანები ოჯახით**



გველი მისტიკური ცხოველია და, ამდენად, შესაძლოა, 2013-მა წელმა შექმნას პირობები ფარული გარიგებებისთვის

**ახალი წელი, ბუნებრივია, სიახლესთან და, ესე იგი, უკეთეს მომავალთან ასოცირდება (ადამიანის ოპტიმიზმისა და თვითგადარჩენის ინსტინქტის გათვალისწინებით), თუმცა ის, თუ როგორი იქნება, გარკვეულწილად, ვარსკვლავებზეცაა დამოკიდებული (ასტროლოგიას რომ თავი დავანებოთ, იმიტომაც, თუ რა ბუნებრივი მოვლენებია მოსალოდნელი). ასტროლოგ მიხეილ ცაგარელთან ერთად მიმოვიხილავთ 2013 წლის პოლიტიკურ ასპექტებს და იმასაც, თუ როგორი იქნება ის ქართული პოლიტიკური სცენის წინა ხაზზე მდგარი პოლიტიკოსებისთვის.**

# როგორი იქნება 2013 წელი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისთვის და რომელს მიეხმარებიან ვარსკვლავები დასახული მიზნების მიღწევაში

**– დაამშვიდებს ჩვენს ქვეყანას 2013 წელი?**

– 2013 წელი მშვიდი არ იქნება, თუმცა არ იქნება ისეთი დაძაბული, როგორიც 2011 და 2010 წლები იყო. უფრო მეტია პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური კუთხით განვითარების შესაძლებლობები, მაგრამ ვერც სირთულეებს ავცდებით, იმიტომ რომ კვლავ გრძელდება ორხელისუფლებიანობა, რაც დაძაბავს სიტუაციას და ჩვენ შეიძლება, აღმოვჩნდეთ ძალიან საინტერესო მოვლენების მომსწრე, როდესაც დაპირისპირებამ შესაძლოა, აპოგეას მიაღწიოს. ამ თვალსაზრისით, რთული პერიოდები გვაქვს: თებერვალი, მარტი და აპრილი. ამ პერიოდებში კონფლიქტების, დაძაბულობის ტენდენცია რადიკალურად იმატებს.

**– შიდა თუ გარე კონფლიქტებისაც?**

– შიდა დაპირისპირება, მათ შორის, უპირველესად, სახელისუფლო სტრუქტურებს შორის. გველი მისტიკური ცხოველია და, ამდენად, შესაძლოა, 2013-მა წელმა შექმნას პირობები ფარული გარიგებებისთვის. შესაძლოა, ამ ფარული გარიგებების შედეგად არაერთი დეპუტატი გადავიდეს უმცირესობიდან უმრავლესობაში ან შეიძლება, შიდა ფარული გარიგებების შედეგად მოილაპარაკონ კანდიდატებზე, რომლებიც შემდგომ მნიშვნელოვან თანამდებობებს დაიკავებენ. ამას ჩვენ 2013-ში ვერ დავინახავთ, მაგრამ 2014 და 2015 წლებში შესაძლოა, გამოვლინდნენ ახალი სახეები.

**– ბიძინა ივანიშვილისთვის როგორი იქნება 2013 წელი?**

– მე ჯერ კიდევ შარშან ამ დროს აღვნიშნე, რომ 2012 წელი პრეზიდენტ სააკაშვილს ძალიან რთული და უარყოფითი ექნებოდა. ეს პერიოდი მისთვის 2013 წლის თებერვალში მთავრდება. თხის წელიწადშია დაბადებული და 10 თებერვლიდან თხას ეწყება აღმავალი პერიოდი, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, რას გააკეთებს ამ პერიოდის ამოწურვამდე ბიძინა ივანიშვილი, რადგან 10 თებერვლის შემდეგ იგი გაცილებით მეტ სირთულეს წააწყდება, იმიტომ რომ პრეზიდენტის იღბლიანობა აშკარად მოიმატებს. ამდენად, ძირითადი საკითხები უნდა გაარკვიოს 10 თებერვლამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მოუწევს ორმაგი ძალისხმევის გაღება მიზნის მისაღწევად. ივანიშვილს, რადგან მერწყულის ზოდიაქოს ნიშანია, 2013 წლის პირველი ნახევარი საკმაოდ



დადებითი აქვს და ეს პერიოდი, დაახლოებით, ივნისის ბოლომდე გაგრძელდება მისთვის. ამიტომ წლის პირველ ნახევარში უნდა შეძლოს ძირითადი საკითხების გადაწყვეტა. მისთვის მეორე ნახევარი უფრო სირთულეებთან იქნება დაკავშირებული, რადგან მოიმატებს მის მიმართ კრიტიკა არა მარტო ოპოზიციის, არამედ შესაძლებელია, იმ პიროვნებების მხრიდანაც, რომლებიც ჯერჯერობით ხმას არ იღებენ და დამკვირვებლის როლში გამოდიან. იმავე პერიოდში მისთვის მატულობს კონფლიქტების ალბათობა, ამიტომ მან წლის პირველ ნახევარში უნდა მოიპოვოს ის სტატუსი, რომელიც ხელს შეუწყობს იმაში, რომ წლის მეორე ნახევარი მშვიდად განვლოს და პირველი ნახევრის წარმატებებმა ხელი შეუწყოს მეორე ნახევრის სირთულეების დაძლევას.

**– პრეზიდენტ სააკაშვილს რას უმზადებენ ვარსკვლავები?**

– მისთვის ეს ახალი წელიწადი, მთლიანობაში, უმჯობესია, წინა წელიწადზე, მაგრამ სირთულეები მასაც ექნება. ძირითადად ბრძოლა პრეზიდენტ სააკაშვილსა და პრემიერ-მინისტრ ივანიშვილს შორის წარიმართება წლის პირველ ნახევარში და ეს ვითარება, ფაქტობრივად, ივნისის ბოლომდე გასტანს. პრეზიდენტ სააკაშვილს 2013 წელს იღბლიანობა მაღალი აქვს, მისთვის ეს პოზიტიური პერიოდია,



ექნება საშუალება, რომ ურთიერთობები განამტკიცოს, მათ შორის, უცხოელებთან და ძველ მეგობრებთან. იგი ეცდება ახალი კარიერული გზებისა და იმ საშუალებების მოძიებას, რომლებიც მის „ნაციონალურ მოძრაობას" უმაღლეს სამთავრობო სტრუქტურებში დაბრუნებას შეუწყობს ხელს. ყოველ შემთხვევაში, წლის პირველი ნახევარი იქნება ძალიან ცხელი და არა მარტო ივნისის ბოლომდე, არამედ შესაძლოა, აგვისტოს ბოლომდე გაგრძელდეს ასეთი ბრძოლა. წლის მეორე ნახევარი, რომელიც მისთვის სექტემბრიდან ამოქმედდება, გაცილებით რთული იქნება.

**– ესე იგი, ივანიშვილისა და სააკაშვილის რთული პერიოდები ერთმანეთს დაემთხვევა?**

– დაახლოებით, ერთნაირად მიდიან, სააკაშვილისთვის 2013 წელი უკეთესი იქნება, ვიდრე 2012 იყო, მაგრამ პირველი ნახევარი აშკარად უკეთესი ექნება. ბიძინა ივანიშვილისთვის 2013 წელი ისეთივე ეფექტური ვერ იქნება, როგორიც 2012 იყო, მაგრამ პირველი ნახევარი – მაინც უკეთესი. სააკაშვილისთვისაც მეორე ნახევარი უარესია, დანაკარგების ტენდენცია მაღალი აქვს. შეიძლება, შეექმნას ჯანმრთელობის პრობლემები, მოიმატებს კონფლიქტების ტენდენცია, გააქტიურდებიან ფარული მტრები, მათ შორის, შიდა პარტიულ სტრუქტურებში. გაძლიერდება ჭორები და ინტრიგები, მასში გაძლიერდება სულსწრაფობა, შესაძლოა, მნიშვნელოვანი შეცდომა დაუშვას და ამიტომ მე მას 25 აგვისტოს შემდეგ არ ვურჩევ ზედმეტ აქტიურობას კარიერული კუთხით. საერთოდ, ყველა მშვილდოსანს ვურჩევდი ამ პერიოდში, რაც შეიძლება, მინიმუმამდე დაიყვანონ აქტიურობა, მეტი იკითხონ, რათა იქიდან მიიღონ მათთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რაც ძალიან გამოადგებათ 2014 წელს.

ერთი დეტალი მინდა გითხრათ, ეს ჩემი დაკვირვების შედეგია და ძალიან მაინტერესებს, როგორ დასრულდება. როდესაც პლანეტა სატურნი, მთავარი დამსჯელი პლანეტა, შედის მორიელის ზოდიაქოში, ეს პროცესი 30 წელიწადში ერთხელაა. ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენები ხდება ამ დროს რუსეთში და არაერთი რუსი იმპერატორი დაიღუპა ან გადააყენეს სატურნის შესვლის შემდეგ მორიელის ზოდიაქოში: ალექსანდრე პირველი და მესამე, უფრო მეტიც, ეს მოხდა მაშინ, როდესაც სტალინი და ლენინი გარდაიცვალნენ. სწორედ ახლა შევიდა ისევ სატურნი მორიელის ზოდიაქოში.

**– როდის გამოდის?**

– ორი წლის შემდეგ. მე ვაკვირდები: ცოტა ცუდად გრძნობს თავს პრეზიდენტი პუტინი. ზუსტად ვერ ვიტყვი, რომ მას სერიოზული პრობლემები შეექმნება, ყოველ შემთხვევაში, წლის პირველ ნახევარში ნამდვილად არა, მაგრამ, თუ ამ ორი წლის განმავლობაში პუტინი ან არ გადააყენეს, ან მას ჯანმრთელობის პრობლემები არ შეექმნა, ესე იგი, ეს კანონზომიერება დაირღვევა რუსეთის ისტორიაში. თუმცა ისევ ჩვენს პოლიტიკურ ცხოვრებას დავუბრუნდეთ.

**– ვანო მერაბიშვილს რა ელის?**

– ახლა საკმაოდ რთული პოზიციის წინაშე დგას და ეს გაგრძელდება ივნისის, დაახლოებით, 26-მდე. თუ ის არ იქნება სულსწრაფი და ამდენს არ ილაპარაკებს ტელევიზიით, სირთულეებს დაძლევს. ძალიან ბევრს ლაპარაკობს, არადა ახლა შავი მთვარე იმყოფება ყველაზე მოლაპარაკე ტყუპების ზოდიაქოს ნიშანში. ამიტომ ძალიან ფრთხილად უნდა იყოს, რომ ისეთი რამ არ წამოსცდეს, რასაც შემდეგ ჟურნალისტები დაიმახსოვრებენ და პრობლემებს შეუქმნიან ამის გამო. მხოლოდ და მხოლოდ ამ მხრივ სჭირდება ყურადღება. სხვა მხრივ, ყველაზე კარგი წელიწადი აქვს ვანო მერაბიშვილს. ენერგოტონუსი ძალიან მაღალი ექნება, იღბლიანობაც,



უცხოელებთან კონტაქტის დამყარების კუთხით ვანოს ძალიან კარგი წელიწადი ელის და შესაძლოა, მეორე ნახევარი უკეთესიც კი ჰქონდეს, ვიდრე პირველი ნახევარი. მთლიანობაში „ნაციონალური მოძრაობიდან" თავს ყველაზე კარგად ვანო მერაბიშვილი იგრძნობს და ის იქნება ყველაზე სტაბილურად. თუმცა ვიმეორებ, არ არის გამორიცხული, ზედმეტი თქვას, რაც შემდეგ პროკურატურას გამოადგება. განსაკუთრებით ფრთხილად უნდა იყოს ივლისში. შემდეგ მისთვის საყურადღებოა ოქტომბერი და წლის ბოლო. შეიძლება, იმდენი რამ დაუგროვდეს, რომ ეს კარგი წელიწადი ექცეს ცუდად და, მეტიც, გარკვეულწილად, პროკურატურამ სერიოზული მასალებიც მოიძიოს.

**– გიგი უგულავა?**

– უგულავასთვის წლის პირველი ნახევარი კარგია, შესაძლოა, ბიზნესის გაფართოების პერსპექტივაც შეექმნას. ყოველ შემთხვევაში, კარიერული კუთხითაც კი პირველ ნახევარში აქვს საშუალება, რაღაცას მიაღწიოს, მაგრამ წლის მეორე ნახევარი სერიოზულად პრობლემური ექნება. შესაძლოა, გაუხსენონ ძველი შეცდომები. თან, ძველმა შეცდომებმა ამოტივტივება დაიწყოს. შესაძლოა, ჯანმრთელობის პრობლემებმაც იჩინოს თავი, შიდა ინტრიგებმა, ცდუნებებმა. მეტიც, შესაძლოა, ამ პერიოდში ვალების დაბრუნება მოუწიოს.

**– მორალურ ვალებს გულისხმობთ თუ მატერიალურს?**

– ყველა სახის, ამიტომ ივლისიდან მას განსაკუთრებული სიფრთხილის გამოჩენა დასჭირდება.

**– ბოკერია შეინარჩუნებს უხილავი მმართველის სტატუსს?**

– ბოკერია გააგრძელებს რუხი კარდინალის როლის შესრულებას. ალბათ, ტაქტიკურად ყველაზე

# პოლიტიკური კალეიდოსკოპი

## საახალწლო მილოცვა ჩრდილოეთ კორეაში

უკანასკნელი 19 წლის განმავლობაში პირველად, ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა ტელეეთერში ახალი წელი მიულოცა ქვეყნის მოსახლეობას.



ბოლოს ახალი წელი ჩრდილოკორეელებს 1994 წელს „ერის მამამ" – კიმ ირ სენმა მიულოცა; მისმა მემკვიდრემ, კიმ ჩენ ირმა არ მოისურვა ამ ტრადიციის გაგრძელება, მაგრამ, კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ახალმა ლიდერმა, კიმ ჩენ ინმა, გადაწყვიტა, აღედგინა მივიწყებული ტრადიცია და მოსახლეობას 2013 წლის დადგომა მიულოცა. თავის გამოსვლაში კიმ ჩენ ინმა სამხრეთ კორეასთან გაერთიანებასა და სამხედრო პოტენციალის გაძლიერებაზე ისაუბრა.

## იაპონიის ახალი პრემიერ-მინისტრი

იაპონიის პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე ლიბერალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი სინძო აბე დაინიშნა. ამ თანამდებობაზე მან დემოკრატიული პარტიის ლიდერი ესიჰიკო ნოდუ შეცვალა. უახლოეს მომავალში სინძო აბე ვალდებულია, ახალი მინისტრთა კაბინეტი წარუდგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად. ერთ-ერთ მნიშვნელოვან თანამდებობაზე, კერძოდ, ფინანსთა მინისტრად იაპონიის ყოფილი პრემიერის – ტარო ასოს კანდიდატურა განიხილება. აღსანიშნავია, რომ სინძო აბე მეორედ იკავებს პრემიერ-მინისტრის თანამდებობას, მანამდე, 2006-2007 წლებში, იგი მინისტრთა კაბინეტის მეთაური იყო.

## აჰმადინეჟადის გათავისუფლებული მინისტრი

ირანის პრეზიდენტმა, მაჰმუდ აჰმადინეჯადმა, თავისი მთავრობის ერთადერთი ქალი-მინისტრი თანამდებობიდან მოხსნა. მარციჰ ვაჰიდ დასტჟერდი, რომელიც 2009 წლიდან ჯანდაცვის მინისტრის თანამდებობაზე მუშაობდა, აჰმადინეჯადთან კონფლიქტის გამო გაათავისუფლეს.



დასტჟერდი მედიკამენტებზე ფასების მომატების ინიციატივით გამოდიოდა, რასაც კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა პრეზიდენტი, საბოლოოდ კი, აჰმადინეჯადმა მის ნაცვლად მინისტრის პოსტზე მოჰამედ-ჰასან მონფარედი დანიშნა. მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ირანზე დაწესებულია სხვადასხვა სანქცია. წამლების 97 პროცენტი ქვეყნის შიგნით იწარმოება, იმპორტირებული მედიკამენტების პროცენტული მაჩვენებელი ძალიან დაბალია და აჰმადინეჯადს გაუმართლებლად მიაჩნია მედიკამენტებზე ხელოვნურად ფასის გაზრდა.

## ბულგარეთის პრეზიდენტის არაჩვეულებრივი პეიზაჟი

ბულგარეთის პრეზიდენტის, როსენ პლევნელიევის საახალწლო მილოცვის დროს ტელეეთერში, ბულგარეთის ნაცვლად, პრეზიდენტის ფონად კოლორადოს შტატის მთიანი კურორტები იყო ნაჩვენები. თავის გამოსვლაში პრეზიდენტი ბულგარეთის ლამაზ მხარეებზე საუბრობდა და მის საუბარს ფონად ამერიკის ფოტოები ერთვოდა. ამ ფაქტმა დიდი რეზონანსი გამოიწვია მოსახლეობაში. აღმოჩნდა, რომ ის ფოტოები, რომლებიც ბულგარეთის პეიზაჟად გასაღდა,




სინამდვილეში პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან შეთანხმებით იყო ნაჩვენები პირდაპირ ეთერში და, ყველას, მათ შორის ტელევიზიის თანამშრომლებსა და ადმინისტრაციის წევრებს, ეგონათ, რომ კოლორადოს ნაცვლად ეს ფოტოები ბულგარეთში, სამთო კურორტ პამპორპვოში იყო გადაღებული.

**უშანგი რუხაძე**

---

სწორად მოიქცევა „ნაციონალური მოძრაობიდან". სავარაუდოდ, ორ პიროვნებას – ბაქრაძესა და ბოკერიას, აქვთ ყველაზე მეტი შანსი, შედარებით მშრალები გამოვიდნენ იმ პრობლემებიდან, რომლებიც მოსალოდნელია, შეექმნას „ნაციონალურ მოძრაობას". ამიტომ ფრთხილი მოქმედებით და მას აქვს ამის უნარი, შეძლებს, დაიბევოს სტატუსკვო წლის განმავლობაში.

**– გადავინაცვლოთ ხელისუფლებისკენ: დავით უსუფაშვილს სწყალობენ ვარსკვლავები 2013-ში?**

– წლის პირველი ნახევარი შედარებით სუსტი აქვს, ტონუსიც ცოტა დაბალი აქვს და იღბლიანობაც. მაგრამ მეორე ნახევარში, განსაკუთრებით, სექტემბრიდან მისთვის ძალიან კარგი პერიოდი იწყება. ძალიან ენერგიული გახდება და ეზრდება სერიოზული წარმატების მიღწევის შესაძლებლობა, მათ შორის, პოპულარობისაც.

**– ირაკლი ალასანიას?**

– ირაკლი ალასანიას, დაახლოებით, ისეთივე შესაძლებლობები აქვს, როგორც პრეზიდენტს. წლის პირველი ნახევარი მისთვისაც ძალიან კარგი იქნება, ამიტომ ამ პერიოდში უნდა გადადგას ის ნაბიჯები, რომლებიც ხელს შეუწყობს მისი პოპულარობის ზრდას და წარმატებებს, მათ შორის, უცხოელებთანაც.



მეორე ნახევარი გაცილებით რთული ექნება, უფრო კონფლიქტური, მასში მოიმატებს სულსწრაფობა, მის გარშემო – ინტრიგები. ამდენად, მეტი ყურადღებით უნდა იყოს მეორე ნახევარში, არ გადაიღალოს, რომ ჯანმრთელობის პრობლემა არ შეექმნას. ამ პერიოდში შეცდომების დაშვების ალბათობაც მაღალი ექნება, ამიტომ წლის მეორე ნახევარში ფრთხილად უნდა იყოს.

**– ზოდიაქოს ნიშნებიდან გამომდინარე, ქვეყანას სააკაშვილი უფრო უთავსდება თუ ივანიშვილი?**

– ივანიშვილი. საქართველოს მართავს ლომის ზოდიაქო და ბიძინა ივანიშვილის პირად ჰოროსკოპში თეთრი მთვარეა მისი მფარველი ანგელოზი, რომელიც პლანეტა იუპიტერთან ერთად დაბადების მომენტიდანვე იმყოფება ლომის ზოდიაქოში. ეს პირდაპირი მინიშნებაა, რომ ის დაიბადა, როგორც მმართველი, რომლის მფარველი ანგელოზი ხელს უწყობს მის ცხოვრებისეულ გამარჯვებებს. თანაც, ხვდება ლომის ზოდიაქოში, რომელიც მართავს საქართველოს. საქართველოსთვის ბიძინა ივანიშვილს მეტი წარმატების მოტანა შეუძლია და, პირიქით, საქართველოსაც შეუძლია მისთვის მეტი წარმატების მოტანა: მისი მფარველი ანგელოზის ქვეყანაა. ამიტომ იყო, რომ ის ნებისმიერ შემთხვევაში ბრუნდებოდა საქართველოში. უცხოეთში მისი ბიზნესის საქმეები უკეთ მიდიოდა, მაგრამ, საბოლოოდ, მაინც აქ მოდიოდა, რაც მიანიშნებს, რაოდენ ძლიერია ამ ქვეყნის ენერგეტიკა მისთვის.

**– თვითონ ივანიშვილი-სააკაშვილის შეთავსებაზე რას ამბობენ ვარსკვლავები?**

– არ არის ისეთი ცუდი, როგორიც იყო სააკაშვილისა და ბადრი პატარკაციშვილის. მათ აუტანელი შეთავსება ჰქონდათ. აქ არის შეთავსება, რადგან 7 წელს ისინი საკმაოდ ნორმალურად ურთიერთობდნენ. პრობლემა წარმოიშვა „ნაციონალური მოძრაობის" პოზიციის შედეგად და პრინციპული იდეოლოგიური განსხვავებები გახდა მათ შორის სერიოზული დაპირისპირების მიზეზი, თორემ ფსიქოტიპით მათ შორის სავსებითაა შესაძლებელი ურთიერთობის დამყარება. მაგრამ აქვე იმას გეტყვით, რომ ფსიქოტიპით პუტინი და სააკაშვილიც უთავსდებიან ერთმანეთს, ისევე, როგორც ბიძინა ივანიშვილი და პუტინი.

**– რუსეთ-საქართველოს ურთიერთობისთვის 2013 წელი როგორია?**

– უკეთესია, მაგრამ რუსეთი ელცინის პერიოდიდან უსამართლო ენერგეტიკულ ზონაში იმყოფება. ის ამ ზონაში 2014 წლამდე დარჩება, როდესაც ნებისმიერი მისი უსამართლობა უპრობლემოდ ჩაივლის, ამიტომ ყოველთვის ვუკიჟინებდი შევარდნაძეს, ფრთხილად იყავით რუსებთან, ახლა რასაც გააკეთებს, ყველაფერი ისე ჩაივლის, ვითომც არაფერი-მეთქი. ამიტომ უაზრობაა, რუსეთს რამე მოჰკითხოთ 2014 წლამდე, მე ვიტყოდი 2016 წლამდეც. თუმცა 2014 წელს ისინი პირველად დასვამენ კითხვას, იქნებ ჩვენი მოქმედება არასამართლიანი იყო? ამ კითხვას ჯერ სათანადო პასუხები არ გაეცემა, მაგრამ 2016 წელს რუსები აშკარად გამოდიან ამ ზონიდან. უკვე მიხვდებიან, რომ რაღაცას აშავებენ და დაიწყებენ ამის გამოსწორებას. ამდენად, 2013 წელი არის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დათბობის საწყისი. 2014 წელი აშკარად გამოაჩენს, რომ უმჯობესდება სიტუაცია და 2016-დან აშკარად დალაგდება, თუმცა, როგორც გითხარით, ეს ელემენტები 2013 წლიდან გახდება თვალში საცემი.

**– როგორია „ნაცმოძრაობისა" და „ოცნების", როგორც პარტიული წარმონაქმნების სიცოცხლისუნარიანობა 2013-ში?**

– „ოცნებას" ჯერჯერობით მაღალი აქვს სიცოცხლისუნარიანობა, „ნაციონალურ მოძრაობას" – არა, იმიტომ რომ ყველა ტიპის გაერთიანება ემორჩილება კოსმიურ პრინციპს: არსებობს განვითარების 9-წლიანი ციკლი. თუ 9 წლის თავზე ორგანიზაცია არ ცვლის თავის პოლიტიკას: ეკონომიკურს, პოლიტიკურს თუ საკადროს, რაღაც ტრანსფორმაცია-რეგენერაციას თუ არ ახდენს, 9 წლის შემდეგ ის ორგანიზაცია უბრალოდ იშლება. „მოქკავშირსაც" ვუკიჟინებდი ამას. „ნაციონალურ მოძრაობასაც" ვურჩევდი, რომ, თუ ისინი 2012 წელს, როდესაც 9 წელი უსრულდება, არ შეცვლიან პოზიციას, დაიშლებოდნენ ან სერიოზული პრობლემები შეექმნებოდათ. შეექმნათ?! ამდენად, მათი სიცოცხლისუნარიანობა დაბალია. თუ რეგენერაციას არ მოახდენენ და მნიშვნელოვნად არ შეცვლიან თავიანთ პოლიტიკას, ძალიან გაუჭირდებათ მიზნის მიღწევა. რაც შეეხება „ოცნებას": მათ პირველი გამოცდა ელით 3 წლის შემდეგ.

**ნინო ხაჩიძე**

ნდობის ტელეფონი
0 9 0 2 20 0 200
SMS – 93094

ზარი ფასიანია

**პოლიტიკური ასპარეზიდან წლების წინათ „გაუჩინარებული“ ირაკლი ქადაგიშვილი ხანგრძლივი ტაიმაუტის შემდეგ ისევ დიდ პოლიტიკას დაუბრუნდა. ამჯერად ის საკუთარ ძალებს „თავისუფალი დემოკრატების“ ხელმძღვანელის რანგში „სცდის“ და, როგორც თვავად ამბობს, საკუთარი წარსული ბევრ რამეში ადგება. წარსული კი მართლაც საინტერესო იყო – პატრიარქის სტიქაროსანი წლების განმავლობაში სათავეში ედგა პატრიარქის საქველმოქმედო ფონდს, თუმცა, საბოლოოდ, მაინც ისევ იმ მდინარეში „შეცურა“, რომელსაც, როგორც ჩანს, ბოლომდე მაინც ვერ შეელია.**

# რას აწყობდა ირაკლი ქადაგიშვილი იატაკქვეშეთში მალულად და სად „დაიმალა“ ის პოლიტიკიდან გაუჩინარების შემდეგ

**– ბატონო ირაკლი, თქვენი პოლიტიკური კარიერა დიდი ხნის წინათ დაიწყო ეროვნულ-დემოკრატებში, თუმცა, მოულოდნელად პოლიტიკიდან „გაუჩინარდით.“ რატომ?**

– აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოვშორდი 2000 წლის შემდეგ. იმ პერიოდში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია აღმოჩნდა ღრმა კრიზისში, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. ამ პარტიას სრულიად სხვაგვარად შეეძლო, წარემართა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება. გიორგი ჭანტურიას სიკვდილმა და შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო. მერე იყო შიდაპარტიული დაპირისპირება, რომელიც გარედანაც იყო წახალისებული. მე ჩემს წილ პასუხისმგებლობასაც ვგრძნობ იმ ყველაფერთან დაკავშირებით, რაც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას ეხება, რადგან, 1981 წელს მე ვიყავი პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი იმ ადამიანთა შორის, ვინც ეს პარტია ჩამოაყალიბა იატაკქვეშეთში. მაშინ ჩვენ ვიყავით ძალიან ახალგაზრდები, სკოლა ახალი დამთავრებული გვქონდა. ვიყავით პატრიარქის სტიქაროსნები, ვიკრიბებოდით სიონში, სადაც ჩამოყალიბდა ჩვენი მსოფლმხედველობა და მეგობრობა, რაზეც უდიდესი გავლენა მოახდინა მისმა უწმინდესობამ.



მე დღესაც სტიქაროსანი ვარ. როდესაც აქტიურ პოლიტიკაში ვიყავი, პატრიარქის გვერდით დგომა ფამილარული იქნებოდა და ერთ პატარა ტაძარში „დავიმალე“

**– პოლიტიკური ტაიმაუტის დროს ძალიან საინტერესო საქმეში იყავით ჩართული. მაინცდამაინც თქვენ რატომ განდოთ პატრიარქმა საქველმოქმედო ფონდის ხელმძღვანელობა?**

– 2005 წლიდან 2011 წლამდე მე ვხელმძღვანელობდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდს. ეს იყო დიდი ნდობა, ამისთვის უსაზღვროდ მადლიერი ვარ პატრიარქის. ეს, პირველ ყოვლისა იმ წლების დამსახურება იყო, როდესაც მე პატრიარქის სტიქაროსანი ვიყავი. მისი უწმიდესობის მიმართ ყოველთვის მქონდა დიდი სიყვარული და მოწიწება. 80-იან წლებში, როდესაც ამ ქვეყანაში სხვა გარემო იყო, პატრიარქი იყო ეროვნული თვითშეგნების იდეის გამოღვიძების სიმბოლო. ამას ქვეცნობიერად ვგრძნობდით. ახალგაზრდა ადამიანს ხომ ამ ასაკში უყალიბდება სამშობლოს სიყვარული, ამ სიყვარულს ვხედავდით პატრიარქის მოღვაწეობაში, სიტყვაში, ქცევაში. ეს იყო ჩვენი მთავარი გზამკვლევი და ორიენტირი. ძალიან თბილი იყო ჩვენი პირადი ურთიერთობები, ჩვენ ვიზრდებოდით მის თვალწინ. აღდგომას და წინასაშობაოდ პატრიარქი ჩვენ ყველას გვჩუქნიდა ინდაურის წითელ კვერცხს და 50 მანეთს. ეს მაშინ დიდი ფული იყო ჩვენთვის და კარგ ნადიმებს ვაწყობდით ხოლმე იმ ფულით. ის აკვანი, რომელიც თითოეული ჩვენგანისთვის დაირწა საპატრიარქოში, იყო ძალიან დიდი ცხოვრებისეული გამოცდილება. პატრიარქის ბევრი სტიქაროსანი დღეს სამღვდელოების მაღალი წრის წარმომადგენელია, მეორე ნაწილი კი საერო გზას დაადგა და პოლიტიკური კარიერა აქვთ. მე არასდროს გამიწყვეტია ურთიერთობა პატრიარქთან და საპატრიარქოსთან, როგორც ინსტიტუციასთან; ფონდში მუშაობა ჩემთვის საზოგადოებრივი საქმიანობის ბუნებრივი გაგრძელება იყო. ჩვენ ძალიან საინტერესო პროექტების განხორციელება დავიწყეთ იმ პერიოდში, როდესაც ჩვენს ტრადიციულ კულტურასა და მეცნიერებაზე ხელისუფლებას ხელი ჰქონდა ჩაქნეული და „მეფობდა“ ბენდუქიძის იდეა, რომ ყველაფერს, მათ შორის კულტურასაც, დაარეგულირებდა ბაზარი. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში კულტურა წახალისებული და დაფინანსებულია, მით უფრო, ასე უნდა ხდებოდეს ჩვენი ტიპის ქვეყანაში, სადაც ბაზარი შედარებით მწირია და ხელოვნება მასზე ვერ იქნება ორიენტირებული. პატრიარქის საქველმოქმედო ფონდის საქმიანობის პრიორიტეტები იყო და რჩება კულტურა, მეცნიერება, ხელოვნება, ამ მიმართულებებით ფონდმა ბევრი საინტერესო პროექტი განახორციელა.

**– რატომ შეელიეთ ამ კეთილ საქმეებს და რატომ დაუკავშირეთ ცხოვრება ისევ პოლიტიკას? ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ ხომ არ შედიან?!**

– როგორც ჩანს, პირველი გამოცდილება მუდმივად მიჰყვება ადამიანს, ამას გარდა, ქვეყანაში ისეთი ვითარება იყო, რომ მასთან არშეწინააღმდეგება, ფაქტობრივად, ნიშნავდა საკუთარი ქვეყნის მომავლის გაწირვას. როდესაც მე პოლიტიკაში დაბრუნება გადავწყვიტე ირაკლი ალასანიასთან ერთად მივედი პატრიარქთან და ვაცნობე ამის შესახებ, მან დაგვლოცა და ისიც კი გვითხრა: ერთმანეთს როგორ ჰგავხართ ორი ირაკლიო; თან დაამატა: მარტონი კი არ ხართ, ხომ არ გავიწყდებათ, მეც რომ ირაკლი ვარო. პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ალბათ, ერთსა და იმავე მდინარეშიც შედიან ორჯერ ***(იცინის).***

მე „თავისუფალ დემოკრატებში“ ვარ მისი დაარსების დღიდან. ირაკლი ალასანიასთან წლების ურთიერთობა მაკავშირებს, ეს ჯერ კიდევ აფხაზეთში დაიწყო. იმ პერიოდში მე საქართველოს საბაჟო კომიტეტის თავმჯდომარე ვიყავი და ომის დროს ხშირად მიწევდა ჩასვლა სოხუმსა და გაგრაში, სადაც იყო საბაჟო პუნქტები. ჩვენი თანამშრომლები საომარ სიტუაციებშიც იყვნენ ჩართულები. მე პირადად, ფრონტისთვის აქედან საკვები და საჭირო ნივთები ჩამქონდა. სწორედ მაშინ დაიწყო ჩემი და ირაკლის ურთიერთობა, რომელიც მერე უფრო გაღრმავდა. როდესაც ირაკლიმ მიიღო პოლიტიკაში დაბრუნების გადაწყვეტილება, მეც, კარგად ვიცნობდი რა მის გუნდსა და მსოფლმხედველობას, მათთან ერთად აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნება და ჩართვა გადავწყვიტე. მე აქამდეც ვიყავი ჩართული ყოველდღიურ პარტიულ ცხოვრებაში. არჩევნების პერიოდში ვმონაწილეობდი კოალიციის საორგანიზაციო საქმეებში და არ ვყოფილვარ პოლიტიკური სახე, ვხელმძღვანელობდი კახეთის მიმართულებას, ალბათ, იმიტომ, რომ წარმოშობით კახელი ვარ, თუმცა, უკვე მეოთხე თაობის სოლოლაკელად ვრჩები ***(იცინის).*** მას შემდეგ კი, რაც ირაკლი აღმასრულებელ ხელისუფლებაში დაინიშნა, ის დაინტერესდა ჩემი დამოკიდებულებით აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, რადგან, ყოველთვის ცდილობს, რომ არ წაგართვას არჩევანი. მე, როგორც „გამოცდილმა პოლიტიკოსმა,“ უფრო საჭირო მიმართულებაზე – პარტიული სტრუქტურების გაძლიერებაზე გავაკეთე არჩევანი. ირაკლისგან ეს არის დიდი ნდობა ჩემ მიმართ, რადგან პარტია მისთვის არის როგორც შვილი და, შესაბამისად, ძალიან ძვირფასია.

**– ძველ ცხოვრებას, რომელიც საპატრიარქოსთან იყო დაკავშირებული, სულ შეელიეთ?**

– მე დღესაც სტიქაროსანი ვარ. როდესაც აქტიურ პოლიტიკაში ვიყავი, პატრიარქის გვერდით დგომა ფამილარული იქნებოდა და ერთ პატარა ტაძარში „დავიმალე“ ***(იცინის).*** კვლავინდებურად მაქვს ურთიერთობა პატრიარქთან, ვცდილობ ხოლმე, მოვინახულო, მისგან რჩევა მივიღო. ვცდილობ, რომ ასეთ გზაზე დადგნენ ჩემი შვილებიც. სამი ბიჭის მამა ვარ და ეს ყველაზე საპატიო მისიაა ჩემს ცხოვრებაში. ყოველთვის ვცდილობ, მათთვის დრო გამოვნახო. ბიჭს, შეიძლება, ხანმოკლე ურთიერთობაც ეყოს მამასთან, მთავარია, ის შენი ცხოვრების წესს აფასებდეს. ეს ყველაზე კარგი და საკმარისი მაგალითია მისთვის, ბიჭისთვის, რომელიც ხედავს, რომ მამა სწორი გზით მიდის.

**თამუნა ნიჟარაძე**

**გიორგი მოსიძის – საქვეყნოდ ცნობილი და მკაცრი „ბატონი წამყვანის“ ოჯახი ტრადიციულად – თბილისურად მულტიეთნიკურია. გიორგის დედა ნახევრად უკრაინელია, მისი მეუღლე – თბილისელი აზერბაიჯანელი, ძმის პირველი მეუღლე კი იაპონელი გახლდათ. როგორც თავად ამბობს, გლობალიზაციის პროცესს ფეხი აუწყვეს.**

# როგორ შეხვდა გიორგი მოსიძის ძმა იაპონელ მეუღლეს და როგორ თავსდებოდა მის ოჯახში სამი მსოფლიო რელიგია

**გიორგი მოსიძე**: დედაჩემი ქართველია, დედით უკრაინელი, თუმცა კიევში იზრდებოდა. თბილისში 1968 წელს გადმოვიდა საცხოვრებლად, 25 წლის ასაკში. მამაჩემი თბილისში გაიცნო და 1975 წელს, მე მათი სიყვარულის ნაყოფი, მოვევლინე ქვეყნიერებას *(იცინის).*

**– უკრაინულ ტრადიციებს თუ იცავდით?**

– სად იყო მაშინ უკრაინა ან ტრადიციები? მაშინ ყველაფერი საბჭოთა იყო – რუსული. საბჭოთა კავშირი რომ დაინგრა, მაშინ მივხვდით, რომ რუსეთი, ბელორუსი და უკრაინა სხვადასხვა ქვეყანა იყო. მარშაკისა და ჩუკოვსკის შემოქმედებაზე გავიზარდე, „ნიზნაიკას“ პერსონაჟი მიყვარდა ძალიან, ბევრს ვკითხულობდი...

**– იმდენი იკითხეთ, „ნიზნაიკა“, რომ „ზნაიკა“ გამოხვედით.**

– *(იცინის)* ჰო, ბევრი ვიკითხე „ნიზნაიკა“ და „ზნაიკა“ გამოვედი. დედამ თავიდან ქართული ძალიან ცუდად იცოდა, ეშლებოდა და სასაცილოდ ლაპარაკობდა – შეცდომებს ახლაც უშვებს. მაგრამ, ისე კარგად ისწავლა, ლექციებს კითხულობს უნივერსიტეტში. დედა დღემდე ამზადებს ბორშჩს, უხას, კიევურ კატლეტს და იქაურ კერძებს. ჩემს უკრაინულს რაც შეეხება, ბოლო წლებში უკრაინაში ევროსაბჭოს წარმოვადგენდი და ასე თუ ისე, შევისწავლე – კი, მიჭირს, ვურევ და სასაცილოდ ვლაპარაკობ. ითვლება, რომ, თუ რუსული იცი, უკრაინულიც უნდა გესმოდეს, რაც რეალურად ასე არ არის – საკმაოდ განსხვავებული ენაა, იდენტური გრამატიკა აქვს, მაგრამ ლექსიკა სხვაა – ვურევ და გამოდის „სურჟიკი“. „სურჟიკი“ არის ნარევი რუსულ-უკრაინული ენა, რომელზეც ლაპარაკობენ ცენტრალურ უკრაინაში. დედამ თავის დროზე კარგად იცოდა, ახლა, პრაქტიკა რომ არ აქვს, ნელ-ნელა ავიწყდება. კიევში დღემდე საყოფაცხოვრებო დონეზე ლაპარაკობენ – ჩვენც ბავშვობაში ძირითადად რუსულად ვლაპარაკობდით, განსაკუთრებით, სანამ ჩემი აღმზრდელი დიდი ბებია ცოცხალი იყო. ტრადიციული უკრაინელები თითქმის აღარ არსებობენ, გასაბჭოების დროს მოსპეს ან ემიგრაციაში წავიდნენ კანადაში. ვინც გადარჩნენ, არიან გასაბჭოებას, „გოლოდომორს“ გადარჩენილი, შეშინებული ხალხი და დიდად არც უკრაინელობდნენ. ბებია წარმოშობით მდიდარი, წარჩინებული ოჯახიდან იყო, რევოლუციამდე გუვერნანტები ზრდიდნენ, კარგად იცოდა გერმანული და ფრანგული. ერთი სიტყვით, სერიოზული განათლება ჰქონდა მიღებული – თუმცა, საბჭოთა დროს იძულებული იყო, დაემალა ეს ამბავი. უკრაინაში სახალხო-რელიგიური დღესასწაულები თითქმის სულ მივიწყებული იყო, ჩვენგან განსხვავებით. დასავლეთ უკრაინაში შედარებით შეინარჩუნეს ტრადიციები, კიევი უფრო ინტერნაციონალური ქალაქია.

**– როგორც ვიცი, თქვენს ძმას იაპონელი მეუღლე ჰყავს.**

– ჩემი ძმა იაპონელ მეუღლეს დაშორდა და ახლა მეორე – უკრაინელი მეუღლე ჰყავს. ისინი უკრაინაში ცხოვრობენ. ჩემმა ძმამ პირველი მეუღლე გაიცნო ლონდონში, ორივე იქ სწავლობდა. ჩვენი ოჯახი ცდილობს, გლობალიზაციის პროცესს ფეხი აუწყოს *(იცინის).*

**– თქვენი აზერბაიჯანელი მეუღლე როგორ მიიღო ოჯახმა?**

– განსაკუთრებული ეთნიკური სტერეოტიპები არ ჰქონიათ, უბრალოდ, 90-იანი წლები იყო და მაშინ ეს ყველასთვის სიახლეს წარმოადგენდა – არავის ჰყავდა მაშინ აზერბაიჯანელი მეუღლე და დღეს აზერბაიჯანი ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორია...

**– ეტყობა, ამ პარტნიორობას თქვენმა ქორწინებამ ჩაუყარა საფუძველი.**

– არა, ალიმ და ნინომ. იყვნენ ჩემ ირგვლივ ადამიანები, რომლებიც დაფიქრებისკენ მომიწოდებდნენ – მაინც ჩვენი ეროვნების არ არისო, მაგრამ მე უკან არ დავიხიე, ჩემი გავიტანე და არ ვნანობ – 16 წელია, მე და ემილია ერთად ვართ. მისი ოჯახიც ნორმალურად შეხვდა ამ გადაწყვეტილებას. მისი უფროსი და უკვე იყო ქართველზე გათხოვილი. ემილიას 4 და და ერთი 1 ძმა ჰყავს, ოჯახში ნაბოლარა შვილია – იქ ამის პრეცედენტი იყო და ჩემს ოჯახშიც – 1998 წელს ჩემმა ძმამ იაპონელი ცოლი შეირთო და როგორც მამაჩემმა თქვა: თუ ერთი მსოფლიო რელიგია შემოვიდა ჩვენს ოჯახში – ბუდიზმი, მეორე რელიგია – ისლამი რატომ არ უნდა შემოვიდესო.



**იყვნენ ჩემ ირგვლივ ადამიანები, რომლებიც დაფიქრებისკენ მომიწოდებდნენ – მაინც ჩვენი ეროვნების არ არისო, მაგრამ მე უკან არ დავიხიე, ჩემი გავიტანე და არ ვნანობ – 16 წელია, მე და ემილია ერთად ვართ**

**– საქართველოში ცხოვრობდა თქვენი იაპონელი რძალი?**

– კი და სხვათა შორის, საქართველო ძალიან მოსწონდა. ჩვენ ტრადიციული, თბილისური ოჯახი გვაქვს, თბილისური ოჯახები ყოველთვის მულტიეთნიკური იყო და ჩვენ დავუბრუნდით ძველ ტრადიციებს. ჩემი ძმის ქორწილი ძალიან საინტერესო იყო – პატარძალს ტრადიციული კიმონო ეცვა. მშობლებიც იყვნენ ჩამოსულები და ძალიან მოეწონათ აქაურობა. რაღაც პერიოდი იაპონიაში ცხოვრობდნენ, მერე – თბილისში. ჩემი ძმისშვილი, კეიტო ტოკიოში ბებია-ბაბუასთან ერთად ცხოვრობს. გარეგნულად ქართველსაც ჰგავს და იაპონელსაც – თუ ტრადიციულ კიმონოს ჩაიცვამს, მაშინ უფრო ეტყობა, რომ იაპონური სისხლი აქვს – თვალების ჭრილი აქვს უფრო იაპონური, სხვა მხრივ ქართველს ჰგავს. კეიტო ჩვენთან ცხოვრობდა დიდხანს და 53-ე სკოლაში დადიოდა. ქართული კარგად იცის, ხშირად ვეკონტაქტებით ხოლმე – ამერიკულ სკოლაში სწავლობს ტოკიოში...

**– ბაქოში ემილიას ჰყავს ნათესავები?**

– კი, ჰყავს და ჩავდივართ ხოლმე – „რა? სად? როდისსაც?“ ვთამაშობთ და ბოლო წლებში სულ გვიგებენ, უნდა გამოვასწოროთ სიტუაცია. ბაქო სწრაფად, დუბაის ტემპით ვითარდება. ლამაზია ახალი ქალაქი, მაგრამ გასართობად და ღამის ცხოვრებისთვის ბაქო და თბილისი არ გამოდგება, უფრო – კიევი და მინსკი.

**– ქართველ სიდედრზე ბევრი ანეკდოტია და აზერბაიჯანელი სიდედრი როგორია?**

– ნამდვილი ოქროა, მეხუთე ქალიშვილი გაათხოვა და მეც ოქროს სიძე ვარ *(იცინის).* მანებივრებენ სიდედრი და სიმამრი – ყურბან ბაირამზე, ნავრუზ ბაირამზე სპეციალურად ჩემთვის ადგილი აქვთ გამოყოფილი. საგანგებოდ ჩემთვის არაჩვეულებრივ ფლავს ამზადებენ. შეხუმრებული სიძე-სიდედრი ვართ, დავსხდებით და ერთად ვაშაყირებთ ჩემს მეუღლეს.

**– ცოტა დელიკატური კითხვაა, მაგრამ რელიგიის საკითხი როგორ დგას ოჯახში – მეუღლემ რჯული შეიცვალა?**

– არა. ჩვენ არ ვართ ეკლესიურ ქორწინებაში, სამოქალაქო ქორწინებაში ვიმყოფებით მხოლოდ. საერთოდ, რჯულის შეცვლისა და გაქრისტიანებული იაპონელის არ მწამს. ჩემი შვილები არიან მოსიძეები და შესაბამისად, მოსიძეები უნდა იყვნენ მართლმადიდებლები. მეუღლისთვის რჯულის შეცვლა არ მომითხოვია – არ დამდგარა ეგ საკითხი. მისი რელიგია, მისი ეთნიკური იდენტობის ნაწილია.

**– საახალწლოდ როგორ ემზადებით ხოლმე?**

– ჩვეულებრივ. თუმცა, ბოლო დროს სახლში მზადებას ველარ ვახერხებთ, მეუღლე ბიზნესში გადაიჭრა და აღარ გვცალია. რომ ვდგები, ის უკვე გასულია სახლიდან. გადავინაცვლეთ რესტორნებსა და ბარებში.

**– თქვენ თვითონ ამზადებთ?**

– დიდი მზარეულობით ვერ დავიკვეხნი, მაგრამ კულინარიაში რომელიმე მიმართულებას ხომ უნდა ფლობდე. მე დავხელოვნდი ერბოკვერცხის მომზადებაში – რადიოში გადაცემა მიმყავდა. მწვადის შეწვაც მიცდია, მაგრამ ჩემს მეგობრებს უკეთესად გამოსდით და იმათ გადავაბარე.

**– შვილებთან მკაცრი ხართ?**

– კი. სადამსჯელო ფუნქცია მე შევითავსე – არადა, პირიქით, დედა უნდა იყოს მკაცრი, მამა – „შენ გენაცვალე, შენი ჭირიმე“... მე „ცუდი პოლიციელი“ ვარ – „ეგზეკუცია“ ჩემი ცოლი კი „კარგი პოლიციელია“.

**ქეთი დიდებულიძე**

**საახალწლო საჩუქარი მეთერთმეტე კლასელების, აბიტურიენტებისა და მაგისტრატურაში ჩაბარების მსურველთათვის სასწავლო ცენტრ „პროფესიონალი 2010-ში“**

სასწავლო ცენტრში – „პროფესიონალი 2010“ საახალწლო საჩუქრები და სიურპრიზები დაიწყო!

მოემზადე სასწავლო ცენტრ „პროფესიონალი 2010-ში“ საატესტატო და ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის დიდი ფასდაკლებით: მეთერთმეტე კლასელებისთვის 6 საგანი მხოლოდ 200 ლარად (4 – საატესტატო და 2 – ეროვნული გამოცდებისათვის).

აბიტურიენტებო! მოემზადეთ 3 საგანში ჩვენთან და მიიღეთ მეოთხე საგანი უფასოდ, საახალწლო საჩუქრად!

დიდი საახალწლო ფასდაკლება მოქმედებს მაგისტრატურაში ჩაბარების, უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების შესწავლის მსურველთათვისაც.

იჩქარეთ! ადგილების რაოდენობა შეზღუდულია!

**მისამართი: ჭოველიძის №5 (ყოფილი ბელინსკი, რუსთაველის მეტროსთან). ტელეფონის ნომრები: 230-71-13; 555-63-48-01; 790-30-71-13; 595-20-62-62.**

# რომელი ავტომობილებით ხვდებიან ახალ 2013 წელს მსოფლიოს ლიდერები

*„სახელმწიფოს პრესტიჟს განაპირობებს სარაკეტო არსენალი, ოლიმპიური ოქროს მედლების რაოდენობა და პრეზიდენტის „ლიმუზინი“, – ეს სიტყვები ეკუთვნის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ჯონ კენედის ძმას, რობერტ კენედის. ამერიკელი პრეზიდენტები ეტლიდან ავტომობილებზე მეოცე საუკუნის დასაწყისში გადასხდნენ. პირველი პრეზიდენტი, რომელიც ავტომობილში ჩაჯდა, უილიამ ტაფტი გახლდათ. დღესდღეობით ავტომობილებით სარგებლობენ, როგორც მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების, ასევე ღარიბი ქვეყნების პრეზიდენტებიც და ქვეყნების პირველი პირების ხილვა „ლიმუზინებში“ ან სხვა მარკისა და ტიპის ავტომობილებში არავის უკვირს. გთავაზობთ მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერების სამსახურებრივი ავტომობილების ტოპ-ათეულს, რომელიც ჟურნალმა „ფორბსმა” შეადგინა.*

### ანგელა მერკელი – „აუდი A8”

გერმანიის კანცლერი, მსოფლიოს ყველაზე გავლენიანი ქალი, ცნობილია, როგორც „ქამრის მოჭერის” პოლიტიკის მიმდევარი, სახელმწიფოებრივ საკითხებში და პირად ცხოვრებაშიც. ანგელა მერკელი მრავალბინიან სახლში ცხოვრობს და არ ერიდება ერთსა და იმავე სამოსში წვეულებებზე სიარულს. რაც შეეხება სამსახურებრივ ავტომობილს, მერკელი აქაც არაფრით გამოირჩევა – „ლიმუზინის“ ნაცვლად, სედანის ტიპის „აუდით” გადაადგილდება. ცნობილია, რომ მერკელის ავტომობილი, დაჯავშნილია და რამდენიმე ტიპის ცეცხლსასროლი იარაღის მოგერიება შეუძლია. 450-ცხენისძალიან 6-ლიტრიანი ძრავათი ავტომობილს ნებისმიერ რბოლაში შეუძლია გაუწიოს კონკურენცია სპორტულ ავტომობილებს. რაც შეეხება ავტომობილის შიდა ინტერიერს, ის არაფრით გამოირჩევა – აუცილებელი სატელეფონო კავშირი და მცირე ზომის მაცივარი. სულ ეს არის.

### ფრანსუა ოლანდი – „სიტროენი DS5”

თავისი წინამორბედი პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისგან განსხვავებით, რომელიც „რენოს” ტიპის ავტომობილებს ანიჭებდა უპირატესობას, ფრანსუა ოლანდი „სიტროენზე” გადაჯდა.



სწორედ ამ მარკის ავტომობილით მივიდა ის 2012 წლის 15 მაისს თავის ინაუგურაციაზე ელისეს სასახლეში. ოლანდამდე „სიტროენით” სარგებლობდა გენერალი შარლ დე გოლი. ოლანდმა „ლიმუზინზე“ თქვა უარი და ჰიბრიდული ტიპის „ჰეჩბექზე” გააკეთა არჩევანი. სპეციალური დაკვეთით დამზადებული „სიტროენი DS5“ სადა ინტერიერით გამოირჩევა. ცნობილია, რომ ოლანდმა უკვე შეამცირა მძღოლების რაოდენობა და მხოლოდ ორი დატოვა სამსახურში. გარდა ამისა, მან მძღოლებს მკაცრი გაფრთხილება მისცა, რომ დაიცვან საგზაო მოძრაობის წესები და წითელ შუქზე გაჩერდნენ.

### ჯორჯო ნაპოლიტანო – „ლანჩია”

იტალიის პრეზიდენტი იტალიური ავტოწარმოების ერთგული რჩება და „ლანჩიას” ტიპის ავტომობილით გადაადგილდება. მუქი ლურჯი ავტომობილით ნაპოლიტანო თავისი პრეზიდენტობის განმავლობაში სარგებლობს. ზოგადად, „ლანჩიას” იტალიელი პრეზიდენტები რამდენიმე ათწლეულია, უპირატესობას ანიჭებენ. ერთადერთი გამონაკლისია კარლო ჩამპი, რომელიც მცირე დროით დაჯავშნილი „მაზერატით” გადაადგილდებოდა, თუმცა შემდგომ კვლავ „ლანჩიას” დაუბრუნდა.

### დილმა რუსეფი – 1952 წლის წარმოების „როლს როისი”

ბრაზილიის პრეზიდენტი დილმა რუსეფი სამსახურებრივ ავტომობილებს შორის უპირატესობას „როლს როისის” რარიტეტულ მოდელს ანიჭებს. 1952 წელს გამოშვებული ავტომობილით რუსეფი 2011 წელს საკუთარ ინაუგურაციაზე მივიდა. გარდა ამისა, რუსეფის ავტოფარეხში „ფორდ ფიუჟენის” ტიპის დაჯავშნილი ავტომობილიც არის. ამ მარკის ავტომობილი პრეზიდენტმა სპეციალურად შეარჩია, რომ ბრაზილიის ნაკლებად შეძლებული ადამიანების უკმაყოფილება არ გამოიწვიოს. რუსეფის „ფორდის” ფასი, სულ რაღაც, 27 ათასი დოლარია.

### დევიდ კამერონი – „იაგუარ XJ Sentinel”

უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულია, რაც დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრები სტაბილურად „იაგუარით” გადაადგილდებიან.



პირველი მარგარეტ ტეტჩერი იყო, რომელიც ამ მარკის ავტომობილზე გადაჯდა. საინტერესოა, რომ კამერონი შავი ფერის „იაგუარ XJ Sentinel-ით” სარგებლობს. მისი წინამორბედები კი – ტონი ბლერი და გორდონ ბრაუნი, შესაბამისად ვერცხლისფერი და მუქი მწვანე ავტომობილებით გადაადგილდებოდნენ. კამერონის „იაგუარი” არაფრით განსხვავდება ამ ტიპის ავტომობილების სერიული წარმოების მოდელებისგან, უბრალოდ, ის დაჯავშნილია. საინტერესოა, რომ რამდენიმე ხნის წინ კამერონმა საკუთარი ავტომობილი, 1971 წლის გამოშვების „ფიატი” აუქციონზე 29 ათას ფუნტად გაყიდა.

### სი ძინპინი – „FAW Hong Qi HQE”

ჩინური ავტოწარმოებისადმი ინტერესისის გაზრდის მიზნით, ჩინეთის მთავრობამ 2012 წლის თებერვლიდან ქვეყნის უმაღლეს თანამდებობის პირებს უცხოური მარკის ავტომობილებით სარგებლობა აუკრძალა. თავისი წინამორბედის, ხუ ძინტაოს მსგავსად, ჩინეთის ახალი ლიდერი – სი ძინპინი ჩინური „FAW Hong Qi HQE-ით“ გადაადგილდება, რომლის ფასი სხვადასხვა მონაცემებით 600 ათასი – 1,2 მილიონი დოლარია. ამ ავტომობილის დებიუტი 2009 წელს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დაარსებიდან მე-60 წლისთავზე შედგა. ავტომობილის დიზაინში ტრადიციული ჩინური მოტივებია გამოყენებული.

### რომის პაპი, ბენედიქტე მეთექვსმეტე – „რენო Kangoo Maxi Z.E.”

კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი, რომის პაპი ბენედიქტე მეთექვსმეტე „პაპამობილის” სახელით ცნობილი ავტომობილებით გადაადგილდება.



სულ ახლახან პაპის ავტოფარეხში ელექტრონული ძრავიანი „რენო Kangoo Maxi Z.E.” გამოჩნდა. ეს ავტომობილი ფრანგულმა ავტოკონცერნმა რომის პაპს 2012 წლის სექტემბერში აჩუქა. ავტომობილი სპეციალურად რომის პაპისთვის არის შექმნილი. დატენილი აკუმულატორით „პაპამობილს” 170-კილომეტრის დაფარვა შეუძლია.

### ესიჰიკო ნოდა – „ტოიოტა Century”

იაპონიის პრემიერ-მინისტრი ესიჰიკო ნოდა მშობლიური ავტოწარმოების მოდელებით სარგებლობს. მის ავტოფარეხში ორი ავტომობილია – „ტოიოტა Century” და ჰიბრიდული ტიპის „ლექსუსი”. „ტოიოტა” რამდენიმე ათწლეულია იაპონიის ხელისუფლებისა და საიმპერატორო ოჯახის მთავარი პარტნიორია ავტომობილების მხრივ.

### ბარაკ ობამა – „კადილაკი One”

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ბარაკ ობამა სამსახურებრივი „ლიმუზინით“ „კადილაკი One-ით“ სარგებლობს, რომელსაც ამერიკელები უწოდებენ „ოვალურ კაბინეტს ბორბლებზე.” უსაფრთხოების თვალსაზრისით, ავტომობილის მახასიათებლები უცნობია. თუმცა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს არის ყველაზე დაცული ავტომობილი მსოფლიოში. ცნობისთვის, ამერიკის პრეზიდენტთა უმეტესობა არასდროს სარგებლობდა სერიული წარმოების ავტომობილით.

### ვლადიმირ პუტინი – „მერსედეს პულმანი”

2012 წლის გაზაფხულზე რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი გამოვიდა ინიციატივით, რომ რუსი ჩინოვნიკები უცხოური ავტომობილებიდან რუსული წარმოების ავტომობილებზე გადამჯდარიყვნენ. თავად პუტინი ჯერჯერობით გერმანული „მერსედესით” სარგებლობს, თუმცა ახლო მომავალში რუსული „ზილის” ქარხნის „ლიმუზინზე“ გადაჯდება, რომლის დატესტვაც ამჟამად მიმდინარეობს. „მერსედეს პულმანი” 6-მეტრიანი „ლიმუზინია“, რომელიც სპეციალური დაკვეთით დამზადდა და მაქსიმალურად დაცულია.

**უშანგი რუხაძე**

**გამოიწერეთ ჟურნალი „თბილისელები“**
*შინიდან გაუსვლელად ყოველ ორშაბათს*
*ფოსტალიონი მოგართმევთ სახლში*
„მაცნე“ – 214-39-06;
„პლანეტა“ – 251-75-21;
„ელვასერვისი“ – 238-80-02;
„ინფოსერვისი“ – 234-11-40, 234-09-35;
„ჯეომედია“ – 295-51-70;
ქ. ბათუმი, „სალუქვაძე და კომპანია“ – 294-32-32

# როგორ შეიქმნა „იუთუბი" და რამდენ მილიარდ დოლარად გაყიდა ის მისმა ავტორმა ჩად ჰერლიმ

*ცნობილი ფაქტია, რომ თავისი კომპანია „მაიკროსოფტი" მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთმა ყველაზე ცნობილმა მილიარდერმა, ბილ გეითსმა 20 წლის ასაკში დააარსა. დღეს უამრავი ახალგაზრდა ცდილობს, მიჰბაძოს გეითსს და მისი ცხოვრებისეული გზის მაგალითით საკუთარი იდეების განხორციელება მოახერხოს. ზოგს ეს საქმე გამოსდის, ზოგი კი ადრეულ ეტაპზევე ანებებს თავს. გთავაზობთ ყველაზე ახალგაზრდა და წარმატებულ ბიზნესმენთა ხუთეულს. მათ საკუთარი ბიზნეს-იმპერია 30 წლის ასაკამდე შექმნეს და დღეს ყველაზე ცნობილ და წარმატებულ ინტერნეტ-მილიონერები არიან.*

## მეთ მულენვეგი

28 წლის ამერიკელი მეთ მულენვეგი არ მუშაობს და დროის უმეტეს ნაწილს საქსოფონზე დაკვრასა და ბლოგის წერაში ატარებს. ეს იმიტომ, რომ მან 19 წლის ასაკში მოახერხა იმის შექმნა, რამაც დიდი როლი ითამაშა ინტერნეტი პოპულარული გაეხადა და რის გარეშეც დღეს ის წარმოუდგენელია, როგორც ამერიკელებისთვის, ასევე ევროპელებისთვის. მულენვეგმა „ვორდპრესი" – ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და კითხვადი უფასო საბლოგერო სისტემა შექმნა. სწორედ მულენვეგის შექმნილ სერვისზეა აწყობილი ინტერნეტ-დღიურების უმეტესობა მსოფლიოში. ამ საქმემ მას დიდი აღიარება და წარმატება მოუტანა, რამაც მისი კაპიტალიც მნიშვნელოვნად გაზარდა. დღევანდელი მონაცემებით „ვორდპრესის" სისტემაზე ყოველი მეექვსე ინტერნეტ-საიტი მუშაობს – დაახლოებით, 60 მილიონი საერთო ჯამში. მულევენგი ინტერნეტ-სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანია. პირველი შეხება ინტერნეტთან მას 12 წლის ასაკში ჰქონდა, ხოლო პირველი ბლოგი 18 წლის ასაკში შექმნა, როცა ვაშინგტონში ექსკურსიის ფოტოები განათავსა. საგულისხმოა, რომ, „ვორდპრესის" პოპულარობის მიუხედავად, მულენვეგი ჯერჯერობით არ ფლობს მილიარდიან კაპიტალს, თუმცა, როგორც ჩანს, ახლო მომავალში მისი კომპანია გათვლას სარეკლამო ბაზარზეც გააკეთებს და „ფორბსის" მილიარდერთა რეიტინგში კიდევ ერთი ახალგაზრდა ინტერნეტ-მილიარდერი გამოჩნდება.



## მარკ ცუკერბერგი

27 წლის მარკ ცუკერბერგმა შექმნა სოციალური ქსელი „ფეისბუქი". ბრწყინვალედ გამოიყენა უზარმაზარი ტრაფიკი და გახდა ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერი პლანეტაზე. ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მარკს აზრად მოუვიდა, გაეკეთებინა საერთო ბაზა სტუდენტებისთვის, სადაც მათ შეეძლებოდათ ფოტოსურათებისა და ინფორმაციის განთავსება. ცუკერბერგის იდეას უმიზეზოდ ეწინააღმდეგებოდა უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. ამის საპირისპიროდ მარკმა უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ-გვერდის საიტი გატეხა და საკუთარი ფოტოსურათი განათავსა. თავისი ბაზა შექმნა და სხვა სტუდენტების ფოტოებიც განათავსა. მარკის ამ ქმედებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა, სკანდალი აგორდა და ცუკერბერგი უნივერსიტეტიდან გარიცხვის საშიშროების წინაშე დადგა, თუმცა, საბოლოოდ, ყველაფერი მხოლოდ საიტის დახურვით დამთავრდა. ინტერნეტ-რესურსმა მცირე ხანი იარსება და სტუდენტები იმდენად დაინტერესდნენ ამ ნოუ-ჰაუთი, რომ ახალი საიტის გახსნას ითხოვდნენ. ჰარვარდის უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ საკუთარი რესურსი ცუკერბერგს დაუთმო და 2004 წელს ოფიციალურად ამოქმედდა სოციალური ქსელი „ფეისბუქი". ძალიან მალე „ფეისბუქი" ჰარვარდის უნივერსიტეტის საზღვრებს გასცდა და ამჟამად მსოფლიოში ნომერ პირველი სოციალური ქსელია. მარკ ცუკერბერგი კი, პლანეტის ყველაზე ახალგაზრდა მილიარდერია. იმის მიუხედავად, რომ 2012 წელს მან მნიშვნელოვანი ზარალი განიცადა კაპიტალის რამდენიმე მილიარდიანი კლებით, ინარჩუნებს პოზიციას მსოფლიო მილიარდერების რეიტინგში.



## ეშლი კოულსი

22 წლის ამერიკელმა ეშლი კოულსმა 14 წლისამ გახსნა საიტი „უოთევერლაიფსი" და 17 წლის ასაკში უკვე მილიონერი იყო. სკოლაში სწავლის პერიოდში ეშლი გრაფიკულმა დიზაინმა გაიტაცა და სოციალურ ქსელ „მაისფეისზე" გვერდების დიზაინს ქმნიდა. 2004 წელს მან შექმნა საიტი „უოთევერლაიფსი", რომელზეც საკუთარი ნაშრომების განთავსება დაიწყო. სულ მალე პორტალმა ათასობით ადამიანი მიიზიდა და სარეკლამო ბიზნესიც დააინტერესა. პირველი სამი სარეკლამო ბანერის განთავსებისთვის ვებ-გვერდზე ეშლიმ 20 ათასი დოლარი მიიღო. შვილის საქმიანობით დედა დაინტერესდა და საიტის გახსნიდან რამდენიმე თვეში, ეშლიმ გვერდების დიზაინის შექმნაში თავისი სამი საუკეთესო დაქალი და მშობელი დედა ჩართო. საიტზე ათიათასობით ნაშრომია განთავსებული და მას ყოველდღიურად მილიონობით ადამიანი ნახულობს. ამჟამად „უოთევერლაიფსზე" შესაძლებელია თემებისა და დესკტოპების გადმოწერა „ტვიტერისთვის" და „აიფონებისთვის". ეშლი კოულსი ამერიკაში ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ მილიონერად ითვლება, რომელიც ახლო მომავალში „ფორბსის" რეიტინგშიც გამოჩნდება.



## სუხას გოპინატი

26 წლის წარმოშობით ინდოელმა სუხას გოპინატიმ რვა წლის წინ დააარსა ვებ-გადაწყვეტილებების კომპანია „გლობალ ინკი". კომპანია სპეციალიზებულია ვებ-მოწყობილობების, სკოლებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის, ვებ-დიზაინისა და აუტსორსინგული მომსახურების უზრუნველყოფაზე. კომპანია „გინესის წიგნის" რეკორდსმენია, რადგან მისი მფლობელი 14 წლის იყო, როცა ამ საქმით დაინტერესდა და კომპანიის დაარსების საქმეში მას სკოლიდან სამი მეგობარი დაეხმარა. თავდაპირველად, კომპანიის პოტენციური კლიენტები სკეპტიკურად უყურებდნენ ახალგაზრდა ვებ-ოსტატის წამოწყებებს. თუმცა, მალევე დარწმუნდნენ მის პროფესიონალიზმში და ამჟამად „გლობალ ინკი" მსოფლიო დონის, ტრანსნაციონალური IT კომპანიაა. მისი ოფისები მსოფლიოს 11 ქვეყანაშია რეგისტრირებული და წლიური მოგება 100 მილიონ დოლარს შეადგენს.



## ჩად ჰერლი

ამერიკელი ჩად ჰერლი 35 წლისაა და მას თავისუფლად შეუძლია ისე გაატაროს დარჩენილი სიცოცხლე, ერთი დღეც არ იმუშაოს და ამის მიუხედავად, ყველაფერი ჰქონდეს. 2006 წელს ჩად ჰერლიმ თავის კომპანიონ სტივენ ჩენთან ერთად, კომპანია „გუგლს" 1,65 მილიარდ ამერიკულ დოლარად მიჰყიდა თავისი ქმნილება – ამჟამად მსოფლიოში ნომერ პირველი ვიდეოჰოსტინგი, სუპერ-პოპულარული ინტერნეტ-პორტალი „იუთუბი". ჩადი ჯერ კიდევ ბავშვობიდან იყო გატაცებული კომპიუტერებით და ახალი ტექნოლოგიებით. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში კი იმდენად გაიტაცა ინტერნეტ-დიზაინერობამ, მთელ დღეებს ინტერნეტში ატარებდა და სხვადასხვა საიტების დიზაინზე მუშაობდა. მაგალითად, კომპანია „ფეიფალის" ლოგო და ინტერნეტ-გვერდის დიზაინი მისი ნახელავია. არსებობს ლეგენდა, თუ როგორ შექმნა ჩად ჰერლიმ კომპანია „იუთუბი". 2005 წლის იანვარში ჩადი ინტერნეტის საშუალებით ცდილობდა, გადაეგზავნა მეგობრისთვის მობილურ ტელეფონზე ჩაწერილი ვიდეორგოლი. თუმცა, გადაგზავნა არ გამოვიდა და მან გადაწყვიტა, ინტერნეტში ვიდეორგოლების განთავსებისთვის სპეციალური საიტი გაეხსნა. ასე გაიხსნა „იუთუბი", რომლის ინტერფეისი, ლოგო და საიტის დიზაინი მთლიანად ჩად ჰერლის დამსახურებაა. ცნობისთვის, „იუთუბიზე" პირველი რეკლამის განთავსებას ჩად ჰერლიმ განცხადება მოაყოლა, რომ ეს გამოუვალი მდგომარეობის გამო გააკეთა – არ გააჩნდა თანხა, რომ კომუნალური გადასახადები დაეფარა. თავდაპირველად, „იუთუბი" არ იყო გათვლილი კომერციაზე, თუმცა გახსნიდან რამდენიმე თვეში, თავის მფლობელებს უკვე მილიონობით დოლარის მოგებას აძლევდა. ამჟამად ჩად ჰერლი პროგრამისტებისთვის სპეციალური ტანსაცმლის დიზაინის შექმნაზე მუშაობს.



**უშანგი რუხაძე**

**ევროპული სამოდელო საქმიანობა მისთვის სულ უფრო წარმატებული ხდება, ამაში კი, გარეგნობასთან ერთად გამოცდილება, პროფესიონალიზმი და ხასიათის ბევრი სხვა თვისება ეხმარება. ამ სეზონზე ქრისტინე ძიძიგურისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო „დიორის“ სახლთან მუშაობა, რამაც მის კარიერაში ერთგვარი ტრამპლინის როლი შეასრულა.**

# როგორ გახდა ქრისტინე ძიძიგური ალექსანდრ ვოტიეს მოდის სახლის მოდელი და როგორ აღმოჩნდა ის „დიორის“ მოდის სახლში

**ქრისტინე ძიძიგური**: სექტემბერში უცებ დამირეკეს პარიზიდან და დაუგეგმავად გავემგზავრე. სამი დღის მერე კი, ერთი კვირით, ჩვენი სააგენტოდან ოთხი მოდელი წავედით გერმანიაში. ვიმუშავეთ ერთ-ერთ ლონდონურ ფირმასთან, რომელიც პროფესიონალურ კამერებს უშვებს. საკმაოდ დიდი გამოცდილება მივიღე და, რაც მთავარია, გერმანელებთან ერთკვირიანი მუშაობაც შთამბეჭდავი აღმოჩნდა. საოცარი პასუხისმგებლობა აქვთ, მოწესრიგებულები არიან და, მინდა, მომავალში ბერლინში ან მიუნჰენში რომელიმე სააგენტოსთან ვითანამშრომლო. ძალიან პირდაპირები არიან, ყველაფერი ზუსტად ისე არის, როგორც უნდა იყოს, ასეთი რამ არსად მინახავს. გერმანიაში ერთ-ერთი ძალიან კარგი ფოტოგრაფი გვიღებდა ფოტოებს და, გარდა ამისა, სულ გვეპატიჟებოდა გერმანულ რესტორნებში, ძალიან კარგად გავერთეთ.



**როგორი კარგიც არ უნდა იყო, შენი პრეტენზიები სააგენტოს სულ არ აინტერესებს, არ გინდა და – წადი**

**– რა პრინციპით შეგარჩიეს ოთხი მოდელი?**

– ერთი იყო იაპონელი, მეორე – ამერიკელი ფერადკანიანი, მესამე – ავსტრალიელი და მე ანუ, განსხვავებული ტიპაჟები ვიყავით. ძირითადი მოთხოვნა იყო პროფესიონალიზმი. საფრანგეთში პროფესიონალიზმში, რა თქმა უნდა, იგულისხმება შენი საქმის ცოდნა, ამაში კი იგულისხმება, რამდენად გაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა, ზუსტად უნდა იცოდე, რას აკეთებ და არ უნდა იყო დაბნეული. ასევე, დიდ აქცენტს აკეთებდნენ ხასიათზე, რადგან, შენთან მუშაობა რომ გაუადვილდეთ, კომუნიკაბელური და კარგი ხასიათი უნდა გქონდეს. არ დავმალავ და ვიტყვი, რომ ჩემს სააგენტოში კარგი სახელი მაქვს. როგორი კარგიც არ უნდა იყო, შენი პრეტენზიები სააგენტოს სულ არ აინტერესებს – არ გინდა და წადი. რა თქმა უნდა, ორმხრივი ურთიერთობაა, ორივეს ინტერესში შედის ერთმანეთთან მუშაობა, მაგრამ, როცა ისინი ჩემზე არიან მომართულები და ყველაფერს აკეთებენ, რომ წინ წავიწიო, მე რა უნდა მქონდეს საპრეტენზიო?! ამიტომაც, პირიქით, მათი სულ მადლობელი ვარ. ისინი პროფესიონალები არიან, იციან, რა არის ჩემთვის უკეთესი. უბრალოდ, მე ჩემი აზრი მაქვს: რაღაცაზე დავეთანხმები, რაღაცაზე – არა...

20 სექტემბერს მქონდა დაბადების დღე, ვერც თბილისში აღვნიშნე და ვერც პარიზში, მეგობრებთან ერთად. იმ დღეს შოუ გვქონდა და, რომ შემოვდიოდი კულისებში, უცებ დაიწყეს „ჰეფი ბერსთ დეის“ სიმღერა და ძალიან გამიხარდა. ამ დღის აღსანიშნავად ფოტოსესიაც მომიწყვეს, მერე ფოტო დამიბეჭდეს და მაჩუქეს. კულისებში სანთლებანთებული ტორტი და შამპანური დამახვედრეს... ძალიან დასამახსოვრებელი და შთამბეჭდავი იყო. ამის მერე დავბრუნდი პარიზში, სადაც წვრილ-წვრილი საქმეები სულ არის.

**– ძირითადად რა სამუშაოები გქონდა?**

– მოდელისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ლუქის განახლება. პარიზში იცი, როგორ ხდება? დავუშვათ, ბევრი იმუშავე სხვადასხვა ჟურნალთან, ცნობილ ბრენდებთან, მაგრამ, ეს ფოტოები, შეიძლება, არც ჩაგიდონ ბუქში, ან, თუ ჩაგიდებენ, იმიტომ არა, რომ მათთან გაქვს ნამუშევარი; ანუ, ბუქში დებენ მხოლოდ ისეთ ფოტოს, სადაც კარგად ჩანს, როგორი მასალა ხარ, რა გამოვა შენგან. როცა ქასთინგზე გადიხარ, მათ ორ წამში იციან, სჭირდები თუ არა. ამიტომაც, ბუქში უფრო ხშირად დევს ბუნებრივი ფოტოები, ფოტოშოპის გარეშე. ფოტოშოპი უფრო ბიუთის ფოტოს უკეთდება. ბუქში მაქვს ერთი სურათი, რომელიც ძალიან გადაფოტოშოპებულია, მაგრამ, ეს ბიუთისთვის არის საჭირო, რომელიც სხვა ხაზია და მე ამაზეც ვმუშაობ. ანუ, ბუქი ხარ შენ და, ამიტომაც, მოდელი არასდროს არ უნდა გაჩერდეს, სულ უნდა იღებდეს ბუქისთვის ფოტოებს. ამიტომ, როცა რომელიმე ფოტოგრაფი მთავაზობს ფოტოების გადაღებას, მაშინვე ვთანხმდები – გადახდაზე არ არის აქ საუბარი, რადგან, ეს მისთვისაც კარგია და ჩემთვისაც. ანუ, ფოტოგადაღებები სულ მაქვს. სინგაპურელ ფოტოგრაფთანაც ვიმუშავე ერთ-ერთი ჟურნალისთვის, ძალიან საინტერესო იყო. ასევე, ვიმუშავე იაპონელ ფოტოგრაფთან, რომელიც ძალიან წარმატებულია იაპონიასა და ევროპაშიც – პარიზში ცნობილ ჟურნალებთან თანამშრომლობს.

**– „დიორის“ სახლთანაც ითანამშრომლე.**

– ეს იყო ის, რასაც საერთოდ ვერ წარმოვიდგენდი. ვიმუშავე „დიორის“ პარფიუმის სახლში, აგვარჩიეს ძირითადად ისეთი გოგონები, რომლებსაც კლასიკური სახე გვქონდა. ეს იყო „დიორის“ მაკიაჟის ბოლო ტენდენციების პრეზენტაცია, პრესას გავაცანით ყველაფერი. ერთი თვით ადრე გავიგე, რომ მათთან უნდა მემუშავა და, არ იცი, რა მჭირდა... ყველაფერს ვაკეთებდი იმისთვის, რომ ამ დღეს კარგ ფორმაში ვყოფილიყავი. „დიორის“ სახლი ულამაზესია, მუშაობის დონე – საოცარი, სრული ჰარმონია. გადავირიე, ეს არასდროს დამავიწყდება. ყველაფერი დროში იყო გათვლილი, მყავდა ჩემი ასისტენტი, ვიზაჟისტი. „დიორის“ მაკიაჟის სტილი გააცნეს საზოგადოებას. რვა გოგონა ვიყავით, ყველას სხვადასხვანაირი მაკიაჟი გაგვიკეთეს, რადგან მე ყავისფერი თმა და მწვანე თვალები მაქვს, ძირითადად, იასამნის ფერებში გამიკეთეს. დაგვასაჩუქრეს „დიორის“ პროდუქციით. ისეთი საჩუქრები დაგვირიგეს, ლამის ხელფასს გადააჭარბა. მათმა ფოტოგრაფმაც ბევრი ფოტო გადამიღო და ახლა ვაპირებთ ბუქისთვის ახალი ფოტოების გადაღებას. მოკლედ, „დიორთან“ მუშაობა ჩემთვის დიდი ტრამპლინი აღმოჩნდა და, სააგენტო „სლაიდთან“ ორწლიანი თანამშრომლობის შემდეგ, წამოსვლის წინ, ახალი კონტრაქტი გავაფორმე სააგენტო „კრისტალთან“. ანუ, ეს სააგენტო უფრო დიდი და ძლიერია, ამიტომ, ეს ჩემთვის საინტერესოა. რაც მთავარია, ისევ ვიმუშავებ ჩემს ბუქერთან, რომელმაც მე აღმომაჩინა. რომ არა ის, შეიძლება, არ გადავსულიყავი ახალ სააგენტოში. პარიზში შესაძლოა, მოხვდე დიდ სააგენტოში, მაგრამ, აქ მთავარია, მათ რამდენად მოსწონხარ, როგორ გიწყობენ ხელს. ბევრიც რომ მეცადა, ვერ მოვხვდებოდი „დიორთან“, ჩემი ბუქერისგან მხარდაჭერა რომ არ მქონოდა. დღეს იმდენი მოდელია, ნატალია ვოდიანოვას „კონკიას“ ისტორიები აღარავის აინტერესებს. ახალი სახის აღმოჩენები ისევ ხდება, მაგრამ, შენ უნდა გაუმართლო იმედები და მერე ისინიც ჩადებენ შენში ენერგიას. ახალმა სააგენტომ უკვე ძალიან საინტერესო ქასთინგზე გამიშვა: „ლანკომე“, „ლორეალი“ და ასე შემდეგ. ორივე სააგენტოს ურჩევნია, ცოტა კლიენტი ჰყავდეს, მაგრამ, სამაგიეროდ, იყოს მაღალი დონის, ვიდრე მთელ პარიზთან ითანამშრომლოს. „დიორის“ მერე, როგორც ჩანს, პარფიუმერიული ხაზიც მომცეს.

**– კიდევ ვისთან იმუშავე?**

– „ქლოესთან“ ვიმუშავე ფითინგზე, ახალი კოლექცია მოვირგე. ალექსანდრ ვოტიეს მოდის სახლის მოდელი ვარ, ეს არის პერმანენტული სამსახური, იმ გაგებით, რომ, როცა მოდელი სჭირდებათ, ყველაფერზე მე მეძახიან. დღეს პარიზში ძალიან პოპულარული დიზაინერია, რამდენიმე წელია, დაიწყო საქმიანობა და, რაც მთავარია სერიოზულად დაიწყო. ყველაფერთან ერთად, პიროვნულად არის ძალიან კარგი ადამიანი. მის სახლში რომ შედიხარ, საოცარ ჰარმონიას გრძნობ, სულ მალე სუნამოს გამოუშვებს. მაჩუქა და, ისეთი სურნელი აქვს, ვერანაირი სუნამო ვერ შეედრება. მიყვარს მასთან მუშაობა. როცა ფითინგზე მუშაობ, ყველაფერს გიზომავენ. აქ სილამაზეზე არ არის საუბარი, მთავარია, სტანდარტებში იჯდე. მე პარამეტრებში ვჯდები – ქვემოთაც და ზემოთაც 36 ზომას ვიცვამ, სტანდარტული ტანი მაქვს და, ამიტომ, ფითინგზე კარგად ვმუშაობ.

**– პარიზში რომ ჩახვალ, უკვე იცი, რა სამუშაოები გელოდება?**

– რომ ჩავალ, დამიგეგმავენ მომდევნო თვეების სამუშაოებს. სხვა ქალაქებიდანაც, ანუ, მოდის დედაქალაქებიდანაც არის შემოთავაზებები და, ვნახოთ, რა იქნება. პარიზში მუშაობა უფრო პრესტიჟია, ამერიკაში კი უფრო მეტი ფული კეთდება. ჩინეთში წასვლა ძალიან ადვილია, თან, თუ პარიზში გიმუშავია და, პლუს ამას, ევროპული გარეგნობა გაქვს. იქ კონკურენცია ნაკლებია, მაგრამ, ანაზღაურებაა დიდი. თუმცა, ყველა მოდელი ამბობს: იქ იშოვი ფულს, ძალიან დაიღლები, მაგრამ, ვერ აიწყობ კარიერასო. ანუ, ჩინეთში უფრო ფულის საშოვნელად უნდა წახვიდე, ევროპაში კი ფულთან ერთად კარიერაც გეხმარება, უფრო კარიერაზე ხარ ორიენტირებული. ამიტომ, ჯერჯერობით ევროპაში ვაპირებ დარჩენას და აქ მუშაობას.

**ნათია უტიაშვილი**

**ჩვენი რესპონდენტი საკმაოდ ნიჭიერი ადამიანია. ის ჯერჯერობით 22 წლის არის, მაგრამ, საკუთარი შესაძლებლობები უკვე არაერთ სფეროში მოსინჯა. ირაკლი მარუაშვილის მონაცემები არც უკრაინელ მაყურებელს დარჩენია უყურადღებოდ – მისი სიმღერით უკრაინის „ნიჭიერში” მოიხიბლნენ. მართალია, პროექტის გამარჯვებული ვერ გახდა, მაგრამ, ნახევარფინალში გავიდა, ძალიან ლამაზი შოუც აჩვენა უკრაინელებს და მისი ნომერი საუკეთესოთა შორის მოხვდა. ირაკლის თბილისში შევხვდით, რომელმაც გვითხრა, რომ უკრაინაში ჩატარებულ პროექტ „ნიჭიერში” მონაწილეობით ძალიან დიდი გამოცდილება მიიღო. მუსიკალური განათლება არ მიუღია, მაგრამ როგორც საუბარში აღნიშნა, სკოლამ, სადაც ირაკლი სწავლობდა ამაში დიდი წვლილი შეიტანა. როგორც აღვნიშნეთ, მისი შესაძლებლობები მხოლოდ ერთ სფეროს – სიმღერას არ უკავშირდება. ამ ყველაფრის შესახებ ის ინტერვიუში თავად მოგითხრობთ.**

# რა საერთო აქვს ირაკლი მარუაშვილს მეისი გრეისთან, ხულიო და ენრიკე იგლესიასებთან და სხვა წარმატებულ მუსიკოსებთან

**– სიმღერა როდის დაიწყე?**

– მეხუთე კლასში ვსწავლობდი, სცენაზე პირველად რომ ავედი. ბავშვობიდან ძალიან მიყვარდა ინგლისურენოვანი სიმღერების შესრულება და დღემდე ასე ვარ. ძალიან დიდ პატივს ვცემ ბრიტანულ მუსიკას, რომელიც, ამერიკულისგან განსხვავებით, გაცილებით დახვეწილია.

**– ახლა, რაც შეეხება კონკურსებს: ჩემთვის მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ მონაწილეობდი უკრაინის „ნიჭიერში.” სხვა კონკურსებში თუ მიგიღია მონაწილეობა?**

– 2008 წელს „ნუცას სკოლაში” მივიღე მონაწილეობა. ეს იყო მეოთხე „ნუცას სკოლა“. პროექტი რომ დამთავრდა, მივხვდი, ჯერ კიდევ ბევრი რამ მქონდა სასწავლი. მაკა ზამბახიძემ მირჩია ლალი ბერაძესთან გამევლო ვოკალის გაკვეთილები და მეც სიამოვნებით წავედი მასთან. ნახევარი წლის შემდეგ, 2009 წელს „ჯეოსტარის” ქასთინგში მივიღე მონაწილეობა. მართალია, ამიყვანეს, მაგრამ, მალევე გამოვვარდი. გული ნამდვილად არ დამწყვეტია, რადგან, 3 000 კონკურსანტიდან 14-ში მოვხვდი. ამის მერე ბევრს ვმუშაობდი, არ გავჩერებულვარ. ძმებ გულაშვილებთან მქონდა ძალიან კარგი პროექტი გაკეთებული. ოდესაში რომ ვცხოვრობდი, მაშინ დავწერე ეს სიმღერა, რომლის არანჟირებაშიც მერე თორნიკე გულაშვილი დამეხმარა. იმდენად კარგი სიმღერა გამოვიდა, ხშირად დღემდე არ სჯერათ, რომ ეს ქართველების ნამღერია. რადგან სამივე „ბექსთრით ბოიზის“ სიმღერებზე ვიყავით გაზრდილი, 2009 წელს ჯგუფის საიტზე გავგზავნეთ ვიდეომიმართვა. თავიდან აკაპელაში ვმღეროდით, შემდეგ კი ჯგუფის წევრებს კითხვას ვუსვამდით. მოკლედ, იმხელა მოწონება დაიმსახურა ამ ორიგინალურმა ვერსიამ, რომ ათასობით მონაწილიდან პირველ ხუთეულში მოვხვდით, უფრო მეტიც პირველები ვიყავით და ორი თვე იდო მათ ოფიციალურ საიტზე. ხალხი ვერ კითხულობდა, ესენი ვინ არიანო.

**– ალბათ იმ დროს ძალიან ბევრს უნდოდა, „ბექსთრით ბოიზის“ სიმპათია გამხდარიყო და ეს თქვენ გააკეთეთ.**

– დიახ, ნამდვილად.

**– ოდესაში რატომ ცხოვრობდი?**

– ოდესაში ნახევარი წელი ვიცხოვრე, სადაც კურსებს გავდიოდი. არის ასეთი მეცნიერება – დიანეტიკა, რომელიც გონებას შეიწავლის. ძალიან მაინტერესებს ასეთი რაღაცეები. დედაჩემის თხოვნით წავედი. თავიდან ძალიან მომეწონა-მეთქი, რომ გითხრათ, ტყუილი იქნება, მაგრამ, მერე გაცილებით საინტერესო გახდა ჩემთვის. ფსიქოლოგია კიდევ ერთი სფეროა, რომელიც ძალიან მაინტერესებს. მესამე თუ იცით, რა მაინტერესებს? მანქანები. ვაკეთებ ავტო ტიუნინგს, ანუ, მანქანებს „ვანავაროტკებ.”

**– ეგ როგორ?**

– მანქანას დამატებით არაფერს არ ვუყენებ, უბრალოდ, ერთ-ერთ დეტალს ისე „ვანავაროტკებ,” რომ ჰაერის მიწოდება უკეთესად ხდება, რის შედეგადაც ბოლომდე იწვება ბენზინი. წვას არ ვანახევრებ, მაგრამ, საშუალოდ 30 პროცენტით ეკონომიურს ვხდი. ამ საქმეს 2010 წლიდან ვაკეთებ. ბევრს სჯერა ამის, მაგრამ, არიან ისეთებიც, რომლებსაც ასეთი რამ არ სწამთ. დღემდე ძალიან ბევრი მანქანა მაქვს მოდიფიცირებული. გუშინწინ ღამით ვაკეთებდი ერთ-ერთს. ამერიკული ტექნოლოგიაა, მათი პატენტი შევისყიდეთ და საქართველოში წარმოვადგენ. გია ბარამიძის ესკორტის მანქანაც მაქვს გაკეთებული, რომლის ძრავა 4.0 იყო, წინ კი 4.6-იანი ედგა. ამიტომ, სიმძლავრე არ ჰყოფნიდა და უნდოდათ, რომ გაეუმჯობესებინათ. იმ მანქანის მძღოლი დღემდე კმაყოფილია შედეგით; ხუმრობს კიდეც, 4.6-ძრავიანს ვუსიგნალებო.

**– ამდენი საუბრის შემდეგ მივადექით უკრაინის „ნიჭიერს.” უკრაინაში სპეციალურად ამ პროექტისთვის ჩახვედი?**

– სხვათა შორის, პირველი პრექასთინგი თბილისში იყო. ასევე, იყვნენ სომხეთში, ბელორუსიასა და მოლდოვაში. ჩვენი „ნიჭიერიდანაც“ იღებდნენ მონაწილეობას. იქაც დედაჩემის ინიციატივით წავედი. ეს ქასთინგი წინა წლის ოქტომბერში ჩატარდა, პასუხი კი ნოემბერში უნდა ეთქვათ. გაიარა, ნოემბერმაც და დეკემბერმაც, მაგრამ არავინ მიკავშირდებოდა. ისიც მინდა აღვნიშნო, რომ ნებისმიერ ქვეყანაში, ნებისმიერ ქასთინგზე მიმართლებს – ძირითად შემადგენლობაში ყოველთვის ვხვდები. ამიტომ, რომ არ მიკავშირდებოდნენ, ვიფიქრე, ალბათ, ერთხელ ასეც უნდა მოხდეს-მეთქი, თუმცა, შინაგანად მაინც არ მჯეროდა ამის. 25 იანვარს ტელეფონით დამიკავშირდნენ. რას წარმოვიდგენდი, ამდენი ხნის შემდეგ ისინი თუ იქნებოდნენ. საქმე მქონდა და რამდენჯერმე ზარს არ ვუპასუხე. მთელი დღე მირეკავდნენ და, ბოლოს, საღამოს ვუპასუხე. მითხრეს, მთელი დღე ვერ ვახერხებთ თქვენთან დაკავშირებას, პრექასთინგი წარმატებით გაიარეთ, გელოდებით უკრაინის ქასთინგზეო. ძალიან გამიხარდა. თებერვალში ჩავედი უკრაინაში უკვე მათ ქასთინგზე. ძალიან დიდი ქასთინგი იყო. მაგალითად, პირველი ტურის ჩატარებას დაახლოებით 15 დღეს უნდებიან. უკრაინული „ნიჭიერის” ნახევარფინალისტი გავხდი. მათი ძალიან დიდი მადლიერი ვარ, რადგან, იქ მართლა პროფესიონალები მუშაობენ. ბრიტანელები, ვისიც არის „იქს ფაქტორი,” „თალენთ შოუ” და სხვა პროექტები, ჩამოვიდნენ და თვითონ აღიარეს, რომ უკრაინაში ძალიან მაღალ დონეზე ჩატარდა ყველაფერი. ძალიან მაგარ შოუებს აკეთებენ. მსოფლიოში პირველი შოუ არის უკრაინის „ნიჭიერი,” რომელმაც პირდაპირ ეთერში ორი სცენა გააკეთა ერთად. ვამაყობ იმით, რომ, იმ დღეს, როცა მე გამოვდიოდი იმ 12 კაცში, ყველაზე რთული ნომრები იყო.



დღემდე ძალიან ბევრი მანქანა მაქვს მოდიფიცირებული

**– ენრიკე და ხულიო იგლესიასების კონცერტების ორგანიზებაში ვიღებ მონაწილეობასო, ახსენე, როცა შენს ვიდეოს ვუყურებდი.**

– თვითონ იგლესიასების არა. როცა ბათუმში ტარდება ჯაზ-ფესტივალები, იგლესიასის კონცერტი „ემტივიმ” რომ ჩაატარა, ასევე, ხულიო იგლესიასის და ასე შემდეგ, ამ ყველაფერში ტექნიკურად ვეხმარები და მუსიკოსებზე ვარ მიჯაჭვული. ამასობაში მათთან ურთიერთობაში შედიხარ, რაც ძალიან საინტერესოა. 2009 წლიდან ვარ ამ ყველაფერში და ვისთან აღარ მიმუშავია. მაგალითად, მეისი პარკერთან, მეისი გრეისთან და სხვებთან.

**– 3 000 ქაღალდის ჭიქა რისთვის შეგიკვეთა ენრიკე იგლესიასმა?**

– დღემდე არ ვიცი, ისე, უბრალოდ, „ემტივის” მოუნდა 3 000 ცალი ჭიქა. თქვენ წარმოიდგინეთ კონცერტს თავიდან ბოლომდე „ემტივი” კურირებდა. 14 ტრაილერი აპარატურა „ჩამოგრუზეს“. სცენა იტალიიდან იყო ჩამოტანილი, განათება და ხმა – ბრიტანეთიდან. მზარეულებიც კი ჩამოიყვანეს. ერთი ძალიან მაგარი ტექნიკოსი ჰყავდათ – პაპა ჯონი, რომელსაც საცხოვრებელი სახლი მართლა არ აქვს. ჩათვალეს, რომ რეალურად ბომჟია. ამერიკელია, მაგრამ, არ „ევასება“ ამერიკა და ცხოვრობს იტალიაში, ოღონდ, სახლი არ აქვს. ყველა ივენთზე უმუშავია. „ემტივისთან” ერთად მთელი მსოფლიო აქვს შემოვლილი. მოკლედ, არაფრისგან ყველაფრის გაკეთება შეუძლია.

**– ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ, ამჯერად საით გაქვს გეზი აღებული, რას აპირებ?**

– ამ ეტაპზე ვყალიბდები და ჩემი შემდეგი ეტაპი უცხოეთი იქნება, სადაც აუცილებლად წავალ. ჯერ 22 წლის ვარ და სწორედ ახლა მაქვს იმის მომენტი, რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოვიყენო ყველაფერში, განსაკუთრებით – შოუ-ბიზნესში.

**– როგორც ვხვდები, ხშირად გიმართლებს. შეიძლება, ძალიან მაგარი იყო, მაგრამ, თუ ბედი არ გწყალობს, არაფერი გამოგივა.**

– ამას თავისი საიდუმლო აქვს. სხვათა შორის, მე ბედის არ მჯერა. ჩემი პრაქტიკიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ ბედი არ არსებობს. ბედი არის ის, რასაც შენ გააკეთებ და შექმნი. თუ დააკვირდებით, ისინი, რომლებიც არ გადადიან შემდეგ ტურებში, ტექნიკურად არ არიან კარგად მომზადებული, თავის თავში ძალიან სერიოზულად ეპარებათ ეჭვი და კომენტარებში ამბობენ: „იმედი მაქვს, გადავალ,“ ან – „არ ვიცი, რა იქნება, მაგრამ, კარგია, რომ აქ ვარ“ და ასე შემდეგ. ვინც შინაგანად დარწმუნებულია და საკუთარი თავის სწამს, ეს ტელევიზორშიც ჩანს. კარგად რომ იყო და საკუთარ თავში დაჯერებული, ამისათვის საკუთარი თავის რწმენაც უნდა გქონდეს და ბევრიც უნდა ივარჯიშო. წარმატება თავისით არ მოვა, თუ ამის პირობა არ შეუქმენი. მე ასეთი პრინციპი მაქვს: რაც უფრო მეტს გააკეთებ უანგაროდ, რაც სხვისთვისაც და შენთვისაც სასარგებლო იქნება, უცაბედად ისეთი რაღაც მოგივა, გაგიკვირდება.

**მარიკა ხიდურელი**

# ინტიმური საუბრები

### შარშან შობის დღეს უბედნიერესი ქალი გავხდი

ყველა საეკლესიო დღესასწაული მიყვარს, განსაკუთრებით კი შობაზე ვგიჟდები. გარდა იმისა, რომ შობა ისედაც უდიდესი და უბრწყინვალესი დღეა, მასთან არის დაკავშირებული ჩემი, როგორც ადამიანის, როგორც ქალის ყველაზე დიდი ბედნიერება – შარშან 7 იანვარს გავხდი დედა. მართალია, შვილი ქორწინების გარეშე გავაჩინე და ეკლესიურად ეს, მსუბუქად რომ ვთქვა, ნებადართული არ არის, რასაც, სიმართლე გითხრათ, ძალიან განვიცდი, მაგრამ, მაინც ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩემს ასაკში (38 წლის ვარ) მომეცა საშუალება, გამეჩინა შვილი იმ ადამიანისგან, რომელიც ლამის ბავშვობიდან მიყვარდა, მაგრამ, ვერასდროს ვუბედავდი ამის თქმას, თვითონ კი ვერ ხვდებოდა და ყურადღებას არ მაქცევდა; მგონი, ქალად არც კი აღმიქვამდა, მიუხედავად იმისა, რომ უშნო და მახინჯი არასდროს ვყოფილვარ. უბრალოდ, ყოველთვის ზედმეტად მორიდებული და არააქტიური ვიყავი, ასეთებს კი ბიჭები ვერასდროს ამჩნევენ. მიუხედავად იმისა, რომ ერთ უბანში გავიზარდეთ და ბევრი საერთო მეგობარი გვყავდა, ძალიან იშვიათად ვხვდებოდი ხოლმე მასთან ერთად თავშეყრის ადგილებში. მაშინაც სწორედ ასეთი შემთხვევითობის წყალობით, ერთი საერთო მეგობრის დაბადების დღეზე აღმოვჩნდით ერთად. უკვე ბავშვები აღარ ვიყავით, მაგრამ, ისე მოვილხინეთ ყველამ, რომ თავზე დავიმხეთ ყველაფერი. მე სითამამისთვის ცოტა დავლიე და საკუთარ თავს აღარ ვგავდი. ისეთი აქტიური და მხიარული ვიყავი, თვითონ მიკვირდა. ბავშვობიდან კარგად ვცეკვავდი და ვმღეროდი, მაგრამ, არასდროს არსად არ მიმღერია და მიცეკვია, იმ დღეს კი, რომ იტყვიან, ავიწყვიტე. ჰოდა, სწორედ ამიტომაც მივიქციე მისი ყურადღება. მთელი საღამო მხოლოდ ჩემთან ცეკვავდა და სახლში გაცილებაც შემომთავაზა. მე უკვე აღარ ვეკუთვნოდი საკუთარ თავს. მიუხედავად იმისა, რომ ვგრძნობდი, რითაც დამთავრდებოდა ეს ყველაფერი, მაინც დავთანხმდი. სადარბაზოსთან რომ მიმიყვანა, მთხოვა, შენთან ამოვალო და ამაზეც დავეთანხმე. იმან არ იცოდა, რომ მარტო ვცხოვრობდი, მაგრამ, მე ხომ ვიცოდი?! მერე კი მოხდა ის, რაც, როგორც ჩანს, ადრე თუ გვიან უნდა მომხდარიყო. ყველაფერი ზუსტად ისე იყო, როგორც ფილმებშია ხოლმე. ჩვენ მხოლოდ ორი კვირა ვხვდებოდით ერთმანეთს, მერე კი ის გერმანიაში წავიდა. მართალია, ტელეფონის ნომერიც დამიტოვა და ხანდახან მირეკავდა კიდეც, მაგრამ, არ მითქვამს, ორსულად რომ ვიყავი – არ მინდოდა, ეფიქრა, რომ ბავშვის გაჩენა მის გამოსაჭერად და ხელში ჩასაგდებად მოვინდომე. მან დღესაც არ იცის, რომ ჩვენი შვილი წელს, 7 იანვარს, ერთი წლის ხდება. მას შემდეგ არც ჩამოსულა საქართველოში, მაგრამ, გავიგე, რომ ახლა, ძველით ახალ წელს აპირებს ჩამოსვლას, თუმცა, გავიგე კი არა, თვითონ დამირეკა და მითხრა, ჩამოვდივარო. რადგან დამირეკა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს ნახვას აპირებს, მე კი არ ვიცი, როგორ მოვიქცე. შეიძლება, არც კი დამიჯეროს, რასაც ვეტყვი, ან, იქნებ, პირიქითაც მოხდეს – გამიგოს და ჩვენთან ერთად მოინდომოს ცხოვრება?!

**ლიკა, 38 წლის.**

### ცოლის გული ვერაფრით მოვიგე

შობა-ახალი წელი, ალბათ ყველასთვის, სიკეთესთან, სიხარულთან, ბედნიერებასთან და, რა თქმა უნდა, საჩუქრებთან ასოცირდება. ამ დღეებში რატომღაც, ყოველთვის ო'ჰენრის „მოგვთა საჩუქარი" მახსენდება და ყოველთვის ვცდილობ, ცოლისთვის ისეთი საჩუქარი შევარჩიო ხოლმე, ძალიან რომ გაუხარდება, ძალიან რომ მოეწონება და თან გამოიყენებს კიდეც. უკვე რამდენიმე წელია, არც ერთი სულ უმნიშვნელო თარიღიც კი არ გამომიტოვებია, საჩუქარი რომ არ მიმერთმია, მაგრამ, იშვიათად გამოუხატავს კმაყოფილება და მაშინაც მხოლოდ რამდენიმე წუთს გაგრძელებულა მისი სიხარული, მერე კი უცბად ჰბეზრდებოდა ხოლმე. ყვავილებზე, სუნამოებსა და ცნობილ ბრენდებზე აღარაფერს ვამბობ, ავსებული მყავს უძვირფასესი სამკაულებით, რამდენჯერმე სამოგზაუროდ წავიყვანე ხან გემით, ხან თვითმფრინავით, ხან მანქანით, მაგრამ, ყველაფერი ეცოტავება. ცხადია, იცის, რომ მდიდარი ვარ და მისი საჩუქრებისთვის ფულის სესხება არ დამჭირდება, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ყველაფერი დამიწუნოს და ბოლოს მაინც უკმაყოფილო დარჩეს?! სხვათა შორის, თვითონ არც არასდროს უფიქრია, რომ, შეიძლება, მეც გამიხარდეს თუნდაც ყველაზე უბრალო, სიმბოლური საჩუქარი. დაბადების დღეც მხოლოდ მოკლე ტექსტური შეტყობინებით მომილოცა: „გილოცავ. თეა". არადა, თვითონ ისეთ ხელმოკლე ოჯახშია გაზრდილი და-ძმას ერთმანეთის გამონაცვალი ტანსაცმელი ეცვა და საჭმელი ენატრებოდათ. ავტობუსშიც კი არ ჯდებოდა არც ერთი (ფეხით დადიოდნენ), რადგან, მგზავრობის ფულიც კი არ ჰქონდათ. რაც მე გამიცნო, მას შემდეგ კი ყოველ თვეში ახალ მანქანას მთხოვს. ფულის გასაჭირი ნამდვილად არ მაქვს, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, როკფელერი ხომ არ ვარ. მე და მამაჩემს სერიოზული ბიზნესი გვაქვს და, მარტო ჩვენი ოჯახი კი არა, ჩვენი ახლობლებიც კარგად იყვნენ ჩვენი წყალობით, მაგრამ, რაც თეა შევირთე, ყველას დახმარება ამიკრძალა – ყველაფერი თავისთვის უნდა. დედამისს ფულს რომ ვაძლევ, იმასაც კი დასტყუებს ხოლმე, თვითონ ხომ ისედაც ყოველდღე მართმევს საკმაოდ სოლიდურ თანხებს. რაში ხარჯავს, წარმოდგენა არ მაქვს. რამეს რომ მოინდომებს, მაქსიმუმ მეორე დღეს თუ არ მივუტანე, ჯერ მებუტება, მერე კი ისეთ ისტერიკებს მიწყობს, ჩემი მშობლების მრცხვენია. ორივეს ვატყობ, რომ უკვე გაძლებაზე არიან, ძლივს იკავებენ თავს, რომ სახლიდან არ გაგვყარონ. ამას წინათ ორივე ძალიან მკაცრად მელაპარაკა ცალ-ცალკე. მამაჩემმა შეურაცხყოფაც კი მომაყენა – ქალმა ასე როგორ უნდა „დაგაჩმორროსო". მეც ვიცი, რომ ისე არ ვიქცევი, როგორც საჭიროა და თავზე დავისვი ცოლი, მაგრამ, ისე მიყვარს, თავს ველარ ვერევი; მისი ყოველი სიტყვა ჩემთვის კანონია და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს იმისთვის გავჩნდი, რომ მისი გაუთავებელი და ამოუწურავი სურვილები ვასრულო. დედაჩემმა მითხრა, ნამდვილად ჯადო გაგიკეთა მაგ გოგომ, ალბათ, ვირის ტვინი გაჭამაო. არ ვიცი, რა მაჭამა, მაგრამ, სიტუაციას რომ ველარ ვაკონტროლებ, ცხადია. ზუსტად ვიცი, ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდება, მაგრამ, უძლური ვარ, რამე შევცვალო. ახლა საშობაოდ ისეთი მანქანა ვუყიდე, როგორზეც ოცნებობდა. ერთადერთი, იმაზე მეთანაღრება გული, ვაითუ ფერი დამიწუნოს, მას რომ უნდოდა, იმ ფერის არ იყო და, შეიძლება, საყვედური მითხრას.

ვიცი, ვინც ამ წერილს წაიკითხავს, კარგადაც გამლანძღავს და იმასაც იტყვის, ამ შობის დღეებში მაინც რატომ გვიშლის ნერვებს, ერთი ქალი თუ ვერ მოუყვანია ჭკუაზე, ჩვენ რაღას გვერჩის და, საერთოდაც, რატომ მოთქვამს ასე საქვეყნოდო, მაგრამ, მკითხველთან მაინც რომ არ დავცლილიყავი, არ შემეძლო, რადგან, ვერავის ვერაფერს ვეუბნები – მეშინია, არ დამცინონ. თუმცა, ვიღამ უნდა დამცინოს, მშობლებს ვეცოდები, ძმაკაცები კი იშვიათად მეხმიანებიან – აღარ უნდათ ჩემნაირ არანორმალურთან ურთიერთობა, რადგან, სულ ცოლის საჩუქრებზე დავრბივარ, სულ მასთან მეჩქარება და მასზე ვლაპარაკობ. ჰოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, თქვენთვის მომეწერა, ეგებ ცოტა შვება მეგრძნო, ან, თავმოყვარეობა გამღვიძებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით ვერაფერ ცვლილებას ვერ ვატყობ საკუთარ თავს. ვნახოთ, ეგებ, თანდათანობით მეც მოვიდე აზრზე.

**თემური, 29 წლის.**



**რედაქციაში შემოსული უამრავი წერილიდან ამოვარჩიეთ საუკეთესო ამბები და ვთავაზობთ მკითხველს. „ინტიმური საუბრებისთვის" SMS-ები შეგიძლიათ გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 595 40-76-78. ელექტრონული ფოსტით: tbiliselebi2001@yahoo.com ან მოიტანოთ რედაქციაში წერილის სახით.**

# ადვოკატი გირჩევთ

**კითხვა: მაინტერესებს, რომელი ინსტანციის სასამართლო იღებს გადაწყვეტილებას და რა სახის შეიძლება, იყოს ეს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგომლობის დაყენებისას?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგომლობას განიხილავს განაჩენის გამომტანი პირველი ინსტანციის სასამართლო, ხოლო მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესახებ შუამდგომლობის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლო იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას – მსჯავრდებულის სასჯელის ვადის შემცირების, სასჯელის სახის შეცვლის ან მსჯავრდებულის სასჯელისგან სრულად გათავისუფლების თაობაზე. სასამართლო უფლებამოსილია, ეს შუამდგომლობა განიხილოს ზეპირი მოსმენის გარეშე.

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ, აქვს თუ არა მოსამართლეს უფლება შეწყვიტოს ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და თუ აქვს, რა შემთხვევაში?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ წინასასამართლო სხდომაზე თუ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები ალბათობის მაღალი ხარისხით არ იძლევა საფუძველს ვარაუდისთვის, რომ დანაშაული ამ პირმა ჩაიდინა, წინასასამართლო სხდომის მოსამართლე განჩინებით წყვეტს სისხლისსამართლებრივ დევნას. განჩინება ერთჯერადად, მისი გამოტანიდან 5 დღის ვადაში საჩივრდება სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში.

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ, რა ღირებულებას შეადგენს სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში თითის ანაბეჭდების იდენტიფიკაციის შესახებ ექსპერტიზის ჩატარება?**



**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ ხელის კვალის დადგენის, გამოკვლევისა და იდენტიფიკაციისთვის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომსახურების ტარიფი განისაზღვრება და შეადგენს 35 ლარს.

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ, რას წარმოადგენს და რა ფუნქციები აქვს საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივ მუდმივმოქმედ კომისიას, ასევე, სად არის კომისიის ადგილსამყოფელი?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია სპეციალური უმაღლესი სამედიცინო განათლების მქონე პირთა ჯგუფია, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებებით, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებებითა და შესაბამისი სამართლებრივი აქტებით. კომისიას გააჩნია შესაბამისი ბეჭედი და შტამპი. კომისიის მისამართია: თბილისი 0119, წერეთლის გამზ. №144. რაც შეეხება ფუნქციებს, კომისიის ფუნქციაა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაწესებულებებში მყოფ მძიმე და განუკურნებელი სენით დაავადებულ მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლა და ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ სათანადო გადაწყვეტილების მიღება.

**კითხვა: მაინტერესებს, როგორია საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობა და ვინ ნიშნავს კომისიის წევრებს?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ კომისია შედგება 3 მუდმივმოქმედი წევრისგან. კომისიის შემადგენლობაში შედიან: კომისიის თავმჯდომარე – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე; კომისიის თავმჯდომარის მოადგილე – საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსი; კომისიის წევრი – საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე. კომისიის საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკურ უზრუნველყოფას ახორციელებს კომისიის მდივანი – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომელი. კომისიის წევრებსა და კომისიის მდივანს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრთან შეთანხმებით.

**კითხვა: გთხოვთ განმიმარტოთ, კონკრეტულად რა საკითხებს განიხილავს და როგორი წესით საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროსა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ერთობლივი მუდმივმოქმედი კომისია, ასევე როგორ ხდება კომისიის მიერ გადაწყვეტილებების მიღება?**



**რუბრიკას უძღვება ადვოკატი ირაკლი გაბრიჭიძე**

*უვიცობის სამეფოში თვით უწესიერესი ადამიანიც კი დამნაშავე ხდება.*
**ანატოლ ფრანსი**

**პასუხი:** განგიმარტავთ, რომ კომისია განიხილავს ავადმყოფობისა და ხანდაზმულობის ასაკის გამო სასჯელისგან გათავისუფლების შესახებ მსჯავრდებულის, მისი კანონიერი წარმომადგენლის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დირექტორის განცხადების დაშვების საკითხს. მას უნდა ერთვოდეს მსჯავრდებულის ავადმყოფობის ისტორიის ქსეროასლი შესაბამისი გამოკვლევებით და მსჯავრდებულის გათავისუფლების შესახებ საექიმო დასკვნა. კომისიის მიერ განცხადების დაშვების შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარის მოთხოვნით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს მსჯავრდებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესწავლას კომისიის თავმჯდომარის მიერ დანიშნული, დაავადების შესაბამისი პროფილის კვალიფიციური ექიმის ან ექიმთა ჯგუფის მიერ. კომისიის თავმჯდომარის მიერ დანიშნული ექიმი ან ექიმთა ჯგუფი საკითხის შესწავლის შემდეგ ადგენს დასკვნას, რომელიც განსახილველად წარედგინება კომისიას. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით. კომისიის წევრი, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლებამოსილია, გამოთქვას განსხვავებული აზრი.

**კითხვა: გთხოვთ მაცნობოთ, სად უნდა შევიტანოთ იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დასადგენად განცხადება და რა აუცილებელი პირობებია საჭირო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისთვის?**

**პასუხი:** გაცნობებთ, რომ განცხადება იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენის შესახებ, უნდა შეიტანოთ სასამართლოში განმცხადებლის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენისთვის აუცილებელი პირობაა ის, რომ სასამართლო იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტებს ადგენს მხოლოდ ამ ფაქტების დამადასტურებელი საბუთების სხვა წესით მიღების ან დაკარგული საბუთების აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში.

**ვლად არამოვისთვის 2012 წელი ნამდვილად ბედნიერი აღმოჩნდა, რადგან, საქართველოდან ამერიკაში ჩასულმა, საკუთარი ადგილიც ადვილად იპოვა და მეორე შვილიც შეეძინა. როგორც თავად ამბობს, საწუწუნო ნამდვილად არაფერი აქვს, არც ოჯახური სითბო აკლია და არც კონცერტებზე გამოსვლა, თუმცა, გული იმაზე სწყდება რომ, ახალ წელს ოჯახის წევრებთან ერთად ვერ შეხვდა. თუ რას ელის ის ახალი წლისგან, რა უხაროდა დამანგრეველი შტორმის მოლოდინში და სად შეხვდა ახალ, 2013 წელს, ამაზე თავად გვესაუბრება.**

# რა ოცნებები აიხდინა ამერიკაში ჩასულმა ვლად არამოვმა და რატომ სთხოვდა ის ცოლს მშობიარობის რამდენიმე დღით გადადებას



ახალი წელი უფრო „საგულაო" დღესასწაულია ამერიკელებისთვის, ვიდრე საოჯახო და ტრადიციული

**ვლად არამოვი**: უკვე ათი წელია, ახალ წელს სახლში ვერ ვხვდები: ან კონცერტზე ვარ, ან ჩაწერაზე, ან სად და ან – სად. ცოლი რომ მოვიყვანე, იმ ახალ წელს შევხვდი სახლში. ვინც მირეკავდა, ყველას ვეუბნებოდი, ყველაზე საყვარელი „სნეგუროჩკა" მყავს სახლში და თავი დამანებეთ, არსად წამომსვლელი არ ვარ-მეთქი ***(იცინის).*** სხვათა შორის, ამერიკაში ახალ წელს სახლში არავინ ხვდება. ყველა გარეთ გადის და ზეიმობს. კლუბები, რესტორნები, ქუჩები და სკვერები გადატენილია ხალხით, ერთობიან და ერთმანეთს ულოცავენ. აქ უფრო შობას დღესასწაულობენ ოჯახურ წრეში. ახალი წელი უფრო „საგულაო" დღესასწაულია ამერიკელებისთვის, ვიდრე საოჯახო და ტრადიციული, როგორც ეს საქართველოში იციან.

**– შენც ქუჩაში შეხვდი ახალ წელს?**

– სამწუხაროდ, ჩემს ოჯახთან ერთად ვერ შევხვდი 2013 წელს, რადგან, ლოს-ანჯელესში ვიყავი მიწვეული დახურულ ფართიზე, სადაც გამოვედი ჩემი ნომრებით. ძალიან სერიოზული პროექტი გაკეთდა. მოსკოვიდანაც შოუ-ბიზნესის ბევრი წარმომადგენელი იყო სტუმრად მოწვეული. როგორც გითხარით, ჩაკეტილი „ვეჩერინკა" იყო და საკმაოდ ცნობილი ადამიანები შეიკრიბნენ. ჩემმა მეუღლემ წინასწარ იზრუნა ჩემზე და ულამაზესი გოგონა მაჩუქა. ასეთ საჩუქარს, თოვლის ბაბუაც კი ვერ მომიტანდა საქართველოში ***(იცინის).***

**– გილოცავ გოგონას დაბადებას! როდის დაიბადა და რა დაარქვით პატარას?**

– დიდი მადლობა მოლოცვისთვის. ეს სასიხარულო ამბავი ბევრმა არ იცის და, ალბათ, თქვენი ჟურნალის ფურცლებიდან შეიტყობს. 31 ოქტომბერს დაიბადა ჩემი მეორე შვილი და მას ნატალი დავარქვით. პატარა ანგელოზის დაბადებამ საკმაოდ შემცვალა. ბოლომდე ვერც კი აღვიქვამ, როგორია გოგოს მამობა. პირველი შვილი, ნიკოლოზი რომ დაიბადა, ძლივს მოვედი აზრზე, რომ მამა გავხდი. ახლაც ასე ვარ და შოკიდან ჯერ ვერ გამოვდივარ ***(იცინის).*** ზოგი ამბობს, ნატალი შენ გგავსო, ზოგიც ჩემს მეუღლეს ამსგავსებს. მე კიდევ, ვამბობ, დააცადეთ, გაიზრდება და თავად გადაწყვეტს, ვის დაემსგავსოს-მეთქი ***(იცინის).*** ჯერჯერობით შევჩერდები, რადგან, ბავშვების „სრული კომპლექტი" უკვე მაქვს, მერე, თუ კიდევ მაჩუქებს ღმერთი ასეთ პატარა ანგელოზებს, მათაც ასევე შევიყვარებ.

**– 31 ოქტომბერს, როცა შენი გოგონა დაიბადა, ნიუ-იორკში საგანგებო სიტუაცია იყო გამოცხადებული.**

– დიახ, ასე იყო. 30 ოქტომბერს დაიწყო შტორმი. ჩვენი ბინა ოკეანესთან ახლოსაა და ყველაზე დიდ შემოტევას სწორედ ამ მხარეს ელოდნენ. რომ დავინახე, ტალღებმა მოიმატა, მანქანა შორს წავიყვანე და დავაყენე. ვიფიქრე, წუთი-წუთზე ველოდები ბავშვს და ცოლი ხომ უნდა მივიყვანო სამშობიარომდე-მეთქი. მოკლედ, დავაყენე მანქანა და იქიდან რომ მოვრბოდი სახლისკენ, უცბად შუქები ჩაქრა. ატყდა ერთი ამბავი, ხალხი პანიკამ მოიცვა, მე კიდევ, ვიცინოდი.

**– ხალხი პანიკაში იყო, ირგვლივ საშინელება ხდებოდა და შენ რა გაცინებდა?**

– რა და, გამახსენდა 90-იანი წლები და მთელი ის პერიოდი, როცა უშუქობა იყო საქართველოში. ასე რომ მენერვიულა, ხომ აღარ გადავრჩებოდი ***(იცინის).*** ვუხსნიდი ხალხს – რა განერვიულებთ, კაცო, მთელი 15 წელი ვიყავი უშუქოდ, უგაზოდ და ცხელი წყლის გარეშე, მაგრამ კი არ მოვმკვდარვარ-მეთქი. გაოცებულები მიყურებდნენ – საიდან მოვიდა ეს კაცი, აბორიგენი ხომ არ არისო. ერთი სიტყვით, ამერიკაში დამეწია ქართული 90-იანი წლები ***(იცინის).*** მეუღლეს ვეხვეწებოდი, ჯერ არ იმშობიარო, გეხვეწები, უთხარი ჩემს გოგონას, მოიცადოს, ამინდი ჩაწყნარდეს-მეთქი. ჩავიხვიე: არ იმშობიარო, მაცალეთ, მაცალეთ-მეთქი. მერე მივხვდი, რას ვბოდავდი. ბავშვი მე მომიცდიდა?! კიდევ კარგი, ცოტა დაუჯერა მამიკოს და, როცა ჩაწყნარდა ამინდი, მეორე დღეს გაჩნდა. ისეთი გახარებული ვიყავი, სულ აღარ მახსოვდა შენი ურაგანი.



ყველაზე მეტად მენატრება სულგუნი და, ვთხოვ, ის ჩამომიტანოს საქართველოდან თოვლის ბაბუამ

**– ბავშვის მოვლაში მეუღლეს ეხმარები?**

– რასაკვირველია, ვეხმარები და ძალიან კარგი და ყურადღებიანი მამა ვარ. რომ ტირის, ვაწყნარებ; თუ ეძინება – ვაძინებ, თუ შია – ვაჭმევ, პამპერსსაც ვუცვლი და ვაბანავებ კიდეც. ისეთი ქმარი არ ვარ, ცოლს დავაკისრო სრული ვალდებულება ბავშვის მოვლაზე. დამიჯერეთ, ძალიან მაგარი მამა ვარ ***(იცინის).***

**– სოციალურ ქსელში ვნახე შენი ერთ-ერთი ფოტო, სადაც ჩირაღდნით ხელში ხარ, უკან კი თავისუფლების ქანდაკება მოწყენილი გელოდება, როდის დაუბრუნებ ჩირაღდანს. რატომ გადაწყვიტე მისთვის ჩირაღდნის წართმევა, შენი დემოკრატია უნდა დაამყარო ამერიკაში?**

– ამაზე არც მიფიქრია ***(იცინის).*** მე ჩემი დემოკრატია, ჩემს პატარა ოჯახში მაქვს, სახელმწიფომდე ვერ „ვქაჩავ". რაც შეეხება სურათს, მართლაც სასაცილოა. მანჰეტენზე ხშირად დადიან სხვადასხვა ფორმაში გამოწყობილი ადამიანები: ზოგი სუპერმენია, ზოგი სპაიდერმენი, ზოგი – თავისუფლების ქანდაკება, ზოგი – ჩარლი ჩაპლინი, ზოგიც ვინ და ზოგიც – ვინ. მოკლედ, ერთ დღესაც, მანჰეტენზე გავიარე და დავინახე, დგას თავისუფლების ქანდაკების ფორმაში გამოწყობილი ადამიანი. მივვარდი, წავგლიჯე ჩირაღდანი, დავიწყე პოზიორობა და გადავიღე ფოტო. გაოგნებული მიყურებდა – ვინ არის, რა უნდაო ***(იცინის).*** მერე მითხრა, გეთქვა და ჩემი ნებით მოგცემდი ჩირაღდანს, აქ იმიტომ ვდგავარ, ხალხმა სურათი გადაიღოს ჩემთანო. მართლა მაგარია ამერიკა.

**– ამერიკა ის ქვეყანა აღმოჩნდა, სადაც ყველა ოცნება აიხდინე?**

– ჯერ ყველა ოცნება არ ამიხდა, მაგრამ, ძირითადი ოცნებები ავისრულე ამერიკაში ჩამოსულმა: მაქვს სამსახური, მყავს ოჯახი – უსაყვარლესი ცოლი და შვილები... აღარც კი ვიცი, რა ვინატრო. ვფიქრობ, რა მივწერო თოვლის ბაბუას, რომ ამიხდინოს ***(იცინის).***

**– ძველით ახალი წლისთვის თოვლის ბაბუა მანდ ვერ მოასწრებს ჩამოსვლას და, ხომ არ აჯობებს, სანტა კლაუსის სახელზე დაწერო წერილი?**

– იმდენი ქართველი ცხოვრობს ამერიკაში, რომ თოვლის ბაბუის გამოძახება არ გაიჭირდება. მოვიფიქრე! ყველაზე მეტად მენატრება სულგუნი და, ვთხოვ, ის ჩამომიტანოს საქართველოდან თოვლის ბაბუამ. მართალია, აქ ყველაფერი იყიდება, მათ შორის სულგუნიც, მაგრამ, საქართველოში დამზადებულ იმერულს ყველსა და სულგუნს სულ სხვა გემო აქვს. ქართული ჰაერი და რძე თუ არ ურევია ყველს, იმას რა გემო უნდა ჰქონდეს?! ასე რომ, ახლავე ვიწყებ წერილის წერას და ჩემს საჩუქარსაც ჩავწერ. დამერწმუნეთ, საქართველოში, სულ სხვანაირად ვხვდებით ახალ წელს, ტრადიციულად, დიდი სუფრით და მეგობრების მოლოდინში. ასეთი ახალი წლის მოლოდინი მომენატრა ამერიკაში.

**ნონა დათეშიძე**

**ბესო ბერულაშვილს რეპეტიციის დამთავრების შემდეგ შევხვდით. საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა ინტერვიუ. გვიამბო, თუ როგორ ცხოვრობდა, სანამ ფილარმონიაში მოხვდებოდა, ვისგან გადმოჰყვა პაროდირების ნიჭი და რატომ ვერ ჩამოყალიბდა ფეხბურთელად.**

# როგორ მოიარა ბესო ბერულაშვილმა ავღანეთი და რა უთხრეს მას ქართველმა ჯარისკაცებმა

**– ბესო, გარდა იმისა, რაც საზოგადოებისთვისაა ცნობილი, კიდევ სად მუშაობთ?**

– სპორტული სამსახურის უფროსი ვარ თავდაცვის სამინისტროში.

**– ბესო და სპორტი?**

– ბესო და სპორტი – რატომაც არა, ძალიან აქტიური ვიყავი, ბურთიანი სპორტი ბავშვობიდან მეხერხებოდა. ამიტომ, მამაჩემმა ფეხბურთზე შემიყვანა. ჩემთვის ფეხბურთი ყველაფერია. მე სტადიონიდან ცოცხალ-მკვდარი გამოვდივარ.

**– კაცმა, რომ თქვას, გულშემატკივრად უფრო ადვილი აღსაქმელი ხართ.**

– ჰო, აბა, ჩემი ტანის პატრონი, როგორ უნდა აღმიქვა როგორც სპორტსმენი?! უფრო სპირტსმენი. ახლა, სპირტსმენიც ველარ ვარ, – შაქარი დამემართა ამდენი სპირტსმენობით. ერთი სიტყვით, თავდაპირველად მიმიყვანეს „სინათლის" სტადიონზე. ჩემი პირველი მწვრთნელი იყო გურამ გვანცელაძე. მან ძალიან კარგი გუნდი შეკრა. თავიდან წინ ვთამაშობდი, მაგრამ ძალიან ბევრი სირბილი არ მიყვარდა და ამიტომ, ჩავდექი კარებში. სიზარმაცე სულ თან დამსდევდა – მსუქანსაც და გამხდარსაც.

**– თქვენი „კარგი გუნდიდან" ვინმემ იბარტყა?**

– როგორ არ იბარტყა – გიორგი ნემსაძე, კაპიტანი იყო, იბარტყა რომელიია! ფენომენი იყო, სასწაულად თამაშობდა ჯერ კიდევ იქიდან მოყოლებული, გიორგი დევდარიანი – ძალიან სახელგანთქმული მწვრთნელია დღეს. კიდევ: ჯამარაული, ყაველაშვილი, ჩემი პლეადის ძმები არველაძეები, ჩვენ ერთი ოჯახი ვართ.

25 წლის ვიყავი პირველად, გივი ბერიკაშვილთან, კოტე მახარაძესთან, კახი კავსაძესთან, ოთარ მეღვინეთუხუცესთან... ამ ბუმბერაზების გვერდით რომ დავდექი სცენაზე, ფეხები ამიკანკალდა. მე მათ საზოგადოებაში ყოფნას არ ვიყავი მიჩვეული, არ მქონია ეგ ბედნიერება. ბავშვობაში, მახსოვს ერთხელ, მამაჩემმა მანუჩარ მაჩაიძე დაპატიჟა ბურახზე და მერე, უკვე, როცა კარგად გავიცანით ერთმანეთი, სულ დავძახოდი – გახსოვს, კვასი რომ დაგალევინე-მეთქი? კარგი, რა წაიღე ტყვინიო.

**– ფეხბურთიდან – ფილარმონიამდე დიდი მანძილია?**

– არც ისე. ამ ამბავში გვანცელაძე იყო მაგარი სელექციონერი. სულ მასწავლიდა: შენ ხარ მეკარე, შენი გადასახედიდან უნდა უკარნახო თანაგუნდელებს: შენ ეს გააკეთე, შენ – ისო. ბევრი უნდა ილაპარაკოო! ჰოდა, იმდენი ვილაპარაკე, ბოლოს ფილარმონიაში ამოვყავი თავი. რა უნდოდა, ბურთის დაჭერა ესწავლებინა, ვინ სთხოვდა, ლაპარაკი მასწავლეო ***(იცინის).***

ფეხბურთში მეკარე რომ გამოდის და დაიძახებს: ია! ანუ ჩემიაო, მცველები უნდა გაჩერდნენ ამ დროს, რომ მეკარემ ბურთი აიღოს. მე რომ დავიძახებდი: „ია!" არიქა, დავიღუპეთო და ჩემი მცველები რას იბრძოდნენ კარის გადასარჩენად, უნდა გენახათ. მსოფლიოში არც ერთ მეკარეს არა აქვს ისეთი ბურთები გაშვებული მე რომ მაქვს ***(იცინის).*** მაგაში პირველი ვარ.

მართლა ეგეთი „სიაფანდი" მეკარე კი არ ვარ. სამი წლის წინ, გარემოს დაცვის სამინისტროში საუკეთესო მეკარის პრიზი ავიღე.

ერთ დღესაც მორიგი გოლის გაშვებისას, გვანცელაძემ მითხრა: წადი სახლშიო. შე დალოცვილო, დამაცადე, იქნება როგორი ფეხბურთელი დავდგე ***(იცინის).*** ცალკე ეს, ცალკე – სახლშიც დაიწყეს: აუ, სწავლას მოუკლოო. მაინცდამაინც ლომონოსოვი ხომ არ უნდა გამოვსულიყავი. თუმცა ვიცოდი ლომონოსოვი ვინ იყო ***(იცინის).*** ცხონებულ ქართლოს კასრაძეს აქვს: ლექსებს ვწერდი, რა ქათქათა კულულები გაქვს, რა თმები, რა ქალი ხარო და მერე, რომ გავიზარდე მითხრეს, ქალი კი არა ლომონოსოვიაო. მე ვცნობდი, ვიცოდი, რომ ლომონოსოვი იყო და ლექსები არ უნდა მიმეძღვნა.

მოგვიანებით, როცა უკვე მე და ჩემი ტრენერი დავმეგობრდით, ვკითხე, რას მერჩოდი, რატომ გამომიშვი-მეთქი? რა მითხრა, იცი? მადლობის მაგიერია, როგორი არტისტი გახდი. მე რომ არ გამომეშვი ტყუილა იჯახირებდიო.

**– სპორტში რომ არ გაგაჩერეს და ლომონოსოვიც რომ იცოდით ვინ იყო, სად ჩააბარეთ?**

– ტექნიკურ უნივერსიტეტში. 1990 წელს მოვხვდი მეტალურგიულ ფაკულტეტზე. მეტალურგიაში იყო მაშინ კადრების დეფიციტი ***(იცინის).*** 20 ბიჭი ვიყავით ჯგუფში, გოგო არ გვყავდა. რა ხდებოდა, იცით? ქულა ვისაც დააკლდებოდა, ფაკულტეტიდან ფაკულტეტზე ადვილი იყო საბუთების გადატანა და ქიმიურზე რომ აბარებდა, დააკლდებოდა ქულა – გაამწესებდნენ მეტალურგიულზე. ამიტომ, დამამთავრებელ კურსზე გოგონებით გაივსო ჩვენი ჯგუფი. ისეთი მაგარი ჯგუფი შეიკრა, იქიდან აღარსად გადაუტანიათ საბუთები, ყველამ მეტალურგიული დაამთავრა. მოკლედ, „გეპეიში" სწავლის პერიოდში, შემთხვევით დავინახე „გეპეის" თეატრი. შევედი, – თუ მიმიღებთ-მეთქი. მითხრეს – კონკურსიაო. ერთი სიტყვით, ამ კონკურსში ორი უმაღლესი ქულა მივიღე. თურმე, ამაში ვარ რა მაგარი.



**2 000-მდე ანეკდოტი მაინც შემიძლია მოვყვე ერთ მოყოლაზე**

**– მანამდე არ შეგიმჩნევიათ, რომ ამ საქმეში ვარგოდით?**

– როგორ არა, სკოლაში რამე ჩატარდებოდა უჩემოდ?! პაროდიები სასწავლო ნაწილის, დამრიგებლის, იმისი, ამისი... ყველას პაროდიას ვაკეთებდი. ღმერთმა აცხონოს, დედაჩემი იყო ეგეთი, ყველა მეზობლის პაროდიას აკეთებდა – ვინ როგორ დადიოდა, როგორ ლაპარაკობდა...

**– გუშინ ვერ შედგა ჩვენი ინტერვიუ, მიზეზი ის იყო, რომ თქვენს მეუღლეს ჰქონდა დაბადების დღე. მოგვიანებით, მივულოცავ ჩვენი სახელით.**

– კი, ბატონო, დღესაც მძიმედ ვარ რა. კიდევ ვულოცავ მთელი სულითა და გულით, მართლა კარგი ადამიანია. ჩვენი პროფესიის ამბავი ხომ იცით – არ მაძლევს მოშვების საშუალებას, სულ მაგრძნობინებს, რომ ჩემს გვერდითაა, მარტო არ ვარ. ასეც უნდა იყოს, ცოლი და ქმარი უპირველესად საუკეთესო მეგობრები უნდა იყვნენ. ჩვენ გამოგვდის. მთავარია, დაძმურში არ გადავიდეს. დაძმურში მერე – 70-80 წლის შემდეგ.

**– ძლივს გიპოვეთ, ხან ცოლის დაბადების დღეზე ხართ, ხან – რეპეტიციაზე.**

– ახლაც რეპეტიციიდან მოვდივარ. იუმორინა ჩემი მეორე ოჯახია, მე არ ვიცი, რა მეშველებოდა, ბალაშვილს რომ არ ვეპოვე. ჩვენ ვართ ერთი ოჯახი: როსტიკა, ნინაკა, მერაბ გეგეჭკორი, ჯაში... „ვუჩალიჩებთ" ხოლმე რაღაცეებს ერთმანეთს.

**– მაინც რას?**

– ერთხელ, მე, ნინაკა და გურამ ჯაში ვართ. მერაბს რომ დავურეკე, მოდი-მეთქი, არ მოვიდა. ჩვენთან ერთად ერთ-ერთი რაიონის პოლიციის უფროსი იყო. ვთხოვეთ, დავდგათ, ვითომ ძებნილია გეგეჭკორი-მეთქი. მანაც არ გვაწყენინა და გაუშვა ოპერჯგუფი. საქმე ისაა, დაავიწყდა ეთქვა, ეს ყველაფერი ხუმრობა რომ იყო. სახლი გადაუქოთეს და გამოიყვანეს ეს ჩვენი მერაბ გეგეჭკორი ბორკილებითა და „ბრეტელებიანი" მაიკით. „მეიცა, ახლა, აქანა გოუგებრობაა რაღაცა" – გაიძახოდა, მაგრამ არავინ უსმენდა. ვითომ მერაბი იყო ძებნილი, ვინმე „ჩერქეზა." ჩავბჟირდით, ვერ დავურეკე, ლაპარაკის უნარი დავკარგე სიცილისგან. ამ დროს თვითონ რეკავს: ბიჭო, ვიღაცა ძებნილი ხარ „ჩერქეზიაო", ჩერქეზა ვერ დაიმახსოვრა. მერე მოახსნევინეს ზონრები და ქამარი. რაია, მართლა მიჭერთო? ამ დროს ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ მე უნდა შევსულიყავი მერაბთან. იქ უნდა შემპასუხებოდა პოლიციელის უფროსის მოადგილე და ერთმანეთზე უნდა გაგვეწია. მეტი დამაჯერებლობისათვის. მე და ნინაკა შევვარდით, მოადგილემ: ბიჭო, ვინ შემოგიშვათ. თქვენ აქ „იუმორინა" ხომ არ გგონიათ?! ახლავე, კამერაში შეგაგდებთო. ისე „დავცხეთ", მერაბი შუაში ჩაგვიდგა: მეიცა, გეირკვევა... ბოლოს, უფროსი შემოვიდა, ყველაფერი „გეირკვა" და მერაბმაც ვაი, თქვენს პატრონსო. მაშინ „ხალასტოი" იყო. ძლივს დავაქორწინეთ, დადიოდნენ შეყვარებულები ის და მისი დღეს უკვე მეუღლე გაეროს დამკვირვებლებივით. რომ ვიძალავეთ, მაშინ დააყენეს საშველი. კინაღამ მათაც დაძმურში გადაუვიდათ. მეჯვარეები მე და გია ბალაშვილი ვიყავით.

**– ნინაკას არ ათხოვებთ? თუ არ შევეხოთ მაგ თემას?**

– როგორ არ უნდა შევეხოთ. ვათხოვებთ რა, დაგვყავს ხოლმე ყველგან, ვეუბნები, გოგო, მარტო წადი ხოლმე, გადი-გამოდი. არა, ჩვენთან ურჩევნია. ვაიმე, სადმე რომ ვართ წასასვლელი, ოღონდაც ნინაკამ არ დამირეკოს, რომ გამომიარეო. ლიფტში ვარო, რომ გეტყვის, იქიდან უნდა გადათვალო ერთი საათი და მერე ჩამოვა.

ერთხელ ველოდები, ველოდები და ნინაკა გამოვიდა, მაგარ ფორმაშია, სარკიდან ვუყურებ, მოდის, მოდის და უცებ, ჩემს უკანა მანქანაში ჩახტა. ამას აერია და იმანაც დაძრა. მე დავიწყე ფარების თამაში, სიგნალებით გამოვეკიდე. ნინაკამ, უი, მანქანა შემეშალაო? ის მძღოლი კიდევ: არა, ქალბატონო, ბრძანდებოდეთო. ონაშვილი მოგვენატრა კიდევ მამუკა. მოსკოვშია. რამდენი წელია, მოსკოვში არ ვყოფილვარ...

**– როცა იყავით, მაშინდელ მოსკოვურ თავგადასავლებზე მიამბეთ...**

– რა გავიხსენო, ხომ ეგრევე მიმელეწ-მომელეწა ეს ახლადშექმნილი ოჯახი და გამექცა ცოლი.

**– წელან თვალში მომხვდა, ახალი მანერები შეგიძენიათ, წარამარა ქოჩორზე ისვამთ ხელს...**

– თმები? ჰო, ახლა ხომ ახალ შარში გავეხვიე.

**– შარია თმები?**

– თმები სასიამოვნო შარია. ჯერ ერთი მომიხდა, ასაკიც მომაკლო, თან ახლა წონაშიც ვიკლებ და მე მგონი, 10-15 წელი მომაკლდება. თავის დროზე იცი, რა თმები მქონდა?! მაგრამ ძალიან ადრე დამეწყო ცვენა. რა სახეობის ხილ-ბოსტნეული არ გამალაგეს თავზე – ნიორიო, დაფნის ნახარშიო, არაფერმა მიშველა. ბოლოს „ჰეალაინში" ამოვყავი თავი და შედეგიც სახეზეა.

**– თავდაცვის სამინისტროში თქვენს საქმიანობაზეც მიამბეთ რამე?**

– ერთ-ერთ ხელმძღვანელს ვთხოვე, თუ შეიძლება, ავღანეთში გამიშვათ. დელეგაცია რომ წავა, გამაყოლეთ-მეთქი. მართლაც წავედი. მე ამისთანა სიამოვნება არ მიმიღია. იცით, რა ბიჭები გვყავს? ამ ბიჭებს რომ გაახარებ, გააცინებ, კარგ ხასიათზე დააყენებ, ამაზე დიდი ბედნიერება რა არის? ადგილობრივები, და დანარჩენი მომსახურეებიც – ამერიკელები, იტალიელები, გარშემო ვინც არის, ყველა ჩვენი ბიჭების მზეს ფიცულობს. იცით, როგორი ამაყი ვიყავი? დავაყენე ყველანი და ალბათ 2 საათი არ გავჩერებულვარ. რა მითხრეს იცით? ბატონო ბესო, ძალიან სასიამოვნოა და გაგვიხარდა თქვენი ჩამოსვლა, მაგრამ თქვენს მაგივრად, შორენა ბეგაშვილი რომ ჩამოსულიყო, უფრო გაგვიხარდებოდაო.

ახლა, ვთხოვ, კიდევ ჩამიყვანონ ავღანეთში. მარტომ რა უნდა გააკეთოო. 2 000-მდე ანეკდოტი მაინც შემიძლია, მოვყვე ერთ მოყოლაზე და მეტი რაღა გავაკეთო.

**– დასასრულს, ერთი-ორი ჩვენც გვიამბეთ.**

– მიხო ამბობს, იმოდენა ბოლმა დამიგროვდა, იმოდენა, გულში რომ აღარ მეტევა ფლეშკით დამაქვსო.

მერცხლები გადმოფრინდნენ თბილი ქვეყნიდან და აღარც ერთი მავთული აღარ დახვდათ, სად დასხდნენ აღარ იციან. ერთმა სიბრაზით დაიყვირა, ამ „ვაიფაიმ" ხომ დედა გვიტირაო.

**ეკა სალაღაია**

# რატომ ვერ პოულობენ საერთო ენას ოჯახში, ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები



**რატომ იცვლებიან ადამიანები ოჯახში?! ან, იქნებ, არც იცვლებიან და უბრალოდ, როცა ერთმანეთის პირისპირ რჩებიან – მაშინღა ხედავენ რეალურ სურათს. ერთმანეთს ხედავენ ისეთებს, როგორებიც არიან სინამდვილეში, ყოველგვარი „კოსმეტიკის“, „მაკიაჟის“ გარეშე...**

**ნებისმიერი, თითქმის ყველა რომანტიკული ისტორია, ზღაპრის მსგავსიც კი... სადაც სიყვარულზეა საუბარი, ბოლოს ქორწილით მთავრდება ხოლმე... ლოგიკური დასასრული კი ასეთია: ცხოვრობენ დიდხანს, ტკბილად და ბედნიერად. სამწუხაროდ, ჩვენს რეალობაში ასე იშვიათად, ძალიან იშვიათად ხდება. ერთ ჭერქვეშ ორი ადამიანის თანაცხოვრება არც ისე ადვილია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. მხოლოდ სიყვარული არ არის საკმარისი, ან პირიქით – საკმარისი სიყვარული არ არის, რომ საყოფაცხოვრებო პრობლემები დაძლიოს და ხდება ისე, რომ ყოველი ერთად გატარებული წლის შემდეგ, ერთ დროს შეყვარებული ადამიანები გაჭირვებით ურთიერთობენ ერთმანეთთან, დღითი დღე უჭირთ საერთო ენის პოვნა.**

**ლიკა** *(37 წლის):* ჩიხში აღმოვჩნდი. მძიმე მდგომარეობაში ვარ. ჩემი ურთიერთობა ქმართან გართულდა. ცხრა წელია, ერთად ვართ და ბევრი კრიზისი გადავიტანეთ. ყველაფერი იყო – ღალატიც, ეჭვიანობაც, ფინანსური პრობლემებიც, ინტერესთა კონფლიქტიც და შეგუებისა თუ „პრივიჩკებზე“ შეჩვევის პერიოდიც. თითქოს დავძლიეთ და ერთად დავრჩით, მაგრამ ახლა არ ვიცი, რა იქნება... ისეთი შეყვარებული ვიყავი, როგორც არავინ და არასდროს. ოცდაშვიდი წელი ქალისთვის ის ასაკია, როცა პრიორიტეტები უკვე განსაზღვრული აქვს და ზუსტად იცის, რა სურს ცხოვრებისგან და მამაკაცისგანაც, რა თქმა უნდა.

– **თქვენი პირველი სიყვარული იყო?**

– სერიოზული – კი. გატაცებები როგორ არ მქონია, მაგრამ სურვილი, რომ მთელი ცხოვრება ამ ადამიანის გვერდით გამეტარებინა, ჩემი ქმრის გაცნობის მერე გამიჩნდა. ერთი წელი ვაწარმოებდი დაკვირვებას. ანუ, ამით იმისი თქმა მინდა, რომ „ბრმად“ არ მიმიღია გადაწყვეტილება.

– **მიუხედავად იმისა, რომ დიდი სიყვარული გქონდათ?**

– ეს არ ყოფილა შეყვარება ერთი ნახვით. გრძნობა ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიდა ჩემთან და მყარად გაიდგა ფესვი. ზომიერად მგრძნობიარე და ზომიერად რომანტიკული ვარ. სულ ვფიქრობდი, რომ ოჯახს სიყვარულზე მცდარი და გადაჭარბებული შეხედულებები ანგრევს.

– **რას გულისხმობთ?**

– ვგულისხმობ იმას, რომ ადამიანებს – უფრო ხშირად ქალებს, უყვარდებათ არა რეალური ადამიანი, არამედ გამოგონილი პიროვნება, ანუ თავიანთ წარმოსახვაში შეადგენენ ხოლმე იდეალური პარტნიორის პორტრეტს, შეიყვარებენ მას, გააიდეალებენ და მერე მოარგებენ იმ რეალურ მამაკაცს, რომელიც მათ გვერდით აღმოჩნდება. ჩვეულებრივ, ასეთი ექსპერიმენტები ცუდად მთავრდება. „გმირი“ დიდხანს ვერ „ქაჩავს“. იმიტომ კი არა, რომ თავად არ უნდა, უბრალოდ, მისგან ისეთ რამეებს ითხოვენ, რისი მიცემაც მას არ შეუძლია. იწყება კონფლიქტი. კაცს არ ესმის, რას ერჩის და რა პრეტენზიები აქვს ქალს; ქალი ნერვიულობს, რომ რჩეულმა მოლოდინი არ გაუმართლა და იმედი გაუცრუა. გეტყვით იმასაც, რომ როგორი ძლიერიც არ უნდა იყოს გრძნობა, როგორი რომანტიკულიც – ურთიერთობა, ოჯახში მაინც არაფერი გამოუვა წყვილს, თუკი არ მიხვდებიან „ერთ ენაზე“ ლაპარაკის აუცილებლობას. დამიჯერეთ, ეს ადვილი ნამდვილად არ არის. ამდენწლიანი ურთიერთობის შემდეგ მივედი ამ დასკვნამდე. მიუხედავად იმისა, რომ ერთად ძალიან ბევრი რამ გადავლახეთ.

– **თქვით, რომ თქვენს ცხოვრებაში ღალატიც იყო... რომელმა უღალატეთ?**

– იმან, რა თქმა უნდა. ჩემთვის ღალატი წარმოუდგენელია. გამორიცხულია, ქმარს ვუღალატო. მაგრამ არ გამოვრიცხავ, ჩემს ცხოვრებაში სხვა მამაკაცი გამოჩნდეს. თუ ეს მოხდება, მე დავტოვებ ქმარს და წავალ იმასთან. პატიოსანი თამაშის მომხრე ვარ.

– **თქვენ ხედავთ ამ საშიშროებას?**

– არა, მაგრამ არაფრის გამორიცხვა არ შეიძლება. არავინ იცის, რა მოხდება ხვალ. დღეს ჩემი ქმარი მიყვარს და ოჯახის შენარჩუნება მინდა. ამიტომაც მოვედი თქვენთან. ის გაურკვევლობა უნდა დავძლიო, რომელშიც აღმოვჩნდი. ღალატის ამბავი რომ გავიგე, საკმაოდ დიდი დრო იყო გასული მომხდარიდან.

– **როგორ გაიგეთ?**

– თვითონ მითხრა. ერთ საღამოს მომიყვა. რატომ შეაწუხა სინდისმა, მართლა არ ვიცი. შემთხვევითი კავშირი იყოო. რაღაც ისეთი მოხდა, რომ თავი ვერ გავაკონტროლე. გულწრფელად ვნანობო... ცოტა აგრესია კი გამიჩნდა, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, საკმაოდ მშვიდად შევხვდი ამ ამბავს. მინდოდა, მეჩხუბა, ისტერიკა ამეტეხა... ბოლოს და ბოლოს – მან მე მიღალატა. მაგრამ ისეთი საცოდავი სახე ჰქონდა. ისე მიყურებდა... ჭეშმარიტად სინანულში ჩავარდნილი კაცის მზერა იყო და მეც ვაპატიე.

– **გულით აპატიეთ, თუ ამის მერე დაიწყო თქვენი კონფლიქტები?**

– ვერ ვიტყვი, რომ ამის მერე დაიწყო, რაც დაიწყო... პირიქით, რაღაც პერიოდის განმავლობაში, ჩვენი ურთიერთობა რომანტიკულ-ლირიკულ ფაზაში შევიდა. ჩემი ქმარი თავს დამნაშავედ გრძნობდა და ცდილობდა, ვესიამოვნებინე. ლამის ფეხის წვერებზე დადიოდა. ყურადღებიანი გახდა. სამოგზაუროდაც კი წამიყვანა.

## ქმარს არ ვუღალატებ, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ჩემს ცხოვრებაში სხვა მამაკაცი გამოჩნდეს

არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ. ვიფიქრე, რომ ამის მერე პრობლემები აღარ გვექნებოდა. ჩვენ ხომ გვიყვარდა ერთმანეთი და ეს ორივემ დავამტკიცეთ. იმან იმით, რომ ვერ მოისვენა, მოინანია და მითხრა, მე კი – პატიებით. ვაღიარებ, რომ გული მეტკინა, თუმცა, როგორც გითხარით, შინაგანად არ აღვშფოთებულვარ. მივხვდი, რომ ის ვიღაც ქალი, აბსოლუტურად არაფერს ნიშნავდა ჩემი ქმრისთვის.

– **თუ ღალატი მარტივად გადაიტანეთ, რამ დაძაბა თქვენი ურთიერთობა?**

– მე რაღაცეები წავიკითხე და გავიგე, რომ წყვილები, რომლებიც არ არიან ბედნიერნი, თავისი პრობლემებით ერთმანეთს ჰგვანან. მათი „უბედურების სიმპტომები“ ერთნაირია. თურმე, მთავარი მიზეზი ყოფილა ორი ადამიანის ხანგრძლივი თანაცხოვრება ერთ სივრცეში და განმარტოების საშუალების არქონა. აუცილებელი ყოფილა საკუთარი, პირადი სივრცის ქონა. ბევრ ცოლს არ მოსწონს, როცა ქმარს რამდენიმე დღის სხვა გარემოში, თანაც, მარტო გატარების სურვილი უჩნდება, მაგრამ ჯანსაღი ურთიერთობის შესანარჩუნებლად ეს აუცილებელია.

ერთი შეხედვით უწყინარი ფრაზები: „ისევ აურიე, არა, ოთახი“... „შეხედე, იატაკზე ისევ შენი წინდები ყრია...“ „როდემდე უნდა ვალაგო შენი ნივთები“... „უზნეო ბავშვივით ჭამ და ირგვლივ ყველაფერს სვრი,“ – აი, საიდან იწყება ტრაგედია. თუ დროზე არ მიხვდი და არ გაჩერდი, გვიან იქნება. ისეთ სიღრმეებში შეხვალ, უკან გამოსვლის შანსიც აღარ დაგრჩება. ვერც მიხვდები, როგორ გადაიქეცით ერთმანეთის მტრად. ველარაფერზე ვეღარ დაილაპარაკებთ და საუბრის წარმართვის უნარს დაკარგავ. საშინელებაა, როცა ცოლ-ქმარი ერთმანეთს ვეღარ ესაუბრება. ვერ განიხილავს რაღაც ყოფით თემებს და „უკვდებათ“ საერთო ინტერესები.

– **თქვენ გქონდათ საერთო ინტერესები?**

– ასე ვერ ვიტყვი, რომ საერთო ინტერესები გვქონდა. მაგრამ, ერთმანეთის ინტერესებს პატივს ვცემდით. მეც მქონდა მცდელობა და იმასაც, რომ ერთმანეთის დამაკავშირებელი ძაფი არ გაწყვეტილიყო...

– **იმ შემთხვევამ, ღალატთან დაკავშირებით, ეჭვიანი არ გაგხადათ?**

– ეტყობა, ცოტა გამხადა. თავიდან არ იყო შესამჩნევი, მაგრამ თავისი საქმე მაინც გააკეთა. ერთხელ, გაბრაზებულს წამომცდა, რომ ის ვალში იყო ჩემთან, რადგან ისეთი საშინელი დანაშაული ვაპატიე, როგორიც ღალატია. გამწარდა. ახლა მთელი ცხოვრება ეს უნდა მაძახო, კუთხეშიც უნდა დამაყენო და დამსაჯოო?! დიდი ამბავი, კაცები მუდმივად ღალატობენ ცოლებს, მაგრამ არც ბოდიშებს იხდიან და არც ინანიებენ. თავში აგივარდა, მე რომ ასეთი გულჩვილი აღმოვჩნდი, თორემ ჩემ „ფეხებს“ გაიგებდი. დებილი ვარ, რომ გითხარი. მეგონა, გაგებით მოეკიდებოდი ამ ამბავს, მაგრამ ახლა ვხედავ, რომ შენც, როგორც ყველა ქალი, „ისტერიჩკა“ ხარო. ჩემთვის ეს სიტყვები სიგნალი უნდა ყოფილიყო და გავჩერებულიყავი, მაგრამ პირიქით გავაკეთე – „ავკრიფე“ ჩემი ქმრის წინააღმდეგ და დავიბოლმე. საღამო არ ჩაივლიდა ისე, რომ არ გვეჩხუბა.

– **უმიზეზოდ ჩხუბობდით?**

– როცა ჩხუბი გინდა, მიზეზსაც იპოვი. მოთხოვნილებასავით გამიჩნდა, წივილ-კივილი ამეტეხა და სკანდალი მომეწყო. ბოლომდე რომ დავიცლებოდი, საშინელი სიტყვების კორიანტელს რომ დავაყენებდი, მერე მეწყებოდა ტირილისა და სინანულის პერიოდი. მერე ვაანალიზებდი, რა არ უნდა მეთქვა. რაც შეეხება ეჭვს, უკვე ყველასა და ყველაფერზე დავიწყე ეჭვია-

# რატომ დაკარგეს ერთმანეთი მეგობრებმა და ვის ეძებს ქალაქ ისტრაში მცხოვრები ქალბატონი ნოვოსიბირსკში

*43 წლის მაია ოთარის ასული კირკიტაძე (ნიკოლაიშვილი) ეძებს დაახლოებით 60-65 წლის ლუდმილა ჩირკოვას.*

**ისტორია:** ვეძებ ჩემს მეგობარს – ლუდმილა ჩირკოვას (მამის სახელი არ მახსოვს). ლუდა ამჟამად დაახლოებით 60-65 წლამდე უნდა იყოს. ჩვენ ერთმანეთი ნოვოსიბირსკში გავიცანით, რაღაც პერიოდი ერთად მუშაობაც მოგვიწია. ლუდა ძალიან კარგი ადამიანია და ჩვენ დავმეგობრდით, მაგრამ, მაშინ დროებით საქართველოში დაბრუნება მომიწია და მას შემდეგ მე ლუდა ვეღარ ვიპოვე. ამჟამად მოსკოვის ოლქის ქალაქ ისტრაში ვცხოვრობ და აქ ვმუშაობ. ძალიან მინდა, დამეხმაროთ მეგობრის პოვნაში. ლუდა არის საშუალო სიმაღლეზე ოდნავ დაბალი. მაშინ თმა ნაბლისფრად ჰქონდა შეღებილი და მოკლედ შეჭრილი.

**ჟურნალისტის შენიშვნა:** *რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ქალბატონი მაია ჩვენ ქალაქ ისტრიდან დაგვიკავშირდა და დახმარება სწორედ იქიდან გვთხოვა. პირადად მე ჩემი ნებაყოფლობითი დამხმარეების დიდი იმედი მაქვს. ისინი ეცდებიან, ქალბატონი ლუდმილა ნოვოსიბირსკში მოძებნონ.*

**– როგორ დაკარგეთ ერთმანეთი მეგობრებმა? გვიამბეთ ყველაფერი, რაც ლუდაზე იცით.**

– მე წარმოშობით გორიდან ვარ, მაგრამ, წლების განმავლობაში რუსეთში, ქალაქ ნოვოსიბირსკში ვცხოვრობდი. სწორედ იქ გავიცანით ერთმანეთი მე და ლუდამ. ჩვენ მოგვიწია ერთად მუშაობა რესტორან „არაგვში“, სადაც მზარეულად ვმუშაობდით. ლუდა თავისი საქმის ოსტატი იყო. რაც კი რამ ვიცი, ყველაფერი მან მასწავლა. ნოვოსიბირსკში მე ოჯახთან ერთად ვიყავი. ჩემი მეუღლე ავადმყოფობდა და, როდესაც გარდაიცვალა, ჩვენ ის საქართველოში ჩამოვასვენეთ. ლუდა მაშინ ნაქირავებში ცხოვრობდა. როდესაც უკან ჩავედი, ის იქ აღარ დამხვდა, იმ ადამიანებმა კი, ვინც ლუდას ბინაში ცხოვრობდნენ, მისი ახალი მისამართი არ იცოდნენ. ასე დავკარგეთ ერთმანეთი. ლუდას საქართველოსთან ბევრი რამ აკავშირებდა. მისი პირველი მეუღლე ქართველი იყო (ის ოჩამჩირეში იყო გათხოვილი). პირველი ქმრისგან ჰყავს გოგონა, სახელად დიანა (ამჟამად ის დედის გვარზე უნდა იყოს). მას შემდეგ, რაც ლუდას მეუღლე გარდაიცვალა, ის კვლავ ნოვოსიბირსკში ჩამოვიდა, სადაც მეორედ გათხოვდა და ეყოლა ბიჭი, სახელად დიმა (მეორე მეუღლის გვარი არ ვიცი). დიმა 1995 წელს დაახლოებით 14-15 წლის იქნებოდა. ჩემი შვილი და ლუდას ბიჭი თითქმის ტოლები იყვნენ. ლუდა გადასარევი ხასიათის ქალია, უბადლო მეგობარი და მე მისი დაკარგვა არ მინდა. დიდი სურვილი მაქვს, რომ ჩვენი ურთიერთობა კვლავ აღდგეს.

**– როგორ ფიქრობთ, ლუდა თუ გეძებთ?**

– დარწმუნებული ვარ, რომ მე მას ვახსოვარ. ჩვენ მართლაც არაჩვეულებრივი მეგობრობა გვქონდა. სამწუხაროდ, მაშინ, როდესაც საქართველოში ჩამოსვლა მომიწია, ვერ მოვიფიქრე, რაიმე თადარიგის დაჭერა. არ მეგონა, რომ ერთმანეთს ასე იოლად დავკარგავდით. სამწუხაროდ, კომპიუტერისა და ინტერნეტის არაფერი გამეგება, ამიტომ, აქამდე ვერც განაცხადი გავაკეთე ლუდას მოძებნის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ მეც და ლუდაც რუსეთის ტერიტორიაზე ვართ, ლუდას მოძებნაში თქვენი დახმარების იმედი მაქვს.

*თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია ამ ისტორიის შესახებ ან თუ გსურთ, თქვენც გაგიწიოთ დახმარება დაკარგული ახლობლის მოძებნაში, დაგვიკავშირდით: 233-42-24; 593 22-04-31. დარეკეთ საღამოს, 6 საათის შემდეგ. E-mail: tbiliselebi2001@yahoo.com.*

**ნატალია მახარაშვილი**

---

ნობა. ამას შეუცნობლად ვაკეთებდი. ვერ ვიტანდი, ქალზე რომ იტყოდა, ლამაზიაო. ვცოფდებოდი.

**– კონკრეტულად რომელიმე ქალზე?**

– არა, ნებისმიერზე. საღამოს, ტელევიზორის წინ ერთად თუ ვისხედით და ჩემი ქმარი უცებ იტყოდა, ვა, რა ქალია, რა „ტანზე დგასო“, მე შიგნით რაღაც მექანიზმი „ჩამერთვებოდა“ და ვიწყებდი ჩხუბს. სკანდალის შემდეგ კი სულ ვნანობდი. იცით, რა შევამჩნიე საკუთარ თავს? – ქმართან მიმართებაში ისე ვიქცეოდი, საუბრისა თუ ჩხუბისას ისეთ სიტყვებს ვიყენებდი, უცხო ადამიანთან თავს მსგავსის თქმის უფლებას არაფრით მივცემდი. საიდან მოდიოდა ეს ფრაზები, გაუგებარია.

**ქალებს შეყვარო არა რეალური ადამიანი, არამედ გამოგონილი პიროვნება. შეადგენენ წარმოსახვაში იდეალური პარტნიორის პორტრეტს და ცდილობენ, მოარგონ ის რეალურ მამაკაცს, რომელიც გვერდით ჰყავთ**

**– ფსიქოლოგისთვის არ მიგიმართავთ?**

– არა. სპეციალური ლიტერატურა წავიკითხე. ერთგან ეწერა, ცოლების ურთიერთობა ბიოლოგიურ ციკლურ დინებებს ჰგავს. აქვს დათბობისა და აცივების პერიოდები. ჩვეულებრივად, ეს პერიოდები 3, 7 და 11 წელიწადში იცვლება და კრიზისიც ამ დროს არის მოსალოდნელიო.

**– თქვენ რომელ პერიოდში ხართ?**

– სადღაც შუაში. 7 წელი გადავლახე და 11-მდე ჯერ არ მივსულვართ. მეშინია, რომ ვერც მივალთ. რა მოვუხერხო საკუთარ თავს, არ ვიცი. ფაქტობრივად, ერთი დღეც არ არის ისეთი, რომ არ ვიჩხუბოთ. დაილღება ჩემი ქმარი ამდენი სკანდალებით და წავა.

**– უკვე ამჩნევთ ამის სიმპტომებს?**

– როგორ გითხრათ, სულ დაძაბულია, მოღუშული მიყურებს, თითქოს ელოდება, როდის დავიწყებ ჩხუბს და მერე არც ის მაკლებს ლანძღვას. ძირითადად, მეუბნება, რომ „ისტერიჩკა“ და გიჟი ვარ – პათოლოგიური გადახრებით, აკვიატებული აზრებით და კიდევ – იპოქონდრიისკენ მაქვს მიდრეკილება. ამაზე კიდევ უფრო ვცოფდები და მერე უკვე ინერციით მიდის. იქნებ, ეს უკვე ის ჩიხია, საიდანაც ვეღარ გამოვალთ?! იქნებ ჩვენმა ურთიერთობამ ყველა რესურსი ამოწურა? არ მინდა, ოჯახი დამენგრეს. ორი შვილი გვყავს და ბავშვები ჭკუას კარგავენ მამაზე. როგორ დავამთავრო ეს ომი, რომელშიც გამარჯვებული არ იქნება.

**– გიყვართ ქმარი?**

– რადგან მისი დაკარგვის შიში მაქვს, ესე იგი, მიყვარს. იქნებ, როგორმე ვისწავლო პრობლემებზე მშვიდად საუბარი? თუმცა, კონკრეტულად რა პრობლემა გვაქვს, ვერ ვხვდები. მუდმივად კომპრომისის რეჟიმში ვიყო? – ისედაც, სულ მე ვთმობ და მერე ხომ მთლად „კრიმინალად“ გამომიყვანს. არადა, არ მინდა, ჩვენს სკანდალებს ბავშვები რომ უყურებენ. მომენატრა თბილი, ოჯახური საღამოები. იქნებ, ისევ ვილაც ჰყავს? რატომ იქცევა ჩვენი ნებისმიერი კამათი ნამდვილ ტრაგედიად?! მინდა, ერთხელ მშვიდად დავსხდეთ და დაველაპარაკოთ, გავარკვიო ისევ ვუყვარვარ თუ არა, მაგრამ მეშინია...

**დალი მიქელაძე**

## რედაქციაში წერილი მოვიდა

**ჩემს ქმართან თითქმის ყველა თემაზე ვსაუბრობ, გარდა ინტიმისა. არადა, ვიცი, რომ ეს ჯანმრთელი ურთიერთობისთვის აუცილებელია. წელიწადიც არ არის, რაც ერთად ვართ და მინდა, ჩვენ შორის ტაბუდადებული თემები არ იყოს. როგორ უნდა მივუდგე ამ საკითხს. იქნებ, რამე მირჩიოთ? ეს ხომ სერიოზული პრობლემაა?**

**გამოხმაურება:** დაფიქრდით და გააანალიზეთ, რა გიშლით ხელს გულახდილობაში – უნდობლობა პარტნიორის მიმართ თუ შინაგანი კომპლექსები. ორივე შემთხვევაში, საკუთარი თავი უნდა აიძულოთ, გადალახოთ ბარიერი. მით უმეტეს, თუ ხვდებით, რომ ჯანსაღი ურთიერთობისთვის ეს გჭირდებათ. იდეალური დრო ინტიმური საუბრებისთვის ფიზიკური სიახლოვის პერიოდია. საერთოდ, ბედნიერი მომავალი ღირს იმად, რომ დაძლიოთ თქვენი შიშები.

**ფსიქოლოგი მაგდა რობაქიძე**

**მომღერალი თამარ ივერი ამ ახალ წელს ზამთრისთვის შეუფერებელ კლიმატში შეხვდა – ის სიდნეიში იმყოფება, სადაც ახლა, არც მეტი, არც ნაკლები, 40 გრადუსი სიცხეა. ასე რომ, მისთვის ეს ახალი წელი ნამდვილად დასამახსოვრებელი იქნება. როგორც თავად ამბობს, გასული წელი მისთვის ნამდვილად ბედნიერი იყო, რადგან, არაერთ კონტრაქტს მოაწერა ხელი და საყვარელ ადამიანთან ერთად ულამაზესი ქორწილიც გადაიხადა. თუ რას აპირებს ის მომავალში, რატომ არ მიაჩნია თავი იღბლიან ადამიანად და ვინ უწყობს საწოლთან ეკლიან ვარდებს, ამაზე თავად თამარი მოგიყვებათ.**

# რამ გააოგნა სიდნეიში ჩასული თამარ ივერი ახალ წელს და ვინ უწყობს მას საწოლთან ეკლებიან ვარდებს შუა ზამთარში

**თამარ ივერი**: ახლა ავსტრალიაში, კერძოდ, სიდნეიში ვიმყოფები და ეს ახალი წელი ჩემთვის ნამდვილად დასამახსოვრებელი აღმოჩნდა. უჩვეულო ადგილას მოვხვდი ამ ახალ წელს. წესით, ახალი წელი მოიაზრება, სიცივესთან, ბუხართან, თოვლთან, ყინულთან, აქ კი 40 გრადუსი სიცხეა, იწვის ყველაფერი და ხალხი „შლოპანცებით" დადის. ცოტა ძნელია, პაპანაქება სიცხეში აღნიშნო ახალი წელი, მაგრამ, რას ვიზამთ, ხომ უნდა შევხვდეთ ახალს?! *(იცინის).* სანტა კლაუსები, ნაძვის ხეები, შორტები და „შლოპანცები" ერთად, წარმოუდგენელი მეგონა, მაგრამ ფაქტის წინაშე აღმოვჩნდი. შოკში ვარ *(იცინის).* სანტა კლაუსები „შორტიკებსა" და „შლოპანცებში" დადიან ქუჩებში, არიგებენ შოკოლადებსა და ათასგვარ საჩუქარს და თან ყვირიან – გილოცავთ ახალ წელსო. მე უკვე ერთი თვეა, აქ ვარ და ცოტა შევეგუე, ჩემი მეუღლე კი ორი დღის წინ ჩამოვიდა იტალიიდან და გაოგნებული დადის ნაძვის ხეებით მორთულ ქუჩებში. სხვათა შორის, სანტა კლაუსებს ვემალები.



გაოცებული ვარ, სანტა კლაუსები „შორტიკებსა" და „შლოპანცებში" დადიან ქუჩებში, არიგებენ შოკოლადებსა და ათასგვარ საჩუქარს და თან ყვირიან, გილოცავთ ახალ წელსო

**– რატომ ემალებით სანტა კლაუსებს? არ მითხრათ ახლა, მათი მეშინიაო.**

– არ მეშინია, პირიქით, მიყვარს, მაგრამ, იმიტომ ვემალები რომ, უგემრიელეს კანფეტებს არიგებენ, მე კი წინ კონცერტები მაქვს, გავსუქდები და ჩემს ულამაზეს კაბებს ველარ ჩავიცვამ *(იცინის).* კი ვიფიქრე, ზამთარში აქ უნდა ჩამოხვიდე და, სანამ არ გაზაფხულდება, სხვა ქვეყანაში არ წახვიდე-მეთქი, მაგრამ, ისეთი ფასები აქვს ბინებს, რას ვიყიდი. თან, შორიცაა.

**– იღბლიან ადამიანად მიიჩნევთ თავს?**

– იღბლიანი ნაკლებად ვარ, რადგან, რასაც ვაღწევ, მხოლოდ უდიდესი შრომით. იღბლიანი ის არის, ვინც მინიმალური შრომით აღწევს წარმატებას, ეს კი ჩემთვის უცხოა. თუ არ ვიშრომე, თავი არ მოვიკალი და ღამეები არ ვათენე, ისე ვერაფერს მივაღწევ. თუმცა, შრომა მიყვარს და ბედნიერი ვარ, რომ ამდენს მივაღწიე და უცხოეთში ჩემი სიტყვა თამამად ვთქვი – ეს უფრო ტკბილია.

**– მართალია, რომ მელბურნში რამდენიმე საათით სარდაფში დაგატყვევეს?**

– *(იცინის)* დატყვევება ცოტა ხმამაღალი ნათქვამია, მაგრამ, რომ მაყურყუტეს, ფაქტია. რეპეტიცია გვქონდა. უცბათ, წივილ-კივილით შემოვარდა სახანძრო ფორმაში ჩაცმული ხუთი გოგონა და ბიჭი. ყვიროდნენ: სასწრაფოდ დატოვეთ შენობა, ხანძარია, თავს უშველეთო. თან გვაიძულებდნენ, ხმამაღლა იკივლეთ, შენობაში მყოფმა ხალხმა რომ გაიგოს და დატოვოს აქაურობაო. დავიბენით. ჩემი აკივლებისა რა მოგახსენოთ, მაგრამ, დასის წევრებმა კი ატეხეს წიოკი. გავრბოდით, მაგრამ, სად გავრბოდით, არ ვიცოდით. ერთმანეთს ვეკითხებოდით, დამწვრის სუნი არ არის და ნეტავ რა იწვისო. მეხანძრეები კი გაჰკიოდნენ, გაიქეცით სარდაფისკენ, თავს უშველეთო. დირიჟორი და რეჟისორი ისე გარბოდნენ, ვერავინ ეწეოდა *(იცინის).* მოკლედ, სარდაფში ჩაგვიყვანეს. გავიდა ერთი საათი და გამოგვიცხადეს: ყველაფერი რიგზეა, დაიშალეთ, დაბრუნდით სარეპეტიციო დარბაზში, ეს ახალგაზრდა მეხანძრეების განგაშის, ევაკუაციის გათამაშება იყოო. დირიჟორსა და რეჟისორს სახეზე მწვანე ფერი ედოთ *(იცინის).* ასე რომ, ამ ცრუ განგაშის გამო იმ დღეს რეპეტიცია ჩაიშალა.

**– თამარ, გასული წელი მნიშვნელოვანი და დასამახსოვრებელი იყო თქვენთვის?**

– გასული 2012 წელი საკმაოდ წარმატებული და დასამახსოვრებელი იყო ჩემთვის, რადგან, არაერთ კონტრაქტს მოვაწერე ხელი და, თან, ზაფხულში ულამაზესი ქორწილი მქონდა. მღელვარე წელიწადი იყო. გათხოვებამ, ულამაზესმა ქორწილმა და მომდევნო სასიამოვნო თვეებმა ბედნიერება მაჩუქა. კარგად ჩაიარა გასულმა და მომავალი წლიდან უფრო უკეთეს მოვლენებს ველი. სხვათა შორის, გული მწყდება, რომ თბილისში ძალიან კარგი მეკვლე დავტოვე – ძაღლი „სისიკო". რამდენჯერაც შევარდა ჩემს მეზობლებთან ახალ წელს სახლში, იმდენჯერ ბავშვი ეყოლათ. ახლა რომ აქ მყავდეს, ხომ იქნებოდა ჩემი მეკვლე და დამებედებოდა შვილი?! *(იცინის).*

**– საყვარელი მეორე ნახევრის გარეშე, როგორ ძლებთ უცხო ქვეყანაში?**

– ძალიან მიჭირდა რაულის გარეშე, მაგრამ, ახლა გვერდით მყავს და ახალი წლის დღეებს ერთად გავატარებთ. სანამ დავქორწინდებოდით, ორი წელი ვხვდებოდით და კარგად გავიცანით ერთმანეთი. ბედნიერი ვარ, რომ ასეთი ხასიათის ადამიანია. არ მიყენებს პირობებს და ეგუება იმას, რომ ხშირად მიწევს გადაადგილებები; რომ მუსიკა ჩემი სამყაროა და მის გარეშე არ შემიძლია. თავადაც სწავლობს საოპერო ხელოვნებას, ჩემი როლებიც დაიზეპირა. ძალიან ბევრი ვიფიქრე, რა მეჩუქებინა ახალ წელს. ხან ნიანგის ტყავის ქუდი ვიფიქრე, ხან კენგურუს ქურქი, ხან თხის ბეწვის „უგები", მაგრამ, კიდევ ვერ გადავწყვიტე, რით გავახარო. ვიცინი ხოლმე – მგონი, ჩემი შიშით ავსტრალიიდან კენგურუები და ნიანგები გადაიხვეწებიან-მეთქი *(იცინის).*

**– მეუღლე თუ განებივრებთ საჩუქრებით?**

– ცდილობს, გამანებივროს. უყვარს პატივისცემა. არ ავიწყდება არც ერთი დღესასწაული. როცა არ ველოდები, ისეთ დროს მიკეთებს სიურპრიზებს. რამდენჯერმე, საწოლთან დამიდო ვარდების კონა და, დილით, საწოლიდან რომ გადმოვდგი ფეხი, ეკლები შემერჭო *(იცინის).* ზოგჯერ ბალიშის ქვეშ მხვდება საჩუქარი. ძალიან ყურადღებიანი ადამიანია და მიხარია, რომ კიდევ არსებობენ ასეთი ქართველი მამაკაცები.

**– რომ არა მომღერალი, ვინ იქნებოდა თამარ ივერი?**

– ალბათ ბალერინა, ან, ნაყინის გამყიდველი *(იცინის).* ბავშვობაში ძალიან მინდოდა, ბალერინა ვყოფილიყავი. ჩამოვიცვამდი წელზე ზღვის კამერას, ზემოდან გადავაფენდი ქვედაბოლოს და ვცეკვავდი. მერე მამამ მომიტანა პუანტები და ჩემზე ბედნიერი არავინ მეგულებოდა. ცოტა რომ წამოვიზარდე, მივხვდი, ჩემგან ბალერინა არ დადგებოდა. ერთ დღესაც, ვნახე ფილმი „ქარწაღებულნი" და გადავწყვიტე, მსახიობი გამოვსულიყავი. მინდოდა სკარლეტი ვყოფილიყავი – ერთი სიტყვით, სკარლეტობა გადავწყვიტე. მერე, ნაყინის გამყიდველი დავინახე, რომელიც ყვიროდა – „მაროჟნი, მაროჟნიო," რამაც სკარლეტი დამავიწყა და, გადავწყვიტე, რომ გავიზრდებოდი, ნაყინის გამყიდველი გამოვსულიყავი და იმდენი ნაყინი მეჭამა, რამდენიც მომინდებოდა, მაგრამ, მალევე შევიცვალე აზრი, რადგან, ერთ დილას ნაგვის მანქანამ ჩამოიარა და, რომ დავინახე, როგორ აწკარუნებდა ზარს მენაგვე და ყვიროდა – „ნაგავი, ნაგავიო", იმ ზარის ჩამოკვრა და ხმა მომეწონა და ვთქვი, რომ გავიზრდები ნაგვის ზარის ჩამომკვრელი ვიქნები-მეთქი *(იცინის).* აი, ასეთი ფიქრები მქონდა ბავშვობაში. თუმცა, არც ერთი არ გავხდი და ოპერის დიდ სცენაზე ამოვყავი თავი. თუმცა, ახლა რომ ვფიქრობ, რომ არა მომღერალი, მსახიობი ვიქნებოდი.

**ნონა დათეშიძე**

# რა როლი მიუძღვის თბილისის ფოტოისტორიაში დიმიტრი ერმაკოვს და რომელ ქუჩაზე გახსნა მან თავისი პირველი ფოტოსტუდია

*მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს და მეოცის დასაწყისის თბილისი წარმოუდგენელია დიმიტრი ერმაკოვის ფოტოობიექტივის გარეშე. ამ ადამიანმა მოახერხა და თაობებს შემოუნახა ძველი თბილისის ისტორიული, ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული ინფორმაცია ფოტონეგატივზე. დღეს ძველი თბილისის ისტორიის მკვლევრებს ხელ-ფეხი შეკრული ექნებოდათ, რომ, არა ერმაკოვის თვალით დანახული თბილისი და დანარჩენი საქართველო. ის ფოტოგრაფიის ერთ-ერთი პიონერია საქართველოში და მისი დამსახურებაა, რომ საშუალება გვაქვს, გავეცნოთ საუკუნის წინანდელი ქალაქის ღირსშესანიშნაობებს.*



დიმიტრი ერმაკოვი (თბილისი, 1885 წელი)

## დიმიტრი ერმაკოვი

დიმიტრი ერმაკოვის დაბადების რამდენიმე ვერსია არსებობს, პირველი ვერსიის თანახმად, ის 1845 წელს ტფილისში დაიბადა. მეორე ვერსიით კი, დიმიტრი ერმაკოვი 1846 წელს ნახიჩევანში დაიბადა. ერმაკოვის დაბადებას უკავშირდება მთავარმმართებლად გრაფ მიხეილ ვორონცოვის დანიშვნა კავკასიაში. ცნობილია, რომ ვორონცოვმა ოდესიდან წამოიყვანა თავისი თანამოაზრეები: არქიტექტორები, მხატვრები. მათ შორის იყო ლუიჯი კამბიაჯო – იტალიელი არქიტექტორი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ოდესის განაშენიანებაში. გავრცელებული ცნობის თანახმად, დიმიტრი ლუიჯის შვილი იყო, ხოლო მეორე ვერსიით, ლუიჯი კამბიაჯო დიმიტრი ერმაკოვის ბაბუა გახლდათ. ფაქტია, რომ დიმიტრი ერმაკოვი მამინაცვლის გვარს ატარებდა. ამბობენ, ტფილისში ცხოვრების გარკვეული პერიოდის შემდეგ დედამისი, გაშორდა ლუიჯი კამბიაჯოს და რუსეთში გაემგზავრა, სადაც ერმაკოვს გაჰყვა ცოლად და შვილსაც მეორე ქმრის გვარი მისცა. დიმიტრის დედა მალაკნელი გლეხი იყო. უცნობია, როდის დაბრუნდა დიმიტრი ერმაკოვი თბილისში. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ მან პირველი კლასიკური გიმნაზია დაამთავრა. შემდეგ კი სამხედრო ტოპოგრაფის პროფესიას დაეუფლა ანანურთან მდებარე სამხედრო ტოპოგრაფიულ აკადემიაში, რომელიც თბილისიდან ჩრდილოეთით, 102 კმ-ით იყო დაშორებით საქართველოს სამხედრო გზაზე. სწორედ ამ აკადემიაში სწავლის პერიოდში დაინტერესდა ერმაკოვი ფოტოგრაფიით და რამდენიმე წელიწადში საზოგადოებას პროფესიონალ ფოტოგრაფად მოევლინა. 1860-იანი წლების ბოლოს ერმაკოვმა დატოვა აკადემია და 1866 წელს საკუთარი ფოტოატელიე გახსნა ტფილისში. ერმაკოვის ფოტოსტუდია იმ დროისთვის თბილისში პოპულარულ სასახლის ქუჩაზე მდებარეობდა, იქ წლების განმავლობაში მრავალი ფოტოგრაფი მოღვაწეობდა. პირველი ფოტოსახელოსნო იმ ადგილას 1846 წელს ფოტოგრაფებმა ხლამოვმა და ქართული ფოტოგრაფიის პიონერმა ალექსანდრე როინაშვილმა გახსნეს. ფოტოსახელოსნოს „რემბრანდტი" ეწოდებოდა.



ალექსანდრე გრიბოედოვის საფლავი მამადავითზე (ერმაკოვის ფოტო)

ერმაკოვმა კი ფოტოატელიე მხატვარ კოლჩინთან ერთად, ცოვიანოვის სახლში გახსნა და თავდაპირველად, „კაბინეტურ პორტრეტებს" ილებდა, რასაც თბილისელთა „სავიზიტო ბარათს" უწოდებდნენ. იმ დროს ტფილისში მოდად იქცა ფოტოგადაღება და აბსოლუტურად ყველა ცდილობდა, საკუთარი „სავიზიტო ბარათი" ჰქონოდა. ერმაკოვის ფოტოატელიე იმდენად პოპულარული იყო, რომ 1870 წელს მან გოლოვინის პროსპექტზე, ამჟამინდელ რუსთაველის გამზირზე, თავად მდივნის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის მოპირდაპირე მხარეს, მეორე



დიმიტრი ერმაკოვის ფოტოსტუდიის მისაღები დარბაზი

ფოტოატელიე გახსნა. ფოტოსტუდიის დაარსებიდან რამდენიმე წელიწადში ერმაკოვი გახდა „Societe Francaise de Photographie" – (SFP) წევრი. ეს იყო ფოტოგრაფთა ყველაზე პრესტიჟული ასოციაცია ევროპაში. 1870 წელს, 25 წლის ასაკში,



თბილისის ხედი (დ. ერმაკოვის ფოტო, 1890-იანი წლები)

დიმიტრი ერმაკოვმა პეტერბურგში გადაგზავნა თავისი პირველი ალბომი კავკასიაზე, რითაც დიდად დააინტერესა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების წევრები. 1874 წელს ერმაკოვმა მოაწყო იმ ფოტოების გამოფენა, რომელსაც ტრაპიზონში ილებდა. 1878 წელს მან მონაწილეობა მიიღო მოსკოვის ანთროპლოგიურ გამოფენაში, სადაც მისმა ფოტოებმა ღირსეული ადგილი დაიკავა. 1877-1878 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის დროს ერმაკოვი სამხედრო ტოპოგრაფად მსახურობდა და რა თქმა უნდა, ხელიდან არ გაუშვია ფოტოაპარატი. ომის კადრებმა მის ფოტოკოლექციაში განსაკურებული ადგილი დაიკავა. ფოტოგრაფი ბევრს მოგზაურობდა საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის, ჩრდილო კავკასიის სხვადასხვა რაიონში. ილებდა ქალაქების ხედებს, პე-



გრაფ მიხეილ ვორონცოვის ძეგლი, ვორონცოვის მოედანზე (ერმაკოვის ფოტო, 1880-იანი წლები)

(გაგრძელება 31-ე გვერდზე)



ერთ-ერთი წმიდა მამა ზეციურ სასუფეველს გამოცხადებით მოიხილავს, ის ვერ ნახავს ღვთისმშობელს და მას ანგელოზები ეტყვიან: ტყუილად ეძებ ღვთისმშობელს სასუფეველში. ის დედამიწაზეა, რათა ადამიანებს დაეხმაროს

**7 იანვარს მთელი მართლმადიდებლური სამყარო მაცხოვრის შობის ბრწყინვალე დღესასწაულს აღნიშნავს, რასაც წინ უძღვის შობის მარხვა. მიუხედავად იმისა, რომ ამ დღესასწაულს უკვე 2000 წელზე მეტხანს აღვნიშნავთ, მაინც გვიჭირს მისი გააზრება, მის არსში ბოლომდე ჩაწვდომა. შობის დღესასწაულის შესახებ გვესაუბრება, ნარიყალას წმიდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის წინამძღვარი, მამა გიორგი (თევდორაშვილი).**

# როგორ უბრუნდებიან ადამიანები შობის მერე წარმართულ ცხოვრებას და როგორ შორდებიან ისინი მაცხოვარს მისი შობისთანავე

**– მამა გიორგი, შობა ერთ-ერთი ყველაზე აღმატებული დღესასწაულია, რომელსაც წინ უძღვის შობის მარხვა. 2000 წელზე მეტია, ამ დღესასწაულს აღვნიშნავთ, ვიცავთ შობის მარხვას, თუმცა დღემდე გვიჭირს ამ დღის მნიშვნელობაში, მის არსში ბოლომდე ჩაწვდომა, გააზრება. შესაბამისად, ჩვენს ზეიმურობასაც ხშირად მხოლოდ ფორმალური სახე აქვს.**

– საეკლესიო სწავლება საღვთო მოვლენების შესახებ ადამიანებისთვის ბოლომდე არ არის გარკვეული. ჩვენთვის ცნობილია, რომ ყველაზე დიდი მოვლენები: მაცხოვრის განკაცება, შობა, ნათლისღება, აღდგომა უწყებულია ანგელოზების მიერ. თუმცა, თავად ანგელოზებიც ბოლომდე არ ფლობენ ამ ინფორმაციას. როცა ანგელოზთა ქორო მაცხოვრის შობის ჟამს გამოჩნდება, ისინი ამბობენ შემდეგ ფორმულას: „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა-ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება," – ეს არის ღვთაებრივი სწავლება, რომელიც ანგელოზებმა ადამიანებს აუწყეს, მაგრამ მათაც ბოლომდე არ იციან ამ სწავლების შინაარსი, სიღრმე. ღვთაებრივი სწავლება ღვთაებრივი და საცნაური, მისაწვდომია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ღვთაებრივი სულით, სულიწმიდით ცხოვრობენ. ამიტომაც, ჩვენთვის ბოლომდე არ არის ცნობილი და იმ დონემდეა გამოცხადებული, რის დატევაც ჩვენს დაცემულ გონებას შეუძლია. იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: არავინ იცის მამა, გარდა ძისა და ძე – გარდა მამისა. დანარჩენი ჩვენ უკვე გამოგვეცხადა თეოფანიით, ანუ ღვთის გამოცხადებით. ამიტომაც, შობის მარხვა ემსახურება ადამიანების განღმრთობას, ანუ ადამიანების მიმართ ღვთის სწავლებისა და მოწყალების გამოცხადებას.

**– როგორც ცნობილია, შობა და ნათლისღების დღესასწაული ერთ დღეს აღინიშნებოდა.**

– მაცხოვრის შობას და მაცხოვრის ნათლისღების დღესასწაულს მეხუთე საუკუნემდე ეკლესია ერთი და იმავე თარიღით აღნიშნავდა. მეხუთე საუკუნის შემდეგ მოხდა მათი დაშორება, ანუ ვზეიმობთ ჯერ მაცხოვრის შობას, ხოლო შემდეგ – ნათლისღების დღესასწაულს. ორივე დღესასწაული არის თეოფანია, ანუ ღვთის გამოცხადება. თუ გვინდა, რომ თუნდაც პატარა, ღვთაებრივ ნაპერწკალს ჩაწვდეს ჩვენი გონება, უნდა ვაღიაროთ ადამიანური გონების უმეცრება, სისუსტე, რათა ღმერთმა ჩვენი გონება თავისი სიბრძნით გაანათლოს.

**– ადამიანებს ყველაზე მეტად საკუთარი უმეცრების აღიარება უჭირთ.**

– როცა ადამიანი ფიქრობს, რომ ყველაფერი იცის, ის ვერაფერს მიიღებს ღმერთისგან. შესაბამისად, მან საკუთარი გონება ნულ ჯგუფში უნდა ჩააყენოს, თქვას: მე ვარ უმეცარი, არარაობა, დაცემული, ცოდვილი, განშორებული უფლის წიაღიდან და მჭირდება, უფლისგან მიღება. ანუ, ადამიანი გლახაკი უნდა იყოს სულით. მაგრამ, თუ მას ჰგონია, რომ ის ადამიანური სიბრძნითაა განმსჭვალული და ბევრი იცის, როგორც ეს ზოგ თანამედროვე მოაზროვნესაც ეგონა და ჰგონია, ბუნებრივია, ის დარჩება თეოფანიის გარეშე.

**– რატომ მოხდა, რომ პირველად მაცხოვრის შობა მწყემსებს ეუწყათ?**

– ისინი არ იყვნენ უბრალოდ მწყემსები, საპასექო კრავებს აძოვებდნენ და ამიტომაც, მაცხოვრის შესახებ პირველად ეუწყათ არა ამ სოფლის თავადთ, დიდებულებს, ბრძენთ, არამედ უბრალო მწყემსებს, მეთევზეებს, ანუ მათ, ვისაც გარეგნული და შინაგანი სიგლახაკე გააჩნდათ. ასეა დღესაც. თანამედროვე, „დიდებულ" ადამიანებს, როცა ვესაუბრებით და ვეუბნებით, საჭიროა მარხვის შენახვა, აღსარება-ზიარება, ისინი მხრებს იჩეჩენ და აცხადებენ, რომ მათ ეს არ სჭირდებათ, ეს მასების საქმეა. მათ ისედაც კარგად იციან საეკლესიო და სასულიერო სწავლებანი. ეს, რა თქმა უნდა, მცდარი შეხედულებაა. ერთ-ერთი მოაზროვნე ამბობს ასეთ სიტყვებს: ათიათასჯერ რომ დაიბადოს იესო ქრისტე ბეთლემში, თუ ის ჩვენს გულსა და სულში არ დაიბადება, მაშინ ცხოვრებას არანაირი აზრი არ ექნება, ისევე, როგორც მაცხოვრის შობას არ ექნება არანაირი აზრი.

**– რატომ აქვს მაცხოვრის შობას განსაკუთრებული მნიშვნელობა?**

– ადამიანისთვის მაცხოვრის შობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ კალენდარული მარხვის შენახვით, აღსარებითა და ზიარებით, არამედ მან უნდა იცოდეს დიდი მამა ათანასე ალექსანდრიელის, ათანასე დიდის სიტყვები, სადაც გამოხატულია მაცხოვრის შობის სიღრმისეული შინაარსი: „ღმერთმა ღმერთი ღვთიმშვენიერად შვა, ღმერთი კაც იქმნა, რათა კაცი განეღმრთოს". მაცხოვრის შობის მთელი შინაარსია გადმოცემული ამ სიტყვებში და არა იმაში, რომ ჩვენ თევზით ვიმარხულებთ, ან უთევზოდ, პირველ იანვარს თევზს ვიხმევთ თუ არა, ნაძვის ხეს დავდგამთ და თოვლის ბაბუას შევეგებებით. მთავარია როგორაა ჩვენი გული გამზადებული მაცხოვრის შობის მისაღებად. ადამიანში ღვთის სამყოფელი გულია და არა გონება. საკურთხეველი ღვთისა არის გული. ამიტომაც, მთელი მარხვის და არა მხოლოდ მარხვის განმავლობაში ადამიანმა უნდა განიწმიდოს გული, გონება, რომ მასში მაცხოვარი იშვას. ის, რომ მაცხოვარი თავმდაბლობით იშვა ბეთლემში, უბრალო მღვიმეში, მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანის გულიც ამ მღვიმესავით დაბინძურებულია გარკვეული ცოდვებით. პირუტყვიც ცოდვის სიმბოლოა. მაცხოვრის შობით უნდა განიწმიდოს ადამიანი და მაცხოვრის შობა უნდა გახდეს მისთვის მაცხოვნებელი. თქვენ გინახავთ, როგორ ზეიმობენ ადამიანები შობას და შემდეგ ისევ წარმართულ ცხოვრებას აგრძელებენ. ანუ, მაცხოვარი შობიდანვე მიტოვებული იქნება, ის ადამიანებისგან განიდევნება. მას ეს სოფელი ეძებს, რათა მოიცილოს თავიდან, რამეთუ: ნათელი ბნელსა შინა ჩანს და ბნელი მას ვერ მოერევა. იმ ხალხმა, რომელიც ბნელსა შინა იჯდა, იხილა ნათელი. ანუ, ადამიანი, რომელიც არ არის სარწმუნოებაში, არ არის ქრისტესთან, ვერ გაიაზრებს მაცხოვრის შობას, მას ეკლესია აფასებს, როგორც ბნელში მყოფ ადამიანს. მჯდომარეობა ნიშნავს უმოქმედობას, ხოლო მდგომარეობა – მოქმედებას. როდესაც სტეფანე პირველმოწამე აწამეს, ის ხედავდა მაცხოვარს წინაშე მამისა მდგომარეს. ეს თითქოს შეუსაბამობაში მოდის ეკლესიურ სწავლებასთან, რადგან ვიცით, რომ იესო ქრისტე ამაღლდა და მჯდომარე არს მაღლითა მამისა, ხოლო სტეფანემ ის იხილა მდგომარე. ეს ნიშნავს, რომ მაცხოვარი ყოველთვის მოღვაწეობაშია კაცობრიობისთვის – ის თანასწორია მამისა, მაგრამ მისი ხორციელი ბუნება ყოველთვის მზად არის ადამიანების დასახმარებლად. ამიტომაც წერია: მდგომარე ვიხილე წინაშე მამისა. ანუ, სტეფანე პირველმოწამემ მაცხოვარი იხილა მდგომარე, ნუგეშის სახით. ასეთივე სწავლება არის ღვთისმშობელზე. ერთ-ერთი წმიდა მამა ზეციურ სასუფეველს გამოცხადებით მოიხილავს. ის ვერ ნახავს ღვთისმშობელს და მას ანგელოზები ეტყვიან: ტყუილად ეძებ ღვთისმშობელს სასუფეველში, რამეთუ ის დედამიწაზეა, რათა ადამიანებს დაეხმაროს. მაცხოვრის შობა, ნათლობა, აღდგომა, ანუ ყველა დღესასწაული ემსახურება ადამიანის განღმრთობას, მის კეთილდღეობას. ჩვენ ვხედავთ, რომ საუკუნეები, წლები გადის, იცვლება და მოდის სხვადასხვა ხელისუფლება, მაგრამ ადამიანის ცვლილება და კეთილდღეობა მაინც შორსაა. დღეს ასეთი მოარული გამონათქვამიც არსებობს: გვეშველება რამე? ამას ჩვენც გვეუბნებიან ხან ირონიით, ხან ხუმრობით, ხანაც სრული სერიოზულობით, სასოებით. ჩვენ მათ ვპასუხობთ: თუ ადამიანს განკაცებული ღმერთის სწავლება არ მიუღია, არ სჯერა და არ ატარებს იესო ქრისტეს სახელს სარწმუნოებითა და სიყვარულით, მას, ბუნებრივია, არაფერი ეშველება. მაგრამ, შენ თუ გწამს, რომ იესო ქრისტე განკაცებული ღმერთია, შენთვის მოვიდა, აღდგა, ამაღლდა, მჯდომარეა მარჯვენით მამისა, მაშინ შენ უკვე ნაშველები გაქვს. მაგრამ, თუ შენ კიდევ ეძებ ვინმე გადამრჩენელს, მესიას, ლიდერს, ბელადს, ბუნებრივია, ყოველთვის იქნები იმედგაცრუებული – სხვადასხვა ბელადებით შეიცვლება ჩვენი სასოება და ოცნება. უნდა ვიცოდეთ ერთი რამ: თუ ადამიანმა არ იცის ჭეშმარიტება, ის იქნება ცრუ სწავლებით შეპყრობილი. იოანე ღვთისმეტყველი ბრძანებს: სამი ჭეშმარიტება გაგვათავისუფლებს ჩვენ. თუ განკაცებული ღმერთი არ არის ჭეშმარიტება, ბუნებრივია, ადამიანის ცნობიერებაში ადგილი ცარიელი არ რჩება. მას უკვე ცრუ სწავლება და იდეოლოგია იკავებს. ჯერ კიდევ სამოთხეში, როცა ადამიანმა შესცოდა, დაეცა, მაშინ ჩაითესა მასში ეშმაკი და ცრუ სწავლება. ანუ, ღმერთზე ცრუ სწავლება სამოთხეშივე იქნა შემოტანილი. დღეს, სამწუხაროდ, ბევრმა ადამიანმა არ იცის, რომ იესო ქრისტე ჭეშმარიტი ღმერთია და ის იშვა ჩვენი ცხონებისთვის – იმისთვის, რომ ადამიანი გადარჩეს. ნანოტექნოლოგიების ეპოქაში საჭირო აღარ გახდება აღარც ღმერთი და აღარც მოძღვარი, ეკლესია... ადამიანი იფიქრებს, რომ ქვეყანაზე მარადიული ცხოვრებაა და აღარ მოითხოვს ღმერთისგან პურს არსობისას. ბევრი ადამიანი იფიქრებს, რომ სწავლება ღმერთზე ეს წინა საუკუნეების გადმონაშთია, მოძველდა რელიგია, მაცხოვარი, განკაცება და მათთვის თანამედროვე ტექნოლოგიები დაიკავებს მოძღვრის, ეკლესიისა და ღმერთის ადგილს. დღეს აშკარად არა, მაგრამ შეფარულად უკვე არის ამის ნიშნები. იესო ქრისტე გუშინ, დღეს, ხვალ და ყოველთვის ერთი და იგივეა. თუ ის საჭირო იყო პირველ საუკუნეებში, შუა საუკუნეებში, გასულ საუკუნეებში, ასევე საჭირო იქნება მომავალ საუკუნეებშიც, სანამ უფლის ნებით არსებული სამყარო არ შეწყვეტს არსებობას. ჩვენ თანმიმდევრულად უნდა ვამხილოთ ის ცრუ სწავლება, ცრუ იდეოლოგია, რომელიც, სამწუხარიდ, შემოსულია თანამედროვე რეალობაში. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში პავლე მოციქული ეუბნება ტიმოთეს: დადგება დრო, როცა სალ მოძღვრებას აღარ მიიღებენ, არამედ თავიანთი გულისთქმებით ამოირჩევენ გულის მომქავებელ სწავლებას. ეს არის პირველ საუკუნეში ნათქვამი და ბუნებრივია, ოცდამეერთე საუკუნეშიც გრძელდება. ღმერთმა ინებოს, რომ მთელი საქართველო, მთელი მსოფლიო შეეგებოს მაცხოვრის შობას და ჩვენს გულებშიც დაიბადოს იესო ქრისტე, რათა ჩვენც ვცხონდეთ და გადავრჩეთ.

**ნათია უტიაშვილი**

# ივერიის ღვთისმშობლის ხატის სასწაულები

### „წადი და იხილე სავსე ბეღელი, რათა დარწმუნდე თქვენდამი ჩემს მზრუნველობაში“

ერთ დროს მონასტერი ისე გაღარიბდა, რომ ფქვილიც კი არ გააჩნდათ. ყოვლადუბიწო ძილში გამოცხადებია ღრმად დამწუხრებულ წინამძღოლს და უთქვამს – „რად სწუხარ, შვილო, ფქვილის უქონლობის გამო? წადი და იხილე სავსე ბეღელი, რათა დარწმუნდე თქვენდამი ჩემს მზრუნველობაში“. წამოდგა წინამძღვარი, მიაშურა ბეღელს და იხილა, რომ ის პირთამდე სავსე იყო ფქვილით. მაშინვე უხმო ძმებს და უამბო მომხდარი ამბის შესახებ. გაოცებულმა და სიხარულისგან გულაჩუყებულმა ბერებმა ერთხმად განადიდეს უფალი და მარადის ქალწული. სხვა დროს ღვინო შემოჰკლებიათ; წმიდა დედოფალმა ისევ გაავსო ყველა ჭურჭელი, ყველა დარწმუნდა, რომ ის სასწაულებრივი იყო და არა ბუნებრივი. ერთხელ კიდევ ზეთისხილითა და ოსპით აავსო მონასტერი. სავანის კარიბჭესთან დასვენებული ხატი ხშირად არ უშვებდა მონასტერში ისეთ ადამიანებს, რომლებსაც მძიმე მოუნანიებელი ცოდვა ჰქონდათ სულში, და როცა ზოგიერთი მათგანი ფარულად ცდილობდა სავანეში შესვლას, უსულოდ ეცემოდა მიწაზე.

### „მე ვარ ივერთა სავანის დარაჯი“

ერთხელ, ნაშუაღამევს, მთელი დღის ხეტიალის შემდეგ ივერთა სავანეს მიადგა მწირი და მონასტრის მსახურს ცოტაოდენი პური სთხოვა. ივერთა მონასტერი ძველთაგანვე გამოირჩეოდა სტუმართმოყვარეობით. ყოველი კვირის ოთხშაბათსა და პარასკევს კარიბჭესთან სტუმრებისთვის პური და ზეთისხილი გამოჰქონდათ, ხოლო დანარჩენ დღეებში – პური და ყველი. მაგრამ მაშინ მსახურმა რატომღაც უარი უთხრა სტუმარს დაპურებაზე. განბილებული, მშიერი და მწუხარებით აღვსილი მწირი კარისკენ გაემართა. მონასტრისგან მოშორებით ერთ ქვაზე ჩამოჯდა, მაგრამ გულნატკენმა თავი ველარ შეიკავა და ატირდა. ზუსტად ამ დროს ადამიანის ფეხის ხმა შემოესმა, თავი ძლივს ასწია და დაინახა უმშვენიერესი ქალი ყრმით ხელში, რომელიც მიუახლოვდა მას და სანდომიანი სახით და ტკბილი ხმით ჰკითხა: „რა დაგემართა, რად სტირი? ავად ხომ არ ხარ?“ „არა, – უპასუხა მოგზაურმა, – ავად არა ვარ, მშია. ივერთა მონასტრის დარაჯს ცოტაოდენი პური ვთხოვე და არ მომცა“. მაშინ ქალმა მიუგო: „ნუ ბრაზობ, შვილო, ჩემი მონასტრის დარაჯზე, რამეთუ მე ვარ ივერთა მონასტრის დარაჯი. აიღე ეს მონეტა, დაბრუნდი მონასტერში და იყიდე პური. მე კი აქ დაგელოდები“.

მწირი მაშინვე გაეშურა მონასტრისკენ, იპოვა დარაჯი და სთხოვა, პური მიეყიდა და ხელში მონეტა ჩაუდო, რომელიც, მისი თქმით, ვიღაც ქალმა აჩუქა. ქალის ხსენებამ დარაჯი შეაშფოთა და საგონებელში ჩააგდო, მაგრამ მონეტის დანახვაზე ეჭვი გაეფანტა და მიხვდა, რომ სასწაული ხდებოდა. სასწრაფოდ ზარები დარეკა, რათა მამები შეეკრიბა და მათთვის მომხდარი ამბავი ეცნობებინა. მამებმა მოისმინეს ეს საკვირველი ამბავი და განცვიფრდნენ. დაადგინეს, რომ მწირის მიერ მოტანილი ოქროს მონეტა კარიბჭის ღვთისმშობლისადმი შენაწირი იყო და დიდი რუდუნებით კვლავ წმიდა ხატთან დაასვენეს. ამის შემდეგ ყველანი დაუყოვნებლივ აღნიშნულ ადგილზე მივიდნენ, მაგრამ იქ ველარავინ იპოვეს. სასწაულის სამახსოვროდ მამებმა გამოცხადების ადგილას დააყენეს პატარა სალოცავი. 1960 წელს კი ივერთა მონასტრის ბერმონაზონმა მაქსიმემ, რომელიც ტრაპიზონიდან იყო წარმოშობით, თავისი ხარჯებით მშვენიერი სამლოცველო ააგო ამ ადგილზე ივერიის ღვთისმშობლის პატივსაცემად და მას წლების განმავლობაში ემსახურებოდა. ეს სამლოცველო ლამაზი ფრესკებით არის დამშვენებული.

### კვლავ უხილავად აივსო დაცარიელებული ჭურჭელი

ვინაიდან მონასტრის მკვიდრნი ხარჯებს უფრთხილდებოდნენ, შეწყვიტეს სტუმრების მიღება და მათთვის ჩვეული სტუმარმასპინძლობა უარჰყვეს. საჭირო იყო, მომხდარიყო ახალი სასწაული. ამიტომაც პური და ოსპი გაფუჭდა საწყობში, ღვინო და ზეთისხილი ერთიანად განადგურდა. ამ უცნაური ამბით შეშფოთებული ბერები ცრემლებით ევედრებოდნენ ღვთისმშობელს, წყალობა მოეღო მათზე. შეიწყნარა მათი მუდარა მრავალმოწყალემ და მისი მადლით კვლავ უხილავად აავსო დაცარიელებული ჭურჭელი.

# მოძღვარი გვირჩევს

**კითხვა: რა ასაკიდან უნდა დავიწყოთ ბავშვის სულიერი აღზრდა?**

**პასუხი:** კარგი იქნება, თუ ბავშვს მთლად ყრმობიდან მივიყვანთ ხოლმე ხატებთან. სულიერი თვალსაზრისით სულ პატარა ასაკსაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ბავშვის სულიერი განვითარებისთვის. შემდგომში უკვე დიდ მნიშვნელობას იძენს ხშირი ზიარება, ბავშვის ეკლესიაში ტარება, მოძღვრისგან კურთხევა, წმიდა წყლის პკურება, ბავშვისთვის ლოცვა, სულიერი ხასიათის საუბრები მასთან და მისი თანდასწრებით.

**კითხვა: ვცხოვრობ საქართველოს ერთ-ერთ სოფელში. ჩემი მეგობრები თბილისში არიან, გვერდით არავინ მყავს, ვისაც ჩემს სულიერ განცდებს გავუზიარებ და გულს გადავუშლი. მარტოობით ვიტანჯები, რაც მოძღვრის რწმენასაც მიკარგავს და დეპრესიაშიც მაგდებს. როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** თქვენი მარტოობის მტანჯველი შეგრძნების ერთადერთი მიზეზი არის არაეკლესიურობა. საკმარისია დაიწყოთ რელიგიური ცხოვრება – იკითხოთ ლოცვები, ეზიაროთ, გაეცნოთ მამათა ცხოვრებას, რომ მარტოობის მძაფრი შეგრძნება გაგიქრებათ. წმიდა მამები მოშორებულნი იყვნენ ახლობლების წრეს, მაგრამ სავსენი იყვნენ საღვთო მადლით.

**კითხვა: რა მოვალეობები აკისრია ქრისტიან ადამიანს სხვა ადამიანების მიმართ?**

**პასუხი:** ქრისტიანს ყველა უნდა უყვარდეს უფლის მიერ; ყველა უნდა დააყენოს თავისზე წინ; მოთმინებით უნდა აიტანოს მათი უძლურებანი და უგუნურებანი; არავინ არ უნდა შეურაცხყოს; სარგებლობა უნდა მოუტანოს მათ სულიერი საუბრებით და უნდა ილოცოთ ერთმანეთისთვის.



**კითხვა: არის თუ არა გამართლება ქრისტიანისთვის აღმსარებლობის აღიარება ეკლესიაში სიარულის გარეშე?**

**პასუხი:** ვინც უფლის სახლს გაურბის, ის თავად უფალს გაურბის და განეშორება. მისთვის უცხოა რწმენა და კეთილზნეობა. ასეთი ადამიანების ცხოვრება აღსავსეა ვნებებით და ხშირად ეკლესიაში წაუსვლელობას ისინი ამართლებენ დაკავებულობით, დროის უქონლობით, რაც არასწორია.

# მამათა შეგონებანი

**ანტონ ჭყონდიდელი:** ყოველივე სოფლისა მსწრაფლ წარმავალი არის; რადგან წარმავალი არის, ცოდვისგან მოქცევას ნუ ჰყოფნით, თორემ სოფლის წარსულის მერმე სინანულის მუშაკობა აღარ არის. გესმის დიდი იერემია წინასწარმეტყველისგან: „წარხდა მკა და წარვიდა ლეწვა“. უნანელად აქედამ განსრულს ქრისტესგან ეს არ ესმის: „მოვედით ჩემდა“, არამედ „წარვედით ჩემგან“, ეს ესმის. წოდება აქ არის, ამასვე სოფელსა და ნუღარ ჰყოფნი, ცოდვის სიბნელიდამ გამოდი.

**პაისი მთაწმინდელი:** წყევლას ძალა მაშინ აქვს, როდესაც ის უსამართლობაზე რეაგირებას წარმოადგენს. მაგალითად, როდესაც ერთი ქალი სასაცილოდ იგდებს მეორეს – ტანჯულს, ან რაიმე ბოროტებას ჩაიდენს მის მიმართ და დაზარალებული დაწყევლის, რომ წყეული იყოს მისი შთამომავლობა, ვინც უსამართლოდ მოიქცა – აი, ამ წყევლას ძალა აქვს. ღმერთი უშვებს, წყევლას ჰქონდეს ძალა ისევე, როგორც, ვთქვათ, უშვებს იმას, რომ ერთმა ადამიანმა მეორე მოკლას. თუმცა, უსამართლობა რომ არ ყოფილიყო, წყევლა უკან დაუბრუნდებოდა მას, ვისგანაც გამოვიდა.

**ნეტარი ავგუსტინე:** კარგი გონებისთვის სხვათა განსჯისას ბუნებრივია, ჭეშმარიტების და არა სიტყვის სიყვარული.

**გაბრიელ ეპისკოპოსი:** ვინ მოთვლის, რამდენი ვნებისა და მწუხარების მიზეზი გამხდარა ჭორაობა და დაბეზღება, რამდენი მეზობელი, მოყვარე და ნათესავი გადაუმტერებია ერთმანეთისთვის. ერთი ძირითადი მიზეზი იმ სიძულვილის შურისა და განხეთქილებისა, რომელსაც, სამწუხაროდ, ხშირად ვხედავთ მეზობელთა, მოყვასთა და ნათესავთა შორის, სწორედ დაბეზღება და ენის მიტან-მოტანაა. ზოგიერთს ეს ჩვეულება ცოდვადაც კი არ მიაჩნია, მაგრამ ვნახოთ, რას გვასწავლის საღმრთო წერილი, კერძოდ კი, მოციქული იაკობის კათოლიკე ეპისტოლე. მოციქული გვეუბნება, რომ ღმრთის წინაშე სრული კაცი ისაა, ვინც არც სიტყვით სცდება, მას შეუძლია აღვირი მთელ სხეულს ამოსდოსო. ამას იმიტომ გვეუბნება, რომ ენით შეცოდება ადვილია და დიდ შრომას არ მოითხოვს და თუ იგი დაიმორჩილა კაცმა, სხვა ცოდვასაც ადვილად შეებრძოლება.

**ნიკოლოზ სერბი:** ყოველივეს, რასაც ღვთის გულისთვის დაკარგავ, მოპოვებულია; ყოველივეს, რაც საკუთარი თავისთვის შეინახავ, დაკარგულია. ყველაფერი, რასაც ღვთის სახელით გასცემ, ასმაგად აგინაზღაურდება; ყოველივე, რასაც შენ სახელისა და პატივმოყვარეობისთვის გაიღებ, დაკარგულია. ყოველივე, რასაც მიიღებ, ადამიანთაგან უფლის სახელით, სიხარულს მოგანიჭებს; ყოველივე, რასაც ადამიანთაგან ჯილდოს სახით მიიღებ, მხოლოდ საზრუნავს გაგიმრავლებს.

**წმიდა სილუანი:** უფლის გული მოიგება ადამიანებთან ალერსიანი მოპყრობით, განრისხებულის დაცხრომით, უკეთესი საგნებისგან მზერის არიდებით, უკეთური აზრების უკუგდებით, ლოცვისთვის საკუთარი თავის ძალდატანებით.

# რომელი ლამაზმანია ჰოლანდიელი ვარსკვლავის უესლი სნეიდერის მეუღლე და რით არის ცნობილი ლიონელ მესის ყოფილი „გერლფრენდი“, ლუსიანა სალაზარი

*ფეხბურთელების ცოლები და „გერლფრენდები” არანაკლებად ცნობილნი არიან. მათ შესახებ ბევრს საუბრობენ ჟურნალისტებიდან დაწყებული საფეხბურთო ექსპერტებით დამთავრებული. განსაკუთრებით კი მათით ინტერესდება „ყვითელი პრესა”. „თბილისელების” ამ ნომერში გთავაზობთ 2012 წლის ფეხბურთელების ყველაზე სექსუალური მეორე ნახევრების ტოპ-ათეულს.*

## იოლანტა სნეიდერი

ესპანელი მოდელი, ტელეწამყვანი და უბრალოდ ლამაზი ქალი – იოლანტა მილანის „ინტერის” ჰოლანდიელი ვარსკვლავის, უესლი სნეიდერის მეუღლეა.



თავისი სექსუალურობით იოლანტამ დიდი ხანია, ყურადღება მიიპყრო და არაფრით ჩამოუვარდება განთქმულ იტალიელ ლამაზმანებს. 2006, 2007 და 2009 წლებში გავლენიანმა ჟურნალმა FHM-მა იოლანტა სნეიდერი ჰოლანდიის ყველაზე სექსუალურ ქალად დაასახელა. იოლანტა და უესლი სამი წელია, ერთად ცხოვრობენ და თავს ბედნიერად გრძნობენ. იოლანტა თითქმის არ აცდენს მეუღლის მატჩებს და სტადიონის ტრიბუნიდან გულმხურვალედ ქომაგობს მას.

## სილვია მაიჰელი

მიუნჰენის „ბაიერნისა” და გერმანიის ნაკრების ფორვარდის მარიოს გომესის მეგობარი გოგონა – სილვია მაიჰელი გერმანიაში იმითაა ცნობილი, რომ ულამაზესი ღიმილი აქვს. გარდა ამისა, სილვია აღნაგობითაც არაფრით ჩამოუვარდება განთქმულ მოდელებს და ცნობისთვის, მარიოს გომესს და გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატზე ყველა მატჩზე ტრიბუნიდან ქომაგობდა, რაც ფეხბურთელების ცოლების უმეტესობამ ვერ გარისკა. ეშინოდათ პოლონეთსა და უკრაინაში მგზავრობის.



## სარა კარბონერო

სარა კარბონერო, ესპანელი მოდელი და ტელეწამყვანი მადრიდის „რეალისა” და ესპანეთის ნაკრების გოლკიპერის, იკერ კასილასის საცოლეა. იკერისა და სარას რომანის შესახებ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობის დროს გახდა ცნობილი, ხოლო პირდაპირ ეთერში ნაჩვენებმა ვნებიანმა ამბორმა იკერის თაყვანისმცემლებს საბოლოოდ დაუკარგა იმედი, რომ ოდესმე მათი რჩეული გახდებოდა. ამბობენ, რომ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე განცდილი ერთადერთი მარცხი, ესპანეთმა სარას გამო განიცადა. მან, უბრალოდ, ყურადღება გაუფანტა იკერს, როდესაც შვეიცარიის ნაკრების ფეხბურთელი კარის მიმართულებით ურტყამდა.



## კაროლინა სელიკო

ბრაზილიელი ლამაზმანი კაროლინა სელიკო კაკას მეუღლეა. კაროლინა ნამდვილი პოლიგლოტია და საუბრობს თავისუფლად ხუთ ენაზე: ესპანურ, პორტუგალიურ, ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე. კაკა და კაროლინა 2005 წლიდან ერთად ცხოვრობენ. კაროლინას დედა ბრაზილიაში „დიორის” სახლის წარმომადგენელია და არც კაროლინაა შორს სამოდელო ბიზნესისგან. ის ხშირად მონაწილეობს ჩვენებებში.



## ლუსიანა სალაზარი

არგენტინელი მოდელი, მომღერალი და ეროტიული ჟანრის ფილმების ვარსკვლავი. ლუსიანა სალაზარი სპორტის სამყაროში ცნობილი ლიონელ მესისთან რომანით გახდა. „ბარსელონას” სუპერვარსკვლავი ლუსიანას 97-სანტიმეტრიანი ბიუსტით მოიხიბლა. მესი უკვე დიდი ხანია ლუსიანას აღარ ხვდება. თუმცა, ამბობენ, რომ ლუსიანას ძალიან ენატრება არგენტინელი ლეგენდა. ცნობისთვის, მესიმდე ლუსიანას გახმაურებული რომანი ჰქონდა ჩოგბურთელ ნიკოლას მასუსთან.



## ფრედერიკა ნარჯი

ფრედერიკა იტალიელი ფორვარდის, „იუვენტუსის” წევრის, ალესანდრო მატრის მეუღლეა. წარსულში ფრედერიკა „მის რომი” და „მის იტალია” იყო. ამჟამად კი წარმატებული მოდელია, რომელსაც ძალიან უყვარს მილანურ და ტურინულ ბუტიკებში შოპინგზე სიარული. ამბობენ, რომ ალესანდრო მატრით რუსული კლუბებია დაინტერესებული და შესაძლოა, ფეხბურთელს მოსკოვში ან პეტერბურგში მოუწიოს გადაბარგება. საინტერესოა, ამ ფაქტს როგორ შეხვდება ფრედერიკა, რომელსაც ძალიან უყვარს სითბო და მზეზე გარუჯვა.




## შაკირა

„ბარსელონას” და ესპანეთის ნაკრების მცველის, ხერარდ პიკეს ვარსკვლავური მეორე ნახევარი – შაკირა 10 წლით უფროსია თავის რჩეულზე. თუმცა, ეს ფაქტი მას ხელს არ უშლის, 2012 წლის ყველაზე სექსუალური ფეხბურთელების რჩეულების რეიტინგში მოხვდეს. შაკირას პოპვარსკვლავობა და პიკეს სპორტული წარმატებები ამ წყვილს ერთ-ერთი ყველაზე გლამურული წყვილის სახელს ანიჭებს. ცნობისთვის, შაკირა ახლო მომავალში პიკესგან შვილს ელოდება და 2013 წელს ისინი თავიანთ ურთიერთობასაც ოფიციალურ სახეს მისცემენ.



## ირინა შეიკი

ირინა რუსეთის ჩრდილოეთიდან, ჩელიაბინსკის რაიონის მეშახტეების ქალაქიდანაა წარმოშობით. მისი ნამდვილი გვარია შაიხლისილამოვა, თუმცა ფსევდონიმით – შეიკით იცნობენ. მომხიბვლელი ირინა ბოლო დროის ერთ-ერთი ყველაზე ტირაჟირებული მოდელია, რომლის ჟურნალის ყდაზე გამოჩენა არაერთი ცნობილი გამოცემის პრიორიტეტია. ირინას დიდი ხანია, რაც რომანი აქვს „რეალის” პორტუგალიელ ვარსკვლავთან, კრიშტიანუ რონალდუსთან. თუმცა, ოფიციალური სახის მიცემას თავიანთი ურთიერთობებისთვის ისინი არ ჩქარობენ. შეიკი რომ ნამდვილი სექს-სიმბოლოა, ამას მისი ნებისმიერი ფოტო მოწმობს, რომელთა უმეტესობა საკმაოდ გულახდილია.

## ალენა სერედოვა

ჩეხი მოდელი ალენა სერედოვა იტალიის ნაკრებისა და „იუვენტუსის” ლეგენდარული მეკარის, ჯან-ლუიჯი ბუფონის მეუღლეა. ჯიჯი და ალენა იტალიაში ერთ-ერთ ყველაზე ლამაზ და სექსუალურ წყვილად მიიჩნევა. ალენა 1998 წლის „მის ჩეხეთია”. ამის გარდა სხვადასხვა დროს ის „პენტჰაუსის”, „ფლეიბოისა” და „იქსტრემის” გამოცემებთან თანამშრომლობდა. ამ ჟურნალების გარეკანზე ის საკმაოდ გულახდილ ფორმაში პოზირებდა. ალენა ხშირად ესწრება მეუღლის მატჩებს და მას კომპანიონობას უწევენ მისი და ჯიჯის საერთო ვაჟები – თომასი და დავიდი.

## ვიქტორია ბექჰემი

დევიდ ბექჰემის ცნობილი მეუღლე, 2013 წელს 40 წლის გახდება. თუმცა, დღემდე მიიჩნევა ის სილამაზის ეტალონად, მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე ხშირად სწორედ ვიქტორიას გემოვნებასა და პლასტიკურ ოპერაციებზე საუბრობენ. ვიქტორია ოთხი შვილის დედაა და ამის მიუხედავად, ბრწყინვალე ფორმაშია და სიამოვნებით უკეთებს დემონსტრირებას თავის სხეულს. „სფაის გერლზის” ყოფილი სოლისტი – ვიქტორია, სამოდელო ბიზნესით არის დაკავებული და ამ სფეროში დიდი გავლენითაც სარგებლობს.

## რონალდუს პაემანი მინეტისთან

„რეალის" ვარსკვლავი კრიშტიანუ რონალდუ და სილვიო ბერლუსკონის სექს-სკანდალთან ასოცირებული იტალიელი დეპუტატი, ნიკოლ მინეტი, მადრიდის ერთ-ერთ სასტუმროში სადილობის დროს „გამოიჭირეს", რამაც ჟურნალისტებს საფუძველი მისცა, ივარაუდონ, რომ რონალდუ თავის საცოლეს, ირინა შეიკს ღალატობს. რონალდუ და მინეტი მხოლოდ სადილით არ შემოფარგლულან, მეორე დღეს ისინი ერთად იყვნენ შოპინგზე, ხოლო ღამით რონალდუ ლამაზმანის სასტუმროს ნომერში გვიანობამდე დარჩა. ირინა შეიკი იმ პერიოდში მაიამიში იმყოფებოდა და აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ჯერჯერობით კომენტარი არ გაუკეთებია. რაც შეეხება თავად ნიკოლ მინეტის, მისი სახელი ერთხელ უკვე გაეხვია სკანდალში, კერძოდ, ბერლუსკონის სექს-წვეულებების ორგანიზატორად სწორედ ის სახელდება.





## ბალოტელის ახალი ტატუ

„მანჩესტერ სიტის" იტალიელმა თავდამსხმელმა, სკანდალურმა მარიო ბალოტელიმ, ახალი ტატუ გაიკეთა სხეულზე. ბალოტელიმ დაიწერა ჩინგიზ-ყაენის ცნობილი ფრაზა: „მე ღმერთის რისხვა ვარ. თუკი თქვენ არ ჩაგიდენიათ დიდი ცოდვა, ღმერთი არ განრისხდება თქვენზე ჩემი გამოგზავნით". 24 წლის იტალიელი ფიქრობს, რომ ახალი ტატუ მას ძველი კონდიციების აღდგენაში დაეხმარება, რადგან, სეზონის დაწყებიდან მას ხშირად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ არ აჩვენებს სათანადო თამაშს, რასაც მისგან მწვრთნელები მოითხოვენ.



## ავსტრალიის ოლიმპიური სექს-სიმბოლო

ავსტრალიელი მოდელი, მსახიობი, ყოფილი ტანმოვარჯიშე და ამჟამად დიჯეი, 29 წლის ემილი სკოტი, ვინდსერფინგის დიდი მოყვარულია და სპორტის ამ სახიფათო სახეობით არის გატაცებული. „ფლეიბოისთვის" პოზირებით განთქმული ემილი ავსტრალიის სახელით გამოდიოდა ლონდონის 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადაზე და თავისი ქვეყნის ნაკრების სექს-სიმბოლოდ იქცა. ემილის მთავარი გატაცება მუსიკა და ზღვა ყოფილა. ბოლო დროს იგი თავისუფალ დროს მუსიკას უთმობს და მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე სექსუალურ დიჯეიდ ითვლება.

## მძლეოსნის სკანდალური აღიარება

ამერიკელმა მძლეოსანმა, 1992, 1996 და 2000 წლების ზაფხულის ოლიმპიადების მონაწილემ, სიუზი ფლივორ ჰემილტონმა, საჯაროდ აღიარა, რომ ბოლო პერიოდში ლას-ვეგასში მეძავად მუშაობდა და კლიენტებს გამოძახებით ემსახურებოდა. სიუზი – 44 წლის, გათხოვილი ქალი და სამი შვილის დედა, კელის ფსევდონიმით ემსახურებოდა კლიენტებს და საათში 600 დოლარს იღებდა, ორ საათში – 1 000-ს, ოთხ საათში – 4 ათასს და მთელ ღამეში – 6 ათასს. სიუზის თქმით, მისი მეუღლე საქმის კურსშია, უკმაყოფილოა, რომ ცოლი ასეთი გზით შოულობს ფულს და მოუწოდებს, რომ დაასრულოს მეძავის კარიერა. სიუზის თქმით, მეძავობა მისი ცხოვრების შეცდომაა, თუმცა, იმდენად არის ჩართული ამ საქმეში, რომ უახლოეს მომავალში არ აპირებს თავის დანებებას.

## მეტსახელად „ზეედორფი"

ვეტერანი ჰოლანდიელი ფეხბურთელი კლარენს ზეედორფი „მილანიდან" ბრაზილიაში გადავიდა სათამაშოდ და იქ, როგორც ჩანს, მალევე გაიჩინა თაყვანისმცემლების მთელი არმია. მათ შორისაა კოპაკაბანას პლაჟის ვარსკვლავი ლილიანა დუარტეა, რომელსაც კლარენსთან გარეგნული მსგავსების გამო მეტსახელად „ზეედორფი" უწოდეს. ლილიანას თქმით, ის ბედნიერია, რომ ლეგენდარულ ფეხბურთელს ამსგავსებენ, მოსწონს ფეხბურთი და სიამოვნებით ითამაშებდა მასთან ერთად.

## ისინბაევა – სოჭის მერი

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჭოკით ხტომაში, რუსი ელენა ისინბაევა, 2014 წლის სოჭის ზამთრის ოლიმპიური თამაშების პერიოდში ოლიმპიური სოფლის მერი იქნება. ამის შესახებ ოლიმპიადის ორგანიზაციულმა კომიტეტმა გააკეთა განცხადება, მაგრამ, არ დაუკონკრეტებია, რატომ შეირჩა ისინბაევას კანდიდატურა. ელენა ისინბაევა 2004 და 2008 წლების ოლიმპიურ თამაშებზე გახდა ოქროს მედლების მფლობელი, 2012 წელს ლონდონში კი მხოლოდ ბრინჯაოს მედალს დასჯერდა. ამბობდნენ, რომ ოლიმპიადის შემდეგ ისინბაევა აქტიური სპორტიდან წასვლას აპირებდა, თუმცა, თავად სპორტსმენმა გააკეთა განცხადება, რომ 2016 წელს რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადის შემდეგ დაემშვიდობება სპორტს.



## საკალათბურთო „რეალის" სექსუალური ქომაგი

როგორც მამრობითი, ისე მდედრობითი სქესის უამრავი თაყვანისმცემელი ჰყავს ესპანურ საკალათბურთო გუნდს, მადრიდის „რეალს." „რეალი" ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ გუნდად ითვლება და მისი მოთამაშეები არაფრით ჩამოუვარდებიან პოპულარობაში თავიანთ საფეხბურთო სეხნიებს. თაყვანისმცემლების განსაკუთრებით დიდი არმია დონტაიე დრაპერს ჰყოლია – ავსტრალიელ სპორტსმენს შორეული სამშობლოდანაც ქომაგობენ და მათ შორის ყველაზე სექსუალურის დადგენა ჟურნალისტებისთვის ტექნიკის საქმე იყო: დიდი ხანია, რაც მოდელი ჯესიკა კრიბონი დრაპერს ქომაგობს და ესპანურ საკალათბურთო ლიგის მატჩებს ადევნებს თვალს.

## ყველაზე სექსუალური ბოდიბილდერი

33 წლის ბრაზილიელი ლარისა რეიესი პლანეტის ყველაზე სექსუალური ბოდიბილდერია. ლარისა 17 წლის ასაკიდან არის დაკავებული ბოდიბილდინგით და 2009 წელს „მის ოლიმპიას" კონკურსზე მეორე ადგილი დაიკავა. ამასთან, ლარისა წარმატებული მოდელიცაა და ხშირად პოზირებს „ფლეიბოისთვის". სხვათა შორის, ლარისას უნივერსიტეტი აქვს დამთავრებული და სპეციალობით ის ტურიზმის მენეჯერია, თუმცა, შტანგისა და სხვა სიმძიმეების აწევა მას როგორც ჩანს, უკეთ ეხერხება.



გვერდები მოამზადა უშანგი რუხაძემ



## როგორ ვუმკურნალოთ ნაბახუსევს

ნაბახუსევი ქრონიკული ალკოჰოლიკებისთვის განსაკუთრებით მტანჯველია. მათ აწუხებთ თავის ტკივილი, ციება, ხელების კანკალი, კუჭ-ნაწლავის აშლილობა, დეპრესია, აჩქარებული გულისცემა და ასე შემდეგ. ამიტომ მათთვის აუცილებელია, ამ დროს ასი მილილიტრი სასმლის დალევა.

რაც შეეხება მას, ვინც იშვიათად სვამს სპირტიან სასმელს, ნაბახუსევ მდგომარეობაში იშვიათადაა. მხოლოდ იმ შემთხვევაში: თუ უხარისხო, მავნე ნივთიერებების შემცველ ალკოჰოლურ სასმელს დალევენ, ან ზედმეტი დოზა მოუვათ და თან, საკვებსაც არ მიაყოლებენ; თუ სხვადასხვა სპირტიან სასმელს, მაგალითად, არაყს, ღვინოს, კონიაკს ერთმანეთში აურევენ.

ნაბახუსევის ყველაზე ტიპური სიმპტომია თავის ტკივილი. ეს გამოწვეულია იმით, რომ სპირტი და მასში შემავალი ტოქსიკური ნივთიერებები ნერვულ სისტემას აზიანებს. გარდა ამისა, ალკოჰოლით მოწამვლა შიდა ქალის წნევას სწევს მაღლა. ამ დროს ადამიანს პირის სიმშრალე და წყურვილის გრძნობაც აწუხებს. ალკოჰოლს ორგანიზმის გამოშრობაც შეუძლია. წინა საღამოს გადამეტებული დოზით ალკოჰოლის მიღება, მეორე, დილას ორგანიზმში სითხის დეფიციტს იწვევს. იმისთვის, რომ ეს დეფიციტი სასწრაფოდ შეივსოთ და წყურვილის გრძნობაც მოიკლათ, სითხე ერთბაშად არ უნდა მიიღოთ. გაღვიძებიდან ორი საათის განმავლობაში ლიტრ-ნახევრამდე სითხე დალიეთ, ოღონდ არა გაზიანი. კარგია, ასევე, მაგარი ჩაი ან ყავა.

ნაბახუსევზე ბევრი ადამიანი მინერალური წყლის დალევას ამჯობინებს. ეს სწორიცაა, რადგან ნაბახუსევზე ორგანიზმი ალკოჰოლის მიღების შედეგად დაგროვილი ტოქსიკური ორგანული ნაერთებისგან გათავისუფლებას გთხოვთ. მთელი დღის განმავლობაში შეგიძლიათ, ორ ლიტრამდე მინერალური წყალი დალიოთ. წყურვილის მოკვლის გარდა, ასევე უნდა იზრუნოთ ორგანიზმში ელექტროლიტების, კერძოდ მაგნიუმის, ნატრიუმისა და ფოსფორის დოზის აღდგენაზეც. ამ ნივთიერებებით მდიდარია კიტრის მწნილის წვენი, კომბოსტოს მწნილი, ხორბლის ბურახი. ისაუზმეთ ნოყიერი კერძებით, მიირთვით კარტოფილი, ბოსტნეული და რძის პროდუქტები.

ნუ გაჩერდებით დიდხანს ცხელი წყლის აბაზანაში, რადგან ამით გულსისხლძარღვთა სისტემას შეუქმნით საფრთხეს. ეფექტურია ნელთბილი შხაპის მიღება. ის ნივთიერებათა ცვლის პროცესს და ოფლის გამოყოფას აუმჯობესებს, რომელსაც ტოქსინები გამოაქვს ორგანიზმიდან.

ნაბახუსევზე უნდა მოერიდოთ ფიზიკურ დატვირთვას. ჯობია, სუფთა ჰაერზე ისეირნოთ.

## ნუ დალევთ არაყსა და ანტიბიოტიკებს გრიპის სამკურნალოდ

თუ გრიპს სწორად უმკურნალებთ, ის მალევე გაგივლით. ბევრი ამ დროს ასპირინს სვამს. ამ პრეპარატს შეუძლია ტკივილების შემსუბუქება, ანუ ებრძვის დაავადების შედეგს და არა მიზეზს. ზოგადად, გრიპის დროს ასპირინის დალევა არ არის რეკომენდებული, რადგან ის აძლიერებს ჰემორაგიულ სინდრომს, ანუ ზრდის სისხლძარღვთა გამავლობას, რამაც, შესაძლოა, გაუთვალისწინებელი შედეგები გამოიწვიოს.

გრიპის დროს ანტიბიოტიკების მიღებაც არ იძლევა შედეგს, რადგან ვირუსზე არ მოქმედებს.

კარგია გრიპის დროს ცხელ წყალში ფეხების ჩაყოფა, მაგრამ ეს არ ვარგა, თუ მაღალი სიცხე გაქვთ. ამ დროს აჩქარებულია გულისცემა, ხოლო ცხელ წყალში ფეხების ჩაყოფა, გულს დამატებით დატვირთავს.

მეცნიერებმა კვლევის საფუძველზე დაამტკიცეს, რომ გრიპი ზოგჯერ სასარგებლოც კია. მათ აღმოაჩინეს კავშირი გადატანილ ინფექციურ დაავადებებსა და სიმსივნური წარმონაქმნების მიმართ ორგანიზმის განწყობას შორის. კვლევამ აჩვენა, ვისაც გამუდმებით ემართება გრიპი, მწვავე რესპირატორული დაავადება და ანგინა, გაცილებით ნაკლები რისკი აქვს, დაავადდეს კანის კიბოთი, ვიდრე მას, ვისაც ცივ პერიოდში ეპიდემიები არ ემართება.

ეს უკავშირდება იმუნიტეტის თავისებურებასაც, კერძოდ, ორგანიზმი თითქოს კომპენსაციას უკეთებს ჩვეულებრივი ინფექციებისგან თავის დაცვის უუნარობას და თავად იბრძვის.

ზოგი გრიპის დროს არაყს სვამს და ჰგონია, ამით თავს დაიცავს. ეს ასე არ არის. სპირტი არ არის ვირუსის საწინააღმდეგო საშუალება. პირიქით, ის ასუსტებს ორგანიზმს და აქვეითებს იმუნიტეტს. ამიტომ, მსმელები უფრო ხშირად ავადდებიან გრიპით და უფრო რთულადაც გადააქვთ ეს დაავადება, ვიდრე მათ, ვინც ზომიერად ან საერთოდ არ სვამს. გარდა ამისა, ბევრი მედიკამენტი ალკოჰოლთან შეუთავსებელია და მათი ერთდროული მიღება სასტიკად იკრძალება.

## ზეთისხილი იცავს გულს, მწვანე სალათის ფურცლებს კი ორგანიზმიდან გამოაქვს ტოქსიკური ნივთიერებები

ზეთისხილი და მწვანე სალათის ფოთლები ნებისმიერი ადამიანისთვის ძალიან სასარგებლოა, ამიტომ, ისინი ხშირად უნდა მიირთვათ.

ზეთისხილი იცავს გულსა და სისხლძარღვებს. დილით მიირთვით 5-6 ცალი ზეთისხილი ან დალიეთ ერთი ჩაის კოვზი ზეითუნის ზეთი, თუ, რა თქმა უნდა, ეს შეგიძლიათ. ის სისხლს ამარაგებს მეტად მნიშვნელოვანი მჟავებით და ეფექტურად იცავს ორგანიზმს გულ-სისხლძარღვთა სისტემის პათოლოგიებისგან.

მწვანე სალათის ფოთლები კი სხვა ბოსტნეულთან ერთად დაბლა სწევს არტერიულ წნევას და ორგანიზმიდან გამოაქვს ტოქსიკური ნივთიერებები. მათ, ვინც ხშირად მიირთმევს მწვანე სალათის ფოთლებს, არ ემუქრება ნაწლავური აშლილობა. ამ ბოსტნეულის შემადგენლობაში არსებული ფლავონოიდები, ასევე, ეფექტურად იცავს კანს და, მთლიანად ორგანიზმს, ნაადრევი დაბერებისგან.

ჭამეთ ზეთისხილი, სალათის ფოთლები და იყავით ჯანმრთელები.

## ნუ ეხუმრებით გაციებას!

გაციება სიცივის დადგომისთანავე ვლინდება. ბევრი ჩვენგანი მკურნალობას თავს არიდებს და ფიქრობს, რომ ეს თავისით გაივლის. არადა, გართულებულმა გაციებამ შესაძლოა, სერიოზული დაავადება გამოიწვიოს.

გირჩევთ, გაციების დასაწყისშივე ძლიერმოქმედი აბების მიღებას მოერიდოთ, რადგან ბევრი სხვა ეფექტური საშუალებაც არსებობს.

ბევრი იმასაც ამბობს: თუ სურდო უკვე შეეყარა ადამიანს, მასთან ბრძოლა დაგვიანებულიაო. ეს მცდარი მოსაზრებაა, რადგან თუ დროულად დაიწყებთ მკურნალობას, სურდოს რამდენიმე დღეში დააღწევთ თავს.

სამკურნალოდ კი ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება ინჰალაციაა. ადუღეთ წყალი, ჩააწვეთეთ მასში რამდენიმე წვეთი ევკალიპტის ზეთი, თავზე პირსახოცი წაიფარეთ და ცხელი ორთქლი ისუნთქეთ. ევკალიპტს ანთების საწინააღმდეგო თვისება აქვს და სუნთქვას მკვეთრად აუმჯობესებს. თუ ოფლის მოდენა გინდათ, მდუღარეში დარიჩინი ჩაუმატეთ. ის ოფლის მოდენაში დაგეხმარებათ და ორგანიზმს გაათბობს. მდუღ-

არე წყალში ჩამატებული ნახევარი ჩაის კოვზი დარიჩინი ვირუსებს ანადგურებს და სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს.

ასევე, სურდოს დროს კარგია ცხელ წყალში ფეხების ჩაყოფა. როცა ფეხებს ითბუნებთ, სისხლი ქვედა კიდურებს აწვება და თავში არსებული სისხლძარღვები იკუმშება.

ყელის ტკივილის დროს კი სავლები დაგეხმარებათ. თბილ წყალში ჩაუმატეთ რამდენიმე წვეთი ევკალიპტის ეთერზეთი და ყელში გამოივლეთ. ამ მცენარეს ანტიბაქტერიული ეფექტი აქვს და ინფექციას იოლად ამარცხებს.

ამიტომ გირჩევთ, მიმართოთ ხალხურ მედიცინას და გაციების პირველი ნიშნებისთანავე ძლიერმოქმედ აბებს მოერიდოთ.

### როგორ უნდა უშველოთ შემაწუხებელ ხველას

ხველის დასაწყისშივე მთავარია, კარგად ჩათბეთ და იმუნიტეტი გაიძლიეროთ, რათა ორგანიზმს ხველასთან ბრძოლაში დაეხმაროთ. ამ დროს ძალიან კარგია პიტნის ნაყენი წიწაკით. კერძოდ, ერთი სუფრის კოვზ დაქუცმაცებულ პიტნის ფოთლებს დაასხით ერთი ჭიქა მდუღარე წყალი და ნელ ცეცხლზე ადუღეთ ხუთი წუთით. შემდეგ დაამატეთ ერთი ჩაის კოვზი თაფლი, 1/4 ჭიქა ლიმონის წვენი და ერთი მწიკვი დაფქული წიწაკა. ნაყენი დალიეთ ცხელი.

ეფექტის გასაძლიერებლად, გაიკეთეთ ცხელი კომპრესი, კერძოდ, სამი წილი ცხელი წყალი და ერთი წილი ვაშლის ძმარი აურიეთ ერთმანეთში, დაასველეთ მასში დოლბანდი, კომპრესი ოცი წუთით გაიკეთეთ ყელსა და გულზე.

ორგანიზმის დამცველი ძალის გასაძლიერებლად კარგია C ვიტამინის შემცველი პროდუქტების მიღება.

სურდოს დასამარცხებლად კარგი საშუალებაა კოქტეილები:

აიღეთ ერთი ჩაის კოვზი ასკილის სიროფი, ორი სუფრის კოვზი ჭარხლის წვენი, ორი სუფრის კოვზი კეფირი ან მაწონი. კარგად აურიეთ, ჩააწურეთ ნახევარი ლიმონი და სვით რამდენიმე დღის განმავლობაში.

### კარგი განწყობისთვის ხშირად მიირთვით ბანანი და ავოკადო

ბანანის რბილობში გროვდება ნივთიერებები, რომელთა წყალობით, გვეუფლება სიხარულისა და სულიერი კომფორტის განცდა. კერძოდ, ტრიპტოფანი ტვინში სეროტონინის გამომუშავებას აძლევს სტიმულს. დღეში ერთი ან ორი ცალი ბანანის ჭამა სრულიად საკმარისია კარგი განწყობის შესანარჩუნებლად.

ნახევრად უჯერი ცხიმმჟავების შემცველობით ავოკადო ყველა სახის ხილსა და ბოსტნეულს სჯობია. გარდა ამისა, მასში უხვადაა A პროვიტამინი, B ჯგუფის, C, D და E ვიტამინები. ავოკადოს ეთეროვანი ზეთი კი შეიცავს მატონიზებელ ნივთიერებას. ამიტომ, სამყარო ლამაზად რომ აღიქვათ, სრულიად საკმარისია, დღეში ნახევარი ავოკადო მიირთვათ.

წითელ მოცხარში B და C ჯგუფის ვიტამინების, კალციუმის, ფოსფორის, რკინისა და ორგანული მჟავების დიდი რაოდენობაა, რაც უჯრედების რეგენერაციას ასტიმულირებს. ყოველდღიურად ერთი ჭიქა ახალგამოწურული მოცხარის წვენი ძალას მატებს ორგანიზმს და ამასთან ერთად, ხსნის სტრესს.

**გვერდები მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# ექიმის რჩევები

**კითხვა: მშობიარობის შემდეგ შემეცვალა თმის სტრუქტურა (თითქოს ტალღოვანი გახდა) და დამეწყო ცვენა. ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონები ნორმაშია. კიდევ რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი:** თმის სტრუქტურის შეცვლისა და ცვენის მიზეზი შეიძლება იყოს ბევრი სხვაც (ფარისებრი ჯირკვლის გარდა), მაგალითად: ცვლილებები სასქესო ჰორმონებში, თავის კანის მიკროცირკულაცია, ჰემოგლობინი. ამას გარდა, არ იქნებოდა ურიგო თმის ბოლქვისა და კანის სპეციფიკური დიაგნოსტიკა.

**კითხვა: ვარ 42 წლის. დაახლოებით 12 წლიდან ძილის წინ ცხვირში ვიწვეთებ წვეთებს, რადგან, ვწვები თუ არა, ცხვირი მეჭედება. რა არის ამის მიზეზი?**

**პასუხი:** სისხლძარღვების შემავიწროებელი წვეთების ხანგრძლივი გამოყენებისას არსებობს ქრონიკული რინიტის ნაირსახეობის – ვაზომოტორული რინიტის ჩამოყალიბების ალბათობა. ასეთ დროს ვითარდება ცხვირის ნიჟარების სისხლძარღვების ორგანიზმის მიერ არაკონტროლირებადი ტონუსის დარღვევა; ამას გარდა, ირღვევა ცხვირის ლორწოვანის ბუნებრივი მდგომარეობა.

**კითხვა: აღმომიჩინეს ლამბლიები და ჰელიკობაქტერ-პილორი. ჩავიტარე მკურნალობა. რამდენ ხანში უნდა გავიმეორო ანალიზები?**

**პასუხი:** ჰელიკობაქტერიის (კუჭის წყლულის გამომწვევი ბაქტერიები) აღმოსაჩენად განმეორებითი ანალიზის ჩასატარებლად უნდა გავიდეს 4 კვირა კუჭის სეკრეციის ბლოკატორების გარეშე, ხოლო ლამბლიების აღმოსაჩენად – მკურნალობის კურსის დასრულებისთანავე.

**კითხვა: ჩემს ქმარს აღმოუჩინეს მიკოპლაზმა, მე – არა. რა გზით გადაეცემა ეს ინფექცია და როგორ ვლინდება მამაკაცებში?**

**პასუხი:** მიკოპლაზმოზი მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელსაც მიკოპლაზმა იწვევს. მიკოპლაზმა არის მიკროორგანიზმი, რომელსაც სამედიცინო კლასიფიკაციაში შუალედური მდგომარეობა უჭირავს ბაქტერიებს, სოკოებსა და ვირუსებს შორის. გადაეცემა სქესობრივი ან ჰაერწვეთოვანი და საყოფაცხოვრებო გზით – მიკოპლაზმოზით დაავადებულთან უშუალო კონტაქტითა და საერთო მოხმარების საგნებით; ინფიცირება, ასევე, შეიძლება მოხდეს მუცლად ყოფნის პერიოდში ან მშობიარობის დროს. მამაკაცებში, ისევე, როგორც ქალებში, შესაძლებელია ინფექციის ხანგრძლივი, თითქმის უსიმპტომო არსებობა სასქესო გზებში ან მწვავე ინფექციის განვითარება ტკივილით, გამონადენით და ასე შემდეგ.

**კითხვა: რა არის სტენოკარდია და როგორ ვითარდება ის?**

**პასუხი:** სტენოკარდია – გულის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა – გულის იშემიური დაავადების (გიდ) ნაირსახეობა. ახასიათებს უეცრად განვითარებული მოჭერითი, ზეწოლითი ან მწვავე ხასიათის ტკივილის შეტევები გულმკერდში, რომელიც გამოწვეულია მიოკარდის (გულის კუნთის) სისხლით მომარაგების მწვავე უკმარისობით.

**კითხვა: შეიძლება თუ არა, ჯანმრთელ ადამიანს ჰქონდეს არითმია?**

**პასუხი:** არითმია შეიძლება იყოს აბსოლუტურად კეთილთვისებიანი, რომელიც არავითარ მკურნალობას არ საჭიროებს. შეიძლება, მის უკან იდგეს ემოციური ან ფიზიკური გადაძაბვა, ყავის დიდი რაოდენობით მიღება, ფაღარათის გამო კალიუმის დიდი რაოდენობით დაკარგვა და სხვა.

**კითხვა: იცის თუ არა ფილტვებმა ტკივილი და რა შემთხვევაში?**

**პასუხი:** ფილტვის ქსოვილს მტკივნეულობა არ ახასიათებს. ტკივილი აღინიშნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პათოლოგია პლევრას შეეხება. ფილტვების არეში მტკივნეულობა უხშირესად ნერვის ან კუნთის პათოლოგიას უკავშირდება.

**რუბრიკას უძღვება ოჯახის ექიმი**
**მაია ნუცუბიძე**



# რატომ სთხოვა ღამით მეზობელს ბორის წიფურიამ მისი ცოლის ნახმარი „ჩულქი“

*წლების წინ ამ ადამიანმა ზუსტი და გამორჩეული სახეები შექმნა ფილმებში: „შერეკილები”, „ზოგი ჭირი მარგებელია”, „მიზანი”, „ვერის უბნის მელოდიები”. მათში ის ძირითადად ცბიერი კაცის როლებს თამაშობდა. უამრავი სახე განასახიერა სცენაზეც, მაგრამ, ალბათ, ძალიან ცოტამ თუ იცის, რა ხდებოდა ამ ყველაფრის უკან. რატომ ვერ რიგდებოდნენ მსახიობი და რეჟისორები, რატომ ტოვებდა რეჟისორი მის გამო გადასაღებ მოედანს და საერთოდ, როგორ ცხოვრობდა ის. „იმედია მომიტევებთ, მე ხომ მწერალი არასოდეს ვყოფილვარ. აი, მთხრობელი კი, მგონი, ყოველთვის კარგი ვიყავი. წერილობითაც ზუსტად ისე გიამბეთ ეს ისტორიები, თითქოს ერთმანეთს სადმე, მეგობრულ ატმოსფეროში ვხვდებოდეთ. დანარჩენი კი, თავად განსაჯეთ. იმედი მაქვს, არ გამკიცხავთ, რომ შეულამაზებლად გაგიმხილეთ ყველაფერი.”*


ძმები წიფურიები

*გარდაცვალებამდე რამდენიმე წლით ადრე ბორის წიფურიამ თავისი ცხოვრების ბევრი საინტერესო ეპიზოდი ფურცელზე გადაიტანა, სწორედ იმიტომ, რომ თქვენ წაგეკითხათ და ასე გაგეხსენებინათ მსახიობი.*

## კარგი ქურდი

„ერთხანს ძალიან გამიტაცა უცხოურმა მანქანებმა და ვიყიდე კიდევ ვერცხლისფერი „ვოლვო.” მისი მომსახურება თბილისში ძალიან გაჭირდა და ორ წელიწადში ისევ გავყიდე. მაშინ ცირკის დირექტორი ვიყავი. ერთმა სპიტაკელმა სომეხმა სამსახურში მომაკითხა. მანქანა ცირკის ეზოში გასინჯეს. მაგიდაზე 60 000 მანეთი დამიდეს და წავიდნენ (მაშინ ეს ძალიან დიდი ფული იყო). ამ დროს მოსკოვიდან ვიღებ შეტყობინებას, რომ 2 საათზე დანიშნულია სხდომა (საკავშირო ცირკების გაერთიანების სამხატვრო საბჭოს პრეზიდიუმის წევრი გახლდით და არაფრით არ შეიძლებოდა გამოტოვება). საგონებელში ჩავვარდი: ამდენმა კაცმა იცის, რომ მანქანა გავყიდე. ამოდენა ფული მაქვს. უკვე საღამოა და ბანკში შეტანას ვერ ვასწრებ. ხვალ დილით უთენია უნდა გავფრინდე მოსკოვში. არც ისეთი მაგარი კარი მქონდა, რომ არ გაეტეხათ. ერთხელ უკვე იყო შემტვრეული. ვზივარ და ვფიქრობ, აღარ ვიცი, სად შევინახო ეს დასაწვავი ფული. გავედი აივანზე ვეწევი სიგარეტს. გავხედე ჩემი საყვარელი მეგობრის, გუგული დანელიასა და ნათელა ვასაძის ბინის აივანს. ვხედავ, კიდია ორი „ჩულქი“ ხახვითა და ნივრით გატენილი. უცებ შევვარდი სახლში, მაგრამ „ჩულქი“, რომ არ მაქვს, რა ვქნა?! როგორ მოვიქცე და ვეცი ტელეფონს. მეზობელი რისი მეზობელია, თუ განსაცდელში არ დაგეხმარა? ლადო გძინავს? არა, წიგნს ვკითხულობ. ლადო, მედიკოს ნუ გააღვიძებ (ცოლს) და, თუ ძმა ხარ, ნახმარი „ჩულქი“ მაჩუქე. მედიკოს „ჩულქები“ რისთვის გინდა? ლადო თუ ძმა ხარ, უარს ნუ მეტყვი, ძალიან მჭირდება და რისთვის მჭირდება, მაგას მერე აგიხსნი-მეთქი. კარგი, მოვძებნიო და დამიკიდა ყურმილი. ცოტა ხანში თვითონ მირეკავს კოლგოტკა თუ გაწყობს, ცოტა ნახმარიაო. მაწყობს, ჩემო ლადო, როგორ არ მაწყობს. ორ წუთში თავად მომადგა კარზე. მადლობა გადავუხადე, გადავკოცნე და გამოვემშვიდობე. კოლგოტკა გადავჭერი ორ ნაწილად და ვყარი შიგ ხახვს, ნიორს, თან ვურევ გაზეთში გახვეულ ფულს. შესანიშნავი შესახედი გამოვიდა, არა მგონია, ვინმემ ეჭვი შეიტანოს. გავედი აივანზე, დავკიდე ორივე ასხმა და და თან, ვფიქრობ – შევარცხვინე ის ქურდი, ვინც ხახვებსა და ნივრებში დაიწყებს ფოთიალს-მეთქი. დილით სრულიად დამშვიდებული გავფრინდი მოსკოვში. მესამე დღეს ვრეკავ მშობლებთან თბილისში. დედა მსაყვედურობს, სად დაიკარგეო. დედა მოსკოვში ვარ, საქმეები მქონდა და ვერ მოვახერხე დარეკვა. დიდუ!.. ყვირის დედაჩემი – რა კარგია, დედა, მოსკოვში რომ ხარ,


ბორის წიფურიას ძმა და მშობლები

იყავი მანდ, ნუ ჩამოხვალ ერთ-ორ დღეს თბილისში, ინგრევა აქაურობაო. რა ხდება დედა? იმისთანა ქარიშხალია, ჩვენს პირდაპირ სახლს სახურავი ახადა და აივნებიდან სულ ტაშტები და ვედროები ცვივაო. მუხლები მომეკვეთა, გული გამიჩერდა. წარმოვიდგინე როგორ დააფრიალებს ქარი ჰაერში ჩემს ფულებს, როგორ დასდევს ხალხი ეზოში ასმანეთიანებს. დედა, მისმინე ახლა კარგად, წადი ჩემთან სახლში და ნახე ხახვი თუ კიდია აივანზე. შენ რა, დედა, მთვრალი ხარ? რას ჰქვია ხახვი თუა. ხახვი კი არა, ხალხი მიაქვს ქუჩაში ქარს. ჰოდა, დედა დავილუპე, წადი, შენი ჭირიმე და ნახე ხახვი თუ კიდია აივანზე. ვერ წავალ დედა, გაგიჟდი, რა დროის ხახვია?! დედა, სხვა რამე კიდია, სხვა რამე! – ხომ ვერ გეტყვი ფულია-მეთქი. შეძლებისდაგვარად ვუხსნი. დედა, ჩემი „ვოლვო” ხომ გახსოვს? მერე? ის „ვილვო” ხომ გავყიდე დედა და ახლა იქ კიდია, ხახვში. დიდუ!.. ისევ მესმის კივილი და ტელეფონი გაითიშა. გადის ცოტა ხანი. ვრეკავ სახლში. არავინ მპასუხობს. ვრეკავ და ვრეკავ. უცებ ერთი ზარი გავიდა თუ არა, მესმის – კიდია დედა, კიდია! კარგად კიდია!.. ახლა ვფიქრობ, ნეტა, მოეგლიჯა ქარს და გაფანტულიყო ხალხში ჩემი ფული. ის ფული ჩამოსვლისთანავე შევიტანე ბანკში და მიდევს დღესაც სახლში სალაროს წიგნაკი, გაშაურებული”.


ბორის წიფურიას ხელის მოწერის დღე


ბორის წიფურია

## ხერხი

„მქონდა ისეთი შემთხვევაც, როცა კი არ ვამატებდი ტექსტს, საერთოდ არაფერს ვამბობდი. ბადრი კობახიძემ დადგა სპექტაკლი „ღვთაებრივი კომედია”: ადამი – კახი კავსაძე, ევა – ნანა ფაჩუაშვილი, ეშმაკი – გოგი გეგეჭკორი, ღმერთი –ეროსი მანჯგალაძე, ანგელოზები – მე, კარლო საკანდელიძე, გიგოლა თალაკვაძე და კიდევ ორი სხვა. რეჟისორს შევთავაზე – მოდი, ყრუ-მუნჯს ვითამაშებ-მეთქი. დამეთანხმა. მხოლოდ ბოლოს ვიღებდი ხმას ქაჯანასავით, როცა ეშმაკი შემაშინებდა და ვყვიროდი „დედა!”. ჩუმი მქონდა ერთი სცენაც: ღმერთი შუაზე მხერხავდა ნამდვილი ხერხით და მერე აღმადგენდა. იყო კივილი და სიცილი, როგორც სცენაზე, ასევე პარტერში.”

## დეიდა ვარდო და სტალინი

„ბორჯომში ვისვენებთ მე და ჩემი მეგობარი ბონდო ჯიქია. წამოდი ბილიარდი ვითამაშოთ-მეთქი და შევედით ბორჯომის მე-4 სამმართველოს დასასვენებელი სახლის საბილიარდო დარბაზში. იქაურობა ბავშვებით დაგვხვდა სავსე. ვინ გითმობს ადგილს. ამ დროს შემოვარდა, მაგრამ რა შემოვარდა – სახელს ვერ ვიხსენებ, ან მარო, ან ვარდო – მოხუცი ქალი და დაუცაცხანა ბავშვებს. თქვენ აქ რა გინდათ, თქვე არგასაზრდელებო, აქ უფროსი ხალხი მოდისო... როგორც გაირკვა, ეს ქალი ამ სანატორიუმში წესრიგის დამამყარებელი იყო. უცებ ერთმა ბავშვმა უთხრა: ვარდო (თუ მარო) დეიდა, ჩვენს წყევლას და ჩხუბს, არა სჯობია, სტალინს რომ შეხვდით, ის მოგვიყვეთო? გადმოგვხედა და ჩვენც რომ დაგვინახა ყურადღებით ვიყავით, ჩართო და ჩართო: „სისხამ დილაა, ახალგაზრდა გოგო ვარ და ვარდებს ვრწყავ შლანგითა იმ სულმნათის დასასვენებელი სახლის ეზოშია. ამ დროს, დავინახე, კაცო, მომელანდა თუ მომეჩვენა. გავიხედე, კაცო, ფლოსტებში, თეთრ შარვალში, თეთრ კიტელშია, ეს ჩვენი სულმნათი არ დამდგომია თავზედა? ბელადი! დილა მშვიდობისა, ვარდოო. ვაი... მშვიდობის დილა გაგითენდეს, ბელადო-მეთქი. როგორა ბრძანდებით, ვარდოო. კარქათა ვარ თქვენის წყალობით-მეთქი. ოჯახში ხომ კარქათა ბრძანდებითო. არა გვიშავს რა, ცოტა დედაჩემი ვერ არის კარქათა-მეთქი. თქვენ ხომ კარქათა ბრძანდებით-მეთქი. მეც არა მიშავსო... და გააბა ვარდომ მთელი დიალოგი – ბოლოს მეუბნება ის სულმნათი ისა: არა გრცხვენია, ვარდო, აბა, რას აკეთებო. რას ვაკეთებ, ბელადო-მეთქი. აბა, როგორ შეიძლებაო, ასეთი დიდი ნაპორითა ამ ვარდების მორწყვა ამ ცივი წყლითაო. აბა, შენ დაგასხას თავზე ვინმემ ცივი წყალი, კარქი იქნებაო?.. ბელადო, რავი, სულ ესე ვრწყავთ-მეთქი. არა, ძირი უნდა მოურწყაო. დღეიდან ეგრე ვიზამ, ბელადო, თქვენ გაიხარეთ, თქვენა, ეგ რომ მასწავლეთ-მეთქი... უცებ ერთი ბუთხუზა ბიჭი ეუბნება: „იცი, რას გეტყვი, ვარდო დეიდა? ამდენი, თქვენ რომ ილაპარაკეთ, ჟუკოვს არ ულაპარაკია სტალინთანო. დავიხოცეთ სიცილით.“

## შეშინებული გოგოები და თავხედი რადიოგადამცემი

„ერთხელ დასასვენებლად წავედით მე და ჩემი ძმაკაცი კუკური მეფარიძე. ნელ-ნელა ავყევით, ავყევით და რიგაში ამოვყავით თავი. წასვლის წინ ერთმა ჩვენმა მეგობარმა მოკლეტალღიანი რადიოგადამცემი გაგვატანა – გამოგადგებათო. რა მოვალეობას ასრულებდა, იცით? მაგალითად, გავიცანით გოგოები, ვსხედვართ რესტორანში. ეს გადამცემი ძალიან პატარაა, შეუმჩნევლად ვტოვებ მაგიდაზე და მივდივარ მანქანისკენ. მაგიდასთან რა საუბარიც გრძელდება, ის მესმის მოკლე ტალღაზე მანქანაში. ერთხელაც ასე გავშალეთ სუფრა ჩვენს აპარტამენტში და ორივენი გავედით. ვუსმენ, ერთი გოგო ეუბნება მეორეს: „...აი, ამ შამპანურს რომ დავლევთ, მერე მე მივალ ტელეფონთან და დავრეკავ. მერე ვიტყვი, დედა გამხდარა ავად და სახლში უნდა წავიდე-მეთქი. შენ მეტყვი, მარტოს ხომ არ გაგიშვებ, მეც უნდა წამოგყვეო და ასე წავიდეთ. მოვისმინე ეს ყველაფერი და დავბრუნდით ადგილზე. ავწიე პირველი ჭიქა და ვამბობ: ამ ჭიქით მინდა, დავლიო ერთი სადღეგრძელო. აი, ჩვენ საყვარელი ადამიანები გვყავს, დედა, მამა. ერთ საათში დედათქვენი ცუდად გახდება, მარტო ხომ არ წახვალთ, დაქალიც წამოგყვებათ-მეთქი. ჰოდა, ახლა აქედან დროზე მოუსვით და მიხედეთ დედებს-მეთქი. ასე ვერთობოდით. ამასობაში ფული შემოგვეხარჯა, დაბრუნება კი არ გვინდა. ვფიქრობთ, ვის გამოვუგზავნოთ დეპეშა, რომ ფული მოგვაწოდოს. ამ დროს სასტუმროს ნომრის კარებზე ბრახუნია. გავაღეთ კარი და ჩვენი მეგობარი შალვა ისაკაძე გაგვეჩითა. შალვა იმხანად გამწვანების ტრესტის


კადრი ფილმიდან

მმართველი იყო თბილისში. ვკითხე, შალვა რამდენი დღით ჩამოხვედი-მეთქი. ერთი ოთხი დღით ვარ ჩამოსულიო. ჩვენ გაგვიხარდა, რომ ეს სამი დღე ნორმალურად შევჭამდით საჭმელს. შალვა არ გშია-მეთქი. არა, გმადლობ, ახალი ნასადილევი ვარო. აუ, რა ვქნათ ახლა – ვფიქრობ. თუ გინდათ, წამოდით ბოტანიკურ ბაღში, იქ ერთი ჩემი მეგობარი უნდა ვნახო და თან ბაღს დავათვალიერებთო, – შემოგვთავაზა. ბოტანიკური ბაღი მინდა ახლა მე?.. და სადილი-მეთქი. სადილი? სადმე ვისადილოთო. წავედით. დაგვხვდა იქ შალვას მეგობარი მეცნიერ-მუშაკი. ერთი სამასი სხვადასხვა ჯიშის კაქტუსი გვაჩვენა და ბოლოს გამოგვისტუმრა. არავითარი პურმარილი, ჩვენ რომ ვიცით დახვედრა და ქეიფი. მოვდივართ უკან და შალვას ვეუბნები, გვშია და სადმე დავსხდეთ-მეთქი. აქ, გზაზე ძალიან დიდი რესტორანია და ჯობია, სასტუმროში რომ მივალთ, იქ, ბუფეტში დავსხდეთო. ვაიმე! სასტუმრომდე 50 კილომეტრია, რა ვქნა, რა მოვიფიქრო ისეთი, რომ პურმარილი ვაკისრებინოთ. კუკური, ვეუბნები ჩემს ძმაკაცს, როცა მანქანა ტყეში შევიდა, – ერთ წუთს გააჩერე, მგონი, შიმშილისგან გული მერევა და გადავალ-მეთქი. გადავედი და ეს ჩემი რადიოგადამცემიც თან წავიღე. ხეებს მოვეფარე და დავიწყე: ლაპარაკობს თბილისი. თბილისის დროით ესა და ეს საათია. დღეს თბილისში ჩამოვიდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი... ამ დროს მესმის ყვირილი: ბორია! თბილისი დავიჭირე, თბილისი, მოდი!.. მე ვაგრძელებ: დღეს შედგა ალმასკომის რიგგარეშე პლენუმი. პლენუმმა დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა ალმასკომის თავმჯდომარე ესა და ეს. მის ადგილზე დაინიშნა მისი მოადგილე ესა და ეს. ალმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დაინიშნა გამწვანების ტრესტის მმართველი, შალვა ისაკაძე! დედა!!! – მესმის კივილი, მაგრამ რა კივილი. ბორია, მოდი! რა იყო, რა მოხდა-მეთქი. მომილოცეო. რა იყო-მეთქი. ალმასკომის თავმჯდომარის პირველ მოადგილედ დავუნიშნივარო. კი მეუბნებოდნენ, კოორდინატები დაგვიტოვეთო, მაგრამ რას წარმოვიდგენდიო. ბინას თუ მომცემო, კუკური ეკითხება. ოთხოთახიან ბინას მოგცემო. მე რამდენს მომცემ-მეთქი. შენ ოროთახიან ბინას მოგცემო. გულში ვფიქრობ, ეს


პიონერხელმძღვანელი ბორისი

კაცი ჩემი დაწინაურებულია და ორიანის მეტს ვერ იმეტებს-მეთქი. მე ვუთხარი, არ მინდა ეგ შენი ბინა, სადილი მაჭამე-მეთქი. სადაც გინდა გააჩერეთო. გზადაგზა არც ერთი რესტორანი არ მოგვეწონა, თანაც უკვე ქალაქში ვიყავით და ვიფიქრე, ისევ ჯობია, ნომერში შევუკვეთოთ, ეს ხვალ მაინც არაფრის მკისრებელია და რაც დაგვრჩება, მაცივარში შევინახავთ ხვალისთვის-მეთქი. ნომერში გავაშლევინეთ არნახული სუფრა. შალვა შუა სუფრიდან წამოდგა და განაცხადა: ახლა მე თბილისში უნდა დავრეკო და დავაზუსტო ჩემი დანიშვნის ამბავიო. მისცა შეკვეთა. გავედი და მორიგეს მოვახსნევინე შეკვეთა. გადის ერთი საათი, ორი, სამი... გაგიჟდა შალვა. კაცო, ადრე ათ წუთში გვაერთებდნენ და ახლა რა დაემართათო. რამდენჯერაც მისცა შეკვეთა, იმდენჯერ მოვახსნევინეთ. ასე გაგრძელდა ორი დღე. ბოლოს გადაწყვიტა, სასწრაფოდ გაფრინდეს თბილისში. ახლა, ჩვენ არ გვინდა, რომ ასე გიჟივით ჩაფრინდეს და ვფიქრობთ, რა ვქნათ, როგორ ვუთხრათ. გავისეირნოთ-მეთქი. გავედით ქალაქგარეთ. მე უკან ჩავწექი „სიდენიაზე" და დავიწყე გადაცემა: „ლაპარაკობს ისრაელი! (ვითომ ვიღაც ქართველი ლაპარაკობდა ისრაელიდან) ნუ დაუჯერებთ წერილებს, რომლებსაც აქვეყნებენ, თითქოს აქ ცუდი ცხოვრება იყოს. ეს არ არის მართალი, აქ ყველას ხელი მოემართა. ჩამოდით, ჩვენო მეგობრებო და ერთი სათხოვარი გვაქვს, როცა ჩამოხვალთ, თან წამოიყვანეთ ჩვენი ძმა და მეგობარი შალვა ისაკაძე," – შალვა გაშრა. გადმოიხედა უკან და ხედავს გადამცემი მიჭირავს ხელში. მიყურა, მიყურა და მკითხა: არა ვარ მოადგილეო? არა, შალვა, გეხუმრეთ, მაგრამ მომავალი წინ გაქვს-მეთქი".

***

„მსახიობობა ურთულესი პროფესიაა. ჩემს თავს არ ვემდური, მაგრამ სიმართლე უნდა ვთქვა. ღმერთის ნაბოძები ნიჭი თუ უნარი ბოლომდე ვერ გამოვიყენე ან ბოლომდე არ გამომაყენებინეს, თორემ უსათუოდ უფრო მეტს შევძლებდი. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ თეატრში თუ კინოში როლი ორიანზე ან სამიანზე ჯერ არ მითამაშია. ერთხელ რობერტ სტურუამ მითხრა, შენი საქციელის გამო კარგი როლი დაკარგეო. ეს შენ დაკარგე კარგი მსახიობი-მეთქი. დიახ, მე კარგ მსახიობად მიმაჩნდა ჩემი თავი." ნადეჟდა შალუტაშვილის წიგნში აკაკი ბაქრაძე იხსენებს: „მსახიობი საერთოდ რთული ბუნების ადამიანია, კონკრეტულად, ბორის წიფურიაც. რასაც ის აკეთებს, როგორც აქტიორი, სულითა და გულით აკეთებს, მაგრამ ამასთანავე, მისთვის უცხოა დისციპლინა. ერთი მოხდენილი ხუმრობისთვის რეპეტიციასაც ჩაშლის და არც სპექტაკლის ჩაშლაზე იტყვის უარს. რაღაც მისთვის აუხსნელი, შინაგანი ჟინი სთხოვს ამას. ასეთი მსახიობის რეჟისორებს ეშინიათ. არავინ იცის, როდის, რას მოიმოქმედებს." ელდარ შენგელაია: „ჩემი კინოში მუშაობის პერიოდში, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მსახიობის გამო მიმეტოვებინოს გადასაღები მოედანი. ეს მოახერხა ბორია წიფურიამ. „შერეკილების" გადაღების დროს იმ მდგომარეობამდე მიმიყვანა, რომ გაცოფებულმა გადაღება მივატოვე. ძალზე რთული იყო მასთან მუშაობა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ შედეგით პირადად მე და მგონი, მაყურებელიც კმაყოფილია. ბორიას მოზრდილ თავში უსასრულო ფანტაზია ტრიალებს, რომელსაც არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული, მაგრამ რეჟისორისთვის აუცილებლად მოიძებნება მის „სისულელეებში" ერთიორი კარგი იდეა. „შერეკილებში" ხუტა უფროსის როლზე ისინჯებოდა არაერთი ცნობილი მსახიობი (როგორც ეს მიღებულია კინოში). სასინჯ გადაღებებზე მოსულ მსახიობებს ჩვენ ვაცმევდით იმ კოსტიუმს, რომელიც არჩეული იყო მხატვრის მიერ. ბორიას კოსტიუმი არ მოეწონა. შეიგინა (ეს საერთოდ მას ეხერხება) და თქვა: მე თვითონ მოვნახავ ჩემთვის კოსტიუმსო. გაბრაზებული გავარდა სტუდიის გარდერობში. გავიდა თითქმის ოთხი საათი, უცბად გაიღო სარეჟისორო ოთახის კარი და ჩვენ წინ დგას ჩვენი ფილმის მომავალი გმირი, ზუსტად ისეთი, როგორიც ჩვენ წარმოგვიდგენია. კოსტიუმი ხომ მონახა ძალიან სახოვანი, თავისი ფაფახით, საგრიმიოროშიც გაუვლია და გრიმი გაუკეთებია. ულვაშები და ბაკენბარდებიც თავისივე ფანტაზიით მოურგია. შემოვიდა თუ არა, მივარდა ფანჯარას და დაიწყო ყვირილი: ხომ გითხარით გაფრინდებიან-მეთქი, ხომ გითხარით!"


ბორის წიფურია მეუღლესთან ერთად

**ეკა პატარაია**

# რა როლი მიუძღვის თბილისის ფოტოისტორიაში დიმიტრი ერმაკოვს და რომელ ქუჩაზე გახსნა მან თავისი პირველი ფოტოსტუდია

(ოცდამესამე გვერდიდან)

იზაჟებს, არქიტექტურულ ძეგლებს, ეთნოგრაფიულ ჯგუფებს. თუმცა, ერმაკოვის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი ეკავა მის მშობლიურ თბილისს, რომელსაც რამდენიმე ასეული ფოტოსგან შემდგარი ალბომი მიუძღვნა. 1907 წელს ერმაკოვი აირჩიეს მოსკოვის არქეოლოგიური სა-


მუხრანის ბორანი (ერმაკოვის ფოტო, 1880-იანი წლები)

ზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრად, ხოლო 1912 წელს – თბილისის კაზმული ხელოვნებათა საზოგადოების წევრ-დამფუძნებლად. სპარსეთში მოგზაურობისას ის სპარსეთის შაჰის პირად ფოტოგრაფად ითვლებოდა. 1910 წელს დიმიტრი ერმაკოვმა სვანეთში იმოგზაურა, საიდანაც 900 ცალი ნეგატივი ჩამოიტანა – სვანების ცხოვრების ამსახველი უნიკალური ფოტომასალა. 1903 წელს გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი" იტყობინებოდა, რომ მისი უდიდებულესობა, იმპერატორი ალექსანდრე მესამე იმდენად იყო მოხიბლული დიმიტრი ერმაკოვის ნამუშევ-


დიმიტრი ერმაკოვი ოჯახთან ერთად (თბილისი, 1891 წელი)



დიმიტრი ერმაკოვის ფოტოატელიე სასახლის ქუჩაზე (თბილისი, 1880-იანი წლები)

რებით, რომ პირადად შეიძინა 500 ცალი ფოტო. დიმიტრი ერმაკოვი დაქორწინებული იყო ტფილისში მცხოვრები ავსტრიელი მშენებლის ქალიშვილზე, ანა ბიჰოლდზე. მათ სამი შვილი ჰყავდათ: ივანე, ალექსანდრე და ლიუდმილა. დიმიტრი ერმაკოვი 1916 წლის 10 ნოემბერს გარდაიცვალა. ის კუკიის კათოლიკურ სასაფლაოზე დაკრძალეს და სავარაუდოდ, მისი საფლავი დღეს დაკარგულია.

**უშანგი რუხაძე**



**ამბობენ, ახალი წლის ღამეს, სახლში გაწყობილ ნაძვის ხეზე ოჯახის ფუძის ანგელოზი ჯდება და ოჯახის წევრებს ლამაზად მორთული ხის კენწეროდან ლოცავსო. როგორც პარაფსიქოლოგი, ქალბატონი მანანა ამბობს, ნაძვის ხეს განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოუდგეთ. ახალი წლის ჩავლის შემდეგ, მისი დაწვა და დაჩეხვა, არავითარ შემთხვევაში, არ შეიძლება. არ არის გამორიცხული, ასეთ საქციელს, იმ წელშივე უბედურება მოჰყვეს. ასევე, მისი თქმით, ახალი წლის დღეებში, ადამიანი ფიქრისა და სიტყვების საშუალებით იზიდავს დადებით ან უარყოფით ენერგიას და თავად გამოიმუშავებს სწორ აზრ-ფორმირებას, რაც მისსავე წარმატება-წარუმატებლობაზე აგებს პასუხს.**

# როდის „იბუტება" ნაძვის ხე და არის თუ არა წინასწარმეტყველური შინაარსის შობის ღამეს ნანახი სიზმარი

**მანანა**: არსებობს გარკვეული ენერგია, რომლის დახმარებით და ასევე, ფიქრისა და სიტყვების წყალობით, ადამიანი იზიდავს ბედნიერებასა თუ უბედობას. უბრალოდ, საჭიროა, გამოიმუშაოთ მიზანმიმართული და პერმანენტული ფიქრის უნარი და შედეგიც არ დააყოვნებს. კერძოდ, ამ დროს ჩამოყალიბდება აზრ-ფორმა, რომელსაც შეუძლია სამყაროში გადაადგილება და გარკვეული ინფორმაციული ენერგიის მიმოქცევის გამოწვევა კონკრეტული ადამიანისთვის. რომ ამბობენ, ბედნიერები არ ვართო. აბა, მიიღეთ მოვლენები, სიტუაციები და ადამიანები ისეთები, როგორებიც სინამდვილეში არიან და მიხვდებით, სად უშვებთ შეცდომას, სად ბლოკავთ საკუთარ ბედნიერებას. ნებისმიერი მოვლენა და თვით მთელი სამყარო ისეთია, როგორიც უნდა იყოს. ამიტომ, ნუ შეებრძოლებით სამყაროს და ნუ აღუდგებით მას წინ სხვადასხვა აზრით, სიტყვითა და სიტუაციით. გირჩევთ, ყველაფერი ისე მიიღეთ, როგორიც არის და არა ისე, როგორც თქვენ გინდათ. არ ეცადოთ საკუთარი აზრის დაცვას და ვინმეს დარწმუნებას. მიიღეთ ყველას აზრი წინააღმდეგობის გარეშე და არ მიეჯაჭვოთ არც ერთ მათგანს. როგორც იტყვიან, ყველას აზრი გაითვალისწინეთ, მაგრამ არ დაიჯეროთ.

**– ამბობენ, სურვილების ახდენა ყველას შეუძლია, მთავარია, მას სწორი გზა მივცეთ და ამის ალბათობა, ყველაზე მეტად ძველით ახალ წლამდეაო. ამაზე რას გვეტყვით?**

– დიახ, მართალია. ახალი წლიდან ძველით ახალ წლამდე, დიდი შანსია, სწორი ფიქრითა და აზროვნებით, ნებისმიერი სურვილი აიხდინოთ. არსებობს განზრახვისა და სურვილის კანონი. კერძოდ, ყველა ადამიანმა უნდა ჩამოწეროს ფურცელზე საკუთარი სურვილების სია. ამ სურვილების ასრულება მიანდეთ ზეციურ ძალებს და იყავით დარწმუნებული, რომ აუცილებლად აგისრულდებათ. ეს სია ყოველთვის თან ატარეთ, გნებავთ – ჩანთით, გნებავთ – ჯიბით. მთავარია, ის თქვენთან ახლოს იყოს და დროდადრო ხშირად გადაიკითხეთ, თან, იფიქრეთ, რომ შეუძლებელი სამყაროში არაფერია და ეს სურვილები აუცილებლად აგისრულდებათ. არ დაემორჩილოთ ნებას და არ გაფანტოთ ყურადღება, მიიღეთ აწმყო მორჩილად და სურვილების ასრულების იმედი არასდროს დაკარგოთ. ბუნების კანონები ამ სურვილების ახდენაში აუცილებლად დაგეხმარებათ. ფურცელზე დაწერითა და თან ტარებით კი, თქვენს სურვილს სწორ გეზს მისცემთ სამყაროში. ბავშვობიდან მესმოდა ოჯახის წევრებისგან, რომ შობის ღამეს ჩაფიქრებული სურვილი აუცილებლად ახდება. მთავარია, გულით გინდოდეს და გულით ისურვოო. შვიდ იანვარს გარკვეული პოზიტიური ენერგია აქვს. ამიტომ, თუ გეცოდინებათ, რა უნდა გააკეთოთ და კონკრეტულად, რას უნდა მიაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება, არ არის გამორიცხული, სასურველი შედეგი უმოკლეს დროში მიიღოთ. ასე რომ, შობას ჩათქმული სურვილი აუცილებლად აგისრულდებათ, თქვენი ცხოვრებაც უკეთესობისკენ შეიცვლება, წარმატებებსაც ადვილად მიაღწევთ, თუ სურვილს სწორ, მიზანმიმართულ გეზს მისცემთ. საერთოდ, ახალი წლის დღეებში ადამიანს განსაკუთრებული დაკვირვება მართებს. თითოეულ ნიუანსს უნდა მიაქციოთ ყურადღება. უცხოეთიდან ტრადიციად შემოვიდა, რომ ახალი წლის დღეებში, სახლიდან გადაყარონ ძველი ნივთები და რაც მეტ ნივთს გადაყრით, მით მეტ სიმდიდრეს მოგიტანთ ახალი წელიო. ასე, ბევრი იქცევა, მაგრამ შეცდომას უშვებს.

**არსებობს გარკვეული ენერგია, რომლის დახმარებით და, ასევე, ფიქრისა და სიტყვების წყალობით, ადამიანი იზიდავს ბედნიერებასა თუ უბედობას**

**– ეს მეც გამიგია, რომ ახალი წლის დღეებში, რაც მეტ ნივთს გავიტანთ გარეთ და გადავყრით, მით მეტ სიკეთესა და ბედნიერებას უნდა ველოდოთ იმ წელიწადსო.**

– ახლა, თუ ყველაფერი გადაყარეთ, ცარიელ ოთახში დაჯექით და ბედს დაელოდეთ, მთლად ასეც არ არის საქმე. ზუსტად უნდა იცოდეს ადამიანმა, რა გადააგდოს და რა – არა. თუ გინდათ, ახალმა წელმა ბედნიერება მოგიტანოთ, სწორედ ამ ახალი წლის დღეებში უნდა მოიქცეთ გონივრულად. მაგალითად, ახალი წლის დღეებში არ შეიძლება სურათების, წამლების, ძველი ჩანაწერების, ტანსაცმლის, ფეხსაცმლისა თუ ჩანთების გადაყრა. სამაგიეროდ, შეგიძლიათ თამამად მოისროლოთ ნაგვის ყუთში მოძველებული აპარატურა, სამზარეულოს ნივთები ან ავეჯი.

**– გამიგია, ნაძვის ხის დაჩეხვა არ შეიძლებაო. სად უნდა წავიღოთ ნაძვის ხე ახალი წლის შემდგომ?**

– აუცილებელია, ნაძვის ხესთან დაკავშირებით გარკვეულ ინფორმაციას ფლობდეს ადამიანი. მთავარია, არ გაანაწყენოთ, რომ არ გაგებუტოთ თქვენი ნაძვის ხე. თუ ასე მოხდა, მაშინ იმ წელს უბედურება გარდაუვალია ოჯახში. ამიტომ, არასდროს დაწვათ, დაჩეხოთ და არც უხეშად მოექცეთ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ახალი წლის ღამეს, მასზე ოჯახის მფარველი ანგელოზი იჯდა და იქიდან გლოცავდათ. ახალი წლის შემდგომ, ნაძვის ხე ფრთხილად უნდა აიღოთ და სახლთან ახლოს, გარეთ დადოთ.

**– ამ დღეებში ნანახ სიზმრებს მივაქციოთ განსაკუთრებული ყურადღება?**

– 7 იანვარი ყველაზე განსაკუთრებული დღეა. ამ დროს ნანახ სიზმარს აუცილებლად დააკვირდით და გამოიტანეთ აზრი. არ არის გამორიცხული, ამ დღეს ნანახი სიზმარი მალევე აგიხდეთ. ასევე, ეცადეთ, ეს დღეები ისე გაატაროთ, რომ არ მოიწყინოთ, არ გაიხსენოთ წარუმატებლობა, ესტუმროთ ისეთ ადამიანებს, ვისთანაც საუბარი და ურთიერთობა გსიამოვნებთ. ასევე, ერთ პატარა ეშმაკობასაც გასწავლით: თუ ახალი წლის დღეებში ვინმემ ფული გაჩუქათ, ამ ფულით იყიდეთ პატარა სარკე. ყოველ საღამოს ძილის წინ ჩაიხედეთ მასში, ბალიშის ქვეშ ამოდეთ და ისე დაიძინეთ. ის დაგიცავთ ბოროტისგან, მთელი წლის განმავლობაში ხელს მოგიმართავთ და სურვილების ახდენაში დაგეხმარებათ. შობა დღეს აუცილებელია, ყველა ოჯახში იყოს ცომისგან გამომცხვარი ბეკეკა, რომელსაც კარზე დაკიდებთ. მით უმეტეს, თუ ბავშვია ოჯახში, ეს აუცილებლად უნდა მოახერხოთ. ეს რიტუალი, ბავშვებს ბოროტისა და განსაცდელისგან იცავს. ასევე, კარგია, თუ ასეთ პატარა ფიგურებს შობა დღეს თავად დააცხობთ და მას ბავშვებს დაურიგებთ. მათგან წამოსული სიკეთე და სუფთა ენერგია თქვენზე აუცილებლად დადებითად აისახება.

**ნონა დათეშიძე**

## ეს საჭიროა...

დარწმუნებული ვარ, ერთხელ მაინც აუცილებლად გიფიქრიათ – რისთვის არის ეს საჭირო? დიახ, სწორედ საშობაო დღესასწაულის ზეიმით აღნიშვნაზე მოგახსენებთ. ხომ არ შეიძლება, ამდენი ადამიანი ერთდროულად მოიცვას მხიარულებისა და ფულის გაფლანგვის სურვილმა?! – საჩუქრები, ახალი ტანსაცმელი, ბრჭყვიალა და საზეიმო სუვენირები... განსაკუთრებული, საზეიმო კულინარია და სიხარულის განცდა... ეს კიდევ არ არის ყველაფერი, რაც საშობაო დღესასწაულს თან ახლავს... იქნებ, მართლაც არ არის საჭირო ასეთი „განსაკუთრებულობის“ გამოვლენა? – საჭიროა და ახლავე გაიგებთ, რატომაც...

დავიწყოთ სიხარულის განცდით. თუ თქვენ საახალწლო აქსესუარებისა და ატრიბუტიკისგან, ამ დღესასწაულს განსაკუთრებულ ელფერს რომ ანიჭებს, ჭეშმარიტ სიხარულს არ განიცდით, ჯობია, ამ დღეს სახლში ჩაიკეტოთ, ან სახლიდან წახვიდეთ. გააჩნია, ოჯახის წევრების განწყობას. არ ითამაშოთ, თუკი შინაგანად არ გიხარიათ შობის დღესასწაულის მოსვლა. შეგიძლიათ, იყოთ ის, რაც ხართ და მოიქცეთ ისე, როგორც გინდათ, რომ მოიქცეთ...

თუმცა, ახალი წლისა და შობის დღესასწაულის აღნიშვნა საჭიროა, არა იმიტომ, რომ ამ დღეებს ყველა აღნიშნავს, მხოლოდ იმიტომ, ერთფეროვნება გაიხალისოთ და შეცვალოთ – თუნდაც ორიოდე დღე იგრძნოთ თავი ზღაპარში. მიხვდეთ, რომ ისევ შეგიძლიათ იყოთ პატარა ბავშვი, რომელსაც ბედნიერებისთვის ცოტა ჰყოფნის...

## შექმენი დღესასწაული!

დღესასწაული რომ არსებობს, თქვენ ამაში წვლილი არ მიგიძღვით, მაგრამ აუცილებლად უნდა გააკეთოთ ისე, დღესასწაული თავად მოიწყოთ. ეს ყველა ადამიანს არ შეუძლია.

მთავარია განწყობა, რომელიც ფოიერვერკივით თავისით არ იფეთქებს. ჩართეთ საქმეში ხუთივე გრძნობა, მუსიკა, სურათები, სუნი, გემო... თქვენი სახლი პატარა თეატრად გადააქციეთ... ანუ – დღესასწაულს დეკორაციები სჭირდება.

მოძებნე და იპოვე საკუთარი ასოციაციები. რას გახსენებთ შობის დღესასწაული. გაჩახჩახებულ ნაძვის ხეს? გემრიელ კერძებსა და ტკბილეულს? სიმღერასა და მხიარულებას? გასართობ ტელეგადაცემებს?.. აუცილებლად გააკეთეთ არჩევანი. სხვანაირად საკუთარი დღესასწაული არ გექნებათ.

ტრადიციები და რიტუალები – იქნებ ფიქრობთ, რომ ეს მარტივი ამბავია... ყველა დღესასწაულს საკუთარი განმასხვავებელი ნიშანი აქვს. რაც მეტი დამახასიათებელი ნიშანი ექნება თქვენი შობის დღესასწაულს, მით მეტ პოზიტივს მოგიტანთ.

თქვენი მთავარი მტერი შობის დღესასწაულზე წყენაა – აუცილებლად გათავისუფლდით მისგან. აპატიეთ ადამიანებს. ეს, უპირველესად, თქვენ მოგგვრით შვებას.

დაღლილობა – ყველაფერს ერთ დღეს ნუ გააკეთებთ. მით უმეტეს, თუ წინასწარ განეწყობით, რომ ვაიმე, რამდენი საქმის გაკეთება მომიწევს: დალაგება, სამზარეულო, კერძები... სადღესასწაულო განწყობა გვერდს აგივლით. აუცილებლად გამოიძინეთ. დღესასწაული თქვენი განწყობით იქმნება და არა შემწვარ-მოხრაკულით.

ტრადიციები კარგია, მაგრამ მათ თქვენი შევიწროების საშუალება არ უნდა მისცეთ. მაგალითად, როგორ ფიქრობთ, დრო არ მოვიდა, აღარ უყუროთ ფილმს – „ბედის ირონია, ანუ გაამოთ“?!.

## ჩაიფიქრე – ასრულდება!

როგორ გგონიათ, რა ჩაიფიქრა პრინცესამ, როცა ბაყაყს აკოცა?! – დიახ, მის ადგილას მშვენიერი უფლისწული ყოფილიყო. მაგრამ, მარტო ეს საკმარისი ნამდვილად არ იქნებოდა, პრინცესას წარმოსახვის უნარი რომ არ მოეშველიებინა – რეალურად წარმოედგინა, რომ მის წინაშე მშვენიერი უფლისწული იყო და არა ჩვეულებრივი ბაყაყი... და სასწაულიც მოხდა.

ფსიქოლოგებს მიაჩნიათ, რომ წელიწადში სულ რამდენიმე დღეა, როცა ყველაზე ახლოს ვართ სურვილების ასრულებასთან. ეს არის შობა-ახალი წელი და ჩვენი, საკუთარი დაბადების დღე. ძალიან ცდებიან ისინი, ვინც ამბობს, რომ არ უყვარს თავისი დაბადების დღე, ან ამტკიცებს, რომ შობა-ახალი წელი არაფრითაა გამორჩეული. ამ ტიპის ადამიანებს ძალიან უჭირთ სიამოვნების მიღება ცხოვრებისგან... უჭირთ პატარ-პატარა სიხარულების დანახვა და იმის გაცნობიერება, რომ ბედნიერება მათ გვერდითაა.

ვინ იცის, რამდენჯერ გითქვამთ საკუთარი თავისთვის, რომ მომავალი წლიდან ყველაფერს შეცვლიდით, ცხოვრებას ახლებურად განაგრძობდით... რამე თუ გაგიკეთებიათ რეალურად საამისოდ?

დაპირებები – დაპირებებად და... საკუთარი თავის მტერი ხომ არ ხართ? ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად ჩაიფიქრეთ თქვენი ყველაზე სანუკვარი სურვილი. მერე კი, ყველაფერი გააკეთეთ, იმისთვის, რომ არ დარჩეს უბრალო სურვილად, ტრადიციულ რიტუალად შობის ღამეს...

## ბედნიერება – წლის საქმე

შობის დღესასწაულით იწყება ახალი წელი – სავსე ახალი პერსპექტივებით, იმედებითა და სასიამოვნო სიურპრიზებით. მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული, რამდენად წარმატებული და პოზიტიური იქნება ის. შეუკვეთეთ შობის ღამეს წლის საქმე – ბედნიერება!

გააკეთეთ ეს სწორად, გეგმაზომიერად და ყველაფერი გამოვა. შეიძლება, ჩვენი რჩევები სასაცილოდ ან ბავშვურ გასართობად მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს უკვე აპრობირებულია და კარგად „მუშაობს“...

უთხარით საკუთარ თავს თუნდაც ერთი, გულწრფელი კომპლიმენტი დღის განმავლობაში. კიდევ ერთი კომპლიმენტი – რომელიმე ადამიანს. დააკვირდით მათ კარგად და აღმოაჩენთ, რომ ისინი სულაც არ არიან ცუდები, ან მტრულად განწყობილნი.

შეეცადეთ, დღეში ნახევარი საათი მაინც იაროთ ფეხით. ამინდს დიდ ყურადღებას ნუ მიაქცევთ. ისუნთქეთ ღრმად და არაფერზე იფიქროთ. ნუ დაგენანებათ დრო ამისთვის. ნახევარი საათი სალაპარაკოდაც არ ღირს.

არ გალანძღოთ და არ დასაჯოთ საკუთარი თავი წარსული შეცდომებისთვის. საკმარისია, დაინახოთ შეცდომები და იმუშაოთ მათ გამოსწორებაზე თუ არა, იმაზე მაინც, რომ არ გაიმეოროთ.

... დაურეკეთ მას პირველმა, თუკი ამის გაკეთება მართლა გინდათ. სპონტანურობა ზოგჯერ ძალიან სასარგებლოა.

კვირაში ერთი დღე მოიქეცით ისე, როგორც ნამდვილად გინდათ, ანუ აკეთეთ ის, რაც გიხარიათ, სიამოვნებას გგვრით და არა ის, რისი კეთებაც საჭიროდ მიგაჩნიათ.

ნუ „გაძვრებით ტყავიდან“ და ყოველთვის, ყველაფრის მოსწრებას ნუ შეეცდებით. ეს დაგღლით და გამოგფიტავთ. ერთბაშად არა, მაგრამ ნელ-ნელა აუცილებლად იგრძნობთ „გადარბენის“ მავნე შედეგებს.

ძალიან, ძალიან გაბრაზდით? – სანამ აყვირდებოდეთ, ადგილზე იხტუნეთ. აბსურდია? – რა თქმა უნდა, მაგრამ სწორედ ეს გიშველით. თანაც „დამამშვიდებელი საშუალება“ სულ თქვენთანაა.



გვერდი მოამზადა ნინო წულუკიძემ

# 2012 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებად ტოპ-მოდელთა ტოპ-ათეული

*ისინი თავისი საქმის პროფესიონალები, ყველაზე ლამაზები, სასურველები და მაღალანაზღაურებადნი არიან. საუბარია მსოფლიოს საუკეთესო ტოპ-მოდელებზე, ადამიანებზე, რომელთა გარეშე მოდისა და სარეკლამო სფერო წარმოუდგენელია. გთავაზობთ 2012 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებად მოდელთა ტოპ-ათეულს.*

## ჟიზელ ბიუნდჩენი – 45 მილიონი დოლარი

ბრაზილიელი ლამაზმანის ასაკი უკვე გადაცილდა 30-ს, თუმცა ის ჯერაც პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებადი და სასურველი მოდელია. ჟიზელი სტაბილურად გამოდის პოდიუმზე, რეკლამირებას უწევს სხვადასხვა ბრენდს, დაკა-



ვებულია საკუთარი ტანსაცმლის ხაზის წარმოებით და აქტიურად არის ჩართული გაეროს ფარგლებში წარმოებულ ეკოლოგიურ პროგრამაში. ჟიზელი ბრაზილიური მოდის დედოფალია და მომავალი მოდელებისთვის მისაბაძი.

## ქეით მოსი – 9,2 მილიონი დოლარი

ბრიტანელი ქეით მოსი დღემდე ახერხებს შეინარჩუნოს ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მოდელის სახელი.



ის ნამდვილი ეტალონია დამწყები მოდელებისთვის. 2011 წელს ქეითი თავის დიდი ხნის მეგობარზე, მუსიკოს ჯიმი ჰინსზე დაქორწინდა და გათხოვების მიუხედავად, არ ჩამოშორდა ბიზნესს. ის აქტიურად გამოდის პოდიუმზე. „ლონგკამპი", „მანგო", „რიმელი", „ტოპშოპი" და სხვა ბრენდები დიდი სიამოვნებით თანამშრომლობენ ლეგენდარულ მოდელთან.

## ნატალია ვოდიანოვა – 8,6 მილიონი დოლარი

„გერლენთან" და „ქელვინ ქლაინ ეუფორიასთან" გაფორმებულმა კონტრაქტებმა 30 წლის ნატალია ვოდიანოვას შემოსავალზეც იქონია გავლენა და წარმოშობით ნიჟნინოვგოროდელი ლამაზმანი მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებად მოდელთა ათეულში მოხვედრა. ამჟამად ნატალია ქალის თეთრეულის საკუთარი ხაზის დიზაინით არის დაკავებული „ეტამისთვის" და „ცენტროს" ფეხსაცმელზეც მუშაობს. ის დაშორდა ქმარს და სამ შვილთან ერთად, ინგლისში ცხოვრობს. 2012 წელს, კინოეკრანებზე ნატა-



ლიას მონაწილეობით მხატვრული ფილმი გამოვიდა და ის ასევე ეწევა ქველმოქმედებასაც და გაჭირვებაში მყოფ ადამიანებს ეხმარება. ცნობისთვის, ნატალია ვოდიანოვა 2014 წლის სოჭის ოლიმპიადის ელჩია დანარჩენ მსოფლიოში.

## ადრიანა ლიმა – 7,3 მილიონი დოლარი

ადრიანა ლიმა მსოფლიო პოდიუმს „ვიქტორია სიქრეტის" წლის შემაჯამებელ წარმოდგენაზე დაუბრუნდა. ამით კი, მეორე მშობიარობის



შემდგომ, ყველას დაუმტკიცა, რომ ჯერაც მშვენიერ ფორმაშია. ამას გარდა, ადრიანა აგრძელებს თანამშრომლობას ბრენდებთან „დონა კარანი" და „მავი ჯინს". მას ასევე ნახავთ „კია მოტორსისა" და „ტეფლიორას" რეკლამებში. ამგვარად, კალათბურთელი ქმრის პარალელურად, ადრიანა ახერხებს გამოიმუშავოს სოლიდური ჰონორარები და ოჯახს დოვლათი შესძინოს.

## დაუტცენ კრეზი – 6,9 მილიონი დოლარი

ქერათმიანი ჰოლანდიელი ლამაზმანი, „ვიქტორია სიქრეტის" ანგელოზი და მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ქალი.



„ვიქტორია სიქრეტის" გარდა, დაუტცენი „ლორეალთან" და „ტიფანისთან" თანამშრომლობს. მისი ცვილის ფიგურა ამსტერდამში, მადამ ტიუსოს მუზეუმშია გამოფენილი. ცნობისთვის, დაუტცენი უკვე დედაა, მას ერთი შვილი ჰყავს.

## ალექსანდრა ამბროზიო – 6,6 მილიონი დოლარი

ალექსანდრა ამბროზიოს ვარსკვლავი სამოდელო ცაზე 1990-იანი წლების ბოლოს აკაშკაშდა, როცა მასიურად დაიწყო ბრაზილიელი ლამაზმანების ინტერვენცია პოდიუმებსა და რეკლამის სფეროში.



ალექსანდრას ბრაზილიაში ყველაზე გრძელი ფეხები აქვს, ის „ვიქტორია სიქრეტის" მოქმედი მოდელი და საიუველირო ბრენდ „ვივარის" სახეა. 2012 წლის მაისში ალექსანდრას მეორე შვილი ეყოლა. თუმცა, ამ ფაქტს მისთვის ხელი არ შეუშლია, რომ უკვე ნოემბერში, „ვიქტორია სიქრეტ ფეშენ შოუზე" სექსუალურ თეთრეულში გამოსულიყო.

## მირანდა კერი – 4 მილიონი დოლარი

მირანდა კერი 2008 წელს გახდა „ვიქტორია სიქრეტის" ანგელოზი და მას შემდეგ ის თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მაღალანაზღაურებადი და სასურველი მოდელია.



მისი სამოდელო კარიერა 1997 წელს, ჯერ კიდევ სკოლაში სწავლის პერიოდში დაიწყო, როცა კონკურს „დოლი მაგაზინზე" გაიმარჯვა ავსტრალიაში. მირანდას მეუღლე ცნობილი ჰოლივუდელი ვარსკვლავი, ორლანდო ბლუმია და წყვილს ერთი შვილი ჰყავს.

## ლარა სტოუნი – 3,8 მილიონი დოლარი

ლარა სტოუნი მეორე მოდელია ჰოლანდიიდან, რომელიც ყველაზე მაღალანაზღაურებადი მოდელების 2012 წლის რეიტინგში მოხვდა.



ლარას სამოდელო კარიერა 12 წლის ასაკში დაიწყო „პარიზ მეტროს" სარეკლამო კამპანიით. 15 წლის ასაკში მან პრესტიჟულ „ელიტ მოდელ ლუქის" კონკურსზე გაიმარჯვა და მაშინვე იქცა სასურველ მოდელად ცნობილი ბრენდებისთვის. ლარას კონტრაქტები აკავშირებს ისეთ კომპანიებთან როგორიცაა: „ვერსაჩე", „ქელვინ ქლაინი", „დონა კარანი", „პრადა" და „მერსედეს-ბენცი".

## კეროლინ მერფი – 3,5 მილიონი დოლარი



კეროლინ მერფი 39 წლისაა, თუმცა ის დღემდე სასურველი მოდელია და მასთან სიამოვნებით თანამშრომლობენ: „ენ ტაილორ ლოფტი" და „ტომ ფორდი". წარსულში „სპორტს ილუსტრეიდედის" მოდელი 15 წლის ასაკიდან სამოდელო ბიზნესშია და ამჟამად „ესტე ლაუდერის" სარეკლამო სახედ ითვლება.

## კენდის სვეინპული – 3,1 მილიონი დოლარი

24 წლის სამხრეთ აფრიკელი მოდელი – კენდის სვეინპული ამ რეიტინგის ყველაზე ახალგაზრდა წევრია.



კენდისის შემოსავლის დიდი ნაწილი „ვიქტორია სიქრეტს" უკავშირდება, რომელთანაც 2011 წლიდან თანამშრომლობს. კენდისი „ნაიკის", „დიზელის", „გუესის", „ტომი ჰილფიგერისა" და „დოლჩე და გაბანას" სარეკლამო სახეც არის.

**უშანგი რუხაძე**

**გიორგი ჯებისაშვილი იგივე „შავი მარგალიტი”, 18 წლის დიზაინერი ჯეი.ბი, თავისი ექსტრავაგანტური და არაორდინარული ჩაცმის სტილით ყოველთვის იწვევს საზოგადოების გაოგნებას, თუმცა, ეს სულაც არ არის მისი იდეაფიქსი. ის „პეფსის” რეკლამასავით არის: „მე მინდა ვიყო პიროვნება და ვაკეთებდე იმას, რაც სწორად მიმაჩნია.“ ერთი შეხედვით ქვეყნის მთავარი ნაძვის ხე უფრო ადვილად მოირთვება, ვიდრე ჯეი.ბი, მაგრამ, ეს მისთვის იმდენად ყოველდღიური რიტუალია, რომ ურთულეს კონსტრუქციასაც კი ერთი ხელის მოსმით ქმნის. ამბობს, რომ ხალხის აზრი მნიშვნელოვანია, მაგრამ, საკუთარი – უფრო მეტად.**

# რა ხდება მაშინ, როცა ჯეი.ბი საკუთარ თავთან მარტო რჩება და ვინ დაარქვა მას „შავი მარგალიტი“

**– ჯეი.ბი, მოდი, ბავშვობიდან დავიწყოთ: მომიყევი, როგორ გარემოში იზრდებოდი?**

– ჩემს ირგვლივ ყველა გემოვნებით იცმევდა, მათ შორის – ოჯახის წევრები. ყოველთვის რაფინირებულ საზოგადოებაში მიწევდა ყოფნა და ამან განაპირობა ჩემი პიროვნების ჩამოყალიბება. გარდა ამისა, ბავშვობაშიც ყველასგან გამოვირჩეოდი ჩაცმის სტილითა და გემოვნებით, ყოველთვის ყველაფერი საუკეთესო მეცვა.

**– შენი მშობლების დამოკიდებულება როგორი იყო, როცა ასეთ გამოწყობილს გხედავდნენ?**

– მეც რომ მყავდეს შვილი, რომელიც ასე უცნაურად ჩაიცვამდა, გამიკვირდებოდა, მით უფრო, თუ ხელოვანი არავინ გყავს სანათესაოში. თავიდან ფიქრობდნენ, რომ ყურადღების მიქცევის მიზნით ვაკეთებდი ამას და დიდ ყურადღებას არ აქცევდნენ, მაგრამ, მერე მიხვდნენ, რომ, უბრალოდ, ასეთია მათი შვილი და ამას ვერ გაექცევიან; ამიტომ, მიმიღეს ისეთი როგორიც ვარ.

**– მამის მხრიდან არ იყო აგრესიული დამოკიდებულება შენ მიმართ?**

– არანაირად. საბედნიეროდ, ძალიან ცივილური მშობლები მყავს და, რომ არა მათი ასეთი მიდგომა და ხელის შეწყობა, შეიძლება, მე დღეს დეგრადირებული ადამიანი ვყოფილიყავი. ვიქნებოდი ორ უკიდურესობაში საკუთარ თავსა და სოციუმს შორის, მშობლები კი დამეხმარნენ, საკუთარი თავი მეპოვა. ის კი არა, ზოგჯერ დედა იმასაც მეუბნება, რომ გემოვნება მისგან გამომყვა და ამით ამაყობს.

**– ყურადღების ცენტრში ყოფნის მიზნით ხომ არ აკეთებ ყველაფერ ამას?**

– აი, სწორედ აქ ცდებიან ადამიანები. ბევრისგან მსმენია იგივე აზრი, მაგრამ, მგონია, როცა ვინმე ამისთვის აკეთებს რამეს, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ადვილად ჩანს. ადვილია ძალით შექმნილი იმიჯის ამოცნობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ყოველივე ძალიან სასაცილო იქნებოდა. თანაც, არა მგონია, ნორმალურ ადამიანს პოპულარობის გამო თავში აზრად მოუვიდეს, თავზე ჩირაღდანანთებულმა იაროს. მინდა გითხრათ, რომ ჯერ არ შემხვედრია ადამიანი, რომელიც ჩემს ვიზუალსა და ჩაცმის ამგვარ სტილს გაელიზიანებინოს. ცოტა ამბიციური ნათქვამი გამომივა, მაგრამ, ბრილიანტი ტალახშიც რომ ჩააგდო, მაინც გაანათებს. ასე რომ, მე ტომარაც რომ ჩამოვიცვა, მაინც შესამჩნევი ვიქნები და დამატებითი აქსესუარები აღარ მჭირდება. თანაც, არა მგონია, ღამის 2 საათზე მეგობართან რომ მიხვალ სტუმრად, ასეთი მოკაზმვით მისი ყურადღების მიქცევა გჭირდებოდეს.

**– შენ დიზაინერი გქვია, თუმცა, არც ერთი ჩვენება არ გქონია, რატომ?**

– არა, მე არ მიმაჩნია თავი დიზაინერად. საზოგადოება რას მიწოდებს – სხვა საკითხია, მაგრამ, მე ჩემს თავს ხელოვანად უფრო მივიჩნევ, ვიდრე დიზაინერად, რადგან, დიზაინერი ჩემთვის უმაღლესი რანგის შეფასებაა. სამწუხაროდ, ყველა მკერავი დიზაინერის სტატუსს იკრავს, მაგრამ, ის, რომ ვიღაცას ლამაზი წელის გამოყვანა შეუძლია, სულაც არ ნიშნავს, რომ მაღალ მოდას ქმნის. მე ვარ ხელოვანი ადამიანი, რომელსაც მაქვს სილამაზისა და ესთეტიკის ჩემი აღქმა, ნიჭი, რომელიც ღმერთმა მარგუნა.

**– ხომ არ ფიქრობ, რომ ეს ყველაფერი ღმერთის საჩუქარია?**

– ასე არ ვფიქრობ, ამას ჩემი გარეგნობა ამტკიცებს. სხვათა შორის, სხვებისგან განსხვავებით, ამ საჩუქრისთვის ხელი არ მიკრავს, სწორად შევაფასე, დავინახე და მივიღე ეს საჩუქარი. თუმცა, შეიძლება, სხვას ჩემს ადგილას ჩაეთვალა, რომ ეს სასჯელია და ხელი ეკრა. წარმოიდგინეთ, ახლა მე რომ საკუთარ თავთან წინააღმდეგობაში მოვდიოდე, ვებრძოდე და ამის გამო ბოტასები და ფეხბურთის „მაიკა“ მეცვას, ხომ ერთი სული მექნებოდა, სახლში მივსულიყავი, გამეხადა და ჩაკეტილ ოთახში ჩამეცვა ისე, როგორც ახლა მაცვია?! ამით ხომ თავს დავიტანჯავდი და მეტი არაფერი?!

**– ანუ, მიგაჩნია, რომ ვისაც რა ანიჭებს სიამოვნებას, იმას უნდა აკეთებდეს?**

– რა თქმა უნდა. სამწუხაროა, რომ ადამიანები საზოგადოების მასის გავლენის ქვეშ ვექცევით, უფრო მეტს ვფიქრობთ მათზე, ვიდრე საკუთარ თავზე, ან, ვიდრე ისინი ფიქრობენ ჩვენზე. გააკეთეთ ის, რაც გსურთ, უბრალოდ, ჯერ ისეთები უნდა იყოთ, რომ სურვილი შეგეძლოთ.

**– რა გაქვს ისეთი, რაც, არათუ აღიზიანებს, პირიქით, ზედმეტად დადებითადაც კი განაწყობს ადამიანებს შენ მიმართ?**

– ბუნებრივი ვარ, არ ვთამაშობ და, უპირველეს ყოვლისა, არ ვცდილობ საკუთარი თავის მოტყუებას. ყველაფერი ჩემია, მე ვარ ჯეი.ბი, და არა „სვეცკი” დიზაინერი გიორგი ჯებისაშვილი. თქვენ სახლიდან ტრუსებით ხომ არ გამოდიხართ? ჩვეულებრივ, იცვამთ ტანსაცმელს, თმას ივარცხნით და ისე გადიხართ – აი, ასეთივე ბუნებრივი პროცესია ჩემთვის. ასეთი ჩაცმა სადღესასწაულო დღეებად არ მაქვს დაყოფილი. შესაძლოა გაზეთების ჯიხურში ჩასვლის დროს სანთელდანთებული შანდლები არ დავიდგა თავზე, მაგრამ, ჩემთვის ჩვეულებრივი ჩაცმა სხვისთვის არაჩვეულებრივად ჩანს.



მთავარია, მშობლებთან არ ვარ ყალბი. არ ვატყუებ მათ და ვუყვარვარ ისეთი, როგორიც ვარ

**– ეს ხომ არ არის პროტესტის გამოხატვის შენეული ფორმა, თუნდაც ხელოვნების მიმართ?**

– გარკვეულწილად – კი, მაგრამ, უფრო მეტი პროტესტი მაქვს იმის მიმართ, რასაც ვიღაცეები ხელოვნებას უწოდებენ და დამახინჯებული ფორმებით გადმოგვცემენ. დღეს უნიჭო შემოქმედების ბუმია საქართველოში და გული მწყდება, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებას ვერ თუ არ აფასებენ.

**– შეიძლება, ახლა რომელიმე მკითხველმა, რომელიც ზის სოფელში და ცომის აფუებამდე კითხულობს ამ ინტერვიუს, დახედოს შენს ფოტოს და თქვას, რომ სწორედ შენ ამახინჯებ ხელოვნებას.**

– რა თქმა უნდა, ისეთი ადამიანებიც არსებობენ, რომლებიც გამაკრიტიკებენ და, ის, რაც მე მაცვია, მათთვის სულაც არ არის ხელოვნება, მაგრამ, სინამდვილეში ხომ ეს ჩემი სულის გამოძახილია, რომელსაც ვერასოდეს გაიგებს ის კატეგორია, ვისაც არასდროს მოუსმენია თავისი სულიერებისთვის, ვისთვისაც „იავნანასავით“ არის ალკოჰოლით გაჟღენთილი ქმრის გინება დილას, შუადღესა და საღამოს. ხელოვნება თავისი სინამდვილით ფასობს, რომელიც თავისთავად, გაუაზრებლად იმორჩილებს ადამიანს. მე ნამდვილი ვარ და ჩემი გულწრფელობით ვიმორჩილებ მათ.

**– სახლიდან რომ გამოდიხარ ასეთი მორთულ-მოკაზმული, რას გეუბნებიან მშობლები?**

– დიდი ხანია, მათ ამაზე რეაქცია აღარ აქვთ. მთავარია მე მათთან არ ვარ ყალბი, არ ვატყუებ და ვუყვარვარ ისეთი, როგორიც ვარ.

**– კახეთში გეტყოდნენ: როგორ დადიხარ, შვილო, პატრონი არ გყავს, რომ თოფი დაგცეს?**

– *(იცინის)* საბედნიეროდ, ვიცი შენი დამოკიდებულება ჩემ მიმართ და, ზუსტად ვხვდები, ამას იმიტომ მეუბნები, რომ რეალურად მართლა ასეა და ასე მეტყოდნენ, თანაც – კახეთში, მაგრამ, არანაირად არ მწყინს. პირიქით, ის გამიკვირდებოდა, ვენახში მომუშავე გლეხმა მითხრას, როგორ ექსტრავაგანტურად გაცვიაო. ჩემთვის მიუღებელია ადამიანი, რომელიც არ იწესრიგებს საკუთრ თავს, თუმცა პირველ ყოვლისა, ჯერ შინაგანი უნდა მოიწესრიგო და შემდეგ აისახება ეს გარეგნულზეც. ღმერთმა ადამიანს ერთი – საკუთარი თავი ჩააბარა, რომელსაც უნდა მოვუაროთ როგორც სულიერად, ასევე ფიზიკურად. ყველა თავისებური ადამიანია, თავისი შეფასების კრიტერიუმები აქვთ და ყველას გვაქვს რაღაც ჩარჩოები, რომელშიც ვექცევით. ყველაზე უჩარჩოებო ადამიანად ვჩანვარ, მაგრამ, ამ დროს, ყველაზე დიდ ჩარჩოში მე ვარ ჩასმული, ოღონდ, ჩარჩოში, რომელიც არ ჰგავს სხვების ჩარჩოს, უბრალოდ, ჩემი განსხვავდება.

**– გგონია, რომ შენი არსებობით აწუხებ საზოგადოებას?**

– პირიქით, ისინი მაწუხებენ მე *(იცინის)*. ზოგისთვის „მონა ლიზა” ჩვეულებრივი ნახატია.

**– ანუ, შენ მათთვის ზედმეტი ხარ?**

– მგონია, რომ ისინი არიან ჩემთვის ტვირთნი. ადამიანები ხომ ერთმანეთის სარკისებრი ანარეკლები არიან?!

**– შენ კი – თითის ანაბეჭდივით ინდივიდუალური?**

– აბსოლუტურად ასეა. ზოგჯერ მგონია, რომ მე მათ ხელს ვუშლი, თუმცა ისინი მზეს მე მიჩრდილავენ.

**– მოდი, ჩვენ არ ჩამოვეფარებით მზეს და აღარ შეგიშლით ხელს. მითხარი, როცა საკუთარ თავთან რჩები მარტო, მაშინ რა ხდება?**

– ეს არავინ იცის და არც არის საჭირო, იცოდეს, როცა ბალიშზე თავს ვდებ და სრულიად მარტო ვრჩები საკუთარ თავთან, რა ხდება მაშინ. უმრავლესობის პრობლემა სწორედ ის არის, რომ საკუთარ თავთან მარტო დარჩენა უჭირთ, ვერ უტყდებიან სიმართლეში და რეალობას თვალს ვერ უსწორებენ. თუ ადამიანი შეძლებს, რომ საკუთარ თავთან აღიაროს და დაინახოს ისეთი, როგორიც სინამდვილეშია, მაშინ ძალიან ბევრ პრობლემას გადალახავს ცხოვრებაში.

(გაგრძელება 71-ე გვერდზე)

# თეატრები

## შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**რუსთაველის გამზირი №17. ტელ.: 272-68-68**

8 იანვარი, **სამშაბათი** 19.45 - **„მოხუცი ჯამბაზები"** - (მცირე სცენა), (ბილეთის ფასი - 15 - 20 ლარი), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე, ***ხანგრძლივობა 2სთ. 20წთ;***

9-10-11-12 იანვარი, **ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი** 15.00 - **„ოლივერ!"** - (ბილეთის ფასი - 10 - 30 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: დავით საყვარელიძე; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

9 იანვარი, **ოთხშაბათი** 19.45 - **„სტუმარ-მასპინძელი"** - (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე. ***ხანგრძლივობა 2სთ. 15წთ.;***

10 იანვარი, **ხუთშაბათი** 15.00 - **„გაუმარჯოს ბუშონს!"** - (მცირე სცენა), (ბილეთის ფასი - 8, 10 ლარი), რეჟისორი: იოსებ ბაკურაძე; ***ხანგრძლივობა 2სთ.***

11 იანვარი, **პარასკევი** 19.00 - **„ქარი მწყურია მე პირდაპირი"** - (ბილეთის ფასი - 6, 8 ლარი), (ექსპერიმენტული სცენა), რეჟისორი: მურმან ჯინორია, ***ხანგრძლივობა 1სთ. 15წთ;***

12 იანვარი, **შაბათი** 19.45 - **„მზის დაბნელება საქართველოში"** - (ბილეთის ფასი - 10, 12 ლარი), (მცირე სცენა), რეჟისორი: გოჩა კაპანაძე, ***ხანგრძლივობა 2სთ. 40წთ.;***

13 იანვარი, **კვირა** 19.45 - **„პრინცი ჰომბურგი"** - (ბილეთის ფასი - 6 - 12 ლარი), (დიდი სცენა), რეჟისორი: გოშა გორგოშიძე; ***ხანგრძლივობა 2სთ.***

## კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი
**მარჯანიშვილის ქუჩა №8, ტელ.: 295-59-66.**

8-9-10-11-12-13 იანვარი, **სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 13.00 - **„სევილიელი დალაქი"** პრემიერა - (თეატრი სხვენში) - (ბილეთის ფასი - 6 ლარი), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი; ***ხანგრძლივობა 2სთ.***

8-9-10-11 იანვარი, **სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი** 19.00 - **„თოვლის დედოფალი"** პრემიერა - (დიდი სცენა) - (ბილეთის ფასი - 8 - 14 ლარი), რეჟისორი: ციცინო კობიაშვილი; ***ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ.;***

8 იანვარი, **სამშაბათი** 20.00 - **„Private Lives"** - (თეატრი სხვენში), (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: რამაზ ზურაბაშვილი, ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

9 იანვარი, **ოთხშაბათი** 20.00 - **„სასიყვარულო ბარათები"** - (თეატრი სხვენში), (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: თემურ ჩხეიძე. ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

10 იანვარი, **ხუთშაბათი** 20.00 - **„პრემიერა"** - (თეატრი სხვენში) - სოხუმის დრამატული თეატრის სპექტაკლი - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: დიმიტრი ხვთისიაშვილი. ***ხანგრძლივობა 2სთ. 20წთ.;***

11 იანვარი, **პარასკევი** 20.00 - **„შერეული ემოციები"** - (თეატრი სხვენში), (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: სანდრო ელოშვილი; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

12-13 იანვარი, **შაბათი-კვირა** 20.00 - **„ექსტრავაგანსა"** (თითების თეატრი) - (ბილეთის ფასი - 11 ლარი), რეჟისორი: ბესო კუპრეიშვილი. ***ხანგრძლივობა 55 წუთი.***

## თავისუფალი თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2, ტელ.: 298-58-21.**

7-8-9-10-11 იანვარი, **ორშაბათი-სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი** 12.00 - **„ახალი წელი პეპისთან ერთად"** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი), მონაწილეობს თავისუფალი თეატრის დასი; ***ხანგრძლივობა 2სთ.;***

12 იანვარი, **შაბათი** 12.00 - **„ბრემენელი მუსიკოსები"** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა; ***ხანგრძლივობა 1სთ. 10წთ.;***

## მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრი
**დავით აღმაშენებლის გამზირი №164. ტელ.: 234-28-99, 235-31-52.**

11-12 იანვარი, **პარასკევი-შაბათი** 19.00 - **„სუფთა სახლი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: ნინი ჩაკვეტაძე. ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

13 იანვარი, **კვირა** 19.00 - **„ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: გოგი მარგველაშვილი. ***ხანგრძლივობა 2სთ. 20 წუთი;***

## ახმეტელის თეატრი
**ვეკუას ქუჩა №8. ტელ.: 262-59-73, 262-61-97.**

7-8-9-10-11-12-13 იანვარი, **ორშაბათი-სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 14.00 - **„საშობაო სიზმარი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), სპექტაკლი შექმნილია ცნობილი ზღაპრების მიხედვით. ***ხანგრძლივობა 1სთ. 10წთ.;***

## ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის სახელმწიფო თეატრი
**აღმაშენებლის გამზირი №182. ტელ.: 234-80-90.**

8-9-10 იანვარი, **სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი** 19.00 - **„მერი პოპინსი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 20წთ.;***

11-12-13 იანვარი, **პარასკევი-შაბათი-კვირა** 19.00 - **„იყო და არა იყო რა, ანუ საშობაო ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 10 ლარი), რეჟისორი: დავით დოიაშვილი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 50წთ.;***

## გრიბოედოვის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №2**
**ტელ.: 293-11-06.**

7 იანვარი, **ორშაბათი** 12.00, 14.00, 16.00 - **„საშობაო ზღაპარი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ვახტანგ ნიკოლავა. ***ხანგრძლივობა 1სთ. 10წთ.;***

8 იანვარი, **სამშაბათი** 12.00, 14.00, 16.00 - **„ზღაპარი სალთან მეფეზე"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: ავთანდილ ვარსიმაშვილი. ***ხანგრძლივობა 1სთ. 10წთ.;***

9 იანვარი, **ოთხშაბათი** 12.00, 14.00, 16.00 - **„ემელიას ბედნიერება"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი: გოგი თოდაძე. ***ხანგრძლივობა 1სთ. 10წთ.;***

10 იანვარი, **ხუთშაბათი** 12.00, 14.00, 16.00 - **„ალისფერი ყვავილი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი - ვახტანგ ნიკოლავა; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

11-12 იანვარი, **პარასკევი-შაბათი** 18.00 - **„ჭექა-ქუხილი"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი - ვახტანგ ნიკოლავა; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

13 იანვარი, **კვირა** 12.00, 15.00 - **„12 თვე"** - (ბილეთის ფასი - 5 ლარი), რეჟისორი - ვახტანგ ნიკოლავა; ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.***

## პანტომიმის თეატრი
**რუსთაველის გამზირი №37. ტელ.: 299-63-14.**

7-8-9-10-11-12-13 იანვარი, **ორშაბათი-სამშაბათი-ოთხშაბათი-ხუთშაბათი-პარასკევი-შაბათი-კვირა** 13.00 - 19.00 - **საახალწლო ნაძვის ხე** - (ბილეთის ფასი - 5, 7 ლარი); ***ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;***

# კინოთეატრები

## კინოთეატრი „რუსთაველი"
**რუსთაველის გამზირი №5.**
**ტელ.: 293-22-53, 255-50-00.**

**7 – 13 იანვარი**

*დარბაზი 1*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

22.00 - **„იღბლიანი ჯენტლმენები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

*დარბაზი 2*

12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 22.15 - **„კაცების კინო"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 3*

12.00, 15.15, 18.30 - **„ჰობიტი"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.;*

22.15 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

*დარბაზი 4*

12.30, 14.30, 16.30, 18.20 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

20.20, 22.30 - **„რა ვიცით სიყვარულზე"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

*დარბაზი 5*

12.00, 14.05, 16.10, 18.15, 20.25 - **„იღბლიანი ჯენტლმენები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

22.30 - **„ჰობიტი"** 3D, *ხანგრძლივობა 2სთ. 30წთ.;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი).

## კინოთეატრი „ამირანი"
**კოსტავას ქუჩა №36. ტელ.: 299-99-55.**

*დიდი დარბაზი*

12.15, 14.10, 16.15, 18.15, 20.15 - **„ცელქი ბავშვები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

22.15 - **„ზღაპრული სამყარო"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

*მცირე დარბაზი*

12.00, 16.00, 22.00 - **„იღბლიანი ჯენტლმენები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

14.00, 18.00, 20.00 - **„ზღაპრული სამყარო"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 30წთ.;*

(ბილეთის ფასი: 6,50 - 11,50 ლარი)

## კინოთეატრი „საქართველო"
**გურამიშვილის გამზ. 2/9,**
**ტელ: 230-80-80; 269-66-47.**

12.00, 14.00, 16.00 - **„სიზმრების მცველები"** 3D, *ხანგრძლივობა 1სთ. 40წთ.;*

18.00, 20.00, 22.00 - **„იღბლიანი ჯენტლმენები"**, *ხანგრძლივობა 1სთ. 35წთ.;*

(ბილეთის ფასი: 4 - 8 ლარი).

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ვებ-გვერდი: www.info-tbilisi.com.
ან დაგვიკავშირდით შემდეგ ტელეფონზე: 218-22-55.

ინფო-თბილისი
თქვენი გზამკვლევი თბილისში
INFO-TBILISI
YOUR GUIDE TO TBILISI
www.info-tbilisi.com

## ორშაბათი 7 იანვარი

**06.00** ვენის სიმფონიური ორკესტრის კონცერტი **07.00** საცირკო სანახაობა: "მომავლის ცირკი" **08.00** საბ/ან/ფ "მახინჯი იხვის ჭუკის საშობაო თავგადასავალი" **09.30** საბ. მხ/ფ **"საშობაო ამბავი"** **11.00** საბავშვო კონცერტი: "გოზინაყი ფართი" **12.00 16.00, 20.00, 01.30** "მოამბე" **12.30** "ერქვანი" და "მართვე" **14.00** მხ/ფ **"ოთხი შობა"** **15.30** ქარ. ტ/ფ **"ქვევრი"** **17.00** კონცერტი: ე. მამალაძე **18.00** "პეპე და მეგობრები" **21.00** ტ/სერ. **"როსელა"** **22.00** ქარ. მხ/ფ **"ვერის უბნის მელოდიები"** **23.30** პატრიარქის ალსაყდრების წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი (ახალი) **01.00** "საფარი" **01.50** მხ/ფ **"მის კონგენიალურობა – 2"** **03.40** ტ/სერ. **"სპირალი"** **04.40** მხ/ფ **"ოსტინ პაუერსი: ჯაშუში" რომელმაც შემაცდინა"** **06.10** კონცერტი: EARHT WIND END FIRE.

**08.00** ან.ფ. "სალადინი" მე–9" 10 სერია **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **09.15** ან.ფ. "სამსონი და ნეონი" **09.35** ან.ფ. "სპანჯბობი" 1 სერ. **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"გაქცევა – 3"** 3 სერ. **14.45** სერ. **"24 – 4"** 1 სერ. **15.45** სერ. **"დამალული სიმართლე"** 3 სერ. **17.40** სერ. **"თილისმა"** 4 სერ. **18.50, 19.05** სერ. "სახიფათო ვნება" **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"ღვინის გზა"** 1 სერ. **00.00** მხ/ფ **"საშობაო ამბავი"** (ს.სარანდონი) **01.45** მხ/ფ **"ვარსკვლავის დაბადება"** (ჰ.დაფი) (ტიტ.) **03.30** მუსიკა.

**პროგრამაში შესაძლებელია ცვლილებები 07.30** დილა მშვიდობისა საქართველო **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **11.00** სერ. **"იდუმალი ქალი 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** "შუა დღე" **15.30** შერეკილები **17.00** სერ. **"ვნების უფსკრული"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50, 20.05** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** ქ.მხ/ფ. **23.00** შიშის ფაქტორი **01.00** მხ/ფ. **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**07.00, 02.35, 04.55, 06.00** ახალი ამბები (კოლაჟი) **07.30, 08.20, 10.30, 11.20, 12.30, 13.30, 15.40, 16.35, 17.10, 18.40, 04.35, 05.30, 06.35** უცხოეთის ამბები **07.55, 10.55, 11.55, 12.55, 13.55, 14.55, 16.55, 18.55, 06.55** უკომენტაროდ, ამინდი **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00** ახალი ამბები **08.30, 09.15** შალვა რამიშვილის "დილა" **12.00** ახალი ამბები **12** საათზე **14.05** მაესტროს პრესკლუბი **15.00** ახალი ამბები **3** საათზე **18.00** ახალი ამბები **6** საათზე **19.00** ახალი ამბები ინგლისურ ენაზე **19.05, 00.25** თოქ-შოუ "სუბიექტური აზრი" **20.00** ამბები მოკლედ **20.10, 01.40** თოქ–შოუ - "არგუმენტები" **21.00** ახალი ამბები **9** საათზე **22.00, 01.20** "ყოველდღიური აბები" **22.20, 03.10** თოქ–შოუ - "პოლიტმეტრი" **00.00** ახალი ამბები (ღამის გამოშვება).

**08.30, 03.10** საინფორმაციო დაიჯესტი "დრო" **09.00** ანიმაცია **10.00** სერ. **"ფანტაზიების კუნძული"** (გან.) **10.30** დ/ფ "ჰოლივუდის წყვილები" (გან.) **11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30** "დრო" **11.40** კონცერტი **13.50** გადაცემა "1 000 წვრილმანი" (გან) **15.00** სერ. **"ფანტაზიების კუნძული"** **16.00** "მუსიკალური საღამოები" **16.30** "დროის ვექტორი" **17.10** მუსიკა **18.00** დ/ფ"ჰოლივუდის წყვილები" **19.00, 19.35** ქარ. მხ/ფ **"ახალგაზრდა კომპოზიტორის მოგზაურობა"** **19.30** ანონსი **21.25** კონცერტი **23.00** "დილის ტალღის" გადაცემა "სათადარიგო ბორბალი" **23.30** "მუსიკალური საღამოები" **00.15** მხ/ფ **"80 დღე დედამიწის გარშემო"**.

**06.00, 08.55, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **06.05, 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05** საეკლესიო კალენდარი **06.10** ქართული მულტფილმები **06.25** დოკ/ფ "ველური ბუნება" **06.50** მხ/ფ **"ცისკარა"** **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **09.05** "განთიადი" (კოლაჟი) **10.00, 21.10** ერთსულოვნების ვერნისაჟი **10.05, 12.05, 18.55, 21.55, 00.30** ისტორიის დღიური **10.10** პატრიარქის ქადაგება **10.35** ლექსით ქებათა ქება **10.40** კვირიაკე **12.10** მხ/ფ **"ცისფერი მთები"** **13.40** კონცერტი-ეგარი **15.05** საშობაო ეპისტოლე **15.30** კონცერტი - ლიზა ბაგრატიონი **16.45** მულტ/ფ "ფიფქია და შვიდი ჯუჯა" **18.05** საშობაო ეპისტოლე **18.30** ქრისტეს მახარობლები **19.00, 22.00, 00.10, 02.30** სიახლენი **19.15** მხ/ფ **"ჭრიჭინა"** **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** საშობაო ეპისტოლე **21.40** შობის ვარსკვლავი **22.25** დოკ/ფ "შობა უფლისა" (რ. ძნელაძე) **22.40** ალილო **22.45** ტელ/ფ "პეპელა" **22.55** ალილო **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** ალილო - ანს."ჩოხოსნები" **00.35** მოკ/ფ **"ღვინის ქურდები"** **01.00** სატელევიზიო არქივიდან "ტალანტები და თაყვანისმცემლები".

## სამშაბათი 8 იანვარი

**06.30** "მოამბე" (აფხაზურ" ოსურ" სომხურ" აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** "ჩვენი დილა" (პ/ე) **09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 00.50** "მოამბე" **10.30** "დილის საუბარი" **11.00** "სამოთხის ვაშლები" (პ/ე) **12.45** "პირადი ექიმი" – მარი მალაზონია (პ/ე) **13.30** "დღეს ორის ნახევარზე" (პ/ე) **15.00** საახალწლო კონცერტი **17.00** "საფარი" **18.00** "პეპე და მეგობრები" **19.05** ტ/სერ. **"საიდუმლო გამოძიებანი"** **21.00** ტ/სერ. **"როსელა"** **22.00** "აქცენტები" **23.00** მხ/ფ **"დაჯავშნას არ საჭიროებს"** (კ.ზეტა-ჯონსი) **01.10** მხ/ფ **"მის კონგენიალურობა"** (ტიტ.) (ს.ბალოკი) **03.10** ტ/სერ. **"სპირალი"** **04.10** მხ/ფ **"ბინგო ბონგო"** (ა. ჩელენტანო) **06.00** დ/ფ "მსოფლიო ოდისეები".

**08.00** ან.ფ. "სალადინი" მე–11" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00** ქრონიკა **09.15** ან.ფ. "სპანჯბობი" მე–2" 3 სერ. **10.00** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** ფორტ ბოიარი **13.00** სერ. **"გაქცევა – 3"** 4 სერ. **14.45** სერ. "24 – 4" 2 სერ. **15.45** სერ. **"დამალული სიმართლე"** 4 სერ. **17.40** სერ. **"თილისმა"** 5 სერ. **18.50, 19.05** სერ. "სახიფათო ვნება" **21.00** სერ. **"მარტოსული"** **22.00** ქ.სერ. **"შუა ქალაქში"** **23.00** სერ. **"ღვინის გზა"** 2 სერ. **00.00** ახალი ქართული ხმა (გ/ჩ) **02.00** მხ/ფ **"ტალღებთან მოთამაშე"** (კ.რივზი) **04.00** მხ/ფ **"ჩემი ძმაკაცის შეყვარებული"** (დ.კუკი) **05.45** მუსიკა.

ყველა სოლიდურ დაწესებულებაში ახალი წლის დღეებიდან სტარტს იღებს კორპორაციული წვეულებები, რაც იანვრის შუა რიცხვებამდე გრძელდება. მათთვის, ვისაც სიმსუქნისკენ აქვს მიდრეკილება, ასეთი საღამოები, ერთგვარად, დამატებითი სტრესია. წვეულებაზე ზედმეტად რომ არ წაგძლიოთ სულმა და ათასგვარ ნუგბარზე ზედმეტად არ წაგიცდეთ ხელი, წინა დღეებში ნუ იშიმშილებთ, იკვებეთ თითქმის ჩვეულებრივად, ანუ, ჩვეულებრივად, ოღონდ, ოდნავ ნაკლები რაოდენობით. განსაკუთრებით კი მოერიდეთ ალკოჰოლს, რადგან, ის აძლიერებს შიმშილის გრძნობას:



***სუფრის ტაქტიკა:***

1) ფურშეტის დაწყებამდე 15 წუთით ადრე მიირთვით ერთი ცალი ვაშლი. პენსილვანიის უნივერსიტეტის დიეტოლოგებმა დაადგინეს, რომ ვაშლი არა მარტო აქვეითებს შიმშილის გრძნობას, არამედ, წვავს შემდეგ მირთმეული საკვების 180 კილოკალორიას.

2) პატარა ბოთლით იქონიეთ მინერალური წყალი და სვით ხშირად და ცოტ-ცოტა – ასე უფრო ნაკლებს შეჭამთ.

3) შეეცადეთ, ხელები სულ დაკავებული გქონდეთ. კორნელის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაადგინეს, რომ, ქალები, რომლებსაც ხელში გამუდმებით უჭირავთ ჭიქა ან ბოკალი წვენით ან შამპანურით, გაცილებით უფრო იშვიათად მიდიან გაშლილ სუფრასთან და, შესაბამისად, ნაკლებსაც მიირთმევენ. საბოლოო ჯამში კი 21 პროცენტით ნაკლებ კალორიას იღებენ, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუკი ხელები ჭიქისგან თავისუფალი ექნებათ.

4) შეეცადეთ, სტუმრებს შორის მოძებნოთ ისეთი მოსაუბრე მამაკაცი, რომელიც ცდილობს, თავი მოგაწონოთ (ან, პირიქით, თქვენ გსურთ მისთვის თავის მოწონება), ან, ისეთი ქალბატონი, რომელიც თქვენს ყოველ ნაბიჯსა და მოქმედებას ადევნებს თვალს თუნდაც იმიტომ, რომ თქვენში მეტოქეს ხედავს. ასეთ ადამიანებთან საუბრისას, გვერწმუნეთ, ნაკლებად გაგიჩნდებათ ჭამის მოთხოვნილება – რომელ ქალს ექნება სურვილი, ლუკმის ღეჭვისა და ყლაპვის პროცესში უყუროს მასზე ჩასაფრებულმა მეტოქემ ან მისი ოცნების მამაკაცმა?

5) უარი არ უთხრათ არავის, ვინც საცეკვაოდ გაგიწვევთ. თუ ასეთები არ აღმოჩნდებიან, თავად გამოიჩინეთ ინიციატივა – სადღესასწაულო წვეულებაზე ეს სულაც არ იქნება უხერხული. შედეგი კი ნათელია: რაც მეტს იცეკვებთ, ნაკლები დრო დაგრჩებათ ჭამისთვის.

6) სუფრიდან შეარჩიეთ ნაკლებად კალორიული საკვები და მიირთვით მცირე რაოდენობით – რატომ უნდა აჭორაოთ ხალხი, რომ მთელი საღამო ჭამის მეტს არაფერს აკეთებდით?!

ჩვენი რჩევები ძირითადად ფურშეტისთვის იყო გათვალისწინებული, მაგრამ, თუ თქვენი კორპორაციული წვეულება ჩვეულებრივი, ქართული, „დამჯდარი“ ქეიფია, მეტნაკლები კორექცია, შეგიძლიათ, იქაც გამოიყენოთ – შედეგი მაინც სასურველი იქნება.

# სილამაზის რეცეპტებს კვლავ გვთავაზობენ მეგავარსკვლავები



***გვინეტ პელტროუ*** უპირატესობას ანიჭებს ნატურალურ მაკიაჟს. ამისთვის ის იყენებს ტონალურ საშუალებას ლიფტინგ-ეფექტით, რომლის შემადგენლობაში შედის სინათლის ამრეკლავი ნაწილაკები, რაც კანს სადა და სასიამოვნო ბზინვარებას სძენს.

***მარსია კროსი*** ირუჯება მზის დახმარების გარეშე. „სასოწარკვეთილი დიასახლისების“ ვარსკვლავს ბუნებამ მიანიჭა მოოქროსფერო კანი, რომელსაც ბრინჯაოსფერ პუდრს „აშველებს“, ღაწვებზე კი გარგარისფერ რუჟს ისვამს.

***ჯესიკა ალბასაც*** მაკიაჟის მშვიდი გამა მოსწონს, მაგრამ, ხშირად აკეთებს აქცენტს თავის მსხვილ ტუჩებზე მკვეთრი პომადით. როგორც ჰოლივუდის ვარსკვლავი ამბობს, წელს მოდაშია მსუყე ფერები: მუქი ჟოლოსფერი, მუქი ალუბლისფერი, მუქი შვინდისფერი.

***ემა უოტსონის*** მზერა, როგორც კარლ ლაგერფელდი ამბობს, გამჭოლი და კეკლუცია. სწორედ ამიტომ აირჩია მან „სმოკი-აისი“, რომლის შესაქმნელადაც მან მონაცრისფრო-რუხ „ჩრდილებზე“ გააკეთა არჩევანი.

***ევა ლონგორიას*** მთავარი სიამაყე გრძელი და ფუმფულა წამწამებია, რაც კიდევ უფრო იდუმალსა და მეტყველს ხდის მის ისედაც ვნებიან მზერას. ევამ კარგად იცის თავისი ეშხიანი თვალების ფასი, ამიტომაც, აქცენტს ყოველთვის მათზე აკეთებს, კერძოდ, უმრავლეს შემთხვევაში, ტუჩებზე ღია ფერის ვარდისფერ პომადას ისვამს.

# კოსმეტოლოგის რჩევები

**კითხვა: ზამთარი დადგება თუ არა, სულ მეძინება; გარდა ამისა, ფრჩხილები ფენა-ფენად მექერცლება, თმის ღერები კი უფერული და მტვრევადი ხდება. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?**

**პასუხი**: თქვენ მიერ ჩამოთვლილი სიმპტომები სხვადასხვა მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. ზუსტ დიაგნოზსა და, შესაბამისად, რჩევას, მოგცემთ ექიმი და არა კოსმეტოლოგი. ჩვენ კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია, რომ, აშკარად გაქვთ ვიტამინების ნაკლებობა და, სასურველია, მიიღოთ მულტივიტამინური კომპლექსები.

**კითხვა: ამბობენ, რომ საღამოს 6 საათის შემდეგ საკვების მიღება მავნებელია. შეესაბამება თუ არა ეს სიმართლეს?**

**პასუხი**: ეს სიმართლეა. მიზეზი კი შემდეგში მდგომარეობს: დაახლოებით 18-19 საათის შემდეგ საჭმლის მომნელებელი ორგანოები გადადიან დასვენების რეჟიმზე და, ამიტომ, მათ უჭირთ მძიმე საკვების გადამუშავება. თუმცა, თუ სამსახურიდან გვიან ბრუნდებით, ცხადია, სადილობა საღამოს მოგიწევთ, რაც, ექიმების თქმით, მავნებელი არ არის, თუ ზომიერებას დაიცავთ. რაც მთავარია, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ბოლო კვებასა და დაძინებას შორის აუცილებელია 4-საათიანი შუალედი.

**კითხვა: მართალია თუ არა, რომ, თუ ძილის წინ რამდენიმე კოვზ თაფლს შევჭამთ, უფრო ადვილად გავხდებით?**

**პასუხი**: ეს არასწორი ინფორმაციაა. თაფლს არ გააჩნია ცხიმების დაწვის მკვეთრად გამოხატული თვისებები. უფრო მეტიც – ეს პროდუქტი თავადაც ძალიან კალორიულია. ძილის წინ 1-2 ჩაის კოვზი თაფლის მიღება რეკომენდებულია მხოლოდ მათთვის, ვისაც უძილობა აწუხებს (თუ, რა თქმა უნდა, თაფლზე ალერგია არ აქვს).

**კითხვა: როგორი შემადგენლობა უნდა ჰქონდეს შამპუნს, რომ გაამაგროს თმის ძირები, გამოკვებოს თმა და, თან, მოახდინოს თავის კანის მსუბუქი პილინგი?**

**პასუხი**: თქვენ მიერ ჩამოთვლილ „დავალებებს“ სრულყოფილად ასრულებს შამპუნი, რომლის შემადგენლობაში შედის: წყალმცენარეების ექსტრაქტი, ზღვის მარილი და თეთრი თიხა.

**კითხვა: თითქმის ყოველ მეორე დღეს ვიბან თავს, თანაც, სახლიდან გასვლამდე ერთი-ორი საათით ადრე. შესაბამისად, ყოველ მეორე დღეს მიწევს ფენის გამოყენება. მაინტერესებს, არსებობს თუ არა რაიმე მეთოდი, რომელიც ფენს ნაკლებად მავნებელს გახდის და ვარცხნილობასაც დიდხანს შეინარჩუნებს?**



**პასუხი**: გაშრობისას ფენი დაიჭირეთ ისე, რომ ცხელი ჰაერი თმას უბერავდეს ძირებიდან ღერების ბოლოებისკენ. თმის გაშრობის შემდეგ ფენი გადაიყვანეთ ცივ რეჟიმზე – ეს ხელს შეუწყობს ვარცხნილობის დიდხანს შენარჩუნებას და, გარდა ამისა, თმაც მეტ ბზინვარებას შეიძენს.

**მოამზადა**
**თამრიკო ზამთარაძე**

# რატომ მოაკვლევინა „კაგებემ“ ქართველ ყმაწვილს ცნობილი გენერალი

*ეგრეთ წოდებული „არალეგალთა კანტორის“ საქმე, სულ რაღაც, ათიოდე წლის წინათ გახდა ცნობილი ფართო საზოგადოებისთვის და ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ყოფილი საბჭოთა „კაგებეს“ ერთ-ერთი პოლკოვნიკი უცხოეთში გაემგზავრა საცხოვრებლად. იქ გამოსცა წიგნი, რომელიც საბჭოთა უშიშროების ზოგიერთ ზესაიდუმლო ფაქტებს ამზეურებდა. ჩვენ მიერ მოპოვებული ფაქტები ზამოაღნიშნულ წიგნში არ შესულა. ამიტომ, მასალა ექსკლუზიურია, პრესაში პირველად იბეჭდება და მისი გამოქვეყნება რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია.*

*პუბლიკაციის რამდენიმე მონაწილის ვინაობა შეცვლილია. მათი ვინმესთან მსგავსება შემთხვევითია, რისთვისაც წინასწარ გიხდით ბოდიშს.*

### საიდუმლო ბუნკერის მობინადრეები

1971 წლის 31 დეკემბერს თბილისში, ისანში განლაგებულ „გრუს“ სპეცდანიშნულების რაზმის ყაზარმაში ინციდენტი მოხდა. „გრუს“ სპეცრაზმის მეომარმა, უმცროსმა ლეიტენანტმა 21 წლის გოჩა მჭედლიძემ „გრუს“ სპეცრაზმის მეთაური, პოლკოვნიკი იური ლიხაჩოვი მოკლა. ლიხაჩოვი, სულ რაღაც, ერთი კვირის დანიშნული იყო თანამდებობაზე და იმის გამო, რომ ქართველები სძულდა, მჭედლიძე აითვალწუნა. ყოველმხრივ ავიწროვებდა მას და იმ ავბედით საღამოსაც ჯერ დათვრა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, შემდეგ კი პისტოლეტი მიუშვირა და მოკვლით ემუქრებოდა. თუმცა, მჭედლიძემ იარაღი წაართვა უფროსს, შეტრიალდა და ოთახიდან გადიოდა, რომ იატაკზე დაგდებულმა ლიხაჩოვმა მოულოდნელად მეორე პისტოლეტი ამოაცურა და თითქმის კარში გასულ მჭედლიძეს დაუმიზნა. ის-ის იყო სასხლეტისთვის თითი უნდა გამოეკრა, რომ უმცროსი ლეიტენანტი შემოტრიალდა და ლიხაჩოვს, მისივე იარაღიდან ერთი გასროლით შუბლი გაუხვრიტა... სულ რაღაც ორიოდე საათის შემდეგ გოჩა მჭედლიძე უკვე ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჰაუპტვახტში გადაიყვანეს და ერთადგილიან საკანში მოათავსეს.

მიუხედავად იმისა, რომ გოჩა მჭედლიძე აბსოლუტურად უდანაშაულო იყო, რასაც ამ ინციდენტის შემსწრე ადამიანებიც ადასტურებდნენ, მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. სასამართლო ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბშივე გაიმართა და ერთი თვის შემდეგ, ის ტაჯიკეთში, დაბა პუსტინნაიაში განლაგებულ კოლონიაში გასამგზავრებლად გაამზადეს. პუსტინნაია სამხედრო მოსამსახურეებისთვის განკუთვნილი მკაცრი რეჟიმის კოლონია იყო. იქ განთავსებული ხუთასი პატიმრიდან, უკიდურესად მძიმე პირობების გამო, მეხუთედი სასჯელის მოხდამდე იღუპებოდა.

> **მჭედლიძე შეტრიალდა და მისივე პისტოლეტით პოლკოვნიკს შუბლი გაუხვრიტა**

1972 წლის 2 მარტს, გოჩა მჭედლიძეს სამხედრო გამომძიებელი ერთადგილიან საკანში ესტუმრა და ბოლო ფორმალობის შესრულება შესთავაზა, რაც სხვადასხვა საგამოძიებო საბუთის ხელმოწერით გამოიხატებოდა. ამის პარალელურად, გამომძიებელმა მჭედლიძეს ანიშნა, გვისმენენ და ზედმეტი არაფერი წამოგცდესო, წინ კი ფურცელი დაუდო, რომელზეც ეწერა: „უშიშროების კომიტეტში იციან, რომ უდანაშაულო ხართ და თქვენთან თანამშრომლობა სურთ. თუ ამაზე თანახმა ხართ, მიანიშნეთ და აქედან გაქცევას მოგიწყობთ“.

გოჩა მჭედლიძემ გამომძიებელს თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა. მეორე დღეს, 3 მარტს, როცა მჭედლიძე საეტაპო მატარებლით ბაქოსკენ მიჰყავდათ, რომ იქიდან ტაჯიკეთში გადაეგზავნათ, პატიმარი №40712, თბილისიდან 80 კილომეტრის დაშორებით, ერთ-ერთ პატარა სოფელთან მატარებლიდან გადმოხტა და გაიქცა... მას იქვე, მანქანა ელოდებოდა, რომელსაც შუშებზე ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული და მჭედლიძე გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. სულ რაღაც საათ-ნახევრის შემდეგ, მანქანა გაჩერდა და გაქცეული რომ გადმოვიდა, თავი დახურულ სივრცეში ამოჰყო. გოჩა მჭედლიძეს საშუალოზე მაღალი, ორმოცდაათიოდე წლის კაცი შეეგება და უთხრა:



– მე, უშიშროების პოლკოვნიკი ვიქტორ ბასოვი ვარ. კეთილი იყოს შენი ფეხი აქ. იმედია, რომ ერთმანეთს გავუგებთ.

მატარებლიდან გაქცეული გოჩა მჭედლიძე, თბილისში, რკინიგზის სადგურის ქვეშ, ღრმა მიწისქვეშეთში განლაგებულ საიდუმლო ბუნკერში მიიყვანეს. ბუნკერი „კაგებეს“ კუთვნილება იყო და იქ სხვადასხვა დანაშაულებისთვის მსჯავრდებული ადამიანები იყვნენ განთავსებულები. ყველა მათგანი „კაგებემ“ გააქცია პატიმრობიდან და პირადი მიზნებისთვის იყენებდნენ. იმ ბუნკერში მათ აცხოვრებდნენ, წვრთნიდნენ და სპეცდავალებებზე უშვებდნენ. ბუნკერს „არალეგალთა კანტორას“ უწოდებდნენ. იქ, სულ ორმოცი ადამიანი ცხოვრობდა და მათ ისეთ დავალებებს აძლევდნენ, რომლის თაობაზეც მხოლოდ ერთეულებმა იცოდნენ.

### ერთჯერადი დავალება

ვაგზლის მოედნის ქვეშ განლაგებული ბუნკერის მობინადრეები, ძირითადად მკვლელი-არალეგალები იყვნენ. „კანტორა“ მათ ერთჯერად დავალებას აძლევდა, რის შემდეგაც ისინი ან დავალების შესრულების დროს იღუპებოდნენ, ან კანტორა კლავდა. კანტორას ვიქტორ ბასოვი ხელმძღვანელობდა და დავალებებსაც უშუალოდ ის იღებდა ზემდგომებისგან. შემდეგ კი უკვე შემსრულებელს არჩევდა და საქმისთვის პირადად ამზადებდა მას. ბასოვი პირველივე დღეს ოთახში ესტუმრა მჭედლიძეს და უთხრა:

– ჩვენ იმიტომ გაგაქციეთ ციხიდან, რომ უდანაშაულო ხარ. შენი დოსიე კარგად შევისწავლე და ვიცი, რომ მშვენიერი ჯარისკაცი ხარ. ისიც ვიცი, რომ სამშობლოსთვის თავის გაწირვაც შეგიძლია. თუმცა, ამას არ გთხოვთ. ის, რაც შენ გევალება, ჩვენი დავალების მაღალპროფესიულ დონეზე, კეთილსინდისიერად შესრულებაა. ორი-სამი ასეთი დავალება და თავისუფალი ხარ. გაძლევთ ახალ პასპორტს, გიცვლით გარეგნობას, გაძლევთ ფულს და შეგიძლია, ახალი ცხოვრება დაიწყო. მით უმეტეს, რომ ძალიან ახალგაზრდა ხარ და ყველაფერი წინ გაქვს.

– რა დავალებები უნდა შევასრულო?

– სამშობლოს მტრები უნდა დახოცო. თუმცა, გამორიცხული არაა, რომ სხვა სამუშაოს შესრულებაც მოგიწიოს. რას იტყვი, თანახმა ხარ?

– დიახ.

– ჰოდა, ძალიან კარგი. დღეს დაისვენე. ხვალიდან კი მუშაობას შევუდგებით, – უთხრა ბასოვმა მჭედლიძეს. გამოემშვიდობა და წავიდა, თუმცა იმის შესახებ არაფერი უთქვამს, რომ პირველივე დავალება, უკანასკნელი იქნებოდა და ამის შემდეგ მას უკვალოდ გააქრობდნენ.

გოჩა მჭედლიძის ერთჯერადი დავალება მართლაც რომ ზესაიდუმლო იყო, რადგან მას გენერალ-პოლკოვნიკი ევგენი ბასკოვი უნდა მოეკლა. ბასკოვი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის ერთ-ერთი მოადგილე იყო. მისი მოშორება კი პირადად „ცეკას“ მდივნის, მიხაილ სუსლოვის შეკვეთა გახლდათ. მთავარი საბჭოთა იდეოლოგი შეაშფოთა გენერალ ბასკოვის პროტესტანტულმა სულისკვეთებამ და რომ ანტიპარტიული ელემენტი იყო. ანტიპარტიული ელემენტები კი მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილს იმსახურებდნენ. ამიტომ, სუსლოვმა ეს მისია ერთ-ერთ თავის საიმედო თანაშემწეს, ანდრეი კოტოვს დაავალა. ის სპეციალურად ჩამოფრინდა თბილისში და ვიქტორ ბასოვს ბასკოვის მკვლელობა შეუკვეთა.

ვიქტორ ბასოვმა, მეორე დღეს, უკვე კაბინეტში დაიბარა გოჩა მჭედლიძე, გენერალ-პოლკოვნიკ ევგენი ბასკოვის სურათები უჩვენა და უთხრა:

– აი, ეს კაცი უნდა გავანადგუროთ. ესაა საბჭოთა გენერლის მუნდირს ამოფარებული, მოღალატე, რომელიც მტერს მიეყიდა და ქვეყნის საზიანოდ მოქმედებს. მისი დაპატიმრება დიდ აურზაურს გამოიწვევს და არ გვაწყობს. ამიტომ, ის ამგვარად უნდა მოვსპოთ. ეს უფრო საიმედოა და დიდ ხმაურსაც არ გამოიწვ-

ევს. რას იტყვი, მოსპობ სამშობლოს მოღალატეს?

– ბოლოს მოვუღებ, – მტკიცედ მიუგო ბასოვს მჭედლიძემ და წამითაც არ დაფიქრებულა იმაზე, თუ რა ელოდა თავად მას, როცა საქმეს შეასრულებდა.

მას მერე, რაც ბასკოვის ლიკვიდაციის ოპერაცია დეტალურად დამუშავდა, დაინიშნა შესრულების დღე და 1972 წლის 1 სექტემბერს გენერალი უნდა გაენადგურებინათ. ორი დღით ადრე კი, გოჩა მჭედლიძე მოსკოვში გადაიყვანეს, კონსპირაციულ ბინაში ჩაასახლეს და მეთვალყურე მიუჩინეს. მოსკოვშივე იმყოფებოდა ვიქტორ ბასოვი, რომელიც პირადად ხელმძღვანელობდა ოპერაციას და მასვე უნდა მოეკლა გოჩა მჭედლიძე, როცა ის გენერალს მოკლავდა და კონსპირაციულ ბინაში დაბრუნდებოდა.

## პოლკოვნიკი ბასოვი უკვალოდ გაქრა, საიდუმლო ბუნკერი კი ახალი ვაგზლის მშენებლობის დროს საძირკვლად გამოიყენეს

1972 წლის 1 სექტემბერს, გენერალ-პოლკოვნიკი ევგენი ბასკოვი დღის 2 საათსა და 10 წუთზე სნაიპერული გასროლით იქნა მოკლული. ტყვია მას შიგ შუბლში იმ დროს მოხვდა, როცა სამსახურებრივი მანქანიდან გადმოდიოდა სამხედრო აკადემიის კურსანტებთან შესახვედრად.

გოჩა მჭედლიძემ ბასკოვს 300 მეტრის მანძილიდან ესროლა და კონსპირაციულ ბინაში დაბრუნდა, სადაც უკვე ვიქტორ ბასოვი ელოდებოდა. ბასოვს ის ჯერ მაყუჩიანი პისტოლეტით უნდა მოეკლა, შემდეგ კი გვამი აბაზანაში ჩაეგდო და სპეციალურ მჟავაში „დაედნო“... თუმცა, მჭედლიძე დაეჭვდა. მოულოდნელად პოლკოვნიკს იარაღი შუბლზე მიადო და ყველაფერში გამოტეხა. შემდეგ გათიშა, პისტოლეტი აართვა და იქაურობა სასწრაფოდ დატოვა. ბასოვი ათიოდე წუთის მერე გამოფხიზლდა, მაშინვე კონსპირაციულ ტელეფონზე დარეკა და თქვა:

– „ჭინკა“ გაიქცა...

### „ჭინკა“

„ჭინკა“ გოჩა მჭედლიძის საბრძოლო ფსევდონიმი იყო და როცა ბასოვმა მასზე ძებნა გამოაცხადა, ის უკვე ძებნილი იყო. მას საეტაპო მატარებლიდან გაქცევისთვის ეძებდნენ. თუმცა, ბასოვის საიდუმლო უწყებამ ჭინკას საიდუმლო ძებნა გამოაცხადა და მის მაძებრებს ერთადერთი დავალება ჰქონდათ, ის ადგილზევე უნდა მოეკლათ.

გოჩა მჭედლიძე, იგივე ჭინკა, სულ რაღაც 22 წლის იყო, მაგრამ საკმაო გამოცდილება ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სუპერინტელექტით არ გამოირჩეოდა, საკმაოდ ცბიერი გახლდათ და მისი დაპატიმრება არც ისე იოლი იყო. კონსპირაციული ბინიდან გაქცეული ჭინკა „გრუს“ სპეცსკოლაში იყო გამოწვრთნილი და ეგრეთ წოდებული „ვიჟივანიის“ ორი კურსი ჰქონდა გავლილი. ამიტომ, საკმაოდ რთულ პირობებში შეეძლო ადაპტაცია და ორიენტირება. თანაც, შეიარაღებული იყო და კარგად იყენებდა ნებისმიერი სახეობის ცივ და ცეცხლსასროლ იარაღს. უპირველესად, მას საიმედო თავშესაფარი სჭირდებოდა. ამიტომ, გორკის სახელობის პარკთან მდებარე მეძავთა ბირჟას მიაკითხა და ოცდახუთიოდე წლის გოგონა შეარჩია, რომელსაც ჟღალი თმა და წვრილი ჭორფლები ჰქონდა. ჭინკამ გოგონა იხმო და ჰკითხა:

– რა გქვია, ლამაზო?

– შენ მხოლოდ ჩემი სახელი გაინტერესებს თუ სხვა რამეც? – კეკლუცად მიუგო გოგონამ გოჩას და გაუღიმა.

– სხვა რამეც. რა გქვია?

– ქსენია. ახლობლებისთვის კი – ქსიუშა.

– ესე იგი, ქსიუშა, – გაიმეორა გოჩამ, – ძალიან მომწონხარ და შენთან ერთად დროის გატარება მინდა. მაგრამ, ამ ქალაქში ხატა არ მაქვს და ესაა ჩემი პრობლემა.

– ფული გაქვს?

– აი, – გოჩამ მეძავს ხუთი ცალი ასმანეთიანი უჩვენა, რომელიც პოლკოვნიკ ბასოვს აართვა.

– კარგი. მაშინ ჩემთან წავიდეთ. მარტო ვცხოვრობ, – მიუგო გოგონამ და ჰკითხა, – შემთხვევით ბოროტმოქმედი ან სექსუალური მანიაკი ხომ არ ხარ?

– არა, ლამაზო. სრულიად უსაფრთხო კაცი ვარ, – მიუგო გოჩამ მეძავს. შემდეგ ტაქსი გააჩერა და ქსენია ვოლკოვასთან ერთად მის ბინაში გაემართა.

ახალგაზრდა მეძავთან გოჩა მჭედლიძემ 3 თვე იცხოვრა და ამ ხნის განმავლობაში მოსკოვის №6 შემნახველი სალაროს ინკასატორი გაძარცვა, 34 ათასი მანეთი წაართვა და მიიმალა. 1972 წლის 1 დეკემბერს კი, ჭინკას ბასოვის მაძებრებმა მიაგნეს და ქსენიასთან მიაკითხეს. თუმცა, გოჩა მჭედლიძემ ორი მეძებარი დაჭრა და გაქცევა მოახერხა. იმ დროისთვის ვოლკოვა ფეხმძიმობის მესამე თვეზე იყო და ექვსი თვის შემდეგ ვაჟი გააჩინა.

პატარა კოსტია მჭედლიძე 1973 წლის 8 ივნისს დაიბადა მოსკოვის №2 სამშობიაროში. მიუხედავად იმისა, რომ იქ მაძებრები იყვნენ ჩასაფრებულები და ჭინკას გამოჩენას ელოდნენ, მჭედლიძე სამშობიაროში არ გამოჩენილა. თუმცა, ქსენიამ რომ ბავშვი სახლში მიიყვანა და კარი მიიხურა, მას ჭინკა შეეგება, ტუჩზე თითი მიადო და უთხრა:

– ნუ გეშინია, ქსიუშა. ყველაფერი კარგად იქნება.

1974 წლის 2 აგვისტოს, ოდესის პორტიდან თურქული გემი გავიდა, რომლის ბორტზეც არალეგალურად იმყოფებოდნენ გოჩა მჭედლიძე, ქსენია ვოლკოვა და წლისა და ორი თვის კოსტინკა...

***P. S. 1976 წელს ნიუ-იორკში როჯერსების ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად, რომლებიც სინამდვილეში საბჭოთა კავშირიდან გაქცეული ცოლ-ქმარი – გოჩა და ქსენია მჭედლიძეები, ასევე, მათი 3 წლის ვაჟი, კონსტანტინე იყვნენ.***

***პოლკოვნიკი ვიქტორ ბასოვი უკვალოდ გაქრა... ვაგზლის მოედნის ქვეშ განლაგებული ბუნკერი კი, თბილისის ახალი სადგურის მშენებლობისას საძირკვლად გამოიყენეს.***

**ნიკა ლაშაური**

# რა მოხდა ამ დღეს

### 7 იანვარი

1610 – გალილეო გალილეიმ აღმოაჩინა იუპიტერის პირველი თანამგზავრები: იო, აგინმედე და ევროპა.

1785 – ფრანგმა ჟან ბლაშარმა პირველმა გადაუფრინა ლა-მანშს საჰაერო ბურთით.

1887 – სანფრანცისკოელმა თომას სტივენსმა დაასრულა პირველი მოგზაურობა დედამიწის გარშემო ველოსიპედით, დაწყებული 1884 წლის აპრილში.

1914 – პირველმა გემმა გაცურა ჯერ კიდევ ოფიციალურად გაუხსნელი პანამის არხში.

1949 – გამოქვეყნდა გენების პირველი ფოტოსურათი.

### 8 იანვარი

1656 – ჰოლანდიის ქალაქ ჰარლემში გამოვიდა გაზეთი, რომელიც დღემდე გამოდის. ესაა დღემდე არსებული უძველესი პერიოდული გამოცემა.

1958 – 14 წლის ბობი ფიშერი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონი ჭადრაკში.

### 9 იანვარი

1793 – ფრანგმა ჟან-პიერ ბლანშარმა, პირველმა გადაუფრინა ამერიკის კონტინენტს საჰაერო ბურთით.

1799 – ინგლისში მსოფლიოში პირველად შემოიღეს მოგების გადასახადი.

1816 – ქვანახშირის მაღაროებში პირველად გამოიყენეს უსაფრთხო ნავთის ლამპები.

1951 – ნიუ-იორკში გაიხსნა გაეროს შტაბბინის შენობა.

### 10 იანვარი

1863 – გაიხსნა მსოფლიოში პირველი – ლონდონის მეტროპოლიტენის ხაზი.

1966 – გაიხსნა თბილისის მეტროპოლიტენის პირველი ხაზი: „ლენინის მოედანი – დიდუბე“.

1993 – იტალიაში სპეციალური კანონით აიკრძალა სექსი ავტომობილის ტარებისას.

### 11 იანვარი

1798 – გარდაიცვალა ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე მეორე.

1879 – დაიწყო ინგლის-ზულუსების ომი სამხრეთ აფრიკაში.

1909 – ამერიკის შეერთებული შტატებში გაიმართა ქალთა პირველი ავტორბოლა.

1963 – ლოს-ანჯელესში გაიხსნა პირველი დისკოთეკა მსოფლიოში – Whisky-A-Go-Go.

1984 – პირველად მუსიკის ისტორიაში ალბომის გაყიდვამ გადააჭარბა 10 მილიონ ეგზემპლარს – ეს იყო მაიკლ ჯეკსონის „ზი თრილერ“.

### 12 იანვარი

1910 – ყველაზე ახალგაზრდა მშობლები გახდნენ 9 წლის ბიჭი და 8 წლის გოგო.

1928 – რუს სანიდერი იყო პირველი ქალი, რომელიც სიკვდილით დასაჯეს ელექტრონულ სკამზე.

1932 – არკანზასელი ჰეტი კარაუეი იყო პირველი ქალი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სენატის წევრი გახდა.

1970 – სილვესტერ სტალონეს კინოდებიუტი... პორნოგრაფიულ ფილმში.

### 13 იანვარი

1906 – მალაზიებში გასაყიდად გამოიტანეს პირველი რადიომიმღებები.

1917 – პარიზში საფრანგეთის კონტრდაზვერვამ დააპატიმრა მოცეკვავე, ჯაშუში მატა ჰარი.

1964 – კარლ ვოიტილა (მომავალი პაპი იოანე პავლე მეორე) გახდა კრაკოვის არქიეპისკოპოსი.

# როგორ იძია ქალმა შური გაქცეულ ქმარზე მცირეწლოვან გერთან გარყვნილი ქმედებისთვის



36 წლის გოჩა კ-ძე, რომელსაც თავის არეში მძიმე დაზიანებები აღენიშნებოდა, იმ სახლის მეპატრონემ აღმოაჩინა, სადაც ის მეგობართან ერთად სარემონტო სამუშაოებს ატარებდა. დილით, სახლში ხელოსნებთან მოსალაპარაკებლად მისულმა ბინის მეპატრონემ უგონო მდგომარეობაში მყოფი გოჩა კ-ძე, საწოლში სისხლში მოსვრილი აღმოაჩინა. მან შემთხვევის ადგილზე სამართალდამცველები და სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური გამოიძახა, რომლებმაც დაზარალებული საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც მისი გადარჩენა რამდენიმესაათიანი ოპერაციის შედეგად შეძლეს.

მოწმის სახით დაკითხულმა ბინის მეპატრონემ სამართალდამცველებთან განაცხადა: „ერთი თვეა, რაც ბინაში რემონტს ვატარებ, სამუშაოებისთვის ჭიათურაში მცხოვრები ხელოსანი ვაჟა ჯ-ძე დავიქირავე. მამაკაცი კი, რომელიც ჩემს ბინაში აღმოვაჩინე, სულ ორჯერ მყავს ნანახი, მის შესახებ ჩემმა ხელოსანმა მითხრა: ჩემი ნაცნობია, წვრილმან საქმეებში მეხმარება და ფულს მე გადავუხდი, ეგ თქვენი პრობლემა არ არისო. ამის გარდა ამ მამაკაცის შესახებ არაფერი ვიცი."

სამართალდამცველებმა ვაჟა ჯ-ძეც დაკითხეს, რომელმაც განაცხადა, რომ დაზარალებული მამაკაცი ბინაში, სადაც რემონტს აკეთებდა, ინციდენტამდე ორი დღით ადრე დატოვა. რადგან თავად რაიონში იყო წასული და მომხდარის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა. გოჩა კ-ძის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმე იყო – მას დაზიანებები თავისა და სახის არეში ჰქონდა მიყენებული.

შემთხვევის ადგილის დათვალიერების შემდეგ ოპერატიული სამსახურისთვის ნათელი გახდა, რომ დანაშაული სამშენებლო ჩაქუჩით იყო ჩადენილი. დამნაშავეს, რომლის ვინაობაც გამოძიებისთვის უცნობი იყო, ჩაქუჩი იქვე დაეტოვებინა. ოთახში, სადაც დაზარალებული აღმოაჩინეს, მხოლოდ ერთი საწოლი იდგა, იქვე იყო მიყრილი დაზარალებულის სამოსი და საფულე, სადაც მხოლოდ ხურდა ფული და ბანკის ბარათი აღმოჩნდა. ბინის ან დაზარალებულის გაძარცვის ფაქტი თავიდანვე გამოირიცხა, თუმცა, ვინ და რატომ გაუსწორდა ახალგაზრდა მამაკაცს ასე სასტიკად, უცნობი იყო. დაზარალებულის წრის გადამოწმების შემდეგ, ცნობილი გახდა, რომ გოჩა კ-ძე ცოლთან გაშორებული იყო და ბოლო სამი წლის განმავლობაში მისი ცხოვრების შესახებ ოჯახმა არაფერი იცოდა.

პირველი ინფორმაცია სამართალდამცველებისთვის დაზარალებულის გამოჯანმრთელებისა და დაკითხვის შემდეგ გახდა ცნობილი. ამონაწერი გოჩა კ-ძის ჩვენებიდან: „სახლში, სადაც ჩემთვის უცნობი ადამიანი დამესხა თავს, სულ რამდენჯერმე ვიყავი მისული. იქ ჩემმა ნაცნობმა ვაჟა ჯ-ძემ მიმიყვანა და მთხოვა, სამშენებლო ნარჩენის გატანაში დამეხმარე და ფულს მოგცემო. წინა დღეს ვაჟამ მითხრა: სოფელში მივდივარ ორი დღით და, თუ გინდა, ამ ბინაში დარჩიო. იქ გვიან მივედი, ნასვამი ვიყავი – ქუჩაში ჩემთვის უცნობ ადამიანებთან ერთად არაყი დავლიე, ბინაში ავედი და დავიძინე. ღამით ხმაურმა გამომაღვიძა: თავზე უცნობი მამაკაცი მადგა და ფულს მთხოვდა. მე ვუთხარი, მუშა ვარ, ფული არ მაქვს და თავი დამანებე-მეთქი. სანამ საწოლიდან წამოვიწიე, მან ჩაქუჩი აიღო და თავში და სახეში დამარტყა. ორი დარტყმის შემდეგ გონება დავკარგე და არაფერი აღარ მახსოვს." იმის მიუხედავად, რომ დაზარალებულის მონათხრობში ერთი შეხედვით საეჭვო არაფერი ჩანდა, გამოძიებას დაზარალებულის მიმართ მაინც ბევრი შეკითხვა ჰქონდა: გოჩა კ-ძემ ვერ გაიხსენა, დაკეტა თუ არა ბინის კარი; ასევე, არ ახსოვდა როგორი გარეგნობის იყო მამაკაცი, რომელიც მას თავს დაესხა; საიდან უნდა აღმოჩენილიყო უცნობი ცარიელ ბინაში, სადაც ხელოსნისთვის განკუთვნილი ერთი საწოლის გარდა არაფერი არ იდგა, თანაც, არც თავად გოჩა კ-ძე ტოვებდა მძარცველისთვის საინტერესო „ობიექტის" შთაბეჭდილებას... მოკლედ, როგორც ჩანდა, ყველაფერი მთლად ისეც არ იყო, როგორც დაზარალებული აღწერდა.

სანამ გოჩა კ-ძე საკუთარი გაძარცვის ვერსიას „თხზავდა" და გამოძიება გაუჩინარებული მძარცველის კვალზე გასვლას ცდილობდა, სამართალდამცველებისთვის ცნობილი გახდა ისტორია მისი ცხოვრებიდან, რომელმაც გამოძიების მიმართულებაც შეცვალა და დაზარალებულის ამპლუაც – ის დაზარალებულიდან იქცა დამნაშავედ, რომელსაც მძიმე დანაშაული ჰქონდა ჩადენილი.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით ცნობილი გახდა ვინმე მარინა კ-იას შესახებ, რომელსაც დაზარალებულთან ინტიმური კავშირი ჰქონდა ბოლო ორი წლის განმავლობაში. როგორც გამოძიებისთვის გახდა ცნობილი, გოჩა კ-ძე ბოლო ორი წელი მარინა კ-იას ბინაში ცხოვრობდა და ისინი ერთმანეთს სკანდალურად დაშორდნენ. ქალი მას ბინის გაყიდვასა და ფულის მითვისებაში ადანაშაულებდა და გამქრალი მამაკაცის კვალს ეძებდა. სამართალდამცველებმა უსახლკაროდ დარჩენილ ქალს მეგობრის ბინაში შეფარებულს მიაგნეს. მას დაკითხვაზე არ დაუმალავს, რომ გოჩა კ-ძის მიმართ შურისძიების გრძნობა ჰქონდა. ამონაწერი მარინა კ-იას ჩვენებიდან: „ექვსი თვეა, რაც ამ კაცს ვეძებ. როდესაც ის გავიცანი, ჩემს ორ შვილთან ერთად მშობლების დანატოვარ პატარა ბინაში ვცხოვრობდი. არ მინდოდა კიდევ გათხოვება, მაგრამ, შემომიჩნდა, ხელი მოვაწეროთო და მეც დავთანხმდი. ქმარი წლების წინ გარდამეცვალა და შვილები გაჭირვებით გავზარდე. ექთნად ვმუშაობ, ღამეებს მორიგეობაში ვატარებდი, რომ ცოტა მეტი გამომემუშავებინა ჩემი შვილებისთვის. ამ კაცმა ჩვენი ცხოვრება სულ თავდაყირა დააყენა: ჯერ ფულის გამოძალვა დაიწყო, სულ ტოტალიზატორში იჯდა და ჩემი ოფლით ნაშოვნ ფულს იქ ტოვებდა; მერე კი ისეთ ვალებში გადამაგდო, სახლი გავყიდე და შვილებთან ერთად ნაქირავებში გადავედით. გოჩას ბინის ფულიდან სამი ათასი დოლარი მივეცი – ცელოფნის პარკების ბიზნესი უნდა წამოეწყო მეგობართან ერთად. რა ბიზნესი, რის ბიზნესი, გარდა იმისა, რომ ვერ გავიგე, ფული სად წაიღო, იმ ფულთან ერთად თვითონაც გაქრა, მობილური ტელეფონი კი გამორთო, ხან სად ვეძებე, ხან – სად, მაგრამ, ვერსად მივაგენი".

მარინა კ-იას დაკითხვის შემდეგ გამოძიებისთვის ცნობილი გახდა, რომ ქალბატონი მნიშვნელოვან ინფორმაციას მალავდა დაზარალებულის შესახებ, თუმცა, მოგვიანებით, მარიანა კ-იამ გამოძიებასთან თანამშრომლობა განიზრახა და აღიარა, რომ, დანაშაული, რომლისთვისაც გამოძიება „უცნობ მძარცველს" ეძებდა, მის მიერ იყო ჩადენილი. მან აღიარა, რომ გოჩა კ-ძე გამოჯანმრთელებისთანავე დაუკავშირდა და გაურიგდა: მე არ ჩაგიშვებ პოლიციაში, რომ თავს შენ დამესხი და შენც არ გამცეო, მოგვიანებით გამოძიებისთვის ისიც გახდა ცნობილი, თუ რის დაფარვას სთხოვდა დაზარალებული ყოფილ ცოლს. ამონაწერი მარინა კ-იას ჩვენებიდან. „ფულის გამოძალვასა და სახლის გაყიდვას კიდევ ვაპატიებდი, რომ არა ერთი გარემოება: გოჩა ახალი გამქრალი იყო სახლიდან, როცა ჩემი მეგობრისგან საიდუმლოდ შევიტყვე: შენი შვილი, ქრისტინე, გამომიტყდა, გოჩა სიცოცხლეზე მეტად მიყვარს და მასთან ინტიმური კავშირი მაქვსო. ამის გაგონება ჩემთვის დიდი დარტყმა აღმოჩნდა. სახლს რაღას დავეძებდი, მთავარი ბავშვი იყო. ერთ საღამოს, გავბედე და ქრისტინეს ამ თემაზე დაველაპარაკე. ჩემმა მეგობარმა კი მთხოვა, ბავშვმა საიდუმლოდ გამანდოოო, მაგრამ, ამას როგორ დავტოვებდი რეაგირების გარეშე. ქრისტინე გამომიტყდა, რომ გოჩასთან ინტიმური კავშირი იმ პერიოდიდან ჰქონდა, როცა ის ჯერ კიდევ ჩვენს სახლში ცხოვრობდა. გოჩა მას სთხოვდა, ეს ურთიერთობა ისე დაემალა, რომ მე არაფერი გამეგო, დროთა განმავლობაში კი ცოლად მოყვანას ჰპირდებოდა. მოგვიანებით იგივე დაადასტურა 14 წლის ქრისტინე მ-შვილმაც, რომელიც ფსიქოლოგისა და პედაგოგის თანდასწრებით დაიკითხა. მან განაცხადა, რომ მამინაცვალს მასთან ინტიმური ურთიერთობა ექვსი თვის განმავლობაში ჰქონდა. „როცა პირველად შემოვიდა ჩემს საძინებელში, დედა ღამის მორიგე იყო. გოჩამ მითხრა, მოგეფერებიო. თავიდან გავუძალიანდი, მერე კი მე თვითონაც თანახმა ვიყავი ხოლმე. როცა დედა ღამით სამსახურში იყო, გოჩა სულ ჩემთან წვებოდა. მერე დამპირდა, ჩუმად გავიპაროთ სახლიდან და ცოლად მოგიყვანო, ერთ დღეს კი თვითონ გაიპარა ჩვენგან. ვიცოდი, რომ გამწარებული დედა მას ყველგან ეძებდა, მაგრამ, მან არ იცოდა, რომ მისგან მალულად მეც ვეძებდი გოჩას."

ამ აღიარებების შემდეგ ყველაფერს მოეფინა ნათელი, მარინა კ-იამ დაწვრილებით აღწერა ის ღამე, როცა შურისძიების კვალმა იმ სახლში მიიყვანა, სადაც გოჩა კ-ძე ღამეს ათევდა. ამონაწერი მარინა კ-იას ჩვენებიდან: „ერთ დღეს ჩემი ნაცნობი ქალი შემხვდა, რომელიც გოჩასაც იცნობდა და მან მითხრა: სადაც მე ვმუშაობ, იქვე ახლოს შემხვდა რამდენჯერმე, მეგობართან ერთად ბინის რემონტზე მუშაობსო. ღამით გვიან მივადექი იმ კორპუსს, მივიკითხ-მოვიკითხე და გავიგე, რომელ სართულზეც არემონტებდნენ ბინას. კარი ღია დამხვდა. ოთახში რომ შევედი, გოჩა საწოლში იწვა – ნასვამი იყო და ეძინა. ისეთი გამწარებული ვიყავი ჩემი შვილის გამო, შურისძიების წყურვილი მახრჩობდა. იქვე სამშენებლო იარაღები შევნიშნე, ჩაქუჩი ავიღე ხელში და მთვრალი გოჩა შევანჯღრიე. გონზე რომ მოვიდა და შემომხედა, ერთი რაც ვუთხარი: ნაბიჭვარი ხარ-მეთქი და ჩაქუჩი სახეში ჩავარტყი, ამის მერე მეორედ დავარტყი – უკვე თავში. გოჩა ხელს მიჭერდა, მაგრამ, ნასვამს ძალა არ ჰქონდა და წინააღმდეგობას ვერ მიწევდა. ჩაქუჩი თავშიც რომ ჩავარტყი, თავი გაუტყდა და სისხლმა ამოფეთქა, შეშინებულმა ჩაქუჩი იქვე მივაგდე და იმ ბინიდან გავიქეცი".

სამართალდამცველებმა მარინა კ-იას მიმართ სისხლის სამართლის საქმე სხეულის მძიმე დაზიანების ბრალდებით აღძრეს; პასუხისგებას ვერ გაექცა ვერც დაზარალებული გოჩა კ-ძე, რომელიც ასევე აღმოჩნდა საბრალდებო სკამზე. ის თავიდან უარყოფდა მცირეწლოვან გოგონასთან ინტიმურ ურთიერთობას, თუმცა დაზარალებულთან დაპირისპირების შემდეგ, ჩადენილი დანაშაული აღიარა. სასამართლომ გაითვალისწინა მარინა კ-იას მდგომარეობა, რომ ის მცირეწლოვანი ბავშვების ერთადერთი მარჩენალია და მინიმალური სასჯელი – 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა; გოჩა კ-ძე კი, ცრუ ჩვენების მიცემისა და მცირეწლოვანთან გარყვნილი ქმედებისთვის 8 წელს გაატარებს გისოსებს მიღმა.

**ეკა ბარაბაძე**

# რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს



რუბრიკას უძღვება საქართველოს ეროვნული საავტომობილო ფედერაციის პრეზიდენტი
მევლუდ მელაძე

**კითხვა: მყავს ავტომობილი „სუბარუ იმპრეზა", ოთხივე წამყვანი თვალით, რომელიც ორი მიზეზით შევიძინე: მინდოდა აგრესიული და სპორტული მართვა და, თან, ზამთარშიც ხშირად მიწევს ქალაქგარეთ გასვლა. ჩემი ავტომობილი სრულად არის აღჭურვილი სპორტული დაკიდების სისტემით, ანუ სპორტული ამორტიზატორებით და, თანაც ზამთრის საბურავები მაქვს დაყენებული. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩემი მეგობრის უბრალო, ოთხივე წამყვანი თვალით „აუდი ა6" უკეთ დადის თოვლში. რისი პრობლემაა ეს – „აუდია" ასეთი მაგარი, ზოგადად, „სუბარუს" აქვს ნაკლები გამავლობა თუ კონკრეტულად ჩემს ავტომობილს აქვს რამე პრობლემა?**

**პასუხი**: რაც შეეხება „აუდს," ზოგადად, ოთხივე წამყვან თვალში ის მოწინავე ბრენდია – მას ძალიან კარგად აქვს ეს სისტემა ათვისებული. პირველი სწორედ „აუდი" იყო, რომელმაც რალის მსოფლიო ჩემპიონატის ეტაპებზე პირველმა გამოიყვანა ოთხივე წამყვანი თვალით აღჭურვილი ავტომობილი. ანუ, ჯერ კიდევ სპორტიდან, ძალიან დიდი გამოცდილება აქვს და მისი ოთხივე წამყვანი თვალი საკმაოდ დახვეწილია. მაგრამ, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ის „სუბარუს" თოვლიან გზაზე გამავლობაში აჯობებს. ამას კონკრეტულ სიტუაციაში გადაწყვეტს ის, თუ რა დაკიდების სისტემით არის აღჭურვილი ესა თუ ის მოდელი. თოვლში, ყინულსა და, მით უმეტეს, უგზოობაში, რაც შეიძლება რბილი დაკიდების სისტემაა საჭირო. რაც უფრო გრძელია საბურავის სვლა ძარიდან და ქვემოთ, მით უფრო კარგად გრძნობს ავტომობილი თავს უგზოობაში; ხისტი და მყარი დაკიდების სისტემა კი ამის საშუალებას არ გვაძლევს. თქვენს ავტომობილს ექნება გაცილებით კარგი მოხვევა, მაგრამ, შესაბამისად, გაცილებით გაუჭირდება თოვლში. იმისთვის, რომ ის ისეთივე კარგი იყოს თოვლსა და უგზოობაში, გვჭირდება სტანდარტული დაკიდების სისტემა, სტანდარტული ამორტიზატორები, ზამბარები უკეთ იმუშავებს. სპორტულ ამორტიზატორებსა და ზამბარებს აქვთ ასეთი თვისება – თუ ერთი საბურავი ზედაპირის რაიმე ამობურცულობაზე მოხვდება, ავტომობილი მთლიანობაში ცდილობს, ერთი მთელი სიბრტყე შეინარჩუნოს და ამის გამო სხვა, მეორე მხარეს წონა მოაკლდება. ის, რომელსაც წონა მოაკლდება, შესაბამისად, გაცილებით ცუდად მოეჭიდება. სტანდარტული დაკიდების სისტემის შემთხვევაში კი ყველა მხარე ერთნაირად მოეჭიდება გზის საფარს და უკეთესი გამავლობა ექნება.

> *ნუ ივლი მანქანით შენს მფარველ ანგელოზზე უფრო სწრაფად.*
>
> **მიხაილ შუმახერი**

**კითხვა: მინდა შევიძინო ავტომობილი „ნისანი X ტრიალი." იქნებ, ამიხსნათ, როგორი მანქანაა ის, გამოდგება თუ არა საქართველოს პირობებში და, თუ შეიძლება ამ მანქანის საწვავის სისტემის გადაყვანა ბუნებრივ აირზე?**

**პასუხი**: „ნისან X ტრიალი" საკმაოდ კარგი, გამომდგარი მანქანაა. ნორმალური „ჯიპია", რომელიც ყველაფერში ზომიერია – სერვისშიც, საწვავის წვაშიც, სხვა მოთხოვნებშიც. ამ მანქანით არც სადმე მისვლაა სათაკილო – პირიქით, საკმაოდ წარმოსადეგია. თან, მეოჯახე ადამიანის მანქანაა, არ ითხოვს სერვისს ხშირად, უგზოობაშიც არ შეირცხვენს თავს და ქალაქშიც მშვენივრად გაატარებთ. რაც შეეხება საწვავი სისტემის გადაკეთებას, ეს ძალიან იოლად ხდება. ახალი თაობის გაზის სისტემა დაამონტაჟეთ და ეს მოდელი ძალიან ცოტა საწვავს დაწვავს.

**კითხვა: მყავს „მიცუბიში პაჯერო" 3.5 ძრავით, 1999 წლის. გამიფუჭდა კატალიზატორის ტემპერატურის სენსორი და ავტომობილმა მოუმატა ბენზინის წვას. სად ვიშოვო ეს ნაწილი და როგორ მოვიქცე?**

**პასუხი**: ამ ნაწილის შოვნა სამ ადგილას შეიძლება: ქუთაისის ქუჩაზე მაღაზიებში, სადაც, გამართლებაზეა, კარგი ხარისხის ნაწილს იყიდით თუ ვერა; მეორე – „მიცუბიშის" ცენტრში, სადაც კარგი ხარისხისას იყიდით, მაგრამ, შედარებით ძვირი დაგიჯდებათ და, მესამე – დაშლილებში, სადაც, ასევე, გამართლებაზეა, იქნება თუ არა საერთოდ ეს ნაწილი და, თუ იქნება, ივარგებს თუ არა. სენსორის გამოცვლა მარტივია და მისი შეცვლა ბევრ ხელოსანს შეუძლია, მაგრამ, უმჯობესია, ისეთ ადგილას შეცვალოთ, სადაც ახლოსვე იქნება კომპიუტერული დიაგნოსტიკა, რომ შემდეგ მისი მუშაობა გადაამოწმოთ.

**კითხვა: მყავს „აუდი", 2003 წლის, 3.0 ძრავით, მექანიკა, „კვადრო". შეიძლება თუ არა ამ ავტომობილზე კომპრესორის დამონტაჟება, მომიმატებს თუ არა ეს ავტომობილზე წვას და რა დაჯდება ამის გაკეთება?**

**პასუხი**: შეუძლებელი არაფერია, მაგრამ კომპრესორის დამონტაჟება საკმაოდ რთული თემაა კონკრეტულ მოდელზე საქართველოში. გარდა იმისა, რომ ბევრი წვრილმანი დეტალი დასჭირდება (როგორიცაა სამაგრები, გადამყვანები და სხვა), შემდგომში უკვე კომპიუტერული ჩარევა მოგიწევთ. ამისთვის კი საჭიროა ან სპეციალური კომპიუტერი, რომლითაც თქვენს კომპიუტერს ჩაანაცვლებთ, ან, მინიმუმ – ჩიპი, რომელიც წინასწარ არის მომზადებული ამ ტიპის ინსტალაციისთვის. ეს რომ იყოს რომელიმე ისეთი მოდელი, რომელიც კომპრესორით ქარხნულად არის აღჭურვილი და დაშლილებში იოლად მოიძებნება, პირდაპირ აიღებდით ყველა საჭირო დეტალს, კომპიუტერის ჩათვლით და დაამონტაჟებდით. „აუდის" შემთხვევაში საქმე გაცილებით რთულადაა: პირველი – გაგიჭირდებათ ხელოსნის პოვნა, ვინც ამ საქმეს ხელს მოჰკიდებს და, თუ აიღო მისი შესრულება საკუთარ თავზე, დროშიც ძალიან გაიწელება და ძალიან ძვირიც დაჯდება. თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, რა თქმა უნდა, გაიზრდება საწვავის ხარჯი. ამას მარტივი ახსნა აქვს – დამატებითი ჰაერი, რომელიც კომპრესორმა ჩატუმბა, საჭიროებს დამატებით საწვავს მის ფეთქებად მასად გადასაქცევად. ეს კი იმდენად ძვირი დაგიჯდებათ, რომ, უმჯობესია, ავტომობილი შეცვალოთ და ის მოდელი შეიძინოთ, რომელსაც თქვენთვის სასურველი სიმძლავრე აქვს.

**კითხვა: ქალაქის პირობებში რომელ „ჯიპს" ანიჭებთ უპირატესობას: „სუზუკი გრანდ ვიტარას", „პაჯერო იოს" თუ „ჰონდა სიარვის"? პირადად მე უფრო „სუზუკისკენ" ვიხრები – მომწონს ეს მანქანა როგორც ვიზუალურად ისე ფასითაც.**

**პასუხი**: თუ ამ სამი ავტომობილიდან აქცენტს გავაკეთებთ პრაქტიკულობაზე, ანუ, იმაზე, რომელი უფრო მისაღებია ჩვენს პირობებში, მაშინ, ყოყმანის გარეშე გეტყვით, რომ საუკეთესოა „ჰონდა სიარვი", იგივე „ცეერვე". „სუზუკის" გაცილებით რთულად აქვს მოწყობილი ზოგიერთი სისტემა და თან, საკმაოდ იოლადაც ზიანდება (ნებისმიერი წვრილმანი თუ მსხვილმანი სისტემა იქნება ეს გადაბმის, სავალი ნაწილი თუ სხვა). „პაჯერო" კარგია უგზოობის პირობებში გამავლობის თვალსაზრისით, თან, საკმაოდ რბილი ავტომობილია, მაგრამ გაცილებით ბევრ საწვავს მოიხმარს, ვიდრე „გრანდ ვიტარა" ან „სიარვი". თან, მოვლის თვალსაზრისითაც ოდნავ ძვირი ჯდება. რაც შეეხება „სიარვის", ის ძალიან იაფი შესანახი ავტომობილია და არც ძალიან უხეშად დადის – როდესაც სალონში ზიხართ, მსუბუქი ავტომობილის სალონში ყოფნის შეგრძნებას ტოვებს. კარგია უგზოობის პირობებში და იმის უნარიც აქვს, რომ ცოტა სხარტადაც იაროს. უგზოობაში გადასვლისას მისი მეორე ხიდი ჩვენი ჩართვის გარეშე, ავტომატურად გვეხმარება, ანუ, ბევრი ჩასართავ-გამოსართავი არ აქვს, ეს ყველაფერი კოლოფში მექანიკურად ხდება. უმარტივესად მოწყობილი ავტომობილია და დამატებით პრობლემებს არ გვიქმნის.

**ჟურნალი „თბილისელები" გირჩევთ:**

** დაფიქრდით, სანამ დაიწყებთ ავტომობილის მართვას;*

** ისარგებლეთ უსაფრთხოების ღვედებით;*

** ნუ დასვამთ მცირეწლოვან ბავშვს წინა სავარძელზე;*

** მართვისას ნუ ისარგებლებთ მობილური ტელეფონით;*

*გისურვებთ უსაფრთხო მგზავრობას!*

**მოამზადა**
**სალომე გველესიანმა**

გ ი ლ ო ც ა ვ თ

შ ო ბ ა ს

- ქუდის სახეობა
- უზენაესი
- ადამიანს შეისწავლის
- ნიჟიერი თიკა
- პატარა მარიამი
- სახვითი ხელოვნების სახეობა
- ქალა
- ბოროტი
- ესპანელი მხატვარი
- შინაური ფრინველი
- გაუნათლებელი
- თბილი ქვეყნების ხე
- ბაშკირეთის დედაქალაქი
- მანძილის ფრანგული საზომი
- „იუვენტუსი“
- პურის გასალეწი მოედანი
- მძიმე დაავადება
- ნორვეგიის დედაქალაქი
- მეგრელი ყაჩაღი
- სპორტ. საქონლის მწარმოებელი ფირმა
- სამეცნიერო გაერთიანება
- სოფელი მარნეულის რაიონში
- მოფერება
- ვაქას ძმა
- გეყოფა!
- მუსლიმანი ღვთისმსახური
- თავისი თავის კაცი
- რჩევა
- ახალი წლის სუფრაზე ბავშვებისთვის დიდი რაოდენობით არის
- ბონაპარტე
- მეორე ნახევარი



- დიდი რაოდენობის გამომხატველი სხვა სიტყვა
- ქართველი მწერალი
- სახურავის საფარი საშუალება
- ქალაქის მმართველობა
- ჩვენი შესანიშნავი ფალავანი
- გულის წამალი
- ფანტომასის როლშია
- სფერო
- იტალიელი მწვრთნელი მარჩელო
- ზღაპრის ცხენი
- გრიგოლ ორბელიანის მეგობარი
- ევროპის ქვეყანა
- პოეტი (.........) მღვიმელი
- ქიმია ასეთიც არის
- გესლი, საწამლავი
- დროის ნაწილი
- შეუჩვეველი
- მშობელი
- ერთ-ერთი პერსონაჟი კ.გამსახურდიას რომანისა „დავით აღმაშენებელი“
- ესპანელი მხატვარი
- მაუგლის მეგობარი ავაზა
- ავტორბოლა
- არაბი ჭაბუკი
- ტალანტი
- ჯორჯია (.......) ლაინი
- ქართული ხალხური საკრავი
- მისაყოლებელი საქმის სიტყვა
- ძვირფასი ქვა
- სადილების საკმაზი
- (.......) ნიორაძე
- მიხეილი
- მეორე პირი
- საღამოს გასატარებელი ადგილი
- მშვენიერი ორნელა (.......)
- ყველა თითო ერთად
- პოლონელი ეუბნება პოლონელს
- მომკილი ხორბლის ღეროები
- ჯილდო
- ჩანთოსანი
- სამკურნალო მცენარე
- ფილარმონიის წინ დგას
- რძის პროდუქტი
- ძველი, წარსულის კუთვნილება
- ფეთქდება
- აგულის ბიჭი
- მობილური
- კროსვორდის დასასრული

| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | 1 | | | | | | | | |
| | 1 | | | | | 1 | 1 | 1 | 3 | | | | | | | | | | | | | | | | 1 | 1 | 2 | | | | 2 | 1 | | |
| | 3 | 3 | | | | 2 | 1 | 2 | 1 | | | 8 | 12 | | 13 | | 10 | | | | | | 3 | 8 | 2 | 1 | 5 | | | | 2 | 1 | 3 | |
| 1 | 1 | 4 | | | 6 | 1 | 1 | 1 | 8 | 6 | 8 | 1 | 1 | 9 | 2 | 6 | 7 | 11 | 15 | 9 | 5 | 7 | 1 | 3 | 2 | 1 | 7 | | | | 1 | 1 | 4 | |
| 4 | 1 | 8 | | | 8 | 1 | 2 | 4 | 6 | 1 | 1 | 2 | 3 | 10 | 2 | 2 | 1 | 6 | 2 | 4 | 5 | 1 | 1 | 2 | 4 | 2 | 1 | | | 8 | 1 | 8 | 1 | |
| 8 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 20 | 6 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 8 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | 3 | 5 | 1 | 1 | 1 | 3 |
| | | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | 2 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | | 1 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 |
| | | | | 3 | 1 | 3 | 1 | 1 | 1 |
| | | | 1 | 1 | 2 | 5 | 1 | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 3 | 2 | 2 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | | | | | 3 | 2 | 7 | 4 | 3 |
| | | | | | | | | | 7 |
| | | | 3 | 2 | 2 | 3 | 3 | 1 | 5 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 7 | 3 | 1 | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 | 7 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | 1 | 1 | 1 | 1 | 8 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 2 | 7 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 10 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| 1 | 1 | 1 | 1 | 4 | 2 | 3 | 3 | 3 | 1 |
| | | | | | | | 4 | 2 | 4 |
| | | | | | | | 5 | 2 | 4 |
| | | | | | | | 3 | 7 | 2 |
| | | | | | | | 4 | 7 | 3 |
| | | | | | 3 | 2 | 1 | 2 | 4 |
| | | | | | 5 | 1 | 3 | 3 | 2 |
| | | | | | 4 | 4 | 1 | 4 | 1 |
| | | | | | | | 3 | 10 | 3 |
| | | | | | | | 8 | 2 | 9 |
| | | | | | | | | | 2 |
| | | | | | | | | | 2 |
| | | | | | | | | | 2 |
| | | | | | | | | | 33 |

## სუდოკუ

სუდოკუ – ეს არის იაპონური კროსვორდი-თავსატეხი, ნებისმიერი ასაკის ადამიანების გონების საუკეთესო სავარჯიშო. მის ამოსახსნელად საჭიროა, ჩასვათ ციფრები 1-დან 9-მდე, ისე რომ ციფრები არ განმეორდეს როგორც ჰორიზონტალურ სტრიქონებში და ვერტიკალურ სვეტებში, ასევე ცხრა დანაყოფებიან ბლოკებშიც.

## ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 4 | | 6 | | | 8 | | 1 | 2 |
| | 2 | | 5 | 4 | | | 3 | 7 |
| 7 | | 1 | | 2 | | 8 | | 5 |
| 5 | 4 | 7 | 2 | | | 1 | | |
| | | 3 | | | 9 | 7 | | 4 |
| 1 | | | 4 | | | | 2 | 6 |
| | 7 | | 1 | | 2 | 5 | | 3 |
| 3 | 1 | | | 5 | | 4 | 9 | |
| 6 | | 5 | | 9 | | 2 | 7 | 1 |

## რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 7 | 3 | | 1 | 9 | | 2 |
| 1 | | 2 | | | | | 4 | |
| | 9 | | 2 | | 5 | | 8 | 7 |
| 3 | | 9 | | 7 | | | | 6 |
| | 1 | | | | | 7 | | |
| 2 | | | | 1 | | | | 5 |
| | | 4 | | 5 | | | 6 | |
| | | 5 | | | 9 | | | |
| | | | 8 | 2 | 4 | | | |

# სხვის იმედად ნუ იქნებით




## ჩაწერე ზღაპრის გმირების შესაბამისი რიცხვები

①  ○ გამოცდილი

②  ○ სხვის იმედზე მყოფი

③  ○ შრომისმოყვარე

# ისწავლეთ ხატვა ზალიკოსთან ერთად



1. ოვალით დაიწყეთ ანგელოზის თავის ხატვა

2. ოვალის ქვემოთ მიახატეთ სამკუთხედის ფორმის ტანი





3. ანგელოზს მიახატეთ ფრთები

4. შემდეგ – თმა და ხელები







5. მიახატეთ ფეხები და სახე



6. ანგელოზს მიახატეთ ღრუბელი და სწორი შტრიხებით გამოკვეთეთ ტანსაცმლისა და ფრთების ხაზები



7. გააფერადეთ

ზაალ სულაკაურის სახატვარო სტუდია

# იპოვეთ ათი განსხვავება



## რა გზით მივლენ ბავშვები ბუხართან



## მიუჩინე ნაძვის ხის სათამაშოებს თავისი ადგილები



# გარეული ტახი და მელა

## (იგავ-არაკი)

გარეული ტახი ხის ძირზე კბილებს ილესავდა. მელამ ჰკითხა: კბილებს რომ ილესავ, ვითომ რაო?

ტახმა უპასუხა:

– ნუ სწუხხარ, არცთუ უმიზეზოდ ვილესავ. მართალია, ახლა არ მჭირდება, მაგრამ ხიფათს რომ გადავეყრები, მაშინ ლესვის დრო მექნებაო?!

არაკი გვირჩევს, მზად დავხვდეთ ყოველგვარ გასაჭირს.

# რიცხვრებუსი

,4,, 4,,, ,,4



# ვეტერინარის რჩევები



რუბრიკას უძღვება ლექსო ამირანაშვილი

ადამიანებს ისევე რომ უყვარდეთ, როგორც ძაღლებს, სამყარო სამოთხედ იქცეოდა.
**ჯეიმს დუგლასი**

კითხვა: **თბილისში ცხოველების ასაცრელად შემოტანილია სხვადასხვა ქვეყნის წარმოების ვაქცინა, რომელთა ფასებიც საგრძნობლად განსხვავდება ერთიმეორისგან. მაინტერესებს, ფასთან ერთად ისინი ხარისხითაც განსხვავდება?**

**პასუხი**: ვაქცინა არსებობს როგორც მაღალვალენტიანი, ისე დაბალვალენტიანი, რომელშიც ნაკლები დაავადებები შედის. ჩემი აზრით, ამერიკული წარმოების ვაქცინები უფრო ხარისხიანია, ვიდრე ჩეხურები, მაგრამ, გააჩნია, როგორ პირობებში გვყავს ძაღლი აცრილი. ეს უკვე ვეტექიმმა უნდა განსაზღვროს, პაციენტი როგორ აცრას. აქ ბევრი ნიუანსია. აუცილებლად უნდა იყოს ჩატარებული დეჰელმეთიზაცია და მერე უნდა მოხდეს ცხოველის ვაქცინაცია, მყარი იმუნიტეტი რომ შეექმნას. მე პირადად ამერიკულ ვაქცინას იმიტომ ვანიჭებ უპირატესობას, რომ, რამდენიმე წელია, ამ ვაქცინით ვმუშაობ და, არ მქონია აცრილი ძაღლის დაავადების შემთხვევა.

კითხვა: **მაინტერესებს, რა ასაკიდან ახელს კნუტი თვალს და როდიდან შეიძლება, მან დედის გარეშე იცხოვროს?**

**პასუხი**: დედის გარეშე ბევრს გაუზრდია კნუტი 5 დღის, ერთი კვირის და უფრო მოზრდილი ასაკიდან. რაც შეეხება თვალის ახელას, ეს ინდივიდუალურია და მერყეობს 8-დან 12 დღემდე. იმის მიხედვით ხდება, თუ რამდენი ნაყოფი ჰყავს დედას, არ აქვს მნიშვნელობა, კატა იქნება ეს თუ ძაღლი. თუ ლაქტაცია დამაკმაყოფილებელია კნუტებისთვის და ჰყოფნით რძე, შედარებით ადრე ახელენ თვალებს. საერთოდ კი, რეკომენდებულია, რომ კნუტი დედას ერთი თვის ასაკიდან მოვაშოროთ.

კითხვა: **სახლში მყავს ძაღლი, რომელიც ცოფზეა აცრილი და გარეთ არ გამყავს. მაინტერესებს, მაინც აუცილებელია მას კომპლექსური აცრა გავუკეთოთ?**

**პასუხი**: რა თქმა უნდა, კატა იქნება თუ ძაღლი, კომპლექსური აცრის გაკეთება აუცილებელია. შეიძლება, ცხოველი არ გადიოდეს გარეთ, მაგრამ, ოჯახის წევრები ხომ გადიხართ? ვირუსული დაავადებების შემოტანისგან დაზღვეული ნამდვილად არ ხართ, რადგან, შესაძლოა, ვირუსული დაავადებები ფეხით ან ტანსაცმლით შეიტანოთ სახლში. იმის გარანტია არ არსებობს, რომ თქვენი ცხოველი დაცული იქნება სახლში კომპლექსური აცრების გარეშე. ასე რომ, სირთულეების თავიდან ასაცილებლად, აუცილებლად უნდა გავუკეთოთ ძაღლს აცრები.

კითხვა: **ჩემი ძაღლი პერიოდულად კოჭლობს უკანა ფეხით, თუმცა, ტრავმა არ აქვს გადატანილი. მაინტერესებს, რისი ბრალი შეიძლება იყოს ეს?**

**პასუხი**: გააჩნია, როგორი ძაღლი გყავთ. თუ დიდი ზომის ძაღლია, შეიძლება, დისპლაზია ან სხვა რამ იყოს მიზეზი – ათასი ნიუანსია. ამიტომ, ჯობია, ცხოველი გამოცდილ ვეტერინარს უჩვენოთ, რომელიც დიაგნოზს დაუსვამს. ზეპირად მკურნალობის დანიშვნა სასურველი არ არის. აუცილებლად უნდა გამოიკითხოს პატრონი, რადგან, ბევრი რაღაც არის განმსაზღვრელი, რომელიც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ვეტექიმმა.

კითხვა: **რაიონებში იციან ძაღლის, ცხვირის ოდნავ ზევით, დაშანთვა. როგორც ამბობენ, ეს შემდეგ მათ სხვადასხვა დაავადებისგან იცავს. მაინტერესებს, თუ შეესაბამება ეს სიმართლეს?**

**პასუხი**: ეს მეცხვარული წესია. თვალებს შუა, ცხვირის ზევით, ცხელი ლითონით დაღავენ ცხოველს. მე პირადად ნამდვილად ვერ დავეთანხმები, რომ დაღდასმული ძაღლი არ ავადდება. ეს რომ დავიჯერო, მაშინ, მეც უნდა ვიარო რამდენიმე წელი ცხვარში, დავაკვირდე დაღდასმულ ცხოველს და დასკვნა გამოვიტანო. უბრალოდ, ეს მეცხვარული ტრადიციაა და რწმენა აქვთ ამის.

**მოამზადა**
**მარიკა ხიდურელმა**

# ფლორის სამყაროში



რუბრიკას უძღვება ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ამირან ბიწაძე

ყვავილებს არ აქვთ სალაპარაკო ორგანოები, მაგრამ ისინი გულის ენას ქმნიან, რომლითაც გველაპარაკებიან და გრძნობენ.
**გოეთე**

კითხვა: **რომელი მცენარეები შემიძლია დავთესო ზამთარში, რომ გარეთ ვამყოფო?**

**პასუხი:** არსებობს მცენარეების ბევრი სახეობა, რომლებმაც, შესაძლოა, ზამთარში იყვავილონ, ასეთებია: ივან და მარია, ყინვაგამძლე სოკულენტები და ასე შემდეგ. შეგიძლიათ, ეს მცენარეები ამყოფოთ გარეთ ყინვების დროსაც და სითბოშიც. მათ არ ესაჭიროება ბევრი მოვლა-პატრონობა. ზამთარში შეგიძლიათ წყალი არ დაუსხათ, რადგან ის თოვლის წყლით იღებს საჭირო რაოდენობის წყალს. მცენარეს თუ ბინაში შეიტანთ, აუცილებლად მიაწოდეთ წყალი, რომ იცოცხლოს.

კითხვა: **ჩემი შობის ხე არ გაწითლდა, როგორ მოვიქცე?**

**პასუხი:** შობის ხეს ანუ პუანსეტიას ფოთლები რომ გაუწითლდეს, მას სჭირდება თავისებური მოვლა, რომელიც, შესაძლოა, თქვენ ვერ მოახერხოთ, ამიტომ, კარგი იქნება თუ უკვე მზა მცენარეს შეიძენთ. თუ მაინც თავად გადაწყვეტთ მოვლას, იცოდეთ, რომ ფოთლების გასაწითლებლად, ერთი თვის განმავლობაში მას ესაჭიროება სრული უსინათლობა და ბნელი ადგილი. ასევე, არსებობს სხვადასხვა სპეციალური ხსნარი, რომლებიც პუანსეტიას ადრევე უწითლებს ფოთლებს. მას არ უყვარს ზედმეტი წყალი და სასუქები. მცენარე კარგად გრძნობს თავს მაშინ, როდესაც მას ფესვები პატარა ქოთანში აქვს. ასევე გახსოვდეთ, მას არ უყვარს ახალი ნიადაგი.

კითხვა: **შეიძლება თუ არა ახალ წელს ქოთანში ჩარგული ცოცხალი ნაძვი შევიტანო სახლში და როგორ მოვუარო მას?**

**პასუხი:** რა თქმა უნდა, შეიძლება და ძალიან კარგია. მაგრამ, ის არ უნდა დადგათ სითბოში თორემ, შესაძლოა, წიწვები გასცვივდეს. სახლში შეტანამდე ნაძვი კარგად მორწყეთ, ასე ამყოფეთ ძველით ახალ წლამდე და წყალი არ დაასხათ. ნაძვს არ უყვარს, ასევე, არც სხვა ქოთანში გადარგვა და არც ტოტების შეკვეცა. მცენარე დადგით ნათელ ადგილას. ის იოლი მოსავლელია და კარგი შესანახია, ხოლო როგორც კი დამთავრდება ახალი წელი მცენარე გადგით ისევ გარეთ.

კითხვა: **ზამთრის თბილ ამინდებში ამიყვავდა ორქიდეა. მაინტერესებს, ისევ თუ აყვავდება გაზაფხულზე?**

**პასუხი:** ორქიდეა ტროპიკული მცენარეა, ამიტომ, ეცადეთ, რომ შესაფერის ადგილას დადგათ. შესაძლოა, მას დიდ სითბოში ამყოფებთ და ამიტომ აყვავდა. თქვენი ორქიდეა ისევ აყვავდება ზაფხულში, მაგრამ, კარგ ყვავილს აღარ მოგცემთ. ამიტომ, ძალიან მაღალ ტემპერატურაზე არ ამყოფოთ, დადგით 12-15 გრადუს სითბოში, რომ მოსვენების დრო ჰქონდეს. მას არასდროს არ შეაჭრათ გადმოსული ფესვები და არც გადარგოთ. თუ გინდათ, რომ ორქიდეამ კარგი ყვავილი მოგცეთ, შეაჭერით საყვავილე ღერო და მიეცით მოსვენების პერიოდი, რომ გაზაფხულს კარგად შეხვდეს.

კითხვა: **აივანზე მაქვს სოკულენტი მცენარეები და კაქტუსები. მაინტერესებს შეიძლება თუ არა, რომ ზამთარში ბინაში არ შემოვიტანო?**

**პასუხი:** გააჩნია, თქვენ კონკრეტულად რომელი სოკულენტი და კაქტუსი გაქვთ. არსებობს სოკულენტებისა და კაქტუსების სახეობები, რომლებიც უძლებს ზამთარს, მაგრამ, არის ისეთებიც, რომლებიც ვერ უძლებს ზამთრის სიცივეებს. საერთოდ, კარგი იქნება, თუ მცენარეს არ დატოვებთ გარეთ ან მოარიდებთ მაგარ ყინვებს. სუბტროპიკული მცენარეები, შესაძლოა, დატოვოთ გარეთ და არ შეგეშინდეთ, რომ ყინვები გააფუჭებს, ოღონდ, არ მისცეთ წყალი, რადგან, საჭირო ტენს თავად აიღებს ჰაერიდან.

**მოამზადა**
**თეონა გოზალიშვილმა**

# მე – დაქირავებული მკვლელი

## უშიშროების პოლკოვნიკის ჩანაწერების მიხედვით

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №28(550)-1(627)

მოსკოვში რომ დავბრუნდი, შჩუკინმა მითხრა:

– ყოჩაღ, კოკი, მთელი ევროპული და ლიბიური გაზეთები ინკოგნიტო გმირზე ლაპარაკობენ, რომელმაც ცეცხლწაკიდებული ლაინერიდან ორასი ადამიანი გადაარჩინა.

– ას ოთხმოცდათექვსმეტი, ვიქტორ იაკოვლევიჩ, – მივუგე შჩუკინს, – ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ, რომ ტერორისტი ბენ აზერი ლიკვიდირებულია.

– ჰოდა, ძალიან კარგი, გილოცავ დავალების წარმატებით შესრულებას! აბა, რა ეგონა ბენ აზერს, „კაგებეს“ გააცურებდა? ჯანდაბამდეც ჰქონია გზა მას და მისნაირებს. ვინც ჩვენ გვიღალატებს, ყველა ძალიან ცუდად დაასრულებს. ჩვენ მათ ვზრდით, ვწვრთნით, ვაფინანსებთ, ისინი კი ჩვენს ღალატს ბედავენ? არა, ასე არ გამოვა და მათ ყოველთვის ისეთი ბოლო ელოდებათ, როგორიც ბენ აზერს...

შჩუკინის ენაწყლიანობა, ერთი მხრივ, ბენ აზერის ლიკვიდაციით გამოწვეული სიხარულის შედეგი იყო, მეორე მხრივ კი, ვიქტორ იაკოვლევიჩი გულწრფელად იყო აღშფოთებული ბენ აზერისა და მის მსგავსთა მოღალატეობრივი საქციელით და მიაჩნდა, რომ მათ უფრო მეტი ზიანი მოჰქონდათ, ვიდრე სარგებელი და ყოველთვის წინააღმდეგი იყო მათი გაწვრთნისა და დაფინანსების.

– ჩემი აზრით, – ამბობდა შჩუკინი, – ჩვენ ყოველთვის ჩვენი ძალებით უნდა გავდიოდეთ ფონს და არაა საჭირო, რომ ეს საეჭვო ხალხი პროფესიონალურად გავწვრთნათ და უხვად დავაფინანსოთ.

შჩუკინი აბსოლუტურად მართალი იყო, მოგვიანებით მისი მოსაზრებები გაიზიარეს კიდეც და, ეგრეთ წოდებულ „იდეურ მოძმეებს“ უმეტესწილად უფრო საზარბაზნე ხორცისა და ცოცხალი ბომბის როლში იყენებდნენ, ვიდრე კვალიფიციურ ტერორისტებად, რომლებიც, ადრე თუ გვიან, მაინც მტრებად შემოგვიბრუნდებოდნენ ხოლმე და უამრავ ზიანს გვაყენებდნენ, რადგან, მათთან ბრძოლა უამრავ ძალას მოითხოვდა.

– ცოცხალი ბომბები – აი, ძირითადად რა როლი უნდა დავაკისროთ ჩვენს ეგრეთ წოდებულ „იდეურ ძმებს“, რომლებიც ოდესმე, თუ, რა თქმა უნდა, ამის საშუალება მივეცით, უკვე ჩვენს განადგურებას მოინდომებენ, – ამბობდა შჩუკინი და დასძენდა – შეაბი ბომბი, მიეცი მიმართულება და გაუშვი – ამით მის მოქმედებასაც უფრო მეტი ეფექტი ექნება და ვერც ჩვენთან სამტროდ მოიცლის, რადგან ფიზიკურად აღარ იარსებებს...

შჩუკინის ეს თეორია საკმაოდ მალე დაინერგა პრაქტიკაში, აღმოსავლეთში არსებული კამიკაძის ინსტიტუტი კი „კაგებეში“ უფრო მეტად დახვეწეს, იდეურად დაამუშავეს და ისე მიაწოდეს ჩვენს „იდეურ მოძმეებს“, რომ ამ უკანასკნელებმა ეს პრიმიტიული, სასტიკი თეორია რელიგიის რანგში აიყვანეს და, ნებისმიერი მსხვერპლშეწირვა, რომელიც ზღვა სისხლით მთავრდებოდა, უმაღლესი რწმენისა და სულიერების გამოვლინებად იყო შეფასებული. ასე გაჩნდა ეგრეთ წოდებული „შაჰიდების მოძრაობა“ და, ალბათ, ცოტა ვინმემ თუ იცის, რომ ის „კაგებეში“ იყო მოგონილი, დამუშავებული და კულტივირებული...

კარგად მახსოვს, როგორ გამომიძახა ერთხელ ვიქტორ იაკოვლევიჩმა ლუბიანკაზე და, მითხრა:

– მრავლისმნახველი კაცი ხარ, კოკი, მაგრამ, რასაც ახლა განახვებ, არასდროს გინახავს და, დარწმუნებული ვარ, რომ გაოცდები.

– ვნახოთ, – მივუგე შჩუკინს, – ადამიანის შესაძლებლობები ამოუწურავია და ყოველთვის მოიგონებს ისეთ რამეს, რაც მის მოძმეს გააოცებს და განაცვიფრებს. აბა, მაჩვენეთ თქვენი მსოფლიოს მერვე საოცრება.

– მოთმინება, მოთმინება და ყველაფერს სულ მალე საკუთარი თვალით ნახავ, – მომიგო შჩუკინმა, შემდეგ მეორე ოთახში გამიყვანა და მითხრა, – იცოდე, რასაც ეკრანზე იხილავ, რეალურია და არანაირი მონტაჟი არ არის გაკეთებული.

შჩუკინის მიერ ნაჩვენებ ნახევარსაათიან ფილმში შაჰიდთა ბატალიონის მომზადება და მათი შესრულებული დავალებები იყო გადაღებული, რამაც ნამდვილად გამაოცა. მართალია, მრავალი რამ მქონდა ნანახი ჩემი „კაგებეშნიკური“ კარიერის განმავლობაში, მაგრამ, მსგავსს პირველად ვუყურებდი. ეგრეთ წოდებულ შაჰიდებს სპეციალურად წვრთნიდნენ ყაზახეთში, კოსმოდრომ ბაიკანურიდან ასი კილომეტრით დაშორებულ საიდუმლო სამხედრო ბაზაზე, სადაც მათთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურა იყო. იქ ისინი ცხოვრობდნენ, პრაქტიკულ და თეორიულ მომზადებას გადიოდნენ და იქიდანვე იგზავნებოდნენ დავალებაზე, საიდანაც, რა თქმა უნდა, ცოცხლები აღარ ბრუნდებოდნენ, რადგან, ნებისმიერი შაჰიდის დავალება საკუთარი თავის აფეთქება იყო. ისინი დიდი სიამოვნებით ასრულებდნენ ამ „ღვთიურ მისიას“, „ღვთიურობას“ კი მათ „კაგებეს“ სპეცინსტრუქტორები ჩააგონებდნენ. ისინი შაჰიდებს რელიგიით განზავებულ პოსტულატებს უდებდნენ ტვინში და სამთვიანი სპეცკურსის გავლის შემდეგ, ნორმალური, იდეური ადამიანი ფანატიკოსი ხდებოდა და უყოყმანოდ სწირავდა თავს იდეას... განსაკუთრებულად შთამბეჭდავი იყო დავალების შესრულების დროს გადაღებული კადრები. „კაგებეს“ ოპერატორს, რომელიც მათ აფიქსირებდა, დიდი ოსტატობით ჰქონდა გადაღებული თვითმკვლელი ტერორისტის სახე თავის აფეთქების წინ და ყველა შაჰიდის თვალები ისეთ ფანატურ ცეცხლს აფრქვევდა სიკვდილის წინ, რომ მათ შემხედვარეს სხეულში დენი დაუვლიდა...

– როგორია? – მკითხა შჩუკინმა, როდესაც ჩვენება დასრულდა.

– საშინელი, – მივუგე ვიქტორ იაკოვლევიჩს, – კი მაგრამ, რა აიძულებს ამ ადამიანებს, რომ ასეთი საშინელება ჩაიდინონ, არც სხვები დაზოგონ და არც საკუთარი თავი?

– რა და, „კაგებეს“ უახლესი ფსიქოლოგიური ტექნოლოგიები. ხომ მართლაც მარტივი და გენიალურია?

– მე ვიტყოდი – სატანური, – მივუგე შჩუკინს, რომელმაც მითხრა:

– რას დავარქმევთ, ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარია, რომ ეფექტურია, იაფი და, თანაც, ჩვენთვის უსაფრთხო.

„უსაფრთხოა, რომ?“ – გავიფიქრე გუნებაში, თუმცა, მაშინ ჩემი ეჭვების შესახებ შჩუკინისთვის არაფერი მითქვამს და ვკითხე:

– ვიქტორ იაკოვლევიჩ, ამ ჩვენებას რა



მიზანი ჰქონდა?

– უპირველესად ის, რომ უახლესი ტექნოლოგიები გაგაცანი, ყველაზე იაფი და ეფექტური, – მითხრა მან, – ერთი ოპერაცია გვაქვს დაგეგმილი და მას შენ უნდა უხელმძღვანელო.

– რა ოპერაცია?

– ორი შაჰიდის გამოყენებით.

იმ პერიოდისთვის შჩუკინთან უკვე ახლობლური დამოკიდებულება მქონდა. ამიტომ, თავს უფლება მივეცი და ვკითხე:

– მესამე მე ხომ არ ვარ?

– კი, მესამე შენ ხარ, მაგრამ, არა შაჰიდი, არამედ, მათი კოორდინატორი და, შენ უნდა გადაწყვიტო, ააფეთქო თუ არა ისინი.

მე არაერთხელ აღმინიშნავს, რომ მხოლოდ და მხოლოდ სუფთა ლიკვიდაციაზე ვმუშაობდი და აფეთქებას არასდროს ვიყენებდი საქმეში. ამჟამად კი აფეთქება მთავარი იყო იმ დავალებაში, ანუ, მთელი ეს აქცია სწორედ აფეთქებაზე იყო აწყობილი. ცნობილი ოპერაცია, რომელსაც კოდური სახელწოდება – „ნათება“ მიანიჭეს, იმაში მდგომარეობდა, რომ, ორი შაჰიდი, ჩვენდამი მტრულად განწყობილი ერთ-ერთი აღმოსავლური ქვეყნის ელიტურ წვეულებებზე უნდა აფეთქებულიყო და თან, იქ მყოფი სამხედრო-პოლიტიკური ელიტის უდიდესი ნაწილი უნდა გაეწყვიტა. თუმცა, ის ჩვეულებრივი შაჰიდური ოპერაციისგან იმით განსხვავდებოდა, რომ მათი აფეთქება დისტანციური პულტით იყო შესაძლებელი და ეს პულტი მე უნდა მქონოდა. შესაბამისად, ჩემივე გადასაწყვეტი იყო მათი აფეთქება-არაფეთქების საკითხიც და ამ ქმედებების კრიტერიუმი შჩუკინმა ზუსტად და მკაფიოდ განმისაზღვრა:

– აფეთქებ იმ შემთხვევაში, თუკი იქ არც ბავშვი იქნება და არც ფეხმძიმე ქალი. ხოლო, თუ ასეთი წინააღმდეგობა წარმოიშობა და შენ მისი მოშორება ვერ მოახერხე, მაშინ, არ აფეთქებ...

შჩუკინის სიტყვებმა მეხივით გამიარა გულში, რადგან, ნამდვილად არ მსურდა, მასობრივი მკვლელობების შემსრულებელი გავმხდარიყავი და ვოცნებობდი, რომ იქ ბავშვები და ორსულები ყოფილიყვნენ, რაც თითქმის გამორიცხული იყო. ამიტომ, დავალების შესასრულებლად ყოველგვარი ხალისის გარეშე გავემართე. ადგილზე რომ ჩავედი, ორი შაჰიდი იქ შემომიერთდა. მათ ჩვენი ჯგუფის ორი წევრი აკონტროლებდა, რომლებმაც ისინი ოპერაციისთვის მოამზადეს და სხეულზე საშინელი ძალის ფეთქებადი ნივთიერებები შეაბეს, თან, რადიოშუქურები მიამაგრეს და იმ ქვეყნის არმიის ოფიცრების ფორმები ჩააცვეს. ხოლო, როდესაც ყველაფერი რიგზე იყო, ამ აქციის მთავარმა ამფეთქებელ-მექანიკოსმა მაჯის ელექტროსაათი გადმომცა, რომელიც სინამდვილეში დისტანციური ასაფეთქებელი პულტი იყო და მისი მოხმარება მასწავლა.

გეგმის მიხედვით, „ცოცხალი ბომბები“ წვეულების მონაწილეებს შორის ერთმანეთის დიაგონალზე, ერთმანეთისკენ პირით უნდა მდგარიყვნენ, რომ ეგრეთ წოდებული ცენტრისკენ მიმართული აფეთქება გამოსულიყო და იქ მყოფები ერთიანად ამოეწყვიტა. ყველაფერი „კაგებეში“ იყო წინასწარ გათვლილი და, თუკი ამ აქციას რამე არ შეუშლიდა ხელს,



ყველა იქ მყოფს სიკვდილი ელოდა. მეც შიგნით უნდა ვყოფილიყავი და, თუ ყველაფერი წარმატებით ჩაივლიდა, მაშინ, ბოლო მომენტში, ის „ტუსოვკა“ უნდა დამეტოვებინა. გავიდოდი თუ არა კარიდან, ჩემი ელექტრონული საათის წითელი ღილაკისთვის თითი უნდა მიმეჭირა და იქაურობა მიწასთან გამესწორებინა.

ოპერაცია დაიწყო. წვეულებაზე ჯერ შაჰიდები შევიდნენ და წინასწარ განსაზღვრულ პერიმეტრზე განლაგდნენ. შემდეგ მეც შევედი და, იქ შეკრებილებს რომ გადავავლე თვალი, დავრწმუნდი, ყველაფერი მზად იყო აფეთქებისთვის. იქ არც ფეხმძიმე ქალები იმყოფებოდნენ, არც, ზოგადად, ქალები და არც ბავშვები. ამიტომ შევტრიალდი და კარისკენ გავემართე, რათა გარეთ გავსულიყავი, დისტანციური ასაფეთქებელი პულტის ღილაკზე თითი მიმეჭირა და რაც შეიძლება სწრაფად გავცლოდი იქაურობას. კარიდან ორიოდე მეტრის დაშორებით ვიმყოფებოდი, როდესაც დარბაზში ათიოდე წლის, ოფიცრის ფორმაში გამოწყობილი ბიჭუნა შემოვიდა, მას კი უკან ახალგაზრდა, ფეხმძიმე ქალი მოჰყვებოდა. ისინი იმ ქვეყნის მმართველის ცოლი და შვილი იყვნენ და წვეულებაზე მივიდნენ...

„ესღა მაკლდა“, – გავიფიქრე გუნებაში და, მიუხედავად იმისა, რომ დავალების შესრულების შეჩერება შემეძლო, ასე არ გავაკეთე. ამიტომ ახალმოსულებისკენ გავემართე და ბავშვი ხელში ავიყვანე, ორსულ ქალს კი მკლავში ხელი მოვკიდე, თან წავიყოლე და ვუთხარი:

– აქ ყოფნა ძალიან საშიშია, უსაფრთხო ადგილზე მიბრძანდით.

– რატომაა საშიში, თქვენ ვინ ხართ? – მითხრა ქალმა, მაგრამ, მისთვის პასუხი არ გამიცია. ჯერ ბავშვი დავსვი, შემდეგ წითელ ღილაკს თითი დავაჭირე და როდესაც დარბაზში საშინელი აფეთქება მოხდა, ქალს იქითკენ მივანიშნე, შემდეგ თავი დავუკარი და სასწრაფოდ მოვშორდი იქაურობას.

აფეთქებამ წვეულებაზე იმ მომენტში მყოფი ას ოთხი ადამიანი გაანადგურა და იმ ქვეყნის სამხედრო-პოლიტიკური ელიტის თითქმის ნახევარი გაწყვიტა მეთაურითურთ. მე სულ რაღაც ცხრა საათის შემდეგ დავბრუნდი მოსკოვში. იმ აქციიდან ათი საათიც არ იყო გასული, როდესაც უკვე შჩუკინის კაბინეტში ვიჯექი და მას დავალების შესრულების შესახებ პატაკს ვაბარებდი.

– ყოჩაღ, კარგად მოგიფიქრებია, რომ ორსული ქალი და ბავშვი შენვე გაარიდე იქაურობას და დავალება არ შეაჩერე, – მითხრა შჩუკინმა, – ახლა კი ნამდვილად ეცოდინებათ, ვისთან აქვთ საქმე იმ მოღალატე მმარ-



ერდო ჯგუფი
-ლექტორი ბებიის დანატოვარ 5 ოთახიან ბინას ჰყიდი ვაკეში, ვართ ორი ძმა, და თან არ გვაქვს ნორმალური სამუშაო და თან ...
-რუსეთიდან ჩამოვედი და მსურს ვიყიდო 5 ოთახიანი ბინა ვაკეში, მყავს ცოლ-შვილი და თან მაქვს კარგი სამსახური და თან ...
მაკლერი:
-კი თქვენ გენაცვალეთ და თან ... გადაგვიხადეთ 6%. 3 გამყიდველის და 3 მყიდველის მხრიდან.
მარიკა 599 24 28 31

თველებს და დარწმუნდებიან, რომ საბჭოთა კავშირი დაუსჯელს არ ტოვებს არც ცალკეულ მოღალატეებს და არც მოღალატე ქვეყნებს. არა, მართლაც რომ გენიალური კონცეფცია მოვიფიქრეთ, „ცოცხალ ბომბებს" ნამდვილად დიდი მომავალი აქვს ჩვენს დაუძინებელ მტრებთან ბრძოლაში. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ეს მეთოდი, სიზუსტესთან, სიიაფესთან და ეფექტურობასთან ერთად, ყოვლად უსაფრთხოა ჩვენთვის და, შეიძლება ითქვას, რომ თითქმის სრულყოფილი იარაღი შევქმენით.

იმ მომენტში შჩუკინი თავისი „პირმშოს" ეფექტური მოქმედების ძლიერი შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფებოდა და აზრი არ ჰქონდა მასთან კამათს. თუმცა, ამ კონცეფციის ამოქმედებიდან, სულ რაღაც, სამი წლის შემდეგ, მან აღიარა, რომ მონსტრი შექმნა და „ცოცხალი ბომბები" ისევე საშიში იყო საბჭოთა კავშირისთვის, როგორც იმ ქვეყნებისთვის, ვისაც ამ მეთოდებით ებრძოდა ჩვენი ქვეყანა. სამიოდე წლის შემდეგ, ივლისის ერთ ცხელ დღეს, როდესაც ოჯახთან ერთად სოჭში ვიმყოფებოდი დასასვენებლად, სასწრაფოდ ლუბიანკაზე მიხმეს.

– უნდა ვაღიარო, რომ ვცდებოდი და, თან, საკმაოდ მწარედაც, – მითხრა შჩუკინმა.

მე, რა თქმა უნდა, ვერ მივხვდი, რას გულისხმობდა და ვკითხე:

– რას გულისხმობთ, ვიქტორ იაკოვლევიჩ?

– რას და, ვითომდა ყოვლად უსაფრთხო კონცეფციას „ცოცხალი ბომბების" შესახებ, რომელიც მე მოვიგონე, – მომიგო შჩუკინმა, – მე მეგონა, რომ ეს კონცეფცია ჩვენთვის უსაფრთხო იქნებოდა და ჩვენ არასოდეს დაგვემუქრებოდა. თუმცა, როგორც უკვე ვთქვი, ვცდებოდი, თანაც, ძალიან მწარედ.

– რა ხდება, ამხანაგო გენერალო?

შჩუკინმა, ისევე, როგორც სამი წლის წინ, გვერდითა ოთახში გამიყვანა და ერთსაათიანი ფირი მიჩვენა, რომელიც ფარული კინოკამერით იყო გადაღებული საბჭოთა მზვერავის მიერ.

– აი, ეს შაჰიდების ბანაკია, სადაც ამერიკელები ანტისაბჭოურად განწყობილ თვითმკვლელებს ამზადებენ. ორასი ტვინგადაბრუნებული ფანატიკოსი უკვე მზად ჰყავთ. გვაქვს უზუსტესი ცნობები, რომ ისინი საბჭოთა კავშირში ერთდროული, ფართომასშტაბიანი ტერორისტული აქციების განხორციელებას აპირებენ, ჩვენ კი მათ ამაში ხელი უნდა შევუშალოთ.

შაჰიდების ბანაკი ავღანეთში, პაკისტანის საზღვრის სიახლოვეს მდებარეობდა, რომელსაც მაშინ მსოფლიოსთვის ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილი უსამა ბინ ლადენი კურირებდა, მას კი ამერიკის მთავრობა აფინანსებდა. ისინი მათ წვრთნასა და „ტვინის გამორეცხვას," ანუ, იდეოლოგიურ-ფსიქოლოგიურ დამუშავებას ახორციელებდნენ.

– შთამბეჭდავია, – ვთქვი მე, – ამ კადრების გადაღება იოლი არ იქნებოდა.

– ურთულესი იყო... სამწუხაროდ, ჩვენი მზვერავი დაიღუპა. მან მხოლოდ ფირის სამალავში ჩადება მოასწრო. ის შეიპყრეს, აწამეს და მოკლეს. პირადად უსამა ბინ ლადენმა გაატყავა და შხამიანი გველების ორმოში ჩააგდო.

– უსამა ბინ ლადენი ვინ არის?

– ამერიკელების გამოზრდილი ტერორისტი. მას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მებრძოლი პატარ-პატარა ჯგუფების ჩამოყალიბება ევალება და სულ მალე ისინი ერთიანი ფრონტით შეგვიტევენ, მაგრამ, სად და როდის, არ ვიცით. ამიტომ, სასწრაფოდ უნდა ავმოქმედდეთ და ისინი გავანადგუროთ.

– ეს არც ისე ადვილი იქნება.

– რა თქმა უნდა, – დამიდასტურა შჩუკინმა, – ჩვენი და სამხედრო უწყების მიერ შემუშავებული ოპერაციაა, რომელიც შაჰიდების განადგურებას ისახავს მიზნად. შენ ამ ოპერაციაში ერთ-ერთი მთავარი როლი გენიჭება და დღესვე უნდა ჩაერთო საქმეში. ავღანეთში ნაბრძოლი ხარ, იქაურობას კარგად იცნობ და მტკიცედ მჯერა, რომ ამ აქციის წარმატებით დასრულებაში დიდ როლს შეასრულებ.



– მზად ვარ, შევასრულო ნებისმიერი დავალება! – გამოვეჯგიმე შჩუკინს, მან კი მითხრა:

– აბა, თქვენ იცით, წარმატებას გისურვებთ. მუხინიც საქმეშია და ერთად მიფრინავთ.

ოპერაცია, რომელშიც მე და ანდრეი ლუკიჩ მუხინი ვმონაწილეობდით, საჯარისო, არმიული ტიპის იყო და „კაგებეს" სპეცრაზმი, ანუ ჩვენ, ეგრეთ წოდებული „სათადარიგო მწმენდავების" როლს ვასრულებდით.

გეგმის მიხედვით, რვა საბჭოთა ბომბდამშენს სასტიკი იერიში უნდა მიეტანა შაჰიდების ბანაკზე და იქაურობა მიწასთან გაესწორებინა, ჩვენ კი ვერტმფრენებით უნდა გადავმსხდარიყავით იქ, მრგვალი პერიმეტრი დაგვეკავებინა და, თუკი ბანაკიდან ვინმე ცოცხალი გამოაღწევდა, გაგვენადგურებინა. ჩვენი იქ ყოფნა საკმაოდ სახიფათო იქნებოდა, რადგან, შესაძლებელი იყო, რომ ჩვენიანებსვე გავენადგურებინეთ, რადგან, ბომბებმა თავისიანისა და მტრის გარჩევა არ იცის...

მიუხედავად ყველაფრისა, შაჰიდების ბანაკის განადგურების ოპერაციამ შესანიშნავად ჩაიარა და საბჭოთა ბომბდამშენებმა ისეთი ცეცხლი დაატეხეს ბინ ლადენის თვითმკვლელთა ბანაკს, რომ ქვა ქვაზე არ დატოვეს. ჩემი თვალით ვხედავდი, როგორ იწვოდა ქვები... ბინ ლადენი საბჭოთა ავიაიერიშის დროს ბანაკში არ იმყოფებოდა და ცოცხალი გადარჩა.

მოსკოვში გმირებად დავბრუნდით და ბომბდამშენის პილოტებს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებები მიანიჭეს. მსოფლიო მასმედია კი საბჭოთა არმიის სისასტიკეზე მოუთხრობდა სამყაროს და ამბობდნენ, რომ წითელმა არმიამ მშვიდობიანი ავღანელი მწყემსები ამოხოცაო...

– აი, ამერიკული პროპაგანდა. მგლებს ცხვრებად რაცხავენ და პირიქით, – მითხრა შჩუკინმა, როდესაც მე და მუხინი მის კაბინეტში შევედით – რომ იცოდეთ, ეს ყველაფერი სჯერათ ადამიანებს, ისეთებსაც კი, ვისაც საბჭოთა კავშირი არ ეჯავრება, ანუ, ჩვენს მეგობრებს.

– სჯერათ და სჯეროდეთ, – უთხრა მუხინმა, – მთავარია, რომ ჩვენი საქმე გავაკეთეთ და მტერს ჩვენზე გამარჯვების საშუალება არ მივეცით.

– ეგ, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ამერიკელები სწორ გზას ადგანან და, თუ მათ ჩამოვრჩით, იცოდეთ, დაგვამარცხებენ.

შჩუკინის სიტყვების არსს ვერ ჩავწვდი და ვკითხე:

– რას გულისხმობთ?

– რას და, საინფორმაციო ომს, – შჩუკინმა ერთ-ერთი ევროპული გაზეთი დააგდო მაგიდაზე, – აი, ნახეთ, მსხვილი შრიფტით პირველ გვერდზე წერია: „ორასი მშვიდობიანი ავღანელი მწყემსის სიცოცხლე საბჭოთა სამხედროების სინდისზეა". ეს სიცრუე ამერიკელების ნამოქმედარია და მსოფლიოს უმეტესი ნაწილი დაარწმუნეს, რომ ჩვენ ნამდვილად მშვიდობიანი ავღანელი მწყემსები დავხოცეთ. აი, ესაა ახალი ტექნოლოგიები, რაც ყველაზე ეფექტურ იარაღზე უფრო ეფექტურია. ამიტომ, ჩვენ ეს იარაღი ამერიკელებზე უფრო მეტად უნდა დავხვეწოთ და მათვე მივუბრუნოთ, რადგან, ის ჩვენი ყველაზე უმთავრესი და დაუძინებელი მტერია.

შჩუკინი აბსოლუტურად მართალი იყო და მისი თაოსნობით მძლავრი საინფორმაციო ქსელის შექმნა დაიწყო „კაგებემ". თუმცა, ამერიკელებმა მაინც გვაჯობეს და საბჭოთა კავშირის დაშლის ერთ-ერთი მთავარი სტიმულატორი ამერიკასთან წაგებული საინფორმაციო ომი იყო.

უკვე პოსტსაბჭოთა პერიოდში, შჩუკინთან შეხვედრის დროს, ვიქტორ იაკოვლევიჩმა მითხრა:

– ხედავ, ამერიკა რას შვრება?

– რას, ვიქტორ იაკოვლევიჩ?

– რას და, უკვე რუსეთის წინააღმდეგ გააძლიერა მძლავრი ინფორმაციული ომი. თუმცა, ამას ის ძველი რუსეთის მთავრობის დროს არ აკეთებდა. იცი, რატომ?

– რატომ?

– იმიტომ, რომ ძველი მთავრობა მათ ქვეყანას აძარცვინებდა, ახალი ქვეყნის მეთაური კი მათ ამის საშუალებას არ აძლევს და დაიწყეს მისი ლაფში ამოსვრის კამპანია. თუმცა, ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ არაფერი გამოუვათ.

– დარწმუნებული ხართ?

– აბსოლუტურად, – მითხრა შჩუკინმა.

– გეთანხმებით, რომ რუსეთი ახლა ის არაა, რაც პოსტსაბჭოთა პერიოდის დასაწყისში იყო, საგრძნობლად გაძლიერდა. მაგრამ ამერიკაც ხომ არ დაუძლურებულა. პირიქით, ის, ალბათ, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა.

– არ გედავები, კოკი, მაგრამ, მერწმუნე, რომ ამერიკის შესაძლებლობები, მიუხედავად მისი კოლოსალური სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერისა, მაინც შეზღუდულია და რუსეთის უდიდეს რესურსებთან შედარებით არაფერს წარმოადგენს. ეს ახლაა ამერიკა ჩვენზე ძლიერი, მაგრამ, ათი წლის მერე ასე არ იქნება.

– ათი წლის მერე, შეიძლება, ჩინეთმა გადაუსწროს ყველას.

– ესეც ძალიან ცუდია და, ასე რომ არ მოხდეს, რუსეთს ძალიან ძლიერი ზურგი სჭირდება. ანუ, მას არც ამჟამინდელმა მოკავშირეებმა არ უნდა უღალატონ და არც ყოფილ მეგობრებს უნდა მივცეთ ზურგში მახვილის ჩაცემის საშუალება.

– ყოფილ მეგობრებში, ალბათ, ჩვენ – საქართველოსა და ქართველებს გვგულისხმობთ, ხომ, ვიქტორ იაკოვლევიჩ?

– სამწუხაროდ, ასეა, – მითხრა შჩუკინმა, – სწორედ იმის გამო მოგიწვიე აქ, რომ ერთი საიდუმლო გაგანდო და მომავალი ქართულ-რუსული ურთიერთობებისთვის სასიკეთო ნაბიჯი გადავდგათ.

– გისმენთ.

– მოკლედ, ჩემო კოკი, თბილისში, აი, ამ მონაკვეთზე, – შჩუკინმა სქემაზე ერთი ცნობილი ადგილი მაჩვენა – ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამოციანი წლების მიწურულს დამონტაჟებული მძლავრი ნაღმი დევს და, ამ გზაზე, გარდა იმისა, რომ უამრავი ადამიანი დადის, საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობაც მოძრაობს. ეს ნაღმი ძალიან ეშმაკურადაა დამონტაჟებული და ისეა შენიღბული, რომ მას სპეცმოწყობილობებიც კი ვერ აფიქსირებენ. სიძველის მიუხედავად, ნაღმი ძალიან მძლავრი და საიმედოა. თუმცა, შეიძლება, რაიმე ზემოქმედების გამო აფეთქდეს, ან, სულაც, ვინმემ ააფეთქოს. ამიტომ, შენ ამის შესახებ შესაბამის ორგანოს უნდა აცნობო, რომ ეს საშიშროება განიმუხტოს.



– ვიქტორ იაკოვლევიჩ, ამის გაკეთება ხომ თქვენც შეგეძლოთ და ჩემი ჩარევა რა საჭირო იყო, მე ხომ მაინც ინკოგნიტოდ უნდა ვიმოქმედო?

შჩუკინმა ეშმაკურად გამიცინა და მითხრა:

– ჯობია, რომ ეს ადგილობრივებმა გააკეთონ.

მე, რა თქმა უნდა, თბილისში დავბრუნდი და პოლიციას მესიჯი გავუგზავნე, სადაც მითითებული იყო, თუ სად დავმალე სქემა, რომელზეც თითქმის ორმოცი წლის წინ დანაღმული ადგილი იყო მითითებული. დიდხანს ვიფიქრე შჩუკინის საქციელზეც და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ვიქტორ იაკოვლევიჩს ჩემი სახით მოწმე სჭირდებოდა, რომელიც საქართველოს მიმართ მის კეთილგანწყობას დაადასტურებდა მომავალში, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებდა იმას, რომ შჩუკინის ჯგუფი თუ ორგანიზაცია დიდ გეგმებს აწყობდა სამომავლოდ და საქართველოს ამ გეგმებში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ეკავა...

ძველი ბომბის დემონტაჟი ჩუმად და უმტკივნეულოდ ჩატარდა, ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე.

ამას წინათ, შჩუკინს სოჭში შევხვდი. ერთმანეთი რომ მოვიკითხეთ, მითხრა:

– ერთი შეკვეთაა. მილიონს იხდიან და აქ იმიტომ მოგიწვიე, რომ ყველაფერი დაწვრილებით გითხრა.

– გისმენთ, ამხანაგო გენერალო, – მივუგე შჩუკინს და მოსასმენად მოვემზადე.

– მოკლედ, ასეა, ჩემო მეგობარო, – მითხრა ვიქტორ იაკოვლევიჩმა და ერთი რესპექტაბელური ჯენტლმენის ფოტო მაჩვენა, – აი, ეს ბატონი ახალი ამრევია, რომელიც ოკეანის გაღმიდან შემოგზავნეს. მას ოფიციალური დიპლომატიური რანგი არ გააჩნია და მისი ლიკვიდაცია დიპლომატიურ სკანდალს არ გამოიწვევს. რას იტყვი, იკისრებ?

– თუკი ეს ჩემს სამშობლოს არგებს, თანაც, მილიონს გადაიხდიან, რატომაც არა?!

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

## წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები




| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | ა | ხ | ა | ლ | ი | | ნ | ე | ლ | ი | |
| | | | | | | ა | | ა | ს | ა | რ | | უ | | ე |
| | | | | | ა | ტ | ა | მ | ი | | ი | ბ | მ | ო | ბ |
| | | | | | | ვ | | პ | ა | პ | ა | | ი | | რ |
| | | | | | მ | ა | ი | ა | | | ლ | ა | ნ | ც | ა |
| | | | | | | | გ | რ | ი | გ | ი | | ა | | უ |
| | | | | | | ვ | ა | ი | დ | ა | | ა | ლ | უ | ლ |
| ტ | ა | რ | ი | გ | ი | | ვ | | ა | ლ | ე | ს | ი | ლ | ი |
| | | ქ | | ე | | ტ | ი | ბ | რ | ი | | უ | | ა | |
| გ | რ | ა | ფ | ი | | ო | | | ა | ფ | ა | ლ | ი | ნ | ა |
| რ | | | ხ | | ი | ნ | დ | ი | | ე | ლ | ი | რ | ი | კ |
| ი | კ | ი | ა | დ | პ | ა | | | ვ | | ი | | ე | | ა |
| მ | | ზ | | | რ | | ა | ლ | ე | ნ | ა | პ | მ | ა | კ |
| ო | ს | მ | ა | ნ | ი | | ფ | უ | ნ | ა | | ა | ი | ნ | ი |
| | ა | ი | ლ | ე | | ა | რ | ა | დ | ი | ა | ბ | | ი | |
| ს | ი | რ | ე | ნ | ა | | ა | რ | ე | კ | | ლ | ა | რ | ი |
| | რ | ი | გ | ა | | ტ | | ა | რ | ი | გ | ო | | ა | |
| | მ | | რ | | ჩ | ა | ი | | ს | | ო | | ი | მ | ო |
| ჰ | ე | ლ | ო | უ | | ა | რ | ტ | ი | კ | ი | | ლ | | პ |
| ა | | ო | | კ | ა | ტ | ა | | | უ | ა | რ | ი | | ე |
| ვ | ა | რ | დ | ო | | ი | ნ | ე | ა | კ | | ო | კ | ო | რ |
| ა | | ე | | კ | ი | | ი | ო | ნ | ი | | მ | ო | ნ | ა |
| ნ | ა | ნ | ტ | ი | | ც | | ს | კ | ა | | ბ | | ა | |
| ა | | ი | | ს | ტ | ა | ტ | ი | ა | | ფ | ი | ნ | ტ | ი |

### ადვილი ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2 | 6 | 7 | 8 | 1 | 5 | 4 | 9 | 3 |
| 1 | 4 | 3 | 9 | 7 | 2 | 6 | 5 | 8 |
| 8 | 5 | 9 | 3 | 4 | 6 | 7 | 1 | 2 |
| 9 | 3 | 5 | 4 | 2 | 7 | 8 | 6 | 1 |
| 6 | 1 | 4 | 5 | 8 | 3 | 2 | 7 | 9 |
| 7 | 2 | 8 | 1 | 6 | 9 | 3 | 4 | 5 |
| 3 | 8 | 1 | 7 | 5 | 4 | 9 | 2 | 6 |
| 4 | 9 | 2 | 6 | 3 | 1 | 5 | 8 | 7 |
| 5 | 7 | 6 | 2 | 9 | 8 | 1 | 3 | 4 |

### რთული ამოცანა

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 5 | 8 | 9 | 3 | 4 | 1 | 7 | 2 |
| 1 | 9 | 7 | 8 | 2 | 6 | 5 | 3 | 4 |
| 3 | 4 | 2 | 7 | 5 | 1 | 9 | 6 | 8 |
| 4 | 7 | 5 | 3 | 1 | 9 | 2 | 8 | 6 |
| 2 | 8 | 1 | 6 | 4 | 5 | 3 | 9 | 7 |
| 9 | 3 | 6 | 2 | 8 | 7 | 4 | 5 | 1 |
| 8 | 1 | 3 | 5 | 7 | 2 | 6 | 4 | 9 |
| 7 | 2 | 9 | 4 | 6 | 3 | 8 | 1 | 5 |
| 5 | 6 | 4 | 1 | 9 | 8 | 7 | 2 | 3 |

**„თუ გამოიცნობთ“ რუბრიკის პასუხები:** 1. გალიფე (ფრანგი გენერლის გალიფეს გვარის მიხედვით. პარიზის კომუნის ჯალათი იყო). 2. კატები (შეუძლიათ შავი ჭირისგან დაცვა, რადგან ანადგურებდნენ ვირთხებს). 3. სიყვარულის – ვარდი. 4. დუაიტ ეიზენჰაუერს, მეორე მსოფლიო ომში მონაწილეობისთვის. 5. ქურდები. 6. ედიტ პიაფი. 7. სასაფლაო (ლაპარაკია დაკრძალვის წესებზე). 8. სარაფანი. 9. მარლენ დიტრიხი – ის პირველი ქალი იყო, რომელმაც შარვალი ჩაიცვა. 10. მარათონიდან – ათენამდე.

# ვინ გასცა ბაილოვის ციხიდან სტალინის გაქცევის გეგმა



**დასასჯელები ჯარისკაცთა 2 მწკრივს შორის გაატარეს და დაუზოგავად სცემეს კონდახებით. სტალინმა მწკრივებს შორის თავაწეულმა გაიარა, იღლიაში წიგნებამოჩრილს თავი ცინიკურად ეჭირა. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ძლიერი დარტყმა იგემა, წიგნები ხელიდან არ გავარდნია. საკანში მიბრუნებულმა ჯუღაშვილმა, მალე საკნის კარი დაამტვრია**

გადასახლებიდან, პირველი წარუმატებელი გაქცევის მცდელობას, სტალინი მორალურად არ გაუტეხავს. ის გულდასმით შეუდგა მეორე გაქცევისთვის მზადებას. 1903 წელს პირველი გაქცევის შემდეგ, სტალინი გადასახლების ადგილას – „ნოვაია უდაში" გლეხ მიტროფანე კუნგაროვის სახლში ცხოვრობდა. მიტროფანე კუნგაროვი არავითარ შემთხვევაში არ გაუმართავდა ხელს გადასახლებულს გაქცევაში. ამისთვის მას სასჯელი ელოდა. ამიტომ, სტალინს კუნგაროვი უნდა მოეტყუებინა. კუნგაროვი საკმაოდ გულუბრყვილო გამოდგა და სტალინის ირწმუნა. სტალინმა ისეთი ამბავი შეთხზა, რომ ფრთხილ და წინდახედულ ციმბირელ გლეხსაც კი შეიყვანდა შეცდომაში. კერძოდ, მან მიტროფანე კუნგაროვს უთხრა, რომ „ნოვაია უდადან" ზარკოვოში სურდა გამგზავრება, რათა ადგილობრივი პოლიციის უფროსზე საჩივარი შეეტანა. კუნგაროვი არც დაეჭვებულა, რადგან ამის უფლება გადასახლებულს ჰქონდა. მიტროფანე კუნგაროვი რომ უფრო მეტად დაეინტერესებინა, სტალინი ფულის გარდა, არაყსაც დაჰპირდა. არყის გარეშე, 40-გრადუსიან ყინვაში, რამდენიმე ასეული კილომეტრის გავლა შეუძლებელი იყო – ადამიანი გაიყინებოდა. კუნგაროვმა მარხილი გაამზადა, სტალინმა მასში ჩაალაგა: საკვები და საკმაო რაოდენობის არაყი. მეეტლეც და მისი მგზავრიც თბილად იყვნენ ჩაცმულნი. არყისაგან შეზარხოშებულმა მიტროფანე კუნგაროვმა მარხილი დიდი სისწრაფით გააქანა. გზადაგზა, შეჩერდებოდნენ და სტალინი არყის მორიგი ულუფით უმასპინძლდებოდა გულუბრყვილო კუნგაროვს. ციმბირელი გლეხი ისე გამობრუჟდა, რომ დროდადრო გახსნილი ქურქით მიაქანებდა მარხილს. როცა სტალინმა, მარშრუტი შეცვალა, მიტროფანე კუნგაროვი მიხვდა, რომ გადასახლებული გაქცევას აპირებდა და შეშინდა. სტალინმა ვერაფერი გააწყო, გონს მოსული კუნგაროვი გზის გაგრძელებას არ აპირებდა და უკან დასაბრუნებლად ემზადებოდა. მაშინ, სტალინმა ქურქი გაიხსნა, ხანჯალი ამოიღო და ციმბირელ გლეხს წინააღმდეგობის შემთხვევაში სიკვდილით დაემუქრა. შეშინებულმა კუნგაროვმა გზა განაგრძო. კუნგაროვმა სტალინი ტირეტის სადგურამდე მიიყვანა და უკან გაბრუნდა. ტირეტიდან სტალინმა ირკუტსკში ჩააღწია, საიდანაც, გზა მატარებლით გააგრძელა.

გავრცელებულია, ვერსია, იმის თაობაზე, რომ ირკუტსკიდან, მატარებლით გზის გაგრძელება ჯუღაშვილმა მხოლოდ იმიტომ შეძლო, რომ მას პოლიციის აგენტის ყალბი მოწმობა ჰქონდა. ეს ვერსია, უსაფუძვლოა, რადგან, ასეთი საბუთის შოვნა, დიდი ფულის გარეშე ციმბირში შეუძლებელი იყო. სტალინს კი, ფული არ ჰქონდა. სავარაუდოა, რომ სტალინს, მართლაც, ჰქონდა ყალბი საბუთი (ასეთი საბუთების შოვნა გადასახლებულებს არ უჭირდათ), მაგრამ არა პოლიციის აგენტის მოწმობა. ირკუტსკიდან გაქცეული გადასახლებული სტალინი 10 დღის შემდეგ თბილისში ჩამოვიდა.

გადასახლებიდან გაქცეული სტალინის დაპატიმრებას ჟანდარმერია 4 წელზე მეტხანს ცდილობდა, მაგრამ წარუმატებლად. სტალინი ყოველთვის ახერხებდა მიმალვას. 1908 წლის 15 მარტს ჟანდარმერიამ ბაქოში დიდი დაპატიმრებები ჩაატარა. სტალინი ამჯერადაც გადარჩა, თუმცა, ჟანდარმერია მის ძებნას განაგრძობდა. 10 დღის შემდეგ, 25 მარტს, ბაქოში, მორიგი დაპატიმრებების დროს ჯუღაშვილიც ჩავარდა. უფრო სწორად, მას გაქცევა არ უცდია, რადგან, ამ დროისთვის ყალბი პასპორტის შეძენა მოასწრო, რომლის მიხედვითაც ის გაიოზ ბესარიონის ძე ნიჟარაძე იყო. ჟანდარმერიაში გაიოზ ნიჟარაძის ნამდვილი ვინაობა დაადგინეს. ჟანდარმერიის არქივში არსებული სტალინის ფოტოებით დადასტურდა, რომ ყალბი პასპორტის მფლობელი იყო, არა გაიოზ ბესარიონის ძე ნიჟარაძე, არამედ იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი.

იოსებ სტალინი ბაქოში ბაილოვის ციხეში ჩასვეს. იმჟამად ბაილოვის ციხე პატიმრებით გადატვირთული იყო – 400 კაცისთვის განკუთვნილ საკნებში 1 500 პატიმარი იხდიდა სასჯელს. სტალინს ფილტვის დაჩრდილვა ჰქონდა და სუფთა ჰაერი ესაჭიროებოდა. მისი თანაპარტიელი ბუდუ მდივანი, ჯუღაშვილს მხრებზე შეისვამდა ხოლმე, რათა სარკმლიდან სუფთა ჰაერი შეესუნთქა. ციხის აუტანელი პირობების გაპროტესტების მიზნით, სტალინმა გაფიცვა მოაწყო. ციხის უფროსმა, ჯარისკაცები პოლიტპატიმართა დასასჯელად გაგზავნა. დასასჯელები ჯარისკაცთა 2 მწკრივს შორის გაატარეს და დაუზოგავად სცემეს კონდახებით. სტალინმა მწკრივებს შორის თავაწეულმა გაიარა. იღლიაში წიგნებამოჩრილს თავი ცინიკურად ეჭირა, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ძლიერი დარტყმა იგემა, წიგნები ხელიდან არ გავარდნია. საკანში მიბრუნებულმა ჯუღაშვილმა, მალე საკნის კარი დაამტვრია. ბაილოვის ციხეში იოსებ სტალინი გაქცევისთვის ემზადებოდა. ღამით თანაპარტიელების მიერ შეგზავნილი ხერხით ის სარკმლის გისოსების გადაჭრას ცდილობდა. სარკმლიდან გადასულ სტალინს, ეტლით თანაპარტიელთა შეიარაღებული რაზმი ელოდა. გაქცევა არ შედგა – სტალინი გასცეს. გაქცევამდე, სულ რამდენიმე წუთით ადრე, ციხის ჩვეულებრივი დაცვა შეიცვალა და მცველთა ადგილი კაზაკებმა დაიკავეს. სავარაუდოა, რომ ჯუღაშვილის გაქცევის გეგმა ციხის იმ ზედამხედველმა გასცა, რომლის საშუალებითაც თანაპარტიელებმა სტალინს საკანში ხერხი შეუგზავნეს.

სტალინი გაასამართლეს და ციმბირში გადასახლება მიუსაჯეს. გადასახლებული ჯერ მოსკოვში, ბუტირკის ციხეში, გადაიყვანეს, შემდეგ – ვოლოგდაში. ბაქოდან მოსკოვის გავლით ვოლოგდაში ჩასვლას, პატიმართა იმ ჯგუფმა, რომელთან ერთადაც სტალინი მგზავრობდა, 3 თვე მოანდომა.

ვოლოგდის ციხეში სტალინმა მორიგი ამბოხება მოაწყო. ამიტომ გადაწყდა, მისი გადასახლების საბოლოო ადგილას სწრაფად გაემგზავრებინათ. ციმბირის გადასახლებაში გამგზავრება ჯუღაშვილს არ სურდა, რადგან კარგად უწყოდა, თუ რა სიძნელეებთან იყო დაკავშირებული იქიდან გაქცევა. ოფიციალური დოკუმენტების მიხედვით, ვოლოგდაში სტალინი ტიფით დაავადებულა, რის გამოც ციმბირში გასაგზავნ პატიმართა ჯგუფს ჩამოაცილეს და სამკურნალოდ ვიატკის ჰოსპიტალში მოათავსეს. უფრო სავარაუდოა ვერსია, რომ სტალინს ტიფი არ შეყრია და მან ციხის ექიმი რაღაც საშუალებით აიძულა, ყალბი დასკვნა გაეცა. ის რომ ტიფით დაავადებულიყო, ისე სწრაფად ვერ გამოჯანმრთელდებოდა. ვიატკის ჰოსპიტლიდან სტალინი, ისევ ციხეში გადაიყვანეს და პატიმართა მორიგ ჯგუფთან ერთად, მაინც გაუყენეს ციმბირის გზას. მისი გადასახლების ადგილად განსაზღვრული იყო სოფელი სოლვიჩეგოდსკი, სადაც სტალინი 1909 წლის თებერვალში მარხილით ჩაიყვანეს. ამ დროისთვის, სოლვიჩეგოდსკში 450 გადასახლებული ცხოვრობდა. მათ შორის, უმრავლესობას პოლიტპატიმრები შეადგენდნენ. სოლვიჩეგოდსკი რუსი კოლონისტების მიერ 700 წლის წინათ იყო დაარსებული. ადგილობრივი მოსახლეობა ბეწვეულის ვაჭრობით ირჩენდა თავს. მდინარე ვიჩეგდაზე მდებარე სოლვიჩეგოდსკის ღირსშესანიშნაობა გახლდათ XVI საუკუნის რუსული ეკლესია, ფოსტის შენობა და ადგილობრივი ვაჭრის სახლი. სტალინი, თავდაპირველად, 10 გადასახლებულთან ერთად ცხოვრობდა. მას თანაპარტიელები „იოსიპისა" და „კობას" ფსევდონიმით იცნობდნენ.

სტალინს გადასახლებიდან გაქცევის უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონდა. ამიტომ, მორიგი გაცევა არ გასჭირვებია. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ გადასახლებიდან იოსებ სტალინზე გაცილებით ნაკლები შესაძლებლობის პოლიტპატიმრებიც გარბოდნენ. 1906-1909 წლებში ციმბირში გადასახლებული 32 ათასი მსჯავრდებულიდან სხვადასხვა დროს 14 ათასმა გაქცევა მოახერხა. მით უმეტეს, გაქცევა არ გასჭირვებია სტალინს. ის სოლვიჩეგოდსკიდან გაქცევის შემდეგ კოტლასში ჩავიდა, სადაც ყალბი დოკუმენტებით პეტერბურგისაკენ მიმავალ მატარებელში ჩაჯდა. სტალინმა პეტერბურგამდე დიდი თავგადასავლების გარეშე ჩააღწია, ხოლო 1909 წლის ივლისში კვლავ ბაქოში გამოჩნდა. ბაქოში ჩასულ სტალინს ახალი ყალბი პასპორტი ჰქონდა, ამჯერად სომეხი ვაჭრის ოჰანეს ტოტომიანცის სახელზე გაცემული. რაღაც დროიდან ჯუღაშვილს ოხრანკა აედევნა. ეს იქიდან ჩანს, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ოხრანკის მიერ დანერგილი 2 აგენტი – „ფიკუსი" და „მიხაილი" რეგულარულად აწვდიდნენ ოხრანკას ცნობებს სტალინის ბაქოში მოღვაწეობის შესახებ. თავიანთ მოხსენებებში, ცხადია, „ფიკუსი" და „მიხაილი" სტალინს ნამდვილი სახელითა და გვარით არ იხსენიებდნენ. ოხრანკის დოკუმენტებში, ძებნილი იოსებ ბესარიონის ძე ჯუღაშვილი კონსპირაციული მოსაზრებებით, „მერძევის" („მალოჩნის") ფსევდონიმით იხსენიებოდა. მიუხედავად იმისა, რომ სტალინს ოხრანკა უთვალთვალებდა, სპეცსამსახურებს დიდი დრო დასჭირდათ იმის დასადგენად, რომ იოსებ ჯუღაშვილი და ოჰანეს ტოტომიანცი ერთი და იგივე პიროვნება იყო.

**ვახტანგ გურულის მასალების მიხედვით მოამზადა**
**ანრი შავლაძემ**

# როგორ წარმოიშვა ქართული გვარ-სახელები

### იაშაღაშვილი

გვარის ფუძედ გამოყენებულია ორი სიტყვა: **იაშ** და **ალა. ალა** თურქულ-სპარსული წარმოშობისაა და ძველად ის ბატონს, პატრონს ნიშნავდა. ამ სიტყვას ძირითადად ვაჭართა წრეში იყენებდნენ.

**იაშალაშვილების** წინაპრები აზნაურები იყვნენ.

სამწუხაროდ, ისტორიულ საბუთებში ამ გვარის შესახებ მწირი ინფორმაციაა.

საქართველოში 557 **იაშალაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 290, გარდაბანში – 244, მცხეთაში – 2. არიან სხვაგანაც.

### ქოქოსაძე

გვარის ფუძეა მეტსახელი **ქოქია.**

ამავე ძირისაა გვარი **ქოქიაშვილი.**

გვართან დაკავშირებით ასეთი გადმოცემა არსებობს: ვიღაც მისიონერმა ინდოეთიდან ჩამოიტანა **ქოქოსის** პალმა და აქედან გაჩნდა მეტსახელი **ქოქოსა.** შემდეგ კი, ის საფუძვლად დაედო **ქოქოსაშვილთა** გვარს.

მეორე მოსაზრებით კი, ძველად მესხეთში არსებობდა პროფესია **ქოქოსი**, რაც არხების გამყვანსა და ჭაობის ამომშრობს ნიშნავს. აქედან გაჩნდა გვარი **ქოქოსაძე.**

ამ გვარის წარმომადგენლების ვარაუდით, მეორე მოსაზრება მეტად მისაღებია და, ამბობენ, რომ გვარები – **ქოქოსაძე** და **ქოქოსაშვილი** ხელობა-საქმიანობისგან მიმდინარეობს.

საქართველოში 408 **ქოქოსაძე** ცხოვრობს: თბილისში – 159, ამბროლაურში – 50, ტყიბულში – 38. არიან სხვაგანაც.




### ბეკურაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბეკური.**

ენრიკო **ბეკურაშვილი**, იგივე ემინტოშვილი, დიდი ენაგეთის აღწერაში მოიხსენიება 1823 წელს.

დიდ ენაგეთში მცხოვრები იოსებ **ბეკურაშვილი** 1873 წელს ამავე სოფლის ეკლესიაში შვილს უნათლავს ფარცხისელ ივანე წულაძეს.

ამავე ძირისაა გვარი **ბეკურიშვილი.**

საქართველოში 411 **ბეკურაშვილი** ცხოვრობს.

### საზანდარიშვილი

გვარის ფუძეა სიტყვა **საზანდარი.**

ანალოგიურად წარმოქმნილი გვარებია: **არუთანაშვილი, მესტვირიშვილი, მექანარიშვილი, მედოლიშვილი, ჭიანურაშვილი** და სხვა.

დავით, კონა და გაბრიელ **საზანდარიშვილები** მოიხსენიებიან 1843 წელს პატარა თონეთში.

**საზანდარიშვილები** დღეს სანდროშვილებადაც იწერებიან.

საქართველოში 202 **საზანდარიშვილი** ცხოვრობს: ქარელში – 130, თბილისში – 49, გორში – 9. არიან სხვაგანაც.

### აფრიამაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **აფრიამა.**

სტეფანა **აფრიამასშვილი**, საბუთის დამწერი, მოიხსენიება 1775 წელს ოვანესა ამაზასშვილის მიერ საამ ყაფლანისშვილისადმი მიცემულ ყმობის წიგნში.

ახუა **აფრიამაშვილი** 1851 წელს მოხსენიებულია სოფელ მუხათში.

ქართველების გრიგორიანული წესით მონათვლის გამო, კუმისში მცხოვრები კათოლიკე **აფრიამაშვილები** სომხებად – **აფრიამოვებად** ჩაწერეს.

**აფრიამაშვილები** სოფელ კუმისში ადიგენის რაიონის სოფელ არალიდან არიან ჩამოსულები.

საქართველოში 752 **აფრიამაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 547, ახალციხეში – 77, თბილისში – 63. არიან სხვაგანაც.

### ჯაშიაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჯაშა.**

სოფელ მუხათში გვხვდება, აგრეთვე, ქალის მეტსახელი – **ჯაშია.**

1698-1712 წლების ვენახის ნასყიდობის წიგნში მოიხსენიება ელიკა **ჯაშიაშვილი.**

1873 წლის კამერული აღწერით, მოიხსენიებიან ენაგეთის ახალშენში მცხოვრები **ჯაშიაშვილები.**

საქართველოში 1 339 **ჯაშიაშვილი** ცხოვრობს: თელავში – 436, თბილისში – 362, თეთრი წყაროში – 267. არიან სხვაგანაც.

### მალიშავა

გვარის ფუძეა მეტსახელი **მალიშა.**

**მალიშავას** გვარის მეორე ვარიანტია **მალიჩავა**. მსგავსი შემთხვევა ბევრია ქართულ გვართა წარმოქმნის ისტორიაში. **მალიჩავები** ცხოვრობენ ალერტკასში, დიდ ნეძში, სენაკში. ტოპონიმებია: სამალიჩო – უბანი ყულიწყალსა და ოჯულეს შუა.

გადმოცემის თანახმად, ოლორიდან გამოქცეულა სამი ძმა **მალიჩავა**. ერთი ნეძში შეჩერებულა, მეორე – ხეციაში, მესამის ამბავი კი უცნობია. ცნობილია, რომ **მალიჩავების** „ჯინჯი ხატი" ილორი იყო და, ამიტომაც, ამ გვარიდან ილორის ეკლესიის მნათეებს ირჩევენ.

საქართველოში 235 **მალიშავა** ცხოვრობს: ზუგდიდში – 122, თბილისში – 31, ხობში – 13. არიან სხვაგანაც.

### ალუღიშვილი

გვარის ფუძეა სიტყვა **ალუხი**. ასე ეძახიან კახეთში ხექვას, იგივე რკინის ხეს.

თავდაპირველად გვარი **ალუღიშვილი** გვხვდება როგორც **ალუხიშვილი.**

**ალუხიშვილები** ხის მერქნის დამუშავების ხელოსნები ყოფილან. ანუ, ეს გვარი საქმიანობის აღმნიშვნელი გვარ-სახელია. **ალუხი** მოგვიანებით **ალუღი** გამხდარა.

ვაქირელი ნიკალა **ალუღიშვილი** იმ მხარეში ღონით განთქმული ვაჟკაცი ყოფილა, რომელიც ერთ-ერთი თავდასხმის დროს ლეკებს მოუკლავთ.

საქართველოში 347 **ალუღიშვილი** ცხოვრობს: დედოფლისწყაროში – 146, საგარეჯოში – 118, თბილისში – 52. არიან სხვაგანაც.

### ხრიკაძე

ეს არის სიტყვა **ხრიკიდან** ნაწარმოები გვარი.

**ხრიკი** ნიშნავს ხერხს რამის მისაღწევად, ასევე, შესაკრავ კავს, დუგმას. **ხრიკას** კუთხურად ქვევრიდან ღვინის ამოსაღებ ჭურჭელსაც უძახიან.

ვარაუდით, **ხრიკაძეთა** წინაპრები ორშიმოს ხელოსნები იყვნენ და სწორედ ამის მიხედვით გაუგვარდათ სიტყვა **ხრიკა**. აღმოსავლეთ მთიანეთში ხშირად გვხვდება სახელი **ხრიკა.**

**ხრიკაძეები** მეცხრამეტე საუკუნეში ჩანან თეთრი წყაროს რაიონში.

საქართველოში 283 **ხრიკაძე** ცხოვრობს: ბორჯომში – 105, თბილისში – 65, ახალციხეში – 24. არიან სხვაგანაც.

### ეგრისელაშვილი

გვარის ფუძეა გეოგრაფიული სახელი **ეგრისი**, რომელიც დასავლეთ საქართველოს ძველი სახელწოდებაა და **ეგრისის** ტომის სახელიდან მომდინარეობს.

**ეგრისი** იყო სოფელი ბედრუჯის, დღევანდელი ბოლნის-დმანისის მხარეში.

„1721 წელს საგაჩვეთს მოიხსენიება გიორგი **ეგრისელაშვილი".**

საქართველოში 185 **ეგრისელაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 127, დმანისში – 43, ბოლნისში – 5. არიან სხვაგანაც.

### ბალბანაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ბალაბანა,** რომელიც ორი ნაწილისგან შედგება – **ბალ** და **ბანა.** სულხან-საბას მიხედვით, **ბალა** „ძაძველებულს" ნიშნავს.

**ბალა** ღანუკელი მოხსენიებულია 1559 წელს კახთა მეფის, ლეონ მეორის მიერ მცხეთის ეკლესიისადმი მიცემული ყმების შეწირულობის წიგნში.

1721 წელს საგინაშვილ-ინდოშვილის ყმად ჩხიკვათში მოიხსენიება შაველდა **ბალაბანაშვილი.**

**ბალაბანაშვილები** დღეს **ბალაბანოვებად** და ბერძნებად არიან ჩაწერილები.

ამავე ძირისაა გვარი **ბალაბანიშვილი.**

საქართველოში 26 **ბალბანაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 14, ადიგენში – 11, მარნეულში – 1.

54 **ბალბანიშვილი**: თბილისში – 30, გორში – 4, გარდაბანში – 3. არიან სხვაგანაც.

### ჩეკურაშვილი

გვარის ფუძეა საკუთარი სახელი **ჩეკურა.**

**ჩეკურა ჩეკურაშვილი** ერწოში, ამილახვარ გოსტაბაშვილის ყმების ნუსხაში მოიხსენიება მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში.

საქართველოში 147 **ჩეკურაშვილი** ცხოვრობს: თბილისში – 47, მცხეთაში – 39, გარდაბანში – 27. არიან სხვაგანაც.

**აკადემიკოს იაკობ ახუაშვილის მიერ მოწოდებული მასალების მიხედვით**
**მოამზადა ნონა დათეშიძემ**

# შობა – ჩვეულებრივი დღე?!

*რას ნიშნავს თქვენთვის შობის დღესასწაული – განსაკუთრებული და მნიშვნელოვანი მოვლენაა თუ ერთი, ჩვეულებრივი დღე?*

*თურმე, მთავარია, სულში იყოს ზეიმი – გულახდილად უპასუხეთ შეკითხვებს:*

**1. როცა შობის დღესასწაული გიახლოვდებათ...**

ა) ყველაფერს წინასწარ ვგეგმავ. შობამდე კარგა ხნით ადრე ●;

ბ) ორი დღით ადრე, სწრაფად ვემზადები – ▲;

გ) სიამოვნებით წავიდოდი ამ დღეს სახლიდან და გავერიდებოდი აურზაურს – ■.




**2. აღმოაჩინეთ, რომ საჩუქრებისთვის ფული არ გყოფნით, როგორ მოიქცევით?**

ა) ფულს მეგობრისგან ვისესხებ – ●;

ბ) წვრილმან სუვენირებს ვიყიდი – ▲;

გ) არა უშავს, თუ წელი უსაჩუქროდ ჩაივლის – ■.

**3. დღესასწაულზე მოულოდნელი სტუმარი გეწვიათ...**

ა) გამიხარდება – ●;

ბ) უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდები – ▲;

გ) დავიმალები. კარს არ გავუღებ – ■.

**4. სანამ სადღესასწაულო სუფრას მიუჯდებოდეთ...**

ა) ვიპრანჭები საუკეთესო კაბაში – ●;

ბ) განსაკუთრებულს არაფერს ვაკეთებ – ▲;

გ) ძალიან შინაურულად ვიცვამ – ■.

**5. სადღესასწაულო ვახშამზე...**

ა) ძალიან კარგად ვერთობით – ●;

ბ) ვცდილობ, მარტო ვახშმით არ შემოვიფარგლოთ და ვიცეკვოთ – ▲;

გ) საუკეთესო მეგობარი ამ ვახშამზე ტელევიზორია – ■.

**6. საერთოდ, ზამთრის დღესასწაულები არის...**

ა) საუკეთესო ყველა დღესასწაულს შორის – ●;

ბ) ტყუილუბრალოდ დახარჯული შრომა და ფინანსები – ▲;

გ) საშუალება, დაისვენო და გამოძლე – ■.

**7 ყოველთვის მიგაჩნდათ, რომ შობა-ახალი წელი...**

ა) ძალიან სწრაფად მთავრდება – ●;

ბ) კარგია, მაგრამ დასასრული არ აქვს – ▲;

გ) არაფერი შეიცვლებოდა, სულ რომ არ ყოფილიყო – ■.

### ნახეთ შედეგები:

***უმრავლესობა შეარჩიეთ ვარიანტი* – ●:** *თქვენთვის ყველაზე ბედნიერი დღე შობის დღესასწაულია. მთელი წელი მხოლოდ მას ელოდებით – სასწაულს, რომელიც ერთხელაც თქვენს ცხოვრებას ჯადოსნური ფერებით აავსებს.*

***მეტია ვარიანტი* – ■:** *თქვენთვის შობის დღესასწაული ტრადიციის გაგრძელებაა. ყველაფერს აკეთებთ ოჯახისთვის – პომპეზურად და თვალისმომჭრელ ფერებში. თქვენი ნება რომ იყოს, ასე არ „გაიწეწებოდით“.*

***უმრავლესობაა ვარიანტი* – ▲:** *არ გიყვართ არანაირი სადღესასწაულო ფაცი-ფუცი. იღლებით და ღიზიანდებით. ვერ იგებთ, რატომ უნდა გადაირიოთ ერთი ჩვეულებრივი დღისთვის. ისე, შეიძლება, მართალიც იყოთ...*

### ყველაფერი ოჯახით დაიწყო...

ძალიან ბევრი ადამიანი მთელ მსოფლიოში, დღემდე დარწმუნებულია, რომ შობის დღესასწაული მისალოცი, საშობაო ბარათის გარეშე ბრწყინვალებასა და საზეიმო ელფერს კარგავს. მართლაც, განსაკუთრებული საშობაო ღია ბარათი ძალიან უხდება სადღესასწაულო განწყობას. მას ადამიანები წლობით ინახავენ.

კოლექციონერები აქამდე ვერ შეთანხმდნენ რომელია საშობაო ღია ბარათის დაბადების დღე ან რომელ ქვეყანაში გაჩნდა ის პირველად... მაგალითად, ჩინელებს მიაჩნიათ, რომ საშობაო ღია ბარათი ჩვეულებრივი „სავიზიტოების“ „შვილობილია“. ძველ ჩინეთში თუ სახლის პატრონი შინ არ იყო, მას კართან ტოვებდნენ...

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში საფრანგეთში ილუსტრირებული საფოსტო ქაღალდი გამოიგონეს. თითქმის ამავე პერიოდში, დიდ ბრიტანეთში მოდაში შემოვიდა ერთმანეთისთვის მისალოცი ბარათების გაგზავნა. პირველი, საგანგებოდ შობისთვის შექმნილი მისალოცი ბარათი 1794 წელს გამოჩნდა და ისიც ერთ-ერთ ეგზემპლარად. მხატვარმა უილიამ დობსონმა მასზე ნაძვის ხის გარშემო შეკრებილი ოჯახი გამოსახა, მაგრამ ეს იდეა მაშინ არავინ აიტაცა...

1840 წელს, შობის წინა დღეებში სახელმწიფო მოხელემ ჰენსი კოულმა დიდხანს იტეხა თავი იმაზე ფიქრით, ისეთი რა სადღესასწაულო საჩუქარი მოეფიქრებინა თავისი მრავალრიცხოვანი ნათესავებისთვის, იაფადაც „გამომძვრალიყო“ და თავიც მოეწონებინა... და, მოიფიქრა. საკმაოდ ორიგინალური მილოცვა ბარათის საშუალებით. მან თავის მეგობარ მხატვარს, ჯონ ჰორსლის სთხოვა, კოულების მთელი ოჯახი სადღესასწაულო სუფრასთან შემომსხდარი დაეხატა. თანაც, ძვირფას, ატლასის ქაღალდზე. მხატვარმა ბარათი კუთხეებში დამატებითი ილუსტრაციებით გააფორმა. გაუკეთა მოოქრული წარწერა: „მხიარულ შობას და ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!“ კოულების ერთ-ერთმა ნათესავმა თავისი ორიგინალი გაამრავლა, ათასი ეგზემპლარი დაბეჭდა და საკმაოდ სარფიანად გაყიდა: ერთი ცალი – ერთ შილინგად, რაც მაშინ საკმაოდ სოლიდური თანხა იყო.



ამ ამბიდან ოცი წელი გავიდა – საშობაო მისალოცი ბარათების ტირაჟული წარმოება „დაიქოქა“. ინგლისური ნოვაცია მთელმა მსოფლიომ აიტაცა.

ყველაზე ხშირად საშობაო ბარათებზე ანგელოზებს ხატავენ.

პირველი საშობაო-სადღესასწაულო ბარათები საქველმოქმედო მიზნებისთვის წმიდა ევგენის საძმომ გამოუშვა. მისგან შემოსული თანხა უფასო სასადილოებისა და საავადმყოფოების შენახვას მოხმარდა. დღეს ბრილიანტებით შემკულ საშობაო, სადღესასწაულო ბარათებსაც შეხვდებით.

### გაიღიმეთ, ეს შობაა...

***იშვიათად შეხვდებით ადამიანს, რომელსაც საშობაო საჩუქრები არ ეყვარება... თუმცა, გემოვნებაზე არ დავობენ და სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა საჩუქრით ცდილობენ ახლობელი ადამიანების გახარებას...***

* კატალონიაში შობას მიღებულია პატარა, მოწყალების მთხოვნელი კაცუნების ფიგურების ჩუქება. ეს სიკეთის ნიშანია.

* ბანკების ყველაზე ცნობილმა მძარცველმა – ბონიმ თავის შეყვარებულსა და თანამეწყვილეს – კლაიდს არაჩვეულებრივი საშობაო საჩუქარი მიუძღვნა – დოკუმენტები კაქტუსის პლანტაციების შეძენაზე. თანაც, ისეთი კაქტუსების, საიდანაც საუკეთესო ტეკილას ამზადებენ.

* ერთ-ერთ პარიზულ ბორდელში ერთმა მეძავმა საშობაო საჩუქრად, წერილთან ერთად, უცნაური სუვენირი მიიღო – გთხოვ, ეს პატარა ნივთი სიცოცხლის ბოლომდე შეინახო. ქალმა შეფუთული გახსნა და შიგ ყური იპოვა. შეშინებული პოლიციაში გაიქცა... კანონდამცველებმა მალევე მიაგნეს ადამიანს, რომელსაც ის ეკუთვნოდა... მოჭრილი ყურის პატრონი იყო მხატვარი – ვინსენტ ვან გოგი.

* მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტემ თავის მეუღლე დედოფალს საშობაოდ სიასამურის მანტო აჩუქა, რომლის შლეიფის სიგრძე კილომეტრ-ნახევარი იყო. ამგვარად, დედოფალს შეეძლო თავის ბუდუარში ფეხშიშველს ესეირნა, ძვირფას მანტოში ფეხჩაფლულს... და ვერანდაზეც კი გასულიყო.

* სპარსეთში აუცილებელ საჩუქრად ნებისმიერ დღესასწაულზე ჭადრაკი მიაჩნდათ. მით უმეტეს, თუკი ძვირფასი თვლებით იყო ინკრუსტირებული.

**გვერდი მოამზადა**
**ელენე წულუკიძემ**

# უნიჭო დუბლიკატი

## აგათა კრისტი

მისის პეტერე საბერძნეთის პატარა კუნძულზე შვილის, ჩვიდმეტი წლის უილიარდის ხათრით ჩამოვიდა. ახალგაზრდა კაცს ძალიან აინტერესებდა ძველი ბერძნული კულტურა და ხელოვნება. ქალბატონი სიამოვნებით დაისვენებდა კანში ან სადმე ლაჟვარდოვან სანაპიროზე, ხუთვარსკვლავიან სასტუმროში, მაგრამ შვილი ძალიან უყვარდა. ის კი არა, სცადა, საკუთარ თავში სიძველეების ინტერესი გაეღვიძებინა, მაგრამ მეორე ექსკურსიის შემდეგ, თავის ტკივილი მოიმიზეზა და სასტუმროში დარჩა. ბიზანტიური მოზაიკის სანახავად კლდეზე ფეხით ხეტიალი, ბოლო წვეთი იქნებოდა მისი მოთმინების ფიალაში...

მისის პეტერემ ამოიოხრა და სასაუზმოდ ვერანდაზე გავიდა. მაგიდასთან რამდენიმე ადამიანი იჯდა. მისტერ ტომპსონი მოსაუბრედ არ გამოდგებოდა – მეტისმეტად სიტყვაძუნწი და თავდაჭერილი ჩანდა. მხოლოდ გაეცნო და სულ ეს იყო. იქვე ისხდნენ დედა-შვილი იულიამსები – სხვათა შორის, ქალიშვილი კარგად უგებდა უილიარდს. ხელოვნებაზე მსჯელობდნენ ხოლმე. მისის პეტერეს ვერ გაეგო, რატომ იცვამდნენ ეს ქალები უცნაურ სამოსს – ბერძნული ტუნიკების მსგავსს სარაფნებს... და კიდევ იყო ერთი, მელოტი ჯენტლმენი, თავაზიანი ღიმილით. მისის პეტერეც მას მიეკედლა. ისიც ხალისით აჰყვა საუბარში, თან მისტერ ტომპსონს აკვირდებოდა.

„რაღაც ნაცნობი სახე აქვს, თითქოს სადღაც მინახავს, მაგრამ შეიძლება, მეშლება...“

ილაპარაკეს ცოტა ხელოვნებაზე, ცოტა უილიარდზე, ცოტა მისის პეტერეს განსვენებულ ქმარზე... შუადღისას მისის პეტერე აივანზე წიგნით ხელში განმარტოვდა და სწორედ იქ მიუტანა შიკრიკმა წერილი. კონვერტი ისეთი ჭუჭყიანი იყო, მისის პეტერემ ძლივს გახსნა და ორად მოკეცილი ფურცელი ამოიღო. შინაარსი შოკისმომგვრელი აღმოჩნდა: „... ქალო! ამას რომ მიიღებ, იცოდე, შენი შვილი ჩვენ გვყავს. ტყვეა, მაგრამ არაფერი დაუშავდება. კარგად მოვექცევით, თუ მისი დედა, ანუ შენ, ჩვენს ყველა მითითებას შეასრულებს. 10 000 ფუნტი სტერლინგი უნდა გადაიხადო და შვილი დაგიბრუნდება. იფიქრე, ქალო, იფიქრე – ფულს თუ არ მოგვცემ, მოგკლავთ. ფულის მაგივრად შენი ბრილიანტის ყელსაბამიც გამოდგება. ვიცით, რომ თან გაქვს. პოლიციაში მიხვალ და ვინმეს მოუყვები? – ჯერ ორივე ყურს მოვაჭრით და გამოგიგზავნით, მერე მკვდარს ნახავ.

დიმიტრიუს შეუბრალებელი“

მისის პეტერე არ იყო სუსტი ქალი, მაგრამ ამ წერილმა სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. ერთი სული ჰქონდა, მთელი სასტუმრო ფეხზე დაეყენებინა და მშველელისთვის ეხმო... ბრილიანტები არაფრად ულირდა, მაგრამ მისი ბიჭი, მისი არაჩვეულებრივი შვილი მაინც რომ მოეკლათ?! ბევრი მსგავსი ისტორია გაეგონა. ლამის პოლიციაში წასვლა გადაწყვიტა, რომ სასტუმროს ჰოლში თავის დილანდელ თანამოსაუბრეს გადააწყდა. მან გაუღიმა. მერე უცებ, მაჯაზე მოჰკიდა ხელი და ვერანდაზე გაიხმო.

– რა მოხდა, მისის პეტერე? ვხედავ, რაღაც ნამდვილად მოხდა.

– ო, ღმერთო, არც კი ვიცი, უნდა ვთქვა თუ არა.

– უნდა თქვათ. მე შევეცდები, გიშველოთ.

– კი მაგრამ, როგორ?

– ო, მისის, ეს ჩემი პროფესიაა. მე პარკერ პაინი ვარ.

ვერანდაზე ვიღაცის ჩრდილი გაკრთა. კაცი სწრაფად წამოდგა და იქაურობა დაათვალიერა.

– მომეჩვენა, რომ აქ, ახლა ტომპსონი იყო. კარგი... თქვენი შვილის გამო ხართ შეშფოთებული?

– დიახ. როგორ გამოიცანით?

– უკვე გვიანაა. ის კი არ ჩანს. დედამისის თვალებში გამოუთქმელი შიშია. გავაგრძელო?!

– არა. აი, ნახეთ! – მისის პეტერემ წერილი გაუწოდა.

პაინმა ჩაახველა.

– ვიღაც კარგად არის ინფორმირებული. ბრილიანტები მართლა თან გაქვთ?

– დიახ. ჩემმა ქმარმა მიყიდა. იშვიათი ბრილიანტებია, მაგრამ ჩემი შვილის სიცოცხლე გაცილებით ძვირად მიღირს.

– ეს გასაგებია, – მაგრამ მაინც დასანანია, ასეთი განძი ვიღაც შანტაჟისტებს დაუთმოთ. გული არ გწყდებათ?

– რას მირჩევთ? ჩემი შვილის სიცოცხლე საფრთხის ქვეშ დავაყენო?

– არა. ერთი იდეა მაქვს. აქ კარგ იუველირს ვიცნობ. დავურეკავ, მოვიყვან და თქვენს ბრილიანტებს ყალბი თვლებით შევაცვლევინებ. ვერავინ მიხვდება.

– დიახ. როცა მეორე წერილს მივიღებ, მაშინ მეცოდინება, ყელსაბამი სად უნდა მივიტანო.

– ძალიან კარგი. მე ახლა სასტუმროს ადმინისტრატორის ოთახიდან დავრეკავ. თქვენ ყურადღებით იყავით, რომ არავინ მომისმინოს.

მისის პეტერემ შეთქმულივით დაუქნია თავი. მიუახლოვდნენ თუ არა ადმინისტრატორის მაგიდას, თითქოს მიწიდან ამოძვრაო, მათ წინ მისტერ ტომპსონი გაჩნდა. მისი ჭკვიანი, მოუსვენარი თვალები დაკვირვებით ათვალიერებდნენ მისის პეტერეს და პარკერ პაინს. მისის პეტერემ ტომპსონს ხმამაღლა გაუბა საუბარი და რამდენიმე შეკითხვა დაუსვა იმ მიდამოებში მდებარე კერძო ვილებზე, რომელიმე ხომ არ ქირავდებაო? ტომპსონმა უთხრა, მეც მაინტერესებდა ეგ ამბავი და მითხრეს, აქ ერთი ამერიკელი აქირავებს ვილას, მაგრამ ამჯერად გაქირავებულიაო... მერე გაუღიმა და წავიდა.

იმავე საღამოს, გვიან პარკერ პაინის მეგობარი იუველირი მივიდა. პაინმა პეტერეს ყელსაბამი გამოართვა. ორი საათის შემდეგ კი, უკანვე დაუბრუნა, პატარა, შავ ტომსიკასთან ერთად.

– ტომსიკაში თქვენი ბრილიანტებია. აბა, როგორი ნამუშევარია. მისის პეტერემ ხელი ხელს შემოჰკრა.

– წარმოუდგენელია! ვერაფრით მიხვდები, რომ ყალბი თვლებია.

– ახლა დაველოდოთ, როდის და სად მოითხოვენ ყელსაბამის გადაცემას.

– უკვე მივიღე წერილი, – მისის პეტერემ მეორე, პირველზე არანაკლებ ჭუჭყიანი კონვერტი გამოიტანა, – იცით, სად არის რაღაც ორაკული?

– დიახ. ხომ არ გნებავთ, ყელსაბამი იქ მე მივიტანო?

მისის პეტერემ სიხარულით დაუქნია თავი.

– ო, როგორი მადლობელი ვიქნები. მინდოდა, მეთხოვა და ვერ ვბედავდი.

– არაფერზე ინერვიულოთ. მალე დავბრუნდები, თანაც თქვენს ვაჟთან ერთად...

დილის შვიდ საათზე, მისის პეტერეს ნომრის კარი დაუკაკუნებლად გაიღო. ქალს მთელი ღამე კოშმარები ესიზმრებოდა და ზღურბლზე მისტერ ტომპსონის დანახვაზე მთელი ხმით იყვირა.

– როგორ ბედავთ, სერ?!.. ახლავე მიბრძანდით აქედან!

– მომიტევეთ, მადამ, ასეთი ადრიანი ვიზიტისთვის, მაგრამ...

ქალს უცებ გონება გაუნათდა.

– ესე იგი, არანაირი ავაზაკები არ ყოფილან... ჩემი შვილი თქვენ მოიტაცეთ... მისტერ ტომპსონის უკან ქალმა საკუთარი შვილი დაინახა.

– უილიარდ, საყვარელო...

– დედა, უსამართლო ნუ იქნები, ამ კაცმა მე გადამარჩინა.

– რანაირად? როგორ?

– მადამ, კინაღამ თაღლითების მსხვერპლი გახდით. ინებეთ თქვენი ყელსაბამი, ის ტომსიკა კი, თქვენმა „მეგობარმა“, ვინმე პარკერ პაინმა რომ მოგცათ, გადააგდეთ. ყალბი ქვებია.

მისის პეტერეს თვალები გაუფართოვდა.

– ეს როგორ მოხდა?

– იცით, რაშია საქმე? – გაეღიმა მისტერ ტომპსონს, – როცა ინკოგნიტოდ მოგზაურობ და უცებ გესმის, შენი სახელით როგორ ეცნობა ვიღაც საეჭვო ჯენტლმენი ქალბატონს, ბუნებრივია, კარგს არაფერს იფიქრებ. დანარჩენი კი ლოგიკის საქმეა. ნაძირლების ამოცნობა ხომ ჩემი პროფესიაა.

– არამზადა! – ესღა აღმოხდა ქალს, – მე კი როგორ მივენდე...

– ქალბატონო, ბერძნები სტუმართმოყვარე ხალხია და მათ ძალიან უყვართ ტურისტები, მით უმეტეს, არანაირი „დიმიტრიუს შეუბრალებელი“ ამ მიდამოებში არ არსებობს. შეგიძლიათ, მენდოთ. მე კი, როგორც ვატყობ, ინკოგნიტოდ მოგზაურობაზე უარის თქმა მომიწევს.

**თარგმნა**
**ნინო წულუკიძე**



# მგლები 5

## უკანასკნელი ქურდი

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „თბილისელები“ №26-1(627)

ზიბკო გაოცებული დარჩა ვასილიჩის მიერ შერჩეული შეხვედრის ადგილის გამო. ეს იყო ხარკოვის გარეუბანში მდებარე საბჭოთა პერიოდის მცირე ზომის სასტუმრო, რომელიც აღარ ფუნქციონირებდა. გარე სამყაროდან მაღალი ღობით გამოყოფილ ვრცელ ეზოში უწესრიგოდ იყო მიმოფანტული სამშენებლო ნარჩენები და ავეჯის ნამუსრევი. შენობის ფანჯრები მტვერს დაეფარა. ადამიანებისგან მიტოვებული სასტუმროს პირველი სართულის ფოიე მტრედებს თავის საცხოვრებლად ექციათ – ყველგან ისმოდა მათი ფრთების ფართხუნი და ღუღუნი.

– უცნაური ადგილი შეგირჩევიათ, – ზიბკო ფოიეს შესასვლელში შედგა და იატაკზე გოგმანით მოსიარულე მტრედებს მიაპყრო მზერა.

– რა არ მოგწონთ? – ჰკითხა ვასილიჩმა.

– არ მიყვარს მიტოვებული შენობები, ქუჩაში დარჩენილ უმწეო მოხუცს მაგონებს, რომელსაც, ვიდრე ახალგაზრდა იყო, ანგარიშს უწევდნენ; ვილაცას უყვარდა, ვილაცას – არა. ის ცოცხლობდა, იბრძოდა... მაგრამ, გავიდა წლები და დადგა დღე, როდესაც ის ყველამ მიივიწყა და მისთვის ყოველი დღე ერთმანეთს დაემსგავსა – აღსასრულის მოლოდინს, – უპასუხა ზიბკომ.

– მალე აქაურობას ვეღარ იცნობთ. უახლოეს მომავალში ამ ნანგრევების ნაცვლად, თანამედროვე ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო აშენდება.

– ესეც „ვერშინის“ საკუთრებაა? – ჰკითხა ზიბკომ.

– დიახ, – დაუდასტურა ვასილიჩმა.

– ესე იგი, არც ისე ცუდად მიგდით საქმეები, – გახედა ზიბკომ.

– მიგვდიოდა... – ვასილიჩმა სიგარეტს მოუკიდა და „ვერშინის“ ერთ-ერთ მცველს ხელით ნიშანი მისცა.

მცველმა დეტექტორი მოიმარჯვა და ზიბკოს მიუახლოვდა.

– რას ნიშნავს ეს?! – გაოცებული სახით გახედა ზიბკომ ვასილიჩს.

– დამშვიდდით, ის ჩამწერ მოწყობილობებზე შეგამოწმებთ.

– არ მენდობით? – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ზიბკომ და ხელები აქეთ-იქით გაშალა, რათა მცველისთვის მისი შემოწმების შესაძლებლობა მიეცა.

მცველმა დეტექტორი რამდენჯერმე აატარ-ჩამოატარა მის სხეულზე, მერე კი ვასილიჩს ანიშნა, ყველაფერი რიგზეაო.

– კეთილი... ახლა შეგვიძლია, ვისაუბროთ, – თქვა მან.

– არ მიყვარს, როცა არ მენდობიან, – უკმაყოფილო ტონით განაგრძო ზიბკომ, – მიმაჩნია, რომ მხოლოდ ურთიერთნდობაა ნებისმიერი შეთანხმების წარმატების საფუძველი!

– გეთანხმებით... მაგრამ, მწარე გამოცდილებას ვერსად გავექცევით! – ვასილიჩმა პაუზა გააკეთა და შემდეგ ჰკითხა – მაშ, რა საკითხზე გინდოდათ ჩემთან საუბარი?

– მინდა, რომ ერთ ადამიანთან შეხვედრაში დამეხმაროთ – გეგეშიძეს ვგულისხმობ...

ვასილიჩმა ყურადღებით შეათვალიერა, შემდეგ კი უპასუხა:

– მე უკვე მქონდა ამ თემაზე საუბარი პროკურატურაში!

– ვიცი, ვიცი... მაგრამ, ჩვენ ახლა პროკურატურაში არ ვიმყოფებით.

– და, რას ცვლის ეს? – გაიკვირვა ვასილიჩმა, – სადაც არ უნდა ვიმყოფებოდე, მე გეგეშიძის საიქიოდან დაბრუნება არ შემიძლია!

– ძალიან გთხოვთ, ნუ ჩამთვლით ბრიყვად. შინაგან საქმეთა სამინისტრომ სანტიმეტრ-სანტიმეტრ გაჩხრიკა კიევის წყალსაცავის ფსკერი, მაგრამ, გეგეშიძის ცხედარს ვერ მიაკვლია! – თქვა ზიბკომ.

– და, ვერც ცოცხალს! – შენიშნა ვასილიჩმა.

– თქვენთან შეხვედრამდე მე კაცუბას ვესაუბრე!

– რა, მან გითხრათ, რომ გეგეშიძე ცოცხალია?! – გაუკვირდა ვასილიჩს.

– არა... პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ... – ზიბკომ მზერა გაუსწორა ვასილიჩს და შემდეგ განაგრძო – კეთილი... მაშინ თქვენ გეტყვით იმას, რასაც გეგეშიძეს ვეტყოდი, ახლა აქ რომ ყოფილიყო.

– ყურადღებით გისმენთ, – უპასუხა ვასილიჩმა.

– ხელისუფლებაში მიაჩნიათ, რომ გუსმანი ცუდად მოიქცა. მისი მხრიდან ეს წმინდა წყლის პროვოკაცია იყო, პროვოკაცია, რომელსაც არასასურველი პროცესების გამოწვევა შეუძლია, – განაგრძო ზიბკომ.

– რას გულისხმობთ „არასასურველ პროცესებში“? – ჰკითხა ვასილიჩმა.

– თუნდაც კიევი-ბორისპოლის გზატკეცილზე დაღუპულ გუსმანის მცველებს. პროკურატურას ჯერ არ გაუკეთებია ოფიციალური განცხადება, მაგრამ, მე უკვე ვიცი, რომ გუსმანის ხალხი პირადად მონაწილეობდა გეგეშიძეზე მოწყობილ თავდასხმაში. კიევს მიაჩნია, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია. გუსმანმა ის ჯინი გამოუშვა ბოთლიდან, რომლის უკან ჩაბრუნებასაც ვეღარ შეძლებს!

– და, საქმე მას მიანდეს, ვისაც იმ ჯინის ბოთლში ჩაბრუნება შეუძლია?! – ვასილიჩმა დამცინავად ახედ-დახედა ჩია ზიბკოს.

– არა... მე არ შემიძლია ჯინის ბოთლში ჩაბრუნება, მე მხოლოდ შუამავალი ვარ, – უპასუხა ზიბკომ.

– ვის სურს და ვის შეუძლია? – ჰკითხა ვასილიჩმა.

– მე მგონი, ეს ყოველ ჩვენგანს სურს. მაგრამ, გეგეშიძის გარდა ამ ჯინს უკან ვერავინ შეაბრუნებს. ჩვენი მხრივ, მხოლოდ შესაფერისი პირობების შემოთავაზება შეგვიძლია, – უპასუხა ზიბკომ.

– რა პირობებზეა საუბარი? – მოულოდნელად გაისმა ფოიეში. ზიბკო ხმის მიმართულებით შებრუნდა და დაინახა, რომ შემოსასვლელის მხრიდან ტანმაღალი მამაკაცი მოდიოდა. ზიბკომ მაშინვე იცნო ლუკა გეგეშიძე, რომლის რამდენიმე ფოტოსურათიც ჰქონდა ნანახი.

ლუკა მის პირისპირ შედგა და კითხვა გაიმეორა:

– რა პირობებზეა საუბარი?

– თქვენ გეგეშიძე ხართ? – ზიბკომ იცოდა, ვინც იდგა მის წინ, მაგრამ მაინც მისგან სურდა ამის მოსმენა.

– დროს ნუ მაკარგვინებ, კითხვაზე მიპასუხე! – ცივად თქვა ლუკამ.

– ბოლო ხანებში რამდენიმე უსიამოვნო მოვლენა მოხდა: თქვენ თავს დაგესხნენ, დაიღუპა თქვენი მეგობარი; ორიოდე დღის წინ გაურკვეველ ვითარებაში დაჭრეს შინაგან საქმეთა სამინისტროს კურატორი სერგეი კაცუბა; იმავ ღამით დაიღუპა სტეფანე გუსმანის დაცვის რვა წევრი... მგონი, საკმარისია. ამ დაპირისპირების შეწყვეტა ყველა ჩვენგანის ინტერესებში შედის... მეთანხმებით? – თქვა ზიბკომ.

– მოიცადე... – თქვა ლუკამ, – ვიდრე საერთო ინტერესებზე გადახვალ, ერთ კითხვაზე მიპასუხე: შენთვის ცნობილია, ვინ მოაწყო ის თავდასხმა?

– თქვენთვის არ არის ცნობილი? – ჰკითხა ზიბკომ.



– მე შენი აზრი მაინტერესებს!

– გულწრფელი დამოკიდებულების მიღება თუ გინდა, თავად უნდა იყო გულწრფელი. დიახ, ჩემთვის ცნობილია დამკვეთისა და შემსრულებლების ვინაობა. თავდასხმა დაუკვეთა სტეფანე გუსმანმა, განახორციელეს მისმა პირადმა მცველებმა, – მშვიდად უპასუხა ზიბკომ.

– ეს მხოლოდ შენი აზრია თუ კიევშიც ასე ფიქრობენ? – ჰკითხა ლუკამ.

– აქ ჩემს აზრებს ვერ მოისმენთ. ყველაფერს რასაც ვიტყვი, კიევის დირექტივებია.

– და, რა ღონისძიების გატარებას აპირებს კიევი გუსმანის წინააღმდეგ? – ჩაურთო ვასილიჩმა.

– არაფრის... სრულიად არაფრის, ისევე, როგორც თქვენ წინააღმდეგ, – სწრაფად თქვა ზიბკომ, – მგონი, ეს სამართლიანი გადაწყვეტილებაა. თქვენ ერთი დელიკატური საკითხის მოგვარებაში დაეხმარეთ კიევს და შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ამისთვის უნდა მიგეღოთ სუფთა დოსიე და გარკვეული რაოდენობის აქციათა პაკეტი. მაგრამ, გუსმანმა ცალმხრივად შეცვალა შეთანხმების პირობები, უხეშად რომ ვთქვა, „გადაგდება“ დაგიპირათ. კონფლიქტის ინიციატორი ის იყო. ამიტომაც, შემდგომ განვითარებულ მოვლენებში თქვენ არავინ გადანაშაულებთ. მეორე მხრივ კი, გუსმანსაც ვერ დავუკარგავთ დამსახურებას – თქვენი საქმეში ჩართვის იდეა მას ეკუთვნოდა, რაც მოახერხა კიდეც. მისი სიხარბე და ქედმაღლობა რომ არა, ყველაფერი კარგად იქნებოდა – თქვენ მიიღებდით სუფთა დოსიესა და აქციებს და ერთმანეთს მეგობრებად დავშორდებოდით. ვინ იცის, იქნებ მომავალში კვლავ გამოჩენილიყო საქმე, რომლის მიმართაც საერთო ინტერესები გაგვიჩნდებოდა, მაგრამ, წარსულს ვერ დავაბრუნებთ. გუსმანმა ყველაფერი აურდაურია და ახლა ვითარების გამოსწორებაზე უნდა ვიფიქროთ. შორს რომ არ წავიდე, კიევი მოლაპარაკებების საწყის წერტილში დაბრუნებას გთავაზობთ, პირობების მცირე ცვლილებით.

– კონკრეტულად რას მთავაზობენ? – ჰკითხა ლუკამ.

– თქვენ მიიღებთ სუფთა დოსიესა და აქციათა პაკეტს. შემიძლია, ზუსტად გითხრათ, რომელ აქციებზეა საუბარი: საქმე ეხება ხარკოვის ტრაქტორების მშენებელ ქარხანას. არჩევანი ამ საწარმოზე შემთხვევით არ გაკეთებულა. ჩვენთვის ცნობილია, რომ თქვენ საკმაოდ მყარად გრძნობთ თავს ამ ქალაქში. ჩათვალეთ, რომ ეს მეგობრული ჟესტია. სახელმწიფო აქციებიდან „ვერშინა“ მიიღებს აქციათა სამპროცენტიან წილს. აქციათა ნომინალური ღირებულება სამ-სამ-ნახევარი მილიონი დოლარია. მაგრამ, ბირჟაზე გატანის შემთხვევაში, მათში ხუთ მილიონ დოლარზე მეტსაც მიიღებთ. თქვენთვის მისაღებია ასეთი ვარიანტი?

ლუკამ ვასილიჩს გახედა.

– მისაღებია, – დაუდასტურა მან.

– რა პირობები შეიცვალა? – ზიბკოს მიუბრუნდა ლუკა.

– უფრო სწორად, ძველ პირობებს ახალი დაემატა. პირველი – თქვენ არ შეეხებით გუსმანს, საერთოდ დაივიწყებთ მის არსებობას და, მეორე – ორი ან სამი წლით უკრაინიდან გაემგზავრებით. სად – თქვენი გადასაწყვეტია. სუფთა დოსიეთი ნებისმიერ ქვეყანაში შეძლებთ ჩასვლას. ეს იმას არ ნიშნავს, რომ ვინმე უკრაინაში ჩამოსვლას გიკრძალავთ. თქვენ პერიოდულად შეგეძლებათ აქაურობის მონახულება, მაგრამ, უკრაინაში მუდმივად ცხოვრებას ვერ შეძლებთ, – უპასუხა ზიბკომ.

– რატომ? – ჰკითხა ლუკამ, – ერთი მხრივ, მეუბნებით, რომ ჩემ მიმართ არავის აქვს პრეტენზია; მეორე მხრივ კი უკრაინაში დარჩენას მიკრძალავთ. ეს როგორ გავიგო?

– ყველაფერს ძალიან მარტივი ახსნა აქვს: თქვენ მიმართ კიევს არა აქვს პრეტენზია, მაგრამ, არსებობენ ადამიანები, რომლებიც ჩვენს კონტროლს არ ექვემდებარებიან. მე ვგულისხმობ არასამთავრობო ორგანიზაციებს, უფლებათა დამცველებს, დამოუკიდებელ ჟურნალისტებს... ეს საქმე ისე იზიდავს მათ, როგორც ფუტკარს თაფლის კასრი. გარკვეულ წრეებს რაღაც ინფორმაციები გააჩნიათ ამ საქმეში თქვენი მონაწილეობის შესახებ. ზოგ მათგანს ფულს დახარბებულ კრიმინალად მიაჩნიხართ, ზოგს – კეთილშობილ რაინდად, ზოგსაც – მსხვერპლად. მაგრამ, ნებისმიერ შემთხვევაში, მათ განსაკუთრებული ინტერესი ამოძრავებთ თქვენ მიმართ. უკრაინაში თქვენი ყოფნით კიევი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდება. გაჩნდება მრავალი კითხვა, რომლებზეც კიევი პასუხს ვერ გასცემს და, როგორც მგონია, თქვენც არ უნდა გიზიდავდეთ საგაზეთო სტატიებისა თუ სატელევიზიო გადაცემების მთავარ პერსონაჟად ქცევა. ასეთია კიევის მოსაზრება. ახლა კი საკუთარ წესს დავარღვევ და ჩემს აზრს გეტყვით: უბრალოდ, ძალიან ბევრი თანამდებობის პირი იგრძნობს თავს მშვიდად, თუ თქვენ მათგან რაც შეიძლება შორს იქნებით. თუკი თქვენ ამ პირობებს მიიღებთ, გარანტიას გაძლევთ, რომ „ვერშინის“ ფინანსური საქმიანობის კვლევა დაუყოვნებლივ შეწყდება და ფირმას მომავალშიც არ შეექმნება პრობლემები.

– რა მოხდება, თქვენი პირობები თუ არ მივიღე?

– რა მოხდება უარის შემთხვევაში? – ზიბკო წამით ჩაფიქრდა და შემდეგ უპასუხა – სიმართლე გითხრათ, ჩემთან ამ საკითხზე არავის უსაუბრია. კიევს თქვენ გონიერ ადამიანად მიაჩნიხართ. მათი აზრით, პირობები სავსებით მისაღებია. ისე კი, შემიძლია, ვივარაუდო, რაც მოჰყვება თქვენს უარს: პირველ ყოვლისა, კიევი კანონგარეშედ გამოგაცხადებთ თქვენ და ყველა თქვენს მეგობარს; თქვენზე ნამდვილი ნადირობა გამოცხადდება; ამის პარალელურად, შეუტევენ „ვერშინას“ – ფირმას დაანაწევრებენ და მიწასთან გაასწორებენ. დამიჯერეთ, არ ღირს გუსმანის ბინძური სულისთვის ასეთი მსხვერპლის გაღება! – უპასუხა ზიბკომ, – თქვენს პასუხს ახლა არ ველი. ჩემთვის გასაგებია, რომ მოსაფიქრებლად დრო დაგჭირდებათ. თანხმობის შემთხვევაში, ჩემთან დაკავშირება აღარ იქნება საჭირო, შეგიძლიათ, პირდაპირ გაგზავნოთ „ვერშინის“ ფინანსური წარმომადგენლები სააქციო საზოგადოება „ხეტეზეში“ – იქ უკვე გამზადებული აქვთ თქვენთვის გადმოსაცემი აქციების პაკეტი. სულ ეს არის, მე მეტი აღარაფერი მაქვს სათქმელი, – დაასრულა ზიბკომ და პასუხის მოლოდინში ლუკას თვალებში შეხედა.

– მაშინ, ამით მოვრჩეთ, – თქვა მან და შესასვლელთან მომლოდინე მცველებს ანიშნა, გააცილეთო.

– რას იტყვი, ლუკა? – ჰკითხა ვასილიჩმა,



როგორც კი მცველებმა ზიბკო ეზოდან გაიყვანეს, – მე მგონი მისაღები პირობებია.

– შენ ასე გგონია?

– ჩემი გადასაწყვეტი რომ იყოს ეს საქმე, აქვე გავცემდი პასუხს.

– მე კი ვიფიქრებ – რამდენიმე დღე ხომ მომცეს მოსაფიქრებლად, – თქვა ლუკამ.

– ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად არასდროს გჭირდებოდა რამდენიმე დღე, – შენიშნა ვასილიჩმა.

– ახლა მჭირდება! – მოკლედ მოუჭრა ლუკამ.

ვასილიჩმა დაძაბულმა გახედა და შემდეგ თქვა:

– ლუკა, გთხოვ. ნუ მისცემ მათ „ვერშინის“ მიწასთან გასწორების მიზეზს!.. ამდენი ვიბრძოლეთ მისი შენარჩუნებისთვის და ახლა ეს ჩვენი პირდაპირი დამარცხების ტოლფასი იქნება.

– კარგი კაცი ხარ, ვასილიჩ. ძალიან კარგი. შენ ბევრი გააკეთე „ვერშინისთვის“ და პირადად ჩემთვისაც, მაგრამ, მეგობრულად გირჩევ: ნუ ჩაერევი საქმეში, რომელიც შენი გადასაწყვეტი არ არის!.. როცა მე ვამბობ, რომ დრო მჭირდება, ესე იგი, უნდა მოითმინო. ნუ ეღელავ, რასაც გადავწყვეტ, პირველი შენ შეიტყობ! – თქვა ლუკამ და სწრაფი ნაბიჯით წავიდა გასასვლელისკენ.

* * *

მდივანმა ვერ შეძლო გუსმანის შეჩერება – მან ქალი უხეშად გასწია გვერდზე, კაბინეტში შევიდა, კარი მთელი ძალით მოაზრახუნა და შინაგან საქმეთა მინისტრს გააფთრებით შეხედა.

– კარგი... მაგ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდებით, – უთხრა მინისტრმა მის სამუშაო მაგიდასთან მსხდომ ორ თანამშრომელს.

ისინი მაშინვე ადგნენ და კაბინეტიდან გავიდნენ. მინისტრი სელექტორით დაუკავშირდა მდივანს – ორი ჩაი მომიმზადე და ჩემთან არავინ შემოუშვაო, შემდეგ კი გუსმანს მიუბრუნდა.

– დაჯექი, სტეფანე. დაჯექი და ისე მიამბე, რამ აგაღელვა?

– მაგ მოჩვენებითი თავაზიანობით ვერ შე-



მაბამ! – ბრაზით წამოისროლა გუსმანმა და მის პირისპირ დაჯდა.

– არ იტყვი, რა მოხდა? – ჰკითხა მინისტრმა.

– მე მეკითხები, რა მოხდა?! – გაიკვირვა გუსმანმა, – პირიქით, მე აქ განმარტების მისაღებად მოვედი!

ამ დროს ოთახში მდივანი შემოვიდა, რომელსაც სინით ორი ფინჯანი ჩაი მოჰქონდა. ქალმა ერთი ფინჯანი მინისტრს დაუდგა წინ და გუსმანს მიუბრუნდა.

– აქედან მოაშორე! – ავად შეუღრინა მან.

მდივანმა შიშით უკან დაიხია.

– ყველაფერი რიგზეა, ნადია, – დაამშვიდა მინისტრმა, – ფინჯანი მაგიდაზე დადგი.

მდივანმა განკარგულება შეასრულა და სწრაფად გავიდა ოთახიდან.

– ჩემს ზურგსუკან ჩალიჩი არ გამოგივათ. ან, რამ გაფიქრებინათ, რომ მე ვერაფერს შევიტყობდი?! – ბრაზით განაგრძო გუსმანმა, როგორც კი მდივანმა კარი გაიხურა.

– რას გულისხმობ? – ჰკითხა მინისტრმა.

– მე უკვე ვიცი, რომ „ხეტეზემ" აქციების სამი პროცენტი „ვერშინას" გადასცა."

– აა... აი, რაში ყოფილა საქმე? – მშვიდად ჩაილაპარაკა მინისტრმა და ჩაი მოსვა, – სამწუხაროდ, მისამართი შეგეშალა, სტეფანე. მე მაგ გარიგებასთან არაფერი მაკავშირებს.

– გინდა მითხრა, რომ არაფერი იცი ამის შესახებ?! – ეჭვით შეხედა გუსმანმა.

– არა... მაგას არ გეტყვი. აქციების გადაცემის შესახებ მეც ვიცოდი, მაგრამ, გადაწყვეტილება მე არ მიმიღია.

– ვინ მიიღო გადაწყვეტილება? – სწრაფად ჰკითხა გუსმანმა.

– სახელები რას შეცვლის? გადაწყვეტილება მიიღო ადამიანმა, რომელსაც შესაბამისი უფლებამოსილება გააჩნდა.

– გასაგებია... – უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა გუსმანმა, – მერედა, შენ რას აკეთებდი ამ დროს?! მთავრობა კრიმინალსა და მკვლელს აქციებით აჯილდოებდა და შენ ამ დროს მშვიდად ხვრეპდი ჩაის?!

მინისტრს გამომეტყველება შეეცვალა. მან მძიმედ დაუშვა ფინჯანი მაგიდაზე, გუსმანს მზერა გაუსწორა და თქვა.

– სხვათა შორის, ის მკვლელი და კრიმინალი შენ ჩართე საქმეში და, სიმართლე რომ გითხრა, მან უკეთ გაართვა საქმეს თავი, ვიდრე შენ!

– ესე იგი, მაინც მე ვარ დამნაშავე?! – მოიღრუბლა გუსმანი.

– არ მინდოდა შენთან ამ საკითხზე საუბარი, მაგრამ, შენ არჩევანს არ მიტოვებ!.. საქმე არც ისე კარგადაა, სტეფანე და, ახლა შენ „ხეტეზეს" აქციები კი არა, საკუთარი მომავალი უნდა გაღელვებდეს!

– ჩემი მომავალი?! – დაიბნა გუსმანი, – რა შუაშია ჩემი მომავალი?!

– ამის შესახებ ოფიციალურად არაფერი თქმულა, მაგრამ, მე ვიცი, რომ პრემიერ-მინისტრთან შენი შემცვლელის კანდიდატურაზე იმსჯელეს, – ხმადაბლა უთხრა მინისტრმა.

– ხომ არ შეიშალნენ! როცა მე იმ კაბინეტს ვაყალიბებდი, მისი ბევრი წევრი ღამის ქოთანზე სხვისი დახმარების გარეშე ვერ ჯდებოდა და მე...

– არაფერი გამოგივა, სტეფანე. აქ დათმობაზე აღარ არის საუბარი, იქით მოგიწევს თხოვნა: მადლობელი დაგრჩებით, თუ თანამდებობიდან მშვიდად წასვლის შესაძლებლობას მომცემთო!

– შენ რაღაც იცი? – მზერა გაუსწორა გუსმანმა.

– ვიცი, – დაუდასტურა მინისტრმა, – ამის შესახებ პროკურატურას ოფიციალურად არაფერი უთქვამს, მაგრამ, ვიცი, რომ ძიებას უკვე აქვს ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნა და იმ დასკვნით დასტურდება, რომ კაცუბა შენი დაღუპული მცველების მანქანიდან ამოღებული ავტომატებიდან გასროლილი ტყვიებით იყო დაჭრილი. იგივე იარაღი გამოიყენეს გეგეშიძეზე თავდასხმისას! გეგეშიძე ჯანდაბას, შენი მცველებისა და კრიმინალების შეტაკებას ათასი მიზეზი შეიძლება გამოენახოს, მაგრამ, შინაგან საქმეთა კურატორისა და პრეზიდენტის მრჩევლის დაჭრას ვერანაირ ლოგიკურ ახსნას ვერ მოუძებნი. ეს ის ლოდია, რომელიც უეჭველად ჩაგძირავს!

– ჩემი მცველების მკვლელობაზე რას იტყვით?! – ბრაზით წამოისროლა გუსმანმა.

– ეს საქმე ძიებშია, – მშვიდად უპასუხა მინისტრმა.

– „ძიებაშია!" – გამოაჯავრა გუსმანმა, – რაა მანდ გამოსაძიებელი? ისინი გეგეშიძემ დახოცა!

– მომეცი სამხილი და დიდი სიამოვნებით აღვძრავ საქმეს მის წინააღმდეგ!

– ისე არ არის გასაგები, რომ ეს მისი გაკეთებულია?! – აღელდა გუსმანი.

– არა, არ არის გასაგები. მთელ ამ ისტორიაში ჩემთვის ძალიან ბევრი რამ არაა გასაგები. მაგალითად, ის, თუ რისთვის დაჭრეს შენი პირადი დაცვის წევრებმა კაცუბა!

– ესე იგი, ჩემს ხარჯზე ცდილობთ გეგეშიძის რეანიმაციას?! მე მათავისუფლებთ თანამდებობიდან, რომ მან მშვიდად იგრძნოს თავი და მომავალშიც ღვაროს სისხლი?!

მინისტრმა დუმილით უპასუხა.

– არაფერი გამოგივათ! – მოულოდნელად იფეთქა გუსმანმა, – ყველას შეგახსენებთ, ვინცა ვარ!

– დამშვიდდი, სტეფანე. ყვირილით ვერაფერს შეცვლი, – შემრიგებლური ტონით თქვა მინისტრმა. ამის პასუხად გუსმანი ფეხზე წამოიჭრა და კარისკენ გავარდა, მაგრამ, კართან მისული უკან შემობრუნდა:

– მე წავალ... სკამს არ ჩავებღაუჭები, მაგრამ, ისეთი ხმაურით წავალ, რომ ყველას სანანებლად გაგიხდით ამ გადაწყვეტილებას! – წამოისროლა ღვარძლით, შემდეგ კი ისეთი ძალით გაიბრახუნა კარი, რომ კაბინეტი შეზანზარდა.

* * *

იმავე საღამოს გუსმანი თავის აგარაკზე შეხვდა ბუცას. კანონიერი ქურდი უხალისოდ გამოიყურებოდა. ჩანს, არაფრად ეპიტნავებოდა ხელისუფლების წარმომადგენლის აგარაკზე ყოფნა.

– ნუ იბღვირები! – ცივად შეეგება გუსმანი სასტუმრო ოთახში შემოსულ ბუცას, – მადლობა თქვი, საერთოდ რომ შემოგიშვი ჩემს სახლში!

ბუცამ ბრაზით შეხედა, მაგრამ, არაფერი უთქვამს.

– ასაკი ხომ არ მოგერია? ადრე უკეთესად ართმევდი თავს ჩემს დავალებებს, – უცვლელი ტონით განაგრძო გუსმანმა, – დრო ხომ არ არის შენს შემცვლელზე ვიფიქრო?

– შენი აპარატის დიშოვკა ჩინოვნიკი ხომ არ გგონივარ, რომ შენი სურვილით გადამაყენო?! – შეუბღვირა ბუცამ, – რა პრეტენზია გაქვს ჩემთან?!

– არ გახსოვს, როგორ შევთანხმდით? – ჰკითხა გუსმანმა.

– მახსოვს, – უხალისოდ უპასუხა ბუცამ.

– მე გეგეშიძის საკითხი უნდა მომეგვარებინა, შენ – მისი სასტავის! – შეთანხმება შეახსენა გუსმანმა, – გეგეშიძის შესახებ ყველაფერი გარკვეულია. რას აკეთებ შენ?!

– გეგეშიძის შესახებ ყველაფერი გარკვეული არ არის! – შენიშნა ბუცამ, – ჯერ ვერავინ გაარკვია, ცოცხალია თუ არა.

– ჩემი სიტყვა შენთვის საკმარისი არ არის? – ჰკითხა გუსმანმა.

– ამ შემთხვევაში, სიტყვას გეგეშიძის ტრუპი ჯობდა, მაგრამ, ის არავის უნახავს,– უპასუხა ბუცამ, – ვიდრე ეს არ მოხდება, არც მე და არც ჩემი ხალხი მის სასტავს არ დაეტაკება!

– ასე გაშინებთ გეგეშიძე?! – ცივად გაიღიმა გუსმანმა.

– რა შუაშია შიში?! – იწყინა ბუცამ, – ჩვენს წრეში კარგადაა ცნობილი, რომ ის ჩვეულებრივი ადამიანი არ არის, ის ნამდვილი გიჟია. ვერასდროს გათვლი, რას უნდა ელოდო მისგან – შეიძლება, ერთს მილიონი დოლარის საქმე აპატიოს, მეორე კი მხოლოდ ერთი სიტყვისთვის, ერთი არასწორი ნაბიჯის გადადგმისთვის მოკლას! მე თვითონ შევესწარი როსტოვში

ჟურნალ „თბილისელების" №1-ში დაბეჭდილ სტატიაში – „სკოლა „ფესვები" – ცოდნისა და ნდობის მაღალი ხარისხი" – გაიპარა რამდენიმე უზუსტობა, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით სკოლის დირექტორს, ქალბატონ მანანა გვირჯიშვილს. სწორია:

1. „შევიძინეთ 187-ე საჯარო სკოლის შენობა".
2. „სკოლაში სწავლობენ ყოფილი 187-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებიც".
3. „შარშან განათლების სამინისტრომ განგვისაზღვრა, რომ გარკვეული ქულებით უნდა მიგველო სოციალურად დაუცველი ბავშვები, რომლებსაც ჰქონდათ 57 000 ქულა. წელს ეს ვალდებულება ჯერჯერობით არ გვაქვს და, აქედან გამომდინარე, უფასოდ შეგვიძლია მივიღოთ უფრო მაღალქულიანი ბავშვები სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან".



მარჩუკისა და ციგანოვის მკვლელობას. გეგეშიძეს წარბი არ შეუხრია. ისე დახოცა, თითქოს წიწილები ყოფილიყვნენ. თანაც, ეს გააკეთა თხუთმეტი-თექვსმეტი კაცის თვალწინ. არადა, იცოდა, რომ მათ შორის, სულ მცირე, ორი ან სამი ნაბოზარი მაინც იქნებოდა, მაგრამ, მან მაინც დახოცა ისინი. და, იცი, რამდენმა კაცმა ჩაუშვა?!

– არა, – მექანიკურად უპასუხა გუსმანმა.

– არც ერთმა!.. გესმის შენ? ვერავინ გაბედა მასზე ინფორმაციის მიწოდება!

– მე არ მაინტერესებს თქვენი რაზბორკები! – გაღიზიანდა გუსმანი, – გეკითხები: რას აპირებ გეგეშიძის სასტავთან დაკავშირებით?

– მე უკვე გიპასუხე!

გუსმანმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი და მერე თქვა:

– ბუცა, შენ ბევრი რამ არ იცი. მყვინთავებმა მეორე დღესვე მიაგნეს გეგეშიძის გვამს, მაგრამ, არ გაუხმაურებიათ. საკუთარი თვალით მაქვს ნანახი ფოტოები, რომლებზეც გეგეშიძის გვამი იყო აღბეჭდილი!

– დამალეს?! – გაოცდა ბუცა.

– ჰო, – მშვიდად დაუდასტურა გუსმანმა.

– მაგრამ, რისთვის?!

– ელია ბუკოვსკი გახსოვს? – ჰკითხა გუსმანმა.

– ხარკოველი ებრაელი?

– ჰო... მან დააფუძნა კომპანია „ვერშინა”. ბუკოვსკის სერიოზული კავშირები ჰქონდა კიევთან. როდესაც გეგეშიძე თბილისის საგამოძიებო იზოლატორიდან გაიქცა, ბუკოვსკიმ საბუთები გააკეთა, რომ ის დაიღუპა და წლების განმავლობაში ოფიციალურად ასე იყო ცნობილი. მაგრამ, გეგეშიძემ ამის შემდეგაც არ მოისვენა და რუსეთის რამდენიმე მოქალაქე მოკლა. ბუნებრივია, რომ რუსეთის პროკურატურამ გამოაცხადა ძებნა და უკრაინას გეგეშიძის გადაცემა მოსთხოვა. კიევმა განაცხადა, რომ ის დაიღუპა და კრემაციაც გაუკეთდა. ეს ჭიდილი წლების განმავლობაში გრძელდებოდა. რუსები პერიოდულად ითხოვდნენ მის გადაცემას, კიევი კი ძველებურად პასუხობდა – დაღუპულიაო. ცოტა ხნის წინ კი გეგეშიძემ საერთოდ აიშვა თავი და რუსეთის „ეფესბეს” თანამშრომლები დახოცა. მოსკოვმა ისევ განაახლა გეგეშიძის მოთხოვნა და კიევმაც ტრადიციული პასუხი გასცა. ახლა ხვდები, რატომაც არ გამოცხადდა ოფიციალურად მისი დაღუპვის შესახებ?

– კიევი ბოლომდე მიაწვა გეგეშიძის გარდაცვალების ვერსიას... – ჩაილაპარაკა ბუცამ.

– ჰო... სხვა შემთხვევაში, რუსეთი ხმაურს ატეხდა და კიევს კრიმინალური ავტორიტეტის მფარველობაში დაადანაშაულებდა. ამ ვარიანტს მისი სასტავიც იყენებს. ცნობა ოფიციალური გარდაცვალების შესახებ არ არსებობს. მათ კი იციან, რომ გეგეშიძის ავტორიტეტი ბევრი თავზეხელაღებულისგან დაიცავს „ვერშინასა” და მათ სასტავს. სინამდვილეში კი გეგეშიძე კიევსა და ბორისპოლს შორის მდებარე უპატრონო მიცვალებულთა სასაფლაოზე დამარხეს, – თქვა გუსმანმა.

– ეს მისმა სასტავმა იცის? – ჰკითხა ბუცამ.

– დაღუპული რომაა, იციან. ყოველ შემთხვევაში, მის ადვოკატს, ვასილიჩს, ამის შესახებ ნამდვილად აუწყეს. მას მხოლოდ გეგეშიძის საფლავის ადგილმდებარეობა არ გაუმჟღავნეს. ასეთი შემთხვევებისთვის ეს სტანდარტული მიდგომაა, – გუსმანმა პაუზა გააკეთა და შემდეგ შემპარავი ხმით დაამატა: – ასე რომ, შეგიძლია, იმოქმედო. ისე, შენს ადგილას რომ ვიყო, ძალიან დამაინტერესებდა რუსულ დოსიეებში ჩახედვა – იქ ხომ ბევრ უკრაინელ ავტორიტეტთან დაკავშირებული მონაცემებიც იქნება, რომლებიც რუსეთის „ეფესბესთან” თანამშრომლობდნენ!..

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**

# კალეიდოსკოპი

## ლათინოამერიკელები – მსოფლიოში ყველაზე ბედნიერები

ყველაზე დადებითი ემოციების მქონე ადამიანები სულაც არ ცხოვრობენ მდიდარ კატარიში, არც სიცოცხლის ხანგრძლივობით განთქმულ, მოწინავე ტექნოლოგიების იაპონიაში, არამედ ლათინური ამერიკის ღარიბ ქვეყნებში.

კვლევის დროს გამოკითხვაში მონაწილეობდა 148 ქვეყნის 150 ათასი ადამიანი. ყველას ერთი და იგივე შეკითხვები დაუსვეს: კარგად გაატარეთ გუშინდელი დღე? ბევრი იცინეთ? გააკეთეთ რამე საინტერესო? გაიგეთ ახალი რამ? გრძნობდით თუ არა ირგვლივ მყოფთა პატივისცემას? კმაყოფილი ხართ თუ არა გუშინდელი დღით?

საინტერესოა, რომ ამ კითხვებზე პროცენტულად ყველაზე მეტი დადებითი პასუხები გასცეს პანამასა და პარაგვაიში (85 პროცენტი), სალვადორში, ვენესუელაში (84), ტრინიდადსა და ტობაგოში, ტაილანდში (83), გვატემალასა და ფილიპინებში (82), ეკვადორსა და კოსტა რიკაში (81) – ანუ ლიდერთა ათეულში რვა ქვეყანა ლათინურ ამერიკაშია.

ყველაზე ბოლო ადგილებზეა სინგაპური, სომხეთი, ერაყი, ასევე, ნაკლებ დადებით ემოციებს გამოხატავენ სერბიაში, იემენში, საქართველოში, ბელორუსში, მადაგასკარში, ლიტვასა და ტოგაში.

„ბედნიერება არ არის“ ჰაიტიზე, რომელთა დადებითი ემოციების მონაცემები უტოლდება აზერბაიჯანისა და ავღანეთისას.

თურქეთი არ განსხვავდება სიერა-ლეონესგან – მსოფლიოს ერთ-ერთი ღარიბი ქვეყნისგან, სადაც რამდენიმე წლის წინ სამოქალაქო ომი იყო. უმდიდრესი ბაჰრეინის სამეფო რეიტინგში ჩამორჩა პაკისტანს, მოლდოვეთსა და უკრაინას.

რუსეთი პირველ ასეულის მეორე ნახევარში შევიდა – ირანსა და ბოსნია-ჰერცოგოვინას შორის. უფრო ზედა ადგილებზე აღმოჩნდნენ: ყაზახეთი, თურქმენეთი და ტაჯიკეთი, ისევე, როგორც ჩადი, რუანდა და კოსოვო.

იტალია-ესპანეთში დადებითი ემოციები მეტია, ისევე, როგორც საფრანგეთსა და გერმანიაში. ოპტიმისტი აღმოჩნდა, ასევე, კატარისა და უზბეკეთის მოსახლეობა. კანადელებმა აჯობეს ამერიკელებს, ირლანდიელებმა – ბრიტანელებს.

კვლევის შედეგებმა საგონებელში ჩააგდო მკვლევრები. თუმცა, თვითონ, ღარიბი ქვეყნების ხალხს, სულაც არ უკვირს მიღებული რეიტინგი, რომელსაც სპეციალისტები სკეპტიკურად უყურებენ. ისინი მიიჩნევენ, რომ ზოგიერთი კულტურის საწყისშია ჩადებული ხალისი და სიცოცხლით ტკბობის უნარი. სხვებში კი, პირიქით, ცხოვრებით დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ეროვნული მენტალიტეტის ნაწილია.

## ფარაონ რამზეს მესამის სიკვდილის საიდუმლო

იტალიაში ბოლცანოს მუმიის ინსტიტუტის არქეოლოგები, რამზეს მესამისა და სავარაუდოდ, მისი შვილის მუმიების შესწავლის შემდეგ, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ფარაონი შეთქმულებამ შეიწირა. უფრო ზუსტად, მას ყელი გამოჭრეს.

კომპიუტერული ტომოგრაფიით მეცნიერებმა ფარაონის ყელზე 7 სანტიმეტრის სიგრძის ღრმა ჭრილობა აღმოაჩინეს, რომელმაც, თავის დროზე, გადაჭრა საძილე არტერია და ყველა მსხვილი სისხლძარღვი. ჭრილობის შიგნით აღმოჩნდა ამულეტი (მთის თვალი – სამეფო ძალაუფლების სიმბოლო). ესე იგი, მუმიფიცირება შეუხორცებელი ჭრილობით მოხდა.

ჟამთააღმწერელთა წყაროების მიხედვით, მმართველი საკუთარმა შვილმა, პენტავერმა და ერთ-ერთმა ცოლმა, ტეიემ ჩამოაგდო ტახტიდან. თუმცა, დღემდე არ იყო ცნობილი ფარაონი ცოცხალი გადარჩა თუ შეთქმულებმა მოკლეს. ახალი კვლევის ყველა დეტალი იმაზე მიუთითებს, რომ რამზეს მესამე მოკლეს. მოვლენები კი ჩვენს წელთაღრიცხვამდე, მეთორმეტე-მეთერთმეტე საუკუნეებში განვითარდა.

რამზეს მესამის სიკვდილის გარემოებების გარკვევის შემდეგ, მკვლევრები სავარაუდო მკვლელის მუმიის ანალიზზე გადავიდნენ. მათ ამოიღეს გენეტიკური მასალა მუმიების ძვლებიდან და ერთმანეთს შეადარეს. ანალიზმა დაამტკიცა, რომ ფარაონი და 18-20 წლის ახალგაზრდა მამაკაცი მამა-შვილია. შემდეგ მეცნიერები ეცადნენ, ამოეხსნათ ფარაონის შვილის სიკვდილის საიდუმლო. ტომოგრამამ რამდენიმე უცნაური გარემოება აჩვენა. უპირველესად, – მუმიფიკაციის დროს ამოღებული არ იყო შინაგანი ორგანოები და ტვინი, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა იმ დროის დაკრძალვის წესებს. ამას გარდა, ახალგაზრდის სხეული თხის ტყავში იყო გახვეული, ეს კი მონარქის ოჯახის წევრთათვის „უწმინდურებად“ ითვლებოდა. მის კისერზე უამრავი ნაკეცი და ნაოჭი აღმოჩნდა, მკერდი – გადიდებული. ყველაფერი იმაზე მიანიშნებს, რომ ადამიანი ცოცხლად დამარხეს, ან დაკრძალვამდე სულ ცოტა ხნით ადრე გაგუდეს.

ამრიგად, ახალი აღმოჩენა ეგვიპტელებს დაეხმარება, გაშიფრონ ის გაუგებარი თუ ორაზროვანი ფრაზები ეგრეთ წოდებულ ტურინის პაპირუსში, რომელიც გადატრიალებას და ასევე, ტეიესა და მის თანამზრახველთა სასამართლოს შეეხება.

**მოამზადა**
**ლაშა გაბელიამ**

**ცოტა ხნის წინ ნათია დუმბაძე და თიკა მახალდიანი, რომლებიც ბავშვობის მეგობრები არიან, თურქეთში, კერძოდ კი, ქალაქ ანკარაში იმყოფებოდნენ რამდენიმე დღით. ისინი ანკარის ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში მიიწვიეს სტუმრად, სადაც, ქართულ სიმღერებთან ერთად თურქული სიმღერაც შეასრულეს, პირად ცხოვრებაზეც ისაუბრეს და, ზოგადად, საკმაოდ სასიამოვნო და ხალისიანი დრო გაატარეს.**

# რის გამო ჰქონდა ნათია დუმბაძეს დიდი ხნის განმავლობაში ნევროზი და რატომ დადიოდა თიკა მახალდიანი 50 გრადუს სიცხეში ჩექმებით

**ნათია დუმბაძე**: მოკლედ, ყველაფერი ასე დაიწყო: თურქეთის საკონსულოდან მოგვივიდა შეტყობინება, რომ მე და თიკა სტუმრის სტატუსით ვიყავით მიწვეული გადაცემაში – „ბირ ავაზ," ანუ თურქეთის წამყვან არხზე, ძალიან პოპულარულ მუსიკალურ გადაცემაში მიგვიწვიეს. მე და თიკა ჩავედით საქართველოს სახელით. სამი სოლო სიმღერა შეასრულა თიკამ, სამი – მე, მერე ერთად შევასრულეთ თურქულ სიმღერაზე დუეტი, რადგან, მათი მხრიდან ასეთი მოთხოვნა იყო.

**თიკა მახალდიანი**: ტარკანის „დუდუ" მოვამზადეთ, ვიმღერეთ და ძალიან გაუხარდათ. სტუდიაში მაყურებელი იჯდა და ძალიან გახალისდნენ: ცეკვავდნენ, მღეროდნენ, კარგად იმხიარულეს. ნათიას მანქანაში ვისწავლეთ ტექსტი და იმდენი ვიცინეთ, ვერ ვჩერდებოდით. თან, გვეშინოდა, იქაც არ აგვტეხოდა სიცილი, ამიტომ, რეპეტიციაზე შევთანხმდით, ერთმანეთისთვის არ შეგვეხედა, რომ არ გაგვეცინა. „თბილისო" ვიმღერეთ დუეტში და წამყვანიც შემოგვიერთდა, რომელიც ძალიან კარგად მღეროდა. ბოლოს თვითონ იმღერა ქართულად „ვარდები არ არიან".

**ნათია**: „სულიკოც" ერთად ვიმღერეთ, ჯერ აკაპელაში, შემდეგ კი როიალიც შემოგვიერთდა. სხვათა შორის, სტუდია „იუთუბიზე" მქონდა ნანახი, გადაცემებიც, მაგრამ მერე ორივემ პირადად რომ ვნახეთ, პირი დაგვრჩა ღია და ცოტა შეგვეშინდა, რადგან, ძალიან გვინდოდა საქართველოს სახელით კარგად გამოვსულიყავით. ქართველი მომღერლები კი მიდიან უცხოეთში, კონცერტები აქვთ, მაგრამ, არ გამიგია, რომ გადაცემაში ვინმე მიეწვიათ. პირველები ჩვენ ვართ, ვინც უცხოეთში გადაცემაში მიგვიწვიეს და ძალიან გახარებული ვიყავი.

**თიკა**: ამ გადაცემაში ყოველთვის იწვევენ სხვადასხვა ქვეყნიდან მომღერლებს. როგორც აღმოჩნდა, ჩვენი სიმღერები მოსმენილი ჰქონდათ და ამიტომ მიგვიწვიეს. გარდა სიმღერისა ვისაუბრეთ პირადულ ამბებზე – როგორ დავიწყეთ სიმღერა, როგორ ვცხოვრობთ...

**თიკა**: ყველაფერი ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, ბენდი იყო საოცარი. აუდიტორია ისე კარგად შეგვხვდა, სულ გვიღიმოდნენ და მაშინვე მოგვეხსნა ნერვიულობა, დაძაბულობა. ჯერ ნათიამ იმღერა გურული „კრიმანჭული", მერე მე ვიმღერე ქართული სიმღერა, შემდეგ დავსხედით და წამყვანი გვისვამდა კითხვებს. ნათიას როცა ჰკითხა, ფრანგული სიმღერა ასე თბილად რომ იმღერე, ვის მიუძღვენიო, ნათიამ უპასუხა – ჩემს მეუღლესო.

**ნათია**: წამყვანმა იქიდან მოიკითხა ბაჩო. თიკამ უფრო კარიერაზე ისაუბრა. რომ ჩავედით, თურქეთში დაგხვდა ერთი ადამიანი – ომარი, რომელიც ყველგან დაგვყვებოდა, გადაცემაშიც კი ჩვენ გვერდით იჯდა. გადაცემის ფორმატიდან გამომდინარე, ყველას ქართულად უნდა გვესაუბრა და თარჯიმანი თარგმნიდა. გვინდა, დიდი მადლობა გადავუხადოთ მას, რადგან, თან გადაგვყვა.

**თიკა**: საათ-ნახევრის განმავლობაში მიმდინარეობდა გადაცემის ჩაწერა, მაგრამ, ისე გავიდა ეს დრო, ვერ გავიგეთ.

**ნათია**: საოცრად მაღალი დონის გადაცემა იყო, დაშოკილები ჩამოვედით, ყველანაირ მოლოდინს გადააჭარბა.

**თიკა**: თავიდან მხოლოდ იმას ვფიქრობდით, არა უშავს, რაც იქნება, იქნებაო, მაგრამ, სტუდიაში რომ შევედით მერე მივხვდით, სად ვიყავით.

**ნათია**: სიამოვნებით ვმღეროდით, მაყურებელიც ძალიან კულტურული, თბილი იყო; იციან, როდის დაგიკრან ტაში, როდის არ უნდა დაგიკრან... მოკლედ, ძალიან კმაყოფილები დავრჩით.

**– ახლა ისიც მომიყევით, როგორ გაერთეთ ამ სამი დღის განმავლობაში.**

**თიკა**: წარმოიდგინე ორი ბატი, რომლებსაც ყველგან აგვიანდებათ. ტრანზიტით გავემგზავრეთ – ჯერ სტამბულში უნდა ჩავფრენილიყავით და შემდეგ უნდა გადავფრენილიყავით ანკარაში. ყველამ იცის, რომ სტამბულის აეროპორტი უდიდესია და ჩვენ ზუსტად ნახევარი საათი გვქონდა გადასაჯდომად.

**ნათია**: ხელში რაღაცეები გვეჭირა და ორივე გიჟებივით გავრბოდით, თან, ვინც ჩქარა მიდიოდა, იმას მივყვებოდით. ყველას ვეკითხებოდით, სად უნდა წავსულიყავით, მაგრამ, რომ გვიხსნიდნენ, იმდენ რამეს გვეუბნებოდნენ, ვერ



**თიკა: „თავიდან მხოლოდ იმას ვფიქრობდით, არა უშავს, რაც იქნება, იქნებაო, მაგრამ, სტუდიაში რომ შევედით, მივხვდით, სად ვიყავით"**

ვიმახსოვრებდით. ბოლოს, როგორც იქნა, მივაღწიეთ და დავსხედით. გახდა 12 საათი, მაგრამ, არავინ არ გვეძახდა. აღმოჩნდა, რომ სხვაგან, სხვა ნომერზე ვისხედით.

**თიკა**: უნდა გენახა, როგორი თავქუდმოგლეჯილები გავრბოდით, ძლივს მივაღწიეთ, მხოლოდ ჩვენ გველოდებოდნენ, თან, ისეთი საშინელი სახეებით.

**ნათია**: აეროპორტში დაგვხვდა ჩვენი გამყოლი – ომარი, მძღოლთან ერთად და მიგვიყვანა არაჩვეულებრივ სასტუმროში. მაგრამ, აღმოჩნდა, რომ ცალ-ცალკე ნომრებში ვიყავით. მთელი ღამე ერთმანეთს ვემესიჯებოდით და ასე ვათენებდით ღამეებს. ათა თურქის მუზეუმში ვიყავით, მოგვეწონა. ის კაცი, ვინც დაგვყვებოდა, გავაგიჟეთ, რადგან, ყველგან ფოტოების გადაღებას ვთხოვდით. ანკარაში ბევრი დასათვალიერებელი არ ყოფილა, მაგრამ, მაინც კარგად გავერთეთ.

**თიკა**: ქუჩაში, ერთ-ერთი შენობის თავზე ნათიამ დაინახა განათებული წარწერა – „თიკა". მე რომ დამანახვა, ისე გამიხარდა, მაშინვე კივილი დავიწყე. მაგრამ, თურმე, რაღაც კომპანიის სახელწოდებაა და მისი რეკლამა იყო.

**ნათია**: პირველ დღეს გადავწყვიტეთ, ადრე დაგვეძინა, რომ მეორე დღეს გადაცემის ჩაწერაზე კარგ ფორმაში ვყოფილიყავით. მაგრამ, მერე ვიფიქრეთ, თურქეთში ვართ და ფეხბურთის საყურებლად როგორ არ წავიდეთ, ან, ჩაი როგორ არ დავლიოთო... მოკლედ, ომარი რომ გავისტუმრეთ სასტუმროდან, ორივე გამოვიპარეთ. არადა, ომარმა გაგვაფრთხილა, 11 საათზე ყველაფერი იკეტებაო. ისეთ ქუჩაზე ვცხოვრობდით, ყველაფერი იქ იყო: ბარი, რესტორანი. მოკლედ, ხმაურს გავყევით და მივედით ერთ-ერთ ბარში. თურქეთში ძალიან უყვართ ფეხბურთი, ყველა უყურებს – ქალი, კაცი. იმ ღამეს თურქული გუნდი თამაშობდა და, ხომ წარმოგიდგენია, რა მოხდებოდა. შევედით ერთ ბარში, გვინდოდა, ჩაი დაგველია, არადა, ისეთი ამბავი დაგვხვდა: წივილი, კივილი, ყველა ფეხბურთს უყურებდა. ჩვენ შევედით „სვეცკად" გამოწყობილები, ვიფიქრეთ, ცოტა განვიტვირთებითო, მაგრამ, ჩვენ გვერდით აღმოჩნდა გოგონების ფან-კლუბი.

**თიკა**: ნამდვილი მხეცები ჩვენს თავზე დადიოდნენ, კიოდნენ, წიოდნენ, მაგიდაზე ურტყამდნენ ხელს. შეგვეშინდა.

**ნათია**: ბოლოს, პროტესტის ნიშნად დავტოვეთ ბარი.

**– ეს, ალბათ, არ იყო თქვენი ერთობლივი პირველი გასტროლი.**

– დიდი ხანია, მე და თიკა ერთმანეთს ვიცნობთ. „ნუცას სკოლაშიც" ერთად გამოვდიოდით და მანამდეც, სტუდიაში, ერთად ვმღეროდით. „ნუცას სკოლა" რომ დამთავრდა, გადავწყვიტეთ, თურქეთში წავსულიყავით მე, თიკა, სალომე ბაკურაძე და ტატა ხვედელიანი.

**თიკა**: საერთოდ არ გვეძინა, ისეთ დღეში ვიყავით. ერთ დღეს, გამოვიდა ნათია სასტუმროდან და, რატომღაც, მოინდომა, რომ პირდაპირ თავით გადამხტარიყო აუზში. მოკლედ, გადმოხტა, მაგრამ, უცებ ამას მოჰყვა ერთი წივილ-კივილი. თურმე, აუზის წინ რომ არის ტრაპი, სადაც წყალი ჩადის, იქ ფეხის თითი გაეჭედა, თვითონ კი თავით გადაეკიდა აუზში. ახლა მეცინება, მაგრამ, ეს იყო საშინელება, ძლივს ამოვაღებინეთ თითი. მთელ ხმაზე ჯღაოდა, დედა მინდაო.

**ნათია**: იმის მერე წვიმიან და ქარიან ამინდებში მტკივა ხოლმე. ის ღამე ძალიან ჩამიმწარდა – ესენი ჩილიმის მოსაწევად წავიდნენ, მე კი სასტუმროს ნომერში დავრჩი და მთელი ღამე გავათენე. იმის მერე ნევროზი მქონდა დიდი ხანი. მეორე დღეს კონცერტი გვქონდა, ამათ იმღერეს და მერე, როგორც დაზარალებულმა, არ ვიმღერე. ერთ დღეს, გადავწყვიტეთ, დისკოთეკაზე წავსულიყავით, გამოვიკვანწეთ და, უცებ, ამ გაგანია სიცხეში, 50 გრადუსში, ვხედავთ, როგორ მოდის თიკა ჩექმებით. ჩვენ ლამის საცურაო კოსტიუმებით ვაპირებდით წასვლას, ეს კი ჩექმებში იყო გამოწყობილი.

**თიკა**: ადრე ვითომ მოდაში რომ იყო – ზაფხულში ჩექმები, რატომღაც, მეც ასე ჩავიცვი. თურქეთში ამ სიცხეში ჩექმა – ძალიან სოფლელობა იყო. დუმბაძე კი 212-სანტიმეტრიან ქუსლებზე იდგა. მოვდივართ, ბედნიერები ვართ, თავი ყველაზე ლამაზები გვგონია და, არ დაიწყო ხალხმა სტვენა და ყვირილი?! თან, მივდიოდით დისკოთეკაზე, ოღონდ, სანაპიროზე. ბოლოს, გავიხადეთ და ფეხშველები ვცეკვავდით.

**ნათია**: მე ჯინსმა ისე შემაწუხა, რომ პირსახოცშემოხვეული ვცეკვავდი. ბოლოს ფეხშიშველები დავბრუნდით სასტუმროში. მოკლედ, ძალიან კარგი დრო ვატარეთ.

**ნათია უტიაშვილი**

**ოლიმპიური ჩემპიონი ლაშა შავდათუაშვილი კვლავ აქტიურად შეუდგა ვარჯიშს. საქმე ისაა, რომ უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში ის ფიზიკურ დატვირთვას ერიდებოდა, რადგან, ოპერაციისშემდგომ რეაბილიტაციას გადიოდა. თუ როგორია მისი ამჟამინდელი ფიზიკური მდგომარეობა, როდემდე აპირებს კენტად სიარულს და როგორი გოგონები მოსწონს ახალგაზრდა სპორტსმენს, ამის შესახებ ის დღევანდელ ინტერვიუში გვესაუბრება.**

# რისი ოპერაციის გაკეთება დასჭირდა ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა შავდათუაშვილს და რატომ არ უმღერის ის გოგონებს სერენადებს

**– ლაშა, გავიგე, ამ ბოლო პერიოდში ოპერაცია გაგიკეთებია. რატომ იყო აუცილებელი ამ ოპერაციის გაკეთება და ახლა როგორ ხარ, როდის გიხილავთ ჩვეულ ფორმაში?**

– ეს ოპერაცია ოლიმპიადის წინ მქონდა გასაკეთებელი, ექიმმაც ასე მირჩია, მაგრამ ისეთი პერიოდი იყო – ლიზენციებზე უკვე ჩართული ვიყავი და თუ ოპერაციას გავიკეთებდი, ველარ გავაგრძელებდი დაწყებულ საქმეს. ანუ, გამოვეთიშებოდი ოლიმპიადას, რადგან რეაბილიტაციას 3 თვე სჭირდებოდა. ამიტომ, ოპერაციაზე დიდი ყოყმანის გარეშე ვთქვი უარი.

**– შენმა უარმა ოპერაციაზე საქართველოს ოქროს მედალი მოაპოვებინა.**

– შეიძლება, ასეც ითქვას. ფიზიკური დატვირთვა ამ პერიოდში ნაკლები მქონდა, რომ სასწრაფოდ საოპერაციო არ გავმხდარიყავი. ოლიმპიადისთვის მზადებაში ამას არ შეუშლია ხელი, ანუ საგანგაშო მდგომარეობა არ მქონდა.

**– რისი ოპერაცია გაიკეთე?**

– საზარდულის თიაქარის. მოგეხსენებათ, სპორტში ხშირია ფიზიკური დატვირთვა, რის შემდეგაც მსგავსი პრობლემა ხშირად იჩენს ხოლმე თავს. ოლიმპიადიდან რომ დავბრუნდი, ერთ თვეში გავიკეთე ოპერაცია და ამის შემდეგ 3 თვე ფიზიკური დატვირთვა არ შეიძლებოდა. ერთი თვის წინ არასრული დატვირთვით დავიწყე ვარჯიში. ახლა უკვე სრული დატვირთვით ვვარჯიშობ. ვემზადები ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონატისთვის.

**– რომელიც ჩატარდება...**

– მსოფლიო ჩემპიონატი ჩატარდება 2013 წლის ზაფხულში ბრაზილიაში.

**– რა შეიცვალა შენს ცხოვრებაში მას შემდეგ, რაც ოლიმპიური ჩემპიონი გახდი?**

– ჩემპიონობამ უპირველესად, ხალხის სიყვარული მომიტანა. არაფერი შეედრება ხალხის სითბოს, ქუჩაში რომ გხვდებიან და გეფერებიან. სულით და გულით რომ უხარიათ შენი წარმატება და შენს სიხარულს რომ იზიარებენ. ისიც გავითავისე, რომ ეს მხოლოდ ჩემი წარმატება არ არის, ის მარტო მე არ მეკუთვნის – ხალხს, გულშემატკივრებს და სრულიად საქართველოს.

**– ვინ იყო შენი ყველაზე დიდი გულშემატკივარი?**

– უპირველესად, ოჯახი, ჩემი მშობლები, ძმა ნერვიულობდნენ.

**– გამარჯვებას ელოდი?**

– საერთოდ, რთულია, შეჯიბრებაზე მიმავალმა დაგეგმო, რომ აუცილებლად მედალს ჩამოიტან. მართალია, განწყობა საბრძოლო უნდა გქონდეს, თავდაჯერებულიც უნდა იყო, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, მოწინააღმდეგე არ შეაფასო.

ეს გამარჯვება ღმერთის წყალობა და ჩემი დიდი შრომის შედეგი იყო.

**– ვის მიიჩნევ შენს მასწავლებლად?**

– ჩემს მწვრთნელს, ნიკო ბიბილაშვილს, შემდეგ – ანზორ თენაძეს.

**– პირად ცხოვრებაზეც მელაპარაკე. დაოჯახებული ხარ?**

– არა.

**– 20 წლის ბიჭი, სპორტული აღნაგობითა და სპორტული ცხოვრებით და რაც მთავარია, ოლიმპიური ჩემპიონი – ეს სუსტი სქესის წარმომადგენლებზე საუკეთესო შთაბეჭდილების მოხდენაში დაგეხმარება უდავოდ. ალბათ ძალიან პოპულარული ხარ... თავს ხომ არ გესხმიან?**

– არა, რას ბრძანებთ *(იცინის)*.

**– როგორ ცდილობენ შენი ყურადღების მიპყრობას?**

– საკუთარი თავის ქება არ მიყვარს... ოლიმპიურმა ჩემპიონობამ ბევრი რამე მოიტანა... საკმაოდ ბევრთან გაქვს ურთიერთობა და მათ შორის, სუსტი სქესის წარმომადგენლებთანაც. ამ დროისთვის ჯერჯერობით არ მყავს შეყვარებული. შესაბამისად, არ ვფიქრობ დაოჯახებას... ვნახოთ, როგორ გამოიჩენენ თავს...



**ვარ სტიქაროსანი კარალეთის სამების ტაძარში. ჩემპიონობამ უპირველეს ყოვლისა, ხალხის სიყვარული მომიტანა**

**– არის გოგონების კატეგორია, დღე და ღამე სახლს რომ ალაგებენ, არიან გოგონები – დღე და ღამე კითხულობენ და არიან გოგონები, კვერცხის შეწვაც არ იციან... როგორი გოგონები მოსწონს ლაშა შავდათუაშვილს?**

– *(იცინის)* გოგომ როგორ არ უნდა იცოდეს კვერცხის შეწვა... დაკონკრეტება არ მინდა...

**– შეყვარებული ყოფილხარ?**

– ძალიან დიდი ხნის წინ...

**– სერენადა თუ გიმღერია გოგონასთვის?**

– არა, სერენადა მართლა არ მიმღერია. სიმღერა არ მეხერხება *(იცინის)*. სერენადას შთაბეჭდილების მოსახდენად მღერიან, ჩემი სიმღერა რომ მოვასმენინო, შეიძლება, სულ დაეკარგოს შთაბეჭდილება ჩემზე...

**– ის მაინც მითხარი, შავგვრემანი გოგონები უფრო მოგწონს თუ თეთრი?**

– ორივე... *(იცინის)*.

**– მოდი, ის წუთები გაიხსენე, როდესაც ჩემპიონი გახდი.**

– სანამ დაჯილდოებაზე გავიდოდი, კვარცხლბეკზე რომ ავდიოდი, ზურა კახაბრიშვილმა მითხრა, დროშა რომელი მხრიდან უნდა აღმართულიყო. რომ გავედი, იმდენად ვიყავი დაბნეული, რალაცეები ახლაც არ მახსოვს, დამავიწყდა. ქართული ჰიმნი რომ აჟღერდა, დაბნეული ვიყურებოდი აქეთ-იქით, კადრებში ეს მომენტი კარგადაა დაფიქსირებული.

**– კიდევ გაიხსენე რომელიმე ამბავი ამ პერიოდიდან.**

– იაპონიაში ვიყავით შეკრებაზე. საღამო ხანს, ფოიეში, აპარატიდან ჩამოვისხი წყალი და ოთახში ავედი. გზად ერთ-ერთი ჩვენი სპორტსმენი შემხვდა და დაინტერესდა, სად შეიძინეო? მეც არ დამიმალავს, ქვემოთ ფოიეში აპარატიდან ვიყიდე-მეთქი. მეც ვიყიდი და ამოვალო. შევედი ოთახში... ველოდები წყლის შესაძენად წასულ მეგობარს, მაგრამ არ ჩანს... ცოტა ხანში ჩავაკითხე. ვხედავ, იქვე დგას. რას დგახარ-მეთქი, – ვკითხე. გამყიდველს ველოდებიო, – გულუბრყვილოდ მიპასუხა. ამ ამბავზე დიდხანს ვხალისობდით...

**– ახლა ძირითადად სად ცხოვრობ?**

– გორში. ვარ სტიქაროსანი კარალეთის სამების ტაძარში. ვცდილობ, ვიცხოვრო ღვთის სიყვარულით.

**ეკა სალაღაია**

(ოცდამეთხუთმეტე გვერდიდან)

# რა ხდება მაშინ, როცა ჯეი.ბი საკუთარ თავთან მარტო რჩება და ვინ დაარქვა მას „შავი მარგალიტი“

**– აღმოჩნდა, რომ შენ არ ხარ მხოლოდ თავზე ბუმბულწამოცმული ადამიანი, ამის პარალელურად, საკმაოდ ფილოსოფიურად განიხილავ შენი პიროვნების არსებობას.**

– ზოგადად, ბევრს ვფიქრობ. არ არსებობს, ღამით დავწვე და ჩვეულებრივად დავიძინო. ზოგჯერ ფიქრებში დამთენებია და, მიმაჩნია, რომ ეს საუკეთესო ფსიქოთერაპიაა. ბევრი ფიქრი ზრდის ადამიანს. ამ ფიქრებში ვეკამათები საკუთარ თავს, ჭიდილი მაქვს საკუთარ „მესთან“, ხშირად მიპოვია პასუხები ჩემსავე დასმულ კითხვებზე და, ასევე, პასუხგაუცემელი კითხვებიც დამრჩენია.

**– შენს განათლებაზე არაფერი გითქვამს. სად აპირებ სწავლის გაგრძელებას?**

– ამჟამად კერძო პედაგოგებთან ვემზადები. მომავალ წელს საფრანგეთში, მარანგონის კოლეჯში ვაპირებ სწავლის გაგრძელებას. ეს არის მსოფლიოში ძალიან ცნობილი იტალიური კოლეჯი, რომლის ერთ-ერთი ფილიალი საფრანგეთშია.

**– La Perle Noire ფრანგულად „შავ მარგალიტს“ ნიშნავს. ვინ შეგარქვა ეს სახელი?**

– ეს არის ჩემთვის პატივსაცემი ფრანგი მოდის კრიტიკოსი, რომლის სიტყვასაც წონა აქვს და ცნობილი დიზაინერები მის აზრს ყოველთვის იზიარებენ. მისი ეს შეფასება ჩემთვის უდიდესი პატივია და სწორედ მან მოახდინა გარდატეხა ჩემს შემოქმედებით აზროვნებაში. სიტყვამ – „შავი მარგალიტი” – კონტურები შემოავლო და მკაფიო გახადა ჩემი სტილი.

**– ძირითადად, ყოფითი ცხოვრებისთვის მოუხერხებელ ტანსაცმელს იცვამ. ახალი წლის დღეები როგორი კოსტიუმებით გაატარე?**

– ჩემთვის აბსოლუტურად მოსახერხებელია ჩემი ყველა ტანისამოსი. ყოველთვის სიტუაციის შესაფერისად ვიცვამ და, შესაბამისად ახალი წლის დღეებშიც ღონისძიებების მიხედვით ვიკაზმები. რადგან ახალი წელია, იმას არ ნიშნავს, რომ თავზე ნაძვის ხე დავიდგა და ისე ვიარო *(იცინის)*.

**ბესო მახარაშვილი**

# რა უნდა გაითვალისწინოთ 2013 წელს, რომ მომავალი კეთილდღეობა დაგეგმოთ



რუბრიკას უძღვება თბილისის სამედიცინო აკადემიის პროფესორი, ასტროლოგი
მიხეილ ცაგარელი

*„ღმერთო, მომეცი მოთმინება, რომ ავიტანო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია, გამბედაობა, რომ შევცვალო ის, რაც შემიძლია და გონიერება, რომ განვასხვავო ერთი მეორისაგან“.*

კურტ ვონეგუტი

***2013 წელი, ჩინური კალენდრის მიხედვით, მუქი გველის წელიწადია. ის ერთგვარი გამოცდების წელია, სადაც მოგიწევთ ბარიერების გადალახვა, გონებრივი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით მოქმედება. უნდა ეცადოთ, მაქსიმალურად მართოთ ემოციები და არ დაუშვათ გამოუსწორებელი შეცდომები.***

2013 წელი **ვირთხის** წელიწადში დაბადებული ადამიანებისთვის შედარებით მშვიდი და სტაბილურია. აუცილებლად უნდა გამოავლინოთ მეტი პასუხისმგებლობა, რათა ამ წელს მეტად წარმატებული იყოთ. გადაწყვეტილებები უნდა მიიღოთ დამოუკიდებლად და აუჩქარებლად. კარიერულ სფეროში ეს წელიწადი ბევრ პერსპექტივას გპირდებათ. მოსალოდნელია ახალი შემოთავაზებები და ბევრი საქმიანი გადაადგილება. მთავარია, მოიპოვოთ კოლეგებისა და ხელმძღვანელი პირების ნდობა და პატივისცემა. მათ კი, ვინც არ მუშაობს, ეს წელი დასაქმებას ჰპირდება. გამოიყენეთ ყველა შემოთავაზება. გირჩევთ, არ დაარღვიოთ წესები და კანონები. მეტად დაუგდეთ ყური ინტუიციას და ენდეთ საყვარელი ადამიანის რჩევებს.

**ხარის** წელს დაბადებული ადამიანები გველის წელიწადში ადვილად შეძლებთ წარმატებების მიღწევას, სწორი გადაწყვეტილებების მიღებასა და ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას. იყავით ორიენტირებული საპასუხისმგებლო საქმის შესრულებაზე – ეს კარგ შემოსავალს გპირდებათ. გირჩევთ, მეტად სერიოზულად მიუდგეთ თქვენს გადაწყვეტილებებს, რადგან, ამ წელს დაშვებულ შეცდომას, კარგა ხანს ველარ გამოასწორებთ. დაპირება და წინდახედულება მეტად წარმატებულს გაგხდით. ეცადეთ, პირადი ცხოვრება და საქმიანობა დაასტაბილუროთ. დროულად ჩამოიშორეთ ყველა ის ადამიანი, ვის გვერდითაც თავს არაკომფორტულად გრძნობთ.

2013 წელი **ვეფხვის** წელიწადში დაბადებული ადამიანებისთვის საკმაოდ წარმატებულია. მთავარია, პასუხისმგებლობას არ გაექცეთ და საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩნდეთ. აუცილებლად გამოიყენეთ თქვენი სიძლიერე და გონებაგამჭრიახობა – ეს თქვენთვის წარმატებების მომტანი აღმოჩნდება. გამოავლინეთ ინიციატივა სასიყვარულო პარტნიორთან. საქმიან სფეროში არაერთი გამოცდა გელით. ნუ ეცდებით, ამ გამოწვევებს აგრესიით უპასუხოთ. მეტი დაფიქრება გმართებთ საქმეების შესრულებისას. წელს ვეფხვის წელიწადში დაბადებული ბევრი ადამიანი შეძლებს ფინანსური კრიზისის დაძლევას და დამატებითი შემოსავლის წყაროს გამონახვას. გაითვალისწინეთ, რას გკარნახობთ ინტუიცია და რა შენიშვნებს გაძლევენ გამოცდილი ადამიანები.

გველის წელიწადი **კატის** წელიწადში დაბადებული ადამიანებისთვის არც ისე პოზიტიურია. ეცადეთ, წლის დასაწყისშივე გააქტიურდეთ და მოაგვაროთ ყველა ის პრობლემა, რაც საქმესა და პირად ცხოვრებაში დაგიგროვდათ. არ გირჩევთ ახალი საქმეების წამოწყებას, თავბრუდამხვევ სასიყვარულო-რომანტიკულ შეხვედრებსა თუ მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული ცვლილებების დაგეგმვას. უმჯობესია, მშვიდად მიჰყვეთ მოვლენებს და შემოიფარგლოთ ყოველდღიურობით. ჩუმად აკეთეთ საქმე და დაელოდეთ შედეგს. იყავით დამთმობი და ყურადღებიანი და ასე აიცილეთ გველის წელიწადში პრობლემური სიტუაციები თავიდან.

2013 წელი **დრაკონის** წელიწადში დაბადებული ადამიანებისთვის, მთელი რიგი მოვლენებით და საინტერესო შეხვედრებით იქნება დატვირთული. არ არის გამორიცხული, რადიკალურად შეიცვალოს თქვენი ცხოვრება. ნუ მიანდობთ თქვენი საქმეების შესრულებას სხვებს. მიუხედავად რთული კარიერული წლისა, ფინანსური თვალსაზრისით გაგიმართლებთ. ფინანსური კუთხით განსაკუთრებით იღბლიანია წლის დასაწყისი, როცა დრაკონის წელს დაბადებულ ადამიანებს ექნებათ ისეთი შემოსავალი, რომ თავიც გაინებივრონ და ახლობელ და საყვარელ ადამიანებსაც არ მოაკლონ ყურადღება. არ გირჩევთ რაიმე სერიოზულის დაგეგმვას და ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას, რადგან, დიდია შეცდომების დაშვების ალბათობა. ამიტომ, მიჰყევით გარემოებებს და დატკბით ცხოვრებით.

**გველის** წელიწადში დაბადებულებს წინ თავგადასავლებით სავსე, ნათელი, საინტერესო და საპასუხისმგებლო 2013 წელი გელით. სასიკეთოდ შეიცვლება როგორც კარიერული, ასევე, ფინანსური და პირადი ცხოვრება. მოგეცემათ საშუალება, მოახდინოთ თვითრეალიზება საქმეში, გამოავლინოთ პროფესიონალური ნიჭი და მოქნილობა. თამამად მიიღეთ გადაწყვეტილებები და გამოხატეთ ლიდერულ-ორგანიზატორული ნიჭი. მოგეცემათ შანსი, საკუთარი გამომუშავებით დააგროვოთ საკმაოდ სტაბილური კაპიტალი. არ არის გამორიცხული, ახალი საქმის წამოწყებაც კი გადაწყვიტოთ. განსაკუთრეებით მიაქციეთ ყურადღება თქვენს გარემოცვას და ნუ დახუჭავთ თვალს ტყუილსა და ღალატზე. წელს კარგი შანსი გეძლევათ, გაიცნოთ ის ადამიანი, ვინც, შესაძლოა, თქვენი ცხოვრების მეგზური გახდეს.

2013 წელი **ცხენის** წელიწადში დაბადებულთათვის არც ისე მშვიდია, თუმცა, ბევრი მათგანისთვის გველის წელი ბედნიერების მომტანი და იღბლიანი აღმოჩნდება როგორც პირად ურთიერთობებში, ასევე, პროფესიული კუთხით. ბევრი რამ შეიცვლება პირად ცხოვრებაში. არ არის გამორიცხული, მთელი რიგი შემოთავაზებების წინაშეც აღმოჩნდეთ. შეინარჩუნეთ წინდახედულება. ამ წელს არ გაქვთ შეცდომის დაშვების უფლება, რადგან, მას დიდხანს ვერ გამოასწორებთ. იმოქმედეთ დამოუკიდებლად და მიიღეთ გადაწყვეტილებები მხოლოდ საკუთარი თვალსაზრისის გათვალისწინებით. ნუ შექმნით კონფლიქტურ სიტუაციებს ოჯახში. იყავით კეთილგანწყობილი კოლეგების მიმართ და დრო დასვენებისთვისაც გამონახეთ.

გველის წელიწადი **თხის** წელს დაბადებული ადამიანებისთვის ერთგვარი გამოცდის პერიოდია. არ არის გამორიცხული, სირთულეების წინაშეც აღმოჩნდეთ როგორც კარიერულ და პირად ცხოვრებაში, ასევე, ჯანმრთელობის კუთხითაც. ნუ ჩავარდებით დეპრესიაში და საღი აზროვნებით გადაჭერით ყველა პრობლემა. ფინანსური თვალსაზრისით გველის წელიწადი არ არის მომგებიანი, მაგრამ, ერთგვარად, სტაბილური წელია. ხარჯეთ ფული მხოლოდ საჭირო ნივთებზე. გაითვალისწინეთ, რომ მხოლოდ საკუთარ შემოსავალზე ხართ დამოკიდებული. გქონდეთ საყვარელი ადამიანის გვერდით დგომის იმედი და მისგან დახმარებაზე ნუ იტყვით უარს.

**მაიმუნის** წელიწადში დაბადებული ადამიანები გველის წელიწადში ადვილად შეძლებთ ყველა იმ პრობლემის გადაჭრას, რასაც ცხოვრება გიმზადებთ. მოსალოდნელია კონფლიქტები, სტრესული სიტუაციები, ახალი ნაცნობობა, რომანტიკული თავგადასავლები და თავბრუდამხვევი მოვლენები. ზოგადად, ეს წელი, მაინც პოზიტივის მომტანია. წელს არ არის გამართლებული რისკი კარიერაში. ფინანსური თვალსაზრისით ეს წელი დიდ შემოსავლებს არ გპირდებათ, თუმცა, თანხა გეყოფათ იმისთვის, რომ საკუთარი სურვილების უმეტესობა აიხდინოთ. არ მოდუნდეთ და არ დაგაფრთხოთ პატარა გაუგებრობებმა.

2013 წელი **მამლის** წელიწადში დაბადებული ადამიანებისთვის ახალი პერსპექტივების მომტანია. მთავარია, შეინარჩუნოთ სიმშვიდე. განსაკუთრებით პოზიტიური ელფერის მატარებელია, სასიყვარულო-რომანტიკული ურთიერთობები. ნუ გახდებით დამოკიდებული სხვებზე და სასიყვარულო გატაცების გამო არ მოადუნოთ ყურადღება თქვენს პროფესიონალურ საქმიანობაზე. კოლექტიური მუშაობა მომავალში კარგ პერსპექტივებს გპირდებათ. მომჭირნეობა ყველაზე მეტად ამ წელს გმართებთ. მოსალოდნელია მთელი რიგი ფინანსური პრობლემები, ასევე, გარკვეული სირთულეები სამსახურში. გამოიჩინეთ მეტი ყურადღება წვრილმანების მიმართ და ნუ ეცდებით ერთი არასწორი ნაბიჯით დაანგრიოთ ის, რასაც აქამდე ნაბიჯ-ნაბიჯ აშენებდით.

გველის წელიწადი **ძაღლის** წელს დაბადებული ადამიანებისგან მოითხოვს მეტი პასუხისმგებლობის გამოვლენას, საკუთარი შეცდომების აღიარებასა და სამართლიანობის პრინციპის დაცვას. ნუ შეუშინდებით პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღებას როგორც ოჯახში, ასევე სამსახურში. კარიერის თვალსაზრისით, გველის წელი საკმაოდ დატვირთული და მძიმეა. მოსალოდნელია ხელმძღვანელ პირებთან გაუგებრობები, კოლეგებთან კონფლიქტები და საკუთარი აზრის პარტნიორებთან ხმამაღალი ტონით დაცვა, თუმცა, ეს თქვენ გამოგივათ. თქვენ მიერ გამოვლენილ შრომისუნარიანობასა და შესრულებული საქმის ხარისხზე იქნება დამოკიდებული თქვენი ფინანსური შემოსავლები. ნუ დაგეგმავთ ცხოვრებისეულ მნიშვნელოვან ცვლილებებს, ჯობია, დინებას მიჰყვეთ.

2013 წელი **ტახის** წელში დაბადებულ ადამიანებს, დიდი პერსპექტივების წინაშე დააყენებს. მოსალოდნელია ფინანსური შემოსავლების ზრდა, ახალი სასიკეთო ნაცნობობა, რომანტიკული ურთიერთობები. მთელი წლის განმავლობაში არ მოიწყენთ და ფორტუნაც თქვენს მხარეზე იქნება. დააკვირდით, რას გთავაზობენ საქმიანი პარტნიორები, რადგან, წელს გეძლევათ შანსი, მათი რეკომენდაციით საკმაო წარმატებებს მიაღწიოთ. ფინანსური თვალსაზრისითაც წარმატებული წელიწადი გექნებათ. არ დაძაბოთ სიტუაცია არც ოჯახში და, არც სამსახურში. იმოქმედეთ მშვიდად და წინდახედულად.

## ვერძი

მოგებას მოგიტანთ კომერციული საქმიანობა. ახალი საქმის დაწყების შემთხვევაში, დახმარებისთვის მიმართეთ ახლობლებსა და მეგობრებს. ნუ გამოიყენებთ გადაუმოწმებელ ინფორმაციას, განსაკუთრებით, საყვარელ ადამიანთან დაკავშირებით. მოგზაურობა სიამოვნებას მოგანიჭებთ.

## კურო

კარგი დროა იურიდიული და საზოგადოებრივი საქმიანობისთვის, თუმცა, ახალი პროექტების დაწყებისგან, ჯობია, თავი შეიკავოთ და ჯერ ძველი საქმეები დაასრულოთ. შესაძლოა, აგიხდეთ სანუკვარი ოცნება. ცხოვრებაში ჯერ არაფერი შეცვალოთ. კარგია ემოციების მოთოკვა და ქალაქგარეთ დასვენება.

## ტყუპები

ნუ ენდობით უცნობ ადამიანებს და თავი მოარიდეთ მათთან საქმიან ურთიერთობებს. დროულად დაასრულეთ ძველი საქმეები. შესაძლოა, სასიყვარულო გრძნობა იმდენად უეცრად დაგატყდეთ თავს, რომ აზრზეც ვერ მოხვიდეთ. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, ცოდნის გამყარება და საქმიანი კავშირების დამყარება.

## კირჩხიბი

ამ პერიოდში გადადებული საქმე სამომავლოდ პრობლემებს შეგიქმნით. თანამოაზრეებიის გარეშე ნუ დაიწყებთ რადიკალურ ცვლილებებს ნურც საქმეში და ნურც პირად ცხოვრებაში. ეცადეთ არ დაძაბოთ ურთიერთობა საყვარელ ადამიანთან. კარგია დიეტის დაწყება და გამაჯანსაღებელი პროცედურების ჩატარება.

## ლომი

მოგიწევთ არაერთი პრობლემის გადაწყვეტა. გააანალიზეთ წარსული, რათა მომავალში შეცდომა არ დაუშვათ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მოქმედებისას. თუ ახალ სასიყვარულო ურთიერთობას დაიწყებთ, ეცადეთ, მოარიდოთ ის გარშემო მყოფთა თვალს და ამით აიცილოთ ზედმეტი მითქმა-მოთქმა და გაუგებრობა.

## ქალწული

იდეების ხორცშესხმა, ჯობია, მოგვიანებით დაიწყოთ, როცა თქვენი ფინანსური მდგომარეობა სტაბილური იქნება. მეტი დრო გაატარეთ სახლში და ოჯახის წევრებთან ურთიერთობაში იყავით გულღია. ყურადღებით დააკვირდით სამსახურში კოლეგებს, რათა არ გამოგეპაროთ მნიშვნელოვანი დეტალი.

## სასწორი

თავს ენერგიულად იგრძნობთ, თუმცა, ახალი საქმის დაწყებას არ გირჩევთ. ერიდეთ რადიკალური ცვლილებების შეტანას საქმიანობაში. გაიზრდება კონტაქტებისა და შეხვედრების რაოდენობა. მოგზაურობა კი, ჯობია, გადადოთ. ახლობლები გაგახარებენ სიურპრიზებით. საყვარელ ადამიანთან ურთიერთობა კი ყველა პრობლემას დაგავიწყებთ და რომანტიკულ განწყობას შეგიქმნით.

## მორიელი

ენერგიული და შემოქმედებითი დროა. ეცადეთ, წინასწარ დაგეგმოთ ყველა ქმედება. შემოსავალს იურიდიული, საკონსულტაციო და სამეწარმეო საქმიანობა მოგიტანთ. მასშტაბურ პროექტებში რისკი გამართლებულია. დროულად გაერკვიეთ გრძნობებში, რათა გული არატკინოთ საყვარელ ადამიანს.

## მშვილდოსანი

ახალი კონტაქტები სიახლეს შემოიტანს თქვენს ცხოვრებაში. ბევრ დროს წაგართმევთ ადრე დაწყებული და დაუსრულებელი საქმეები. ეცადეთ, მხიარულად გაატაროთ დრო და საინტერესოდ გაერთოთ. არ გირჩევთ მოგზაურობას. კარგია ცოდნის გაღრმავება და მოლაპარაკებების წარმოება.

## თხის რქა

დაუგეგმავი საქმეები და კონტაქტები თქვენს ცხოვრებას ქაოტურს გახდის. მიუხედავად ამისა, ახალი შემოქმედებითი იდეები და წინადადებები სიხარულს გპირდებათ. ყური უგდეთ ინტუიციას. ეცადეთ, მოუსმინოთ საქმიან და სასიყვარულო პარტნიორებს, რადგან, მათი დახმარებით ბევრი რამის გაკეთებას შეძლებთ. ამ პერიოდში სასიყვარულო ურთიერთობა ჰარმონიულ ელფერს შეიძენს.

## მერწყული

გათავისუფლდით ძველისგან და ახლებურად შეხედეთ მომავალს. ნუ გამოიყენებთ შემთხვევით გაგებულ საიდუმლო ინფორმაციას და იმოქმედეთ კანონის ფარგლებში, იზრუნეთ გარეგნობის მოწესრიგებაზე. კარგია იმიჯის შეცვლა. არ გირჩევთ მოგზაურობას. ამ პერიოდში დაწყებული სასიყვარულო რომანი საქმეებში უკან დაგხევთ.

## თევზები

ხანგრძლივი პროექტები და საქმიანი აქტიურობა მომავალში დიდ შემოსავალს გპირდებათ. შესაძლოა სოციალური მდგომარეობის გამოსწორება. მეგობრული კონტაქტები და გართობა გაგახალისებთ. არ გირჩევთ მოგზაურობას. სასიყვარულო პარტნიორთან კი გირჩევთ მეტად თავშეკავებული იყოთ, რათა არ დაძაბოთ ურთიერთობა.

# კვირის დღეების ასტროპროგნოზი

**ახალმთვარეობა – 11 იანვარი, 19 სთ: 43 წთ.**

### ორშაბათი

მეტი სიფრთხილე და ყურადღება გამოიჩინეთ მოქმედებისას. ეცადეთ, რთული საკითხების გადაწყვეტისას გამონახოთ კომპრომისული გამოსავალი. ნუ დაკარგავთ თვითრწმენას და არ იყოთ აგრესიული. ატარეთ წითელი, შინდისფერი, შავი, ყვითელი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ოპალი, ტოპაზი, იასპი, ქრიზოპრაზი ან ამეთვისტო. ნუ დაუჯერებთ სიზმრებს. მოერიდეთ ადგილსამყოფლის შეცვლას, მოგზაურობას, ვალის აღებას. კარგია თმის შეჭრა. სუსტდება შარდ-სასქესო სისტემა, ცხვირი, თავი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის.***

### სამშაბათი

ნუ იკამათებთ. აკონტროლეთ ემოცია. მაღალია ტრავმების ალბათობა. მოერიდეთ მშენებლობას. ატარეთ წითელი, ლურჯი, ცისფერი, იისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, საფირონი, ლალი, ქარვა ან ლაზურიტი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს, რადგან დიდია მათი ახდენის ალბათობა. კარგია ინტელექტუალური საქმიანობა, სწავლა, იურიდიული საქმე, უცხოელებთან კონტაქტი, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ქალწულებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

### ოთხშაბათი
### გეომაგნიტური დღეა

კარგია ქველმოქმედება. ნუ ჩაერევით სხვების საქმეებში მათი თხოვნის გარეშე და ნუ გასცემთ ტყუილუბრალო დაპირებებს. ატარეთ წითელი, ყვითელი, ლურჯი, ცისფერი ან იისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ფირუზი, ბრილიანტი, ჟადეიტი, აკვამარინი ან ტურმალინი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. არ ვარგა მშენებლობა. კარგია უცხოელებთან კონტაქტი, უცხოეთში კაპიტალდაბანდება, იურიდიული საქმიანობა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის ძვალი.

***პოზიტიური დღეა: ლომებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კუროებისთვის, კირჩხიბებისთვის, თევზებისთვის.***

### ხუთშაბათი

მოიმატებს რომანტიკულობა. კარგია გარეგნობის შეცვლა, ადრე დაწყებული საქმეების დასრულება. ატარეთ ყავისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ლურჯი, მწვანე, ოქროსფერი ან ნაცრისფერი სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ფირუზი, ქრიზოპრაზი, აქატი, ყვითელი იასპი. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ სტომატოლოგიური პროცედურების ჩატარებას, ვაჭრობას, გავლენიან პირებთან ურთიერთობას, ახალ სასიყვარულო კავშირებს. კარგია უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა, სამეცნიერო კვლევა. სუსტდება ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები.

***პოზიტიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ვერძებისთვის, სასწორებისთვის, მშვილდოსნებისთვის, მერწყულებისთვის.***

### პარასკევი
### გეომაგნიტური დღეა

ამ დღეს ახალმთვარეობაა. შეინიშნება სასიკეთო კოსმიური ენერგიების ნაკლებობა, რაც გამოიწვევს აგრესიას, დეპრესიას, კონფლიქტებს, შეცდომებს, ტრავმებს, ავარიებს, ჯანმრთელობის პრობლემებს და სხვა ნეგატიურ სირთულეებს. იყავით განსაკუთრებულად ფრთხილად. ნუ აჰყვებით მაცდურ შემოთავაზებებს. მოერიდეთ ახალი საქმეების დაწყებას, ხელშეკრულებების დადებას, მოლაპარაკებებს. ატარეთ ბეჟი, ყვითელი, ოქროსფერი, ლურჯი ან მწვანე სამოსი. მოერიდეთ მინერალების ტარებას. ყურადღება მიაქციეთ სიზმრებს. მოერიდეთ ფინანსურ ოპერაციებს, ვაჭრობას, სასიყვარულო კონტაქტებს, ახალ კავშირებს, გაცვლით ოპერაციებს და გავლენიან ხალხთან კონტაქტს. სუსტდება კბილები, ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კანი.

***პოზიტიური დღეა: კუროებისთვის, მორიელებისთვის, თხის რქებისთვის, თევზებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის.***

### შაბათი
### გეომაგნიტური დღეა

მეტი ყურადღება დაუთმეთ საყვარელ ადამიანებს. გამოიჩინეთ სიფრთხილე საბუთებთან დაკავშირებით. ატარეთ ბეჟი, ყვითელი, ვერცხლისფერი, ნაცრისფერი, ნეონის ფერები, ლურჯი, ცისფერი, ვარდისფერი ან მწვანე სამოსი; ქვებიდან კი – ონიქსი, ქრიზოპრაზი, აკვამარინი, საფირონი, ძოწი ან ცირკონი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს, რადგან სათუოა მათი ახდენა. კარგია გართობა, დიეტის დაწყება, ბინის შეცვლა. სუსტდება თვალები, სისხლძარღვები, ფეხის კუნთები, ნერვული სისტემა.

***პოზიტიური დღეა: ვერძებისთვის, მერწყულებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: კირჩხიბებისთვის, ქალწულებისთვის.***

### კვირა
### გეომაგნიტური დღეა

მეტი დრო დაუთმეთ ოჯახს. მოერიდეთ ეჭვიანობას და აგრესიას, ასევე საკუთარი პოზიციის წინა პლანზე წამოწევას. მაღალია კონფლიქტების ალბათობა. ატარეთ ვერცხლისფერი, ლურჯი, ცისფერი, ნაცრისფერი, წითელი, ვარდისფერი ან ყვითელი სამოსი; ქვებიდან კი – საფირონი, აკვამარინი, ძოწი ან ცირკონი. ნუ მიაქცევთ ყურადღებას სიზმრებს. გაითვალისწინეთ სხვების აზრები. ნუ იქნებით ზედმეტად ცნობისმოყვარე. კარგია სახლის მშენებლობა, გარეგნობის მოწესრიგება, დიეტის დაწყება, ადგილსამყოფლის შეცვლა, საზოგადოებრივი საქმიანობა, გართობა. სუსტდება ნერვული სისტემა, მხედველობა, სისხლძარღვები, ფეხის კუნთები.

***პოზიტიური დღეა: ტყუპებისთვის, ლომებისთვის, მშვილდოსნებისთვის;***

***ნეგატიური დღეა: მორიელებისთვის, თხის რქებისთვის.***

***გეომაგნიტურ დღეებში სუსტდება ნერვული და გულ-სისხლძარღვთა სისტემა, მაღალია თავის ტკივილისა და უგუნებობის ალბათობა.***



**განსაკუთრებით მიჭირს ჩელოს ატანა თვითმფრინავში. იძულებული ვარ, ორი ბილეთი ვიყიდო**

**ქეთევან როინიშვილმა, მიუხედავად ასაკისა, საკმაო წარმატებას მიაღწია და ამსტერდამში, მთავარი ქალი ჩელისტი გახდა. ის ახლა ვენაშია, სადაც სოლო კონცერტებს მართავს. როგორც თავად ამბობს, ქართული გენი მას უცხოეთში ძალიან ეხმარება. მართალია, ქეთის ბავშვობის ოცნება იყო მხატვარი გამოსულიყო, მაგრამ, მისმა ოჯახმა მომავალი პროფესია უსიტყვოდ აურჩია.**

# რა წარმატებები მოუტანა ამსტერდამში ჩელოს იდუმალი ხმის სიყვარულმა ქეთევან როინიშვილს და სად დადის ჰოლანდიის დედოფალი მის მოსასმენად

**ქეთევან როინიშვილი**: მუსიკოსების ოჯახში დავიბადე: დედა პიანისტია, მამა კი – ჩელისტი. ასე რომ, ბავშვობიდან გადაწყვიტეს, რომ მუსიკას უნდა გავყოლოდი. ნიჭიერთა ათწლედი დავამთავრე და შემდეგ კონსერვატორიაში მოვეწყვე. იმ დროს თბილისში ჩამოვიდა ცნობილი დირიჟორი ლევ მარკიზი და სტუდენტურ ორკესტრს დირიჟორობდა, სადაც მეც ვუკრავდი. შემამჩნია, მომისმინა და გადაწყდა, რომ სწავლა ამსტერდამში გამეგრძელებინა. სწორედ მისი დამსახურებაა, დღეს რომ უცხოეთში ვმოღვაწეობ.

**– მსოფლიოში ძალიან ცოტაა ქალი ჩელისტი. რატომ გადაწყვიტე, მამის, და არა დედის კვალს გაჰყოლოდი?**

– თავიდან ფორტეპიანოზე ვუკრავდი, მაგრამ, იმდენად მომწონდა ჩელოს იდუმალი ხმა, გეზი შევიცვალე. ძალიან მომწონდა მისი ბგერა და, აღმოვაჩინე, რომ ის უფრო ახლოს იყო ჩემთან, ვიდრე ფორტეპიანო. თან, თავიდანვე სოლო ჩელისტობა მინდოდა და ეს ოცნება ავიხდინე. ბავშვობიდან მხატვარიც მინდოდა გამოვსულიყავი და ეს ოცნებაც უნდა ავიხდინო ***(იცინის).*** უკვე ოთხი წელია ამსტერდამში ვცხოვრობ, ვსწავლობ, ვმუშაობ და უამრავ ქვეყანაში ვუკრავ სოლოს.

**– არ იყო რთული უცხო ქვეყანაში სრულიად მარტოს, თავად გაგეკვლია კლასიკური განხრით სამუსიკო, ურთულესი გზა?**

– თავიდან ძალიან გამიჭირდა ამსტერდამში, უცხოდ ვგრძნობდი თავს. საქართველო სულ სხვა ქვეყანაა – ჩაკეტილი, გაგებაც სხვანაირი გვაქვს. ამსტერდამი კი იმდენად გახსნილი და იმდენად ინტერნაციონალურია, თავიდან, სანამ მიეჩვევი, დაიბნევი. თუ „დაუმეგობრდები” ამ ქვეყანას, ტრადიციებში გაერკვიე და კომუნიკაციაცააწყვე, ჩათვალე, რომ ქალაქმა მიგიღო. აქ აბსოლუტურად განსხვავებული აზროვნება აქვთ, ვიდრე ქართველებს, უფრო თავისუფლები არიან, მაგრამ, ჩვენ უფრო ბუნებრივები ვართ. ამსტერდამელები უფრო ოფიციალურები არიან. შეიძლება, ქართველები მივამსგავსოთ ესპანელებს, იტალიელებს, მაგრამ ჰოლანდიელებთან ნამდვილად არ გვაქვს არანაირი მსგავსება ***(იცინის)***. ევროპაში ძალიან უყვართ და აფასებენ კლასიკურ მუსიკას, აქ ინტენსიურად დადიან მის მოსასმენად. ამსტერდამი კლასიკური მუსიკის სამყაროს გაზიარებს, გაყვარებს და გიბიძგებს, იყო მეტად ცნობილი და წარმატებული. ოთხი წლის განმავლობაში უამრავ კონცერტზე მაქვს დაკრული. ყველაზე დასამახსოვრებელი და საპატიო კი ნატალია გუტმანის ფესტივალზე გამოსვლა იყო, რომელიც ყოველწლიურად იმართება გერმანიაში. მის გვერდით დაკვრა ნამდვილი ოცნებაა ყველა მუსიკოსისთვის, რადგან, მას, როგორც ცოცხალ ლეგენდას, ისე მოიხსენიებენ. მოკლედ, ამსტერდამში დავამთავრე ბაკალავრიატი და ახლა გაცვლითი პროგრამით ვარ ვენაში.

**– ჩელო, ზოგადად, მამაკაცურ ინსტრუმენტად აღიქმება. თან, მისი ტარება ქალისთვის ცოტა რთულია, არ მეთანხმები?**

– გეთანხმებით. საქართველოში ჩელო მამაკაცურ ინსტრუმენტად აღიქმება და მსოფლიოშიც თითზე ჩამოსათვლელია ქალი ჩელისტი. დიდი ინსტრუმენტია და მისი ტარებაც საკმაოდ ძნელია. თბილისში რომ დამქონდა, მერიდებოდა. ყველა მიყურებდა და ამბობდა, ეს გოგო რამხელა რაღაცას მიათრევსო ***(იცინის).*** ბევრი იმის გამო იკავებს თავს მისი სწავლისგან, რომ მძიმე და პრობლემური სატარებელია. მაგრამ, როდესაც ვჯდები და ვიწყებ დაკვრას, რაღაც ზებუნებრივი ხდება ჩემსა და ჩელოს შორის, თითქოს ვერწყმით ერთმანეთს და ერთი ორგანიზმი ვხდებით. ჩელოს ტემბრი საოცარია და ძალიან ახლოსაა ადამიანის, უფრო კი – მამაკაცის, ხმასთან. სავსე ბგერა აქვს და სხვადასხვა განცდა გეუფლება მისი დაკვრისას. ის ჩემი სხეულის ნაწილია და მის გარეშე ერთი წუთიც კი ვერ წარმომიდგენია. თუმცა, განსაკუთრებით მიჭირს მისი ატანა თვითმფრინავში. იძულებული ვარ, ორი ბილეთი ვიყიდო. ბარგში ვერ ჩავაბარებ, რადგან, მეშინია, არ გატყდეს და, მირჩევნია, ჩემ გვერდით „იჯდეს” ***(იცინის).*** „ვაჯენ” სკამზე და ვამაგრებ ქამრით. უნდა ნახოთ, მგზავრები რა გაფართოებული თვალებით მიყურებენ – ეს რამხელა რაღაც დევს, ტანით ასეთი პატარა გოგონა როგორ დაათრევს ამხელა რამესო. რა ვქნა, ჩელო ჩემი განუყოფელი ნაწილია და უნდა ვზიდო ეს ტვირთი. სახელიც დავარქვი – „ნიკუშა” ჰქვია და სულ ერთად ვართ, ცაშიც და დედამიწაზეც.

**– ესე იგი, ნიკუშა შენი არაბუნებრივი შეყვარებულია?**

– ***(იცინის)*** არა, ნიკუშა ჩემი არაბუნებრივი ქმარია, ნამდვილი შეყვარებული კი ჰოლანდიელი მყავს, დანიელ კოლი. უკვე ორი წელია, ერთად ვართ და ჩემი ნიკუშა არც კი ეჭვიანობს ***(იცინის).*** სამივე ერთად ვცხოვრობთ. ქართული ტემპერამენტი და გენი ძალიან მეხმარება და დანიელის მოხიბვლაშიც ის დამეხმარა. ძალიან ვამაყობ, რომ ქართველი ვარ. სხვათა შორის, ქართველებს ევროპის კულტურაში განსაკუთრებული როლი შეგვაქვს, იქნება ეს კლასიკური მუსიკა თუ ბალეტი. ძალიან მინდა, საქართველოში დავბრუნდე და ჩავატარო კონცერტები, მაგრამ, კლასიკურ მუსიკას მანდ გასაქანი არ აქვს და ამაზე ძალიან მწყდება გული. არ არის ჩემი პროფესიის ადამიანი ჩემს ქვეყანაში მოთხოვნადი. სულ ვფიქრობ, საქართველოში რომ დავრჩენილიყავი, ამხელა გასაქანი არ მექნებოდა, ამდენ კონცერტზე ვერ დავუკრავდი, ვერ ვიმოგზაურებდი მსოფლიოს უამრავ ქვეყანაში და ვერ გავიცნობდი ამდენ საინტერესო ხალხს. მე და ჩემმა ნიკუშამ ძალიან ბევრი ვიშრომეთ, ბევრ კონკურსსა და ფესტივალზე გამოვედით, უამრავი ხალხის წინაშე მოვიხადეთ ჩვენი ვალი და, ვფიქრობ, ეს ცოტა არ არის. როცა ჰოლანდიის დედოფალი ბეატრისი მოვა კონცერტზე და გისმენს გულისყურით, ხომ წარმოგიდგენიათ, რა გრძნობაა ეს მუსიკოსისთვის.

**– ალბათ, რთულია მუსიკოსის გვერდით ცხოვრება. სულ გასტროლები, რეპეტიციები, კონცერტები, გასვლითი ტურები... ამას როგორ ეგუება დანიელი?**

– დანიელიც მუსიკოსია. ახლა ამსტერდამშია და ველოდები, ვენაში უნდა ჩამოვიდეს. ნიკუშა ცოტათი ეჭვიანობს, რადგან, კუთხეშია მიყუდებული და განიცდის, რომ მას მოაკლდება ჩემგან ყურადღება, მაგრამ, რა ვქნა, ორივე მიყვარს ***(იცინის).*** დანიელი ამსტერდამის კონსერვატორიაში გავიცანი პირველივე დღეს. ის პიანისტია. ერთი წელი ვმეგობრობდით, ახლა კი ერთად ვცხოვრობთ.

**– ურთიერთობის დაკანონებას არ აპირებთ?**

– ევროპამ საერთოდ შეცვალა ჩემი აზროვნება, თუმცა, ქართული ტრადიციები არ შემიცვლია. გათხოვებას არ ვჩქარობ, ამის დროც მოვა. ჯერ კარიერას ავაწყობთ და მერე დავფიქრდებით მე და დანიელი დაქორწინებაზე. დანიელი ქართულს სწავლობს, ყანწით სადღეგრძელოებიც ისწავლა ***(იცინის).***

**– ესე იგი, დანიელი ჯვარს ჩოხაში გამოწყობილი დაიწერს?**

– ვერ გეტყვით, ჩოხას ჩაიცვამს თუ არა, მაგრამ, ტრადიციულ ქორწილს რომ საქართველოში გადავიხდით, ეს დანამდვილებით ვიცი. დანიელი გიჟდება საქართველოსა და ქართველებზე. ყანწი და ხანჯალი რომ ჩამოვუტანე, გადაირია – ეს რა არის, რაში გამოვიყენოო ***(იცინის).*** ავუხსენი, ამით ღვინოს სვამენ-მეთქი. მოეწონა, მეც დავლევო და, სტუმრები რომ მოდიან, ყველას ყანწიდან ასმევს სასმელს. აი, ხანჯალზე კი ბევრი იცინა – ამას ნამდვილად ვერ გამოვიყენებო.

**ნონა დათეშიძე**

**ხშირად შვილები მშობლების კვალს მიჰყვებიან, ირჩევენ იმ პროფესიას, რაც მათ ოჯახში მიღებული და ტრადიციულია. ამიტომ, გასაკვირი არაა, რომ კახი კავსაძისა და ბელა მირიანაშვილის შვილიშვილმაც მსახიობობა არჩია. ის ამერიკაში დაახლოებით 11 წლის წინ წავიდა მშობლებთან ერთად და, ამჟამად, საკმაოდ წარმატებით გამოდის „სინეტიკის თეატრის” სცენაზე. როგორია 19 წლის მშვენიერი ირინა კავსაძის ამერიკული ცხოვრება ცნობილი ოჯახის წევრების გვერდით, ამას თავად გვიამბობს.**

# რა რელიკვიას ინახავს კავსაძეების ოჯახი და ვისი გვირგვინი დაიდგა თავზე ირინა კავსაძემ

**ირინა კავსაძე**: ყოველთვის მიყვარდა სიმღერა და ცეკვა, ხატვაც, მაგრამ, თეატრი იყო ჩემთვის ნომერ პირველი პროფესია. შეიძლება ითქვას, რუსთაველის თეატრში დავიბადე და გავიზარდე, მთელი ცხოვრება ვუყურებ მამაჩემს და ბაბუაჩემს ეკრანსა და სცენაზე. ყოველი სპექტაკლი ჩემზე ჰიპნოზივით მოქმედებდა და, მახსოვს, როგორი გაოცებული თვალებით ვუყურებდი, მავიწყდებოდა მთელი სამყარო, მაოცებდა ის, რომ ამ მსახიობებს ასეთი სიხარული მოჰქონდათ მაყურებლისთვის. 6 წლის ვიყავი, როცა ვიგრძენი დიდი სურვილი, მეც ვმდგარიყავი სცენაზე მათ გვერდით და მეც ასეთივე სიხარული მიმენიჭებინა მაყურებლისთვის.

**– ბატონი კახი მთელ საქართველოს უყვარს არა მხოლოდ როგორც მსახიობი, მისი საუბარიც დიდ სიამოვნებას ჰგვრის ყველას. როგორია ის ცხოვრებაში, შვილიშვილის თვალით დანახული?**

– დილით სკოლაში რომ უნდა წავსულიყავი, ძილის წინ შემეკითხებოდა: ბაბუ, აბა, მითხარი, რა გინდა ხვალ, რა დაგახვედროო. რომ ავდგებოდი, საუზმე გაწყობილი მხვდებოდა – ხაჭოს და არაჟანს მაჭმევდა. მახსოვს, ზღაპრებს, ბევრ საინტერესო ამბავს მიყვებოდა. როცა წამოვიზარდე, მიყვებოდა, სად იყვნენ გასტროლებზე, რა ნახეს, ბელაზე მიყვებოდა. იცით, ბელას „ჭინჭრაქაში“ გვირგვინი რომ ეკეთა, ის გვირგვინი ჩვენს სახლშია, როგორც ოჯახის რელიკვია. ვთამაშობდი, თავზე ვიკეთებდი. სახლში ხანჯალიც გვაქვს, „პატარა პრინცში“ რომ ეკეთა ბელას. თბილისში რომ ჩამოვდივარ, ძალიან მიყვარს ბებიას ოთახში შესვლა და დათვალიერება – იქ შენახულია მისი სამაჯურები, მძივები. ბოლოს რომ ვიყავი, ვერცხლის თმის სამაგრი ვიპოვე, რომელიც ბებიას, თურმე, ძალიან უყვარდა, მართლაც ულამაზესია. ამერიკაში წამოვიღე და სათუთად ვინახავ ჩემს ოთახში. იშვიათად ვიკეთებ – მეშინია, არ დამეკარგოს.

**– შენი მეორე ბაბუა – მალხაზ გორგილაძეც მსახიობი იყო. რა იცი მასზე გადმოცემით?**

– 2 წლის ვიყავი, მალხაზი რომ გარდაიცვალა. სამწუხაროდ, არ მახსოვს ბაბუა, მაგრამ, ხშირად ვუყურებ მალხაზის ვიდეოებს, ფილმებს. „დღე პირველი, დღე უკანასკნელი” ჩემი უსაყვარლესი ფილმია. როგორც ოჯახის წევრებისგან გამიგია, ძალიან თბილი, კეთილი და საყვარელი კაცი იყო. სამწუხაროდ, მასზე ისტორიები არავის მოუყოლია. მხოლოდ ის ვიცი, დედაჩემი და დეიდაჩემი პატარები რომ იყვნენ, მალხაზი, ოლგა, ირინა და ლიკა მანქანით ყოველ ზაფხულს მიდიოდნენ გერმანიასა და ჩეხოსლოვაკიაში. ძალიან უყვარდა ოჯახი და ცოლშვილს არაფერს აკლებდა.

**– ფილმში „დღე პირველი, დღე უკანასკნელი” არაჩვეულებრივი ბელა და მალხაზი პარტნიორები არიან – შეყვარებულებს თამაშობენ, მაგრამ, ალბათ, მაშინ ვერც ერთი ვერ წარმოიდგენდა, რომ გავიდოდა წლები და დანათესავდებოდნენ.**

– რა თქმა უნდა, ცხოვრებაში შემთხვევით არაფერი ხდება და ესეც, როგორც ჩანს, განგებაა, რომ ერთად დაიწყეს მოღვაწეობა: თეატრალურში იყვნენ ჯგუფელები, ერთად თამაშობდნენ სცენაზე, შემდეგ – კინოში; იყვნენ კარგი მეგობრები და, ბოლოს ცხოვრებამ ისე მოიტანა, რომ დანათესავდნენ. რაც ნიშანდობლივია, ორივე ახალგაზრდა წავიდა ამ ცხოვრებიდან.

**– როდის გააცნობიერე, რომ ასეთი მაგარი ოჯახის წევრი ხარ, იმ ადამიანების გვერდით ცხოვრობ, რომლებიც ასე ბრწყინავენ ეკრანსა და სცენაზე და ასე უყვარს ყველას?**

– ჩემთვის კახი, ირაკლი და ნანუკა უპირველესად, ოჯახის წევრები – მამა, ბაბუა და მამიდა არიან. რა თქმა უნდა, ყოველთვის მიხაროდა მათი სცენაზე ნახვა, მიხარია, რომ ისინი ყველას უყვარს. ჩემთვის ჩემი ოჯახი ყოველთვის ბრწყინავს, არა იმიტომ, რომ კავსაძეების ოჯახია, არამედ, იმიტომ, რომ ჩემი უსაყვარლესი ადამიანები არიან და დიდი პასუხისმგებლობაა, იყო ამ ოჯახის წევრი.



ჩემი პირველი სპექტაკლი ამერიკაში იყო „სტუმარ-მასპინძელი.” დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის, რომ მამასთან და ბაბუასთან ერთად ვიდექი სცენაზე, მაგრამ, მაშინ 11 წლის ვიყავი და ბევრი რამ არ მესმოდა

**– წარმოიდგინე, რომელიმე რეჟისორმა იმ ძველი ფილმების ახლებურად გადაღება რომ მოისურვოს, რომლებიც ასე ძალიან გვიყვარს ყველას და შენ შემოგთავაზოს ის როლი, რომელსაც ბებია თამაშობდა, ითამაშებდი?**

– ბელა რომ გარდაიცვალა, დაბადებული არ ვიყავი და ყოველთვის მწყდებოდა გული, რომ სიცოცხლეში ვერ ვნახე. ვიცი, რომ განსაკუთრებული ადამიანი იყო, ყოველთვის აკეთებდა იმას, რაც საუკეთესო იყო მისი ოჯახისთვის. რაც შეეხება იმას, ვითამაშებდი თუ არა ასეთ ფილმში, ეს დიდი პატივი იქნებოდა ჩემთვის და, თან, ძალიან საინტერესო, მაგრამ, ბელა მაინც ბელა იყო, ჩემთვის მიუწვდომელი და შეუცვლელი. ბელას ფოტოებზე და ფილმებში რომ ვუყურებდი, მის სახეში ვხედავდი ანგელოზის სახეს, ამიტომ, იმ როლების განსახიერება, რომლებიც ბელამ ითამაშა და შექმნა, ჩემი მხრიდან არ იქნებოდა სწორი.

**– რომელი იყო პირველი სპექტაკლი და პირველი როლი, რომელიც მანდ, უცხო სცენაზე ითამაშე და დაძაბული თუ იყავი?**

– ჩემი პირველი სპექტაკლი ამერიკაში იყო „სტუმარ-მასპინძელი.” დიდი ბედნიერება იყო ჩემთვის, რომ მამასთან და ბაბუასთან ერთად ვიდექი სცენაზე, მაგრამ, მაშინ 11 წლის ვიყავი და ბევრი რამ არ მესმოდა. მახსოვს, სანამ სპექტაკლი დაიწყებოდა, როგორ ვნერვიულობდი. მერე მამას და ბაბუას გავხედე კულისებში და შიშის გრძნობამ ცოტა გადამიარა – თითქოს მათმა დანახვამ დამაწყნარა.

**– რა მსგავსებას ხედავ შენსა და თქვენი ოჯახის წევრებს შორის? გარეგნულად მამას ჰგავხარ, სხვა?**

– არ ვიცი, ბელას რით ვგავარ, მაგრამ, ბაბუას და მამას, ალბათ, უფრო ხასიათით. ერთმანეთის ძალიან კარგად გვესმის. იმედია, მათი იუმორი გადმომედო ან მალე გადმომედება, მაგრამ, ერთი საუკეთესო თვისება, რაც მაქვს მათ მსგავსად, არის უზომო სიყვარული ოჯახის, ადამიანების მიმართ. მთელი ცხოვრება ვაკვირდები, რომ კახი და ირაკლი ყველაფერს აკეთებენ ოჯახის კეთილდღეობისთვის და მათთვის, ვინც უყვართ.

**– წეღან კინოზე გკითხე. არ გინდა კინოში ვარსკვლავების გვერდით ითამაშო და შენც კინოვარსკვლავი გახდე?**

– კინო ყოველთვის მაინტერესებდა და, იმედია, მომავალში შანსი მომეცემა, რომ ეკრანზეც გამოვჩნდე. მინდა, ყველაფერი ვცადო. შეიძლება, ფილმმა გამიტაცოს, მაგრამ, ჯერჯერობით თეატრს ეკუთვნის ჩემი გული.

**– როგორები არიან სახლში კახი და ირაკლი? როგორი მამაა ირაკლი, პატარა რომ იყავი, ხომ არ გიბრაზდებოდა?**

– როგორც ყველა ოჯახში, ჩვენთანაც არის კამათი, ყველაფერზე ვერ თანხმდებიან ხოლმე. ბავშვობაში ბევრ შეცდომას ვუშვებდი და, ალბათ, ბრაზდებოდნენ ამაზე, მაგრამ, ირაკლიც და კახიც ძალიან წყნარები არიან. სულ შაყირობენ, ვიცინით, ნაირ-ნაირ ისტორიას ყვებიან, ორივე საოცრად შრომისმოყვარეა და თავიანთი საქმე სიგიჟემდე უყვართ, რაც მათ მუშაობაში კარგად ჩანს.

**– არის რამე როლი, რაც გულით გინდა, რომ ითამაშო?**

– არ მიოცნებია რომელიმე როლზე. ამ თეატრმა საოცარი შანსი მომცა და ჩემთვის დიდი პატივია, ვიყო მათი თეატრის მსახიობი. პაატა ციქურიშვილი და ირაკლი მენდობიან, რომ ასეთი საოცარი როლები შევასრულო.

**– როგორ ხვდებით ხოლმე ამერიკაში ახალ წელს?**

– ძალიან ჩვეულებრივი ახალი წელი გვაქვს. პატარა რომ ვიყავი, კახი კართან მიდებდა საჩუქარს ზუსტად 12 საათზე – ვითომ, თოვლის ბაბუამ დამიტოვა. დედა საჭმელებს აკეთებს, მეც ვეხმარები და, ბოლოს, ყველა ერთად ვხვდებით ახალ წელს. რატომღაც, საქართველოში უფრო მიყვარდა ახალი წელი, ვიდრე აქ, მაგრამ, მიხარია, რომ ტრადიციას ვაგრძელებთ.

**– ბატონ კახის, ალბათ, სკაიპით ელაპარაკებით და ისე ულოცავთ ახალ წელს.**

– არა, კახის არ აქვს კომპიუტერი, ამიტომ, თვითონ გვირეკავს, რადგან, ჯერ საქართველოში დგება ახალი წელი და შემდეგ – ამერიკაში. ვერ ერკვევა კომპიუტერულ ამბებში და მისთვის მთავარია, რომ ჩვენ დაგვიკავშირდეს და ამას ტელეფონითაც კარგად ახერხებს, ამიტომ, არც ცდილობს, რომ კომპიუტერი შეისწავლოს.

**ეკა პატარაია**

# ბრძნული აზრები

**დიკენსი**: განსხვავება აშენებასა და შექმნას შორის შემდეგია: აშენებული მხოლოდ აშენების შემდეგ შეგიძლია გიყვარდეს, შექმნილი კი მანამდე გიყვარს, სანამ შექმნი.

**კეინზი**: ასაკში შესვლასთან ერთად, ადამიანი ფულსა და უსაფრთხოებას მეტად აფასებს, ვიდრე შექმნას და შენებას.

**გოეთე**: ერიდე ადამიანს, რომელმაც არ უპასუხა შენგან წყენას.

**სენეკა**: საზოგადოებრივი აზრი უკანასკნელი თავშესაფარია პოლიტიკოსისთვის, რომელსაც საკუთარი არ გააჩნია.

***

მე არ მაინტერესებს, ვიცოდე რაიმე, თუნდაც თვით ყველაზე სასარგებლოც, თუ ეს მარტო მე მეცოდინება. რომ შემომთავაზონ უმაღლესი სიბრძნე აუცილებელი პირობით, რომ გავჩუმდე მის შესახებ, მე უარს ვიტყოდი.

**შოუ**: მარტოობა ძალიან კარგია, ოღონდ მაშინ არა როდესაც მარტო ხარ.

**ოთარ ჭილაძე**: ერთგულებას დრო სჭირდება, ღალატი კი წამის საქმეა.

**კონსტანტინე**: ისეთი მამლებიც ბევრია ამქვეყნად, გათენების შემდეგ რომ ყივიან.

**აბულ ფარაჯი**: ძალიან ცუდია ადამიანი, რომელიც არაფრის მცოდნეა და არც ცდილობს, რაიმე გაიგოს. მასში ორი ნაკლია შეერთებული.

**ლიხტენბერგი**: წიგნები იკითხება სამი სახით: პირველი, იკითხო და ვერ გაიგო; მეორე, იკითხო და გაიგო; მესამე, იკითხო და გაიგო ისიც კი, რაც არ წერია.

**პითაკი**: რასაც მშობლებისთვის გააკეთებ, იმასვე ელოდე შვილებისგანაც.

**რადიშჩევი**: რაც უფრო მაღლა ადის ადამიანი შემეცნებაში, მით უფრო ვრცლად იხსნება მის წინ სანახაობები.

**ტოლსტოი**: ყველაფრის ცოდნა არავის შეუძლია, სირცხვილია და მავნე, თავი მოაჩვენო, რომ იცი ის, რაც არ იცი.

**გოგებაშვილი**: ტომებსა და ხალხებს არაფერი არ თიშავს ისე, როგორც უვიცობა.

**ავრელიუსი**: საშინელება იქნებოდა, რომ უვიცობა და პატივმოყვარეობა გონიერებაზე უფრო ძლიერი აღმოჩენილიყო.

**დანტე**: რამდენადაც უფრო სრულყოფასთან ახლოა ადამიანი, მით უკეთ გრძნობს ბოროტებასა და სიკეთეს.

**სოფოკლე**: საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა – მოკლე ჭკუის ერთ-ერთი ნიშანია.

**კონდილიაკი**: რაც უფრო უვიცია ადამიანი, მით უფრო მოუთმენლად ცდილობს, სხვა განსაჯოს.

**ბალზაკი**: სიხარული შემოქმედების ყველა სახეობაშია, საქმე ისაა, რომ სიკეთის აღება უნდა შეგეძლოს იქიდან, სადაც მას პოულობ.

**მელიხანი**: ცოლი იმიტომ უნდა მოიყვანო, რომ მიხვდე, ეს არ უნდა გაგეკეთებინა.

**სტენდალი**: ქალი, რომელიც საყვარელს იჩენს, სხვა ქალების შეხედულებებს მეტ ანგარიშს უწევს, ვიდრე საკუთარს.

# თუ გამოიცნობთ

1. რუსეთის სამოქალაქო ომში წითელარმიელებს აჯილდოებდნენ შარვლით, რომელიც 1871 წელს კომუნარებზე სისხლიანი ანგარიშსწორებით სახელგანთქმული ადამიანის გვარს ატარებდა. **რა ერქვა ასეთ შარვალს?**

2. ევროპაში მათ დიდხანს დევნიდნენ, როგორც ეშმაკეულებს. მათ აბრალებდნენ შავი ჭირის გავრცელებას და ხოცავდნენ. სინამდვილეში კი მათ შეუძლიათ ადამიანები დაიცვან შავი ჭირისგან. **ვინ არიან ისინი?**

3. საბერძნეთში, რომში, ჩინეთსა და ბევრ გერმანულენოვან ქვეყანაში ამ ყვავილს მიცვალებულთან აკავშირებენ. ძველ რომში მიაჩნდათ, რომ ის ვენერას ცრემლებისგან გაჩნდა. სხვადასხვა ქვეყნის სიმბოლიკაში მას სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. **რის სიმბოლოდ ითვლება ეს ყვავილი ჩვენთან?**

4. **რომელ** ამერიკელ პრეზიდენტს ჰქონდა მიღებული გამარჯვების საბჭოთა ორდენი?

5. ონორე დე ბალზაკი ამბობდა: ყველგან გრძნობენ თავს ისე, როგორც საკუთარ სახლში, მხოლოდ მეფეები, მეძავები და ... **ვინ?**

6. ბიოგრაფები ამბობენ, რომ ამ ლეგენდარული მომღერლის გვარი პირველად ცირკის აფიშაზე გამოჩნდა 1932 წელს. **ვინ იყო ის?**

7. მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში წოლით მდგომარეობას თავისი წესები ჰქონდა: ძველი ბერძნები ამას ისე აკეთებდნენ, რომ თავი დასავლეთისკენ ყოფილიყო; ასევე იქცევიან ქრისტიანები. ტუნგუსები კი – პირიქით. მუსლიმანები ასეთ შემთხვევაში დამჯდარი არიან სახით ქააბისკენ, ამას ასევე აკეთებენ ძველი ეტრუსკებიც. ზოგიერთი ტომის წარმომადგენლები ამას თავდაყირაც კი აკეთებენ. **დაასახელეთ ადგილი, სადაც ეს კეთდება.**

8. ეს სამოსი რუსეთში დიდი ხნიდანაა ცნობილი და მეჩვიდმეტე საუკუნემდე კაცები იცვამდნენ. მისი აღმნიშვნელი სიტყვა არაბული წარმოშობისაა და ნიშნავს „თავიდან ფეხებამდე“. **რა ჰქვია ამ სამოსს?**

9. იულ ბრინერი მას თავისი ცხოვრების „ევერესტს“ უწოდებდა და იმ დროისთვის არატრადიციულად, შარვალში გამოწყობილ ამ ქალთან ერთად ხშირად ჩნდებოდა ჰოლივუდის კაფეებსა და რესტორნებში, სადაც მათ ხშირად ჰომოსექსუალებად მიიჩნევდნენ. **დაასახელეთ ქალის ვინაობა.**

10. ძველი წელთაღრიცხვით 490 წელს ათენში შეიჭრა აქოშინებული ჯარისკაცი, თქვა ერთადერთი სიტყვა – „ნენიკამენ“ და უსულოდ დაეცა... მან 42 195 მეტრი გაირბინა. **რა მანძილი იყო ეს?**

*პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე*

# მხოლოდ ფაქტები

* პირველი ხილის საღეჭი რეზინი ამერიკელმა მეწარმემ – რიგლიმ გამოუშვა ას წელზე მეტი წლის წინათ.

* ფოთლების ცივ და სრიალა ზედაპირსა და რბილ, ნაზ ქვედა მხარეს შორის კონტრასტის გამო, ჩვენ ამ მცენარეს „დედა და დედინაცვალს“ ვეძახით. მაგრამ ინგლისელებმა Son befor Father შეარქვეს, რადგან, ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ თავდაპირველად მას კალათის მაგვარი ყვითელი ყვავილები გამოსდის, მხოლოდ ამის შემდეგ – გულისმსგავსი ფოთლები.

* პირველი შუქნიშანი მეცხრამეტე საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს ლონდონში გამოჩნდა. ის გაზის ორი სანათურისგან შედგებოდა და ანთებდნენ მხოლოდ ნისლში და ღამით.

* 1794 წელს ფრანგი ქალბატონები მეჯლისებზე ყელზე შებმული წვრილი, წითელი ლენტით დადიოდნენ. მაშინ, შავი იუმორით ამბობდნენ, რომ ეს გილიოტინის სიმბოლო იყო.

* საბეჭდი მანქანა ამერიკელმა ტოპოგრაფმა შოულზმა გამოიგონა, მაგრამ, შემდგომი მუშაობის გასაგრძელებლად ფინანსები არ ეყო და პატენტი მანქანათმშენებელი ფაბრიკის მფლობელს – რემინგტონს მიჰყიდა.

* 1897 წელს ერთმა ფრანგმა მისიონერმა მადაგასკარზე გახსნა სახელოსნო, სადაც ყოველგვარი გასამრჯელოს გარეშე, უნაზეს და უთხელეს ქსოვილს ამზადებდა 30 000 მქსოველი... ობობა.

* მსოფლიოში ცნობილ ბრაზილიურ სტადიონს პატარა მდინარის სახელი ჰქვია – მარაკანა.

* იმპერატორმა ნაპოლეონ მესამემ საზეიმო სუფრების გასაწყობად მაშინ ძალიან ძვირად ღირებული ლითონის – ალუმინის დანა-ჩანგალი შეუკვეთა.

* ეგვიპტოლოგიის მომავალ მამას, ჟან ფრანსუა შამპილიონს, ბავშვობიდან აინტერესებდა სხვადასხვა მეცნიერება. 12 წლის ასაკში მან დაწერა თავისი პირველი წიგნი – „ქრონოლოგია ადამიდან შამპილიონამდე“.

* ხის ასანთის წარმოება მეცხრამეტე საუკუნის 30-იანი წლებიდან დაიწყო. პირველ ეტაპზე მრეწველობა ადვილაალებად, მომწამვლელ ნივთიერებას – თეთრ ფოსფორს იყენებდა, რაც სახიფათო იყო. საფრთხე შემცირდა 1855 წელს, – მას შემდეგ, რაც ეს დარგი შვედეთმა ჩაიბარა და ახალი ტექნოლოგია დანერგა: ფოსფორის ნაცვლად – გოგირდი.

* ამერიკული ჟურნალი Peaple თავისი არსებობის ისტორიაში ორჯერ გამოვიდა გაორმაგებული ტირაჟით: პირველად – 1969 წელს, როდესაც ნილ არმსტრონგმა მთვარეზე პირველად დადგა ფეხი და მეორედ – 2001 წელს, სექტემბრის ტერაქტის შემდეგ.

## შამათი ორ სვლაში



**წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის პასუხი:**
**1. ლb4-a5!**
**შეადგინა შერგილ სუხიტაშვილმა**



ცოლ-ქმარს ფერია ეწვია და ეუბნება:

– თქვენ 25 წელი ერთად იცხოვრეთ ტკბილად, გაგებით, ამიტომ, ორივეს თითო სურვილს შეგისრულებთ.

– მე მინდა, რომ ჩემს საყვარელ მეუღლესთან ერთად მსოფლიოს ყველაზე ცნობილ ადგილებში ვიმოგზაურო...

და ხელში ცნობილი ტურისტული ფირმის საუკეთესო ტურის ბილეთები გაუჩნდა.




– რა თქმა უნდა, ეს ძალიან რომანტიკულია, მაგრამ, მე მინდა, რომ ჩემ გვერდით ჩემზე 30 წლით უმცროსი ქალი იჯდეს.

აიქნია ფერიამ ჯადოსნური ჯოხი და... გადაიქცა კაცი 80 წლის მოხუცად.

რა თქმა უნდა, კაცები, შეიძლება, საზიზღრები არიან, მაგრამ, ფერია ხომ ქალია!

***

– სანამ ცოლს მოიყვანდი, მასთან სექსი გქონდა?

– არა. შენ?

– მე კი, მაგრამ, ხომ არ ვიცოდი, შენ თუ შეირთავდი?

***

ნილბიანები მაღაზიაში შეცვივდნენ, მათ წინ გადაუდგა გამყიდველი.

– ახლავე მთელი ნავაჭრი ფული, სიგარეტები, სასმელი! – იარაღი მოუღერეს მძარცველებმა.

– იარაღი გაწიეთ, მაგით ვერ შემაშინებთ... თუ მაინცდამაინც... ჰა-ჰა, გაუპატიურების შემეშინდეს...

***

ბოშების ოჯახის სირცხვილი: მშობლები მუშაობენ, შვილებს მათხოვრობა არ შეუძლიათ...

***

ძვირფასი სიგარეტი იაფფასიანისგან იმით განსხვავდება, რომ მასში უფრო არომატული, სუფთა და გემრიელი შხამია...

***

პლატონს ისეთი მეგობარი ჰყავდა, რომ მისთვის ჭეშმარიტება უფრო ძვირფასი იყო.

***

ექიმის კაბინეტში შევიდა ქალბატონი ხელში უჭირავს ვარდები, ცელოფანში კი – კონიაკი, ბამბანერკა...

– თქვენი დიდი მადლობელი ვარ, ექიმო...

– კი მაგრამ, რატომ ხარჯავდით ჩვენს კუთვნილ ფულს?!

***

ვირტუალური ნაცნობობა სულაც არ წარმოშობილა ოცდამეერთე საუკუნეში, ის ჯერ კიდევ ფოტოგრაფიის გაჩენას მოჰყვა...

***

– ცხრა გოგოზე 3 ცისფერი, 4 ნარკომანი, 2 ლოთი და 3 გაცილებული მოდის... და ესენი მეკითხებიან, რატომ არ თხოვდებიო...

***

მიდის უკრაინის რადას სხდომა. განიხილავენ, როგორ გამოიყენონ ჩერნობილის ირგვლივ მდებარე გამოუყენებელი მიწები. ყველა დუმს. ბოლოს ერთი დეპუტატი წამოდგა:

– დავთესოთ თამბაქო და სიგარეტის კოლოფებზე დავაწეროთ: „ჯანდაცვის სამინისტრო უკანასკნელად გაფრთხილებთ...“

***

ერთადერთი ამერიკელი, რომელსაც პრეტენზია არ აქვს რუსეთის მიმართ... კოლორადოს ხოჭოა.

***

– რით განსხვავდება ადამიანი ღორისგან?




– ღორი არ გადაიქცევა ადამიანად, როდესაც თვრება...

***

ადამიანები სახელმწიფოსთვის იყვნენ და ყოველთვის იქნებიან შვილები: ის იგონებს მათთვის თამაშებს, უყვება ზღაპრებს და კვებავს ტკბილი შეპირებებით.

***

– ჩვენებს ხვდები?

– კი, ოღონდ, მხოლოდ ჯობ.ჯიზე და საქმე.ჯიზე...

***

ტესტი

– „სტაფილო, ხახვი, კარტოფილი, „ლექსუსი“... რომელია ზედმეტი?

მესამეკლასელები ერთხმად: სტაფილო, ხახვი და კარტოფილი!

***

ხედავ, თანამედროვე ენაზე რა კარგად ჟღერს: „ხელს უწყობს საკვების გადამუშავებას, ორგანიზმიდან გამოაქვს „შლაკები“...: აბა, დააწერდნენ ადრე: „საფაღარათო საშუალება“.

***

განსხვავება ცოლსა და გეიშას შორის:

გეიშა თქვენი ფულით გააკეთებს ყველაფერს, რაც თქვენ გსურთ, ცოლთან კი თქვენი ფულით უნდა გააკეთოთ ყველაფერი, რაც მას სურს.

***

– აი, თქვენი კბილიც....




– გმადლობთ, ექიმო... ესეც თქვენი სავარძლის სახელური...

***

– წარმოგიდგენია? გუშინ ტიპმა გამაბრაზა, მაგრამ, ვერსად ვერ „გავაგზავნე“... აშკარად ჩანდა, რომ ყველგან ნამყოფი იყო...

***

– მადლობა!

– რისთვის?

– აჰ, არა, ეს ისე, ყოველთვის მადლობას ვამბობ, როდესაც არ ვიცი, როგორ გავგზავნო ერთ ადგილას ვინმე ისე, რომ არ ვაწყენინო...

– ვა, მაგარი მეთოდია...

– მადლობა...

***

გოგონა აშკარად მიხვდა, რომ ბიჭი აბამს... ინტიმისთვის.

– თქვენ თუ გგონიათ, რომ მეძავი ვარ, ცდებით...

– არა, რას ამბობთ, სულაც არ ვაპირებ ფულის გადახდას...

***

– ადვოკატი რატომ არ აიყვანე?

– ვინ ავიყვანო, ყველა უარს მეუბნება, როცა იგებს, რომ უდანაშაულო ვარ...

***

ლუდის დალევა შეიძლება: გერმანულად – ძეხვით, ინგლისურად – ჩიპსებით, იაპონურად – სუშით და რუსულად – არყით...

***

– შვილო, უნდა დამეხმარო... დედაშენმა გარაჟი გაჩითა და ქალის ტრუსი იპოვა... მე კიდევ ვუთხარი, რომ მანქანა შენ გათხოვე...

– კი მაგრამ, დედამ ხომ იცის, რომ მანქანის მართვა არ ვიცი?!

– შენ დამიდასტურე და მაგაზე მე ვიზრუნებ... ბამპერი უკვე შევჭეჭყე...

# სასწაული ახალი წლის ღამეს

არ ვიცი, იმას, რაც მე წლების წინ ზუსტად ახალი წლის ღამეს შემემთხვა, კურიოზი ჰქვია თუ სასწაული. ალბათ, ორივე ერთად.

ცოტა შორიდან დავიწყებ.

ახალგაზრდა რომ ვიყავი, მიყვარდა გოგონა, რომელმაც ერთ დღეს გამომიცხადა, ორსულად ვარო. ამ ფაქტმა ისე დამაფრთხო, რომ რაღაც სისულელე მოვიმიზეზე და ვითომ ერთი თვით წავედი რუსეთში, მაგრამ, ეს ერთი თვე თითქმის ხუთ წელიწადს გაგრძელდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთხელაც არ დამირეკავს ეკასთვის. იქ რაღაც სამსახური ვიშოვე და იმდენი კი მქონდა, რომ თავი გამენებივრებინა. სიმართლე გითხრათ, უკან ჩამოსვლას აღარც კი ვგეგმავდი, მაგრამ, მამა გარდამეცვალა და იძულებული გავხდი, თბილისში დავბრუნებულიყავი. მამის დაკრძალვიდან ერთი თვის შემდეგ გამახსენდა ეკა და დავინტერესდი, ნეტავი, ბავშვი თუ გააჩინა-მეთქი და გადავწყვიტე, ეს ამბავი გამერკვია, თუმცა, ვერაფერი გავიგე. ერთ დღესაც, ვაიძულე თავი და დავურეკე, მაგრამ, მიპასუხეს, უკვე სამი წელია, აქ აღარ ცხოვრობენ და სად გადავიდნენ, არ ვიცითო. რატომღაც, დარწმუნებული ვიყავი, რომ შვილი მყავდა და ძალიან მინდოდა მისი ნახვა, მაგრამ, არ ვიცოდი, როგორ მეპოვა. თან, ჯერ სამსახურიც არ მქონდა ნაშოვნი და მთელი დღეები უსაქმოდ დავყიალობდი. ჩემი ძმაკაცები ათას ღობე-ყორეს ედებოდნენ, არანაირ სამუშაოს არ თაკილობდნენ, რომ ორი კაპიკი ეშოვათ, მე კი ყველა შემოთავაზებაზე ტუჩს ვიბზუებდი – არ ვკადრულობდი.

ახალ წლამდე ერთი კვირა იყო დარჩენილი.




ჩემი ერთ-ერთი ძმაკაცი თოვლის ბაბუად მუშაობდა (მაშინ თბილისში ეს საქმე „ახალი ხილი“ იყო), მაგრამ, ზუსტად 29 დეკემბერს ფეხი მოიტეხა და, რადგან ყავარჯნებით ვერ ივლიდა კარდაკარ, მთხოვა, 31 დეკემბრის ღამის გამოძახებებზე შენ წადი ჩემ მაგივრადო. ჯერ კინაღამ გადავირიე, მაგრამ, ძალიან უფულოდ ვიყავი და, რადგან იმ გამოძახებების ფული მე უნდა ამეღო, დავთანხმდი.

დადგა 31 დეკემბერი. მივედი ოფისში, ჩამილაგეს საჩუქრები და მომცეს მისამართებისა და ბავშვების სახელების სია, ვისთანაც უნდა მივსულიყავი. სულ ცხრა მისამართი მქონდა. მესამე ოჯახიდან უკვე ბანცალ-ბანცალით გამოვედი. ჩავსხედით მე და ჩემი ფიფქია ჩვენს მანქანაში და ვაჟაფშაველასკენ გავემართეთ (საჭეს ფიფქია მიუჯდა). ჯერ კვარტალს ძლივს მივაგენით, მერე – კორპუსს. მივადექით ლიფტს და – არ მუშაობს. არადა, მეთერთმეტე სართულზე უნდა ავიდეთ. ავყევით კიბეებს ხვნეშა-ხვნეშით და, ბოლო სართულს რომ მივაღწიეთ, აღმოჩნდა, რომ კორპუსი ცხრასართულიანი იყო. ალბათ, მისამართი არასწორად ჩამიწერეს-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ, ისე ვიყავი გასავათებული, უკან რაღა დამაბრუნებდა. ბინის ნომერზე არც კი შემიხედავს, ისე დავაჭირე ზარს თითი, თან ჩემი მისასალმებელი ტექსტი გავიმეორე გუნებაში. ვდგავართ, ველით, მაგრამ, კარს არავინ გვიღებს. საათს დავხედე – ორის ნახევარია. მივაჭირე თითი ზარის ღილაკს და აღარ ავუშვი. რამდენიმე წუთის შემდეგ ფეხის ხმა მომესმა და ნამძინარევმა ხმამ იკითხა, ვინ არისო. მე ჩემი მისასალმებელი ლექსის პირველი სტროფი მივაგებე. ძლივს გავაგებინეთ, ვინც ვიყავით, მაგრამ, კარს იქიდან გვიპასუხეს, თოვლის ბაბუა ჩვენ არ გამოგვიძახიაო. ბოლოს, როგორც იქნა, მაინც, გაიღო კარი, მაგრამ, ნამძინარევ დიასახლისს რომ შევხედე, მომენტალურად გამოვფხიზლდი და მთელი ხმით შევყვირე, ვაი-მეთქი – ჩემ წინ გაოცებული ეკა იდგა. გული რომ არ წამსვლოდა, კედელს მივეყრდენი და ფიფქიას ვანიშნე, საქმისთვის მიეხედა, მაგრამ, ამ დროს ოთახიდან გამობაჯბაჯდა ღამის პიჟამაში გამოწყობილი პატარა არსება, რომელიც პირდაპირ მე მომადგა, ცნობისმოყვარედ ამომხედა და მკითხა: „შენ ჩემი მამიკო ხარ? დედიკომ მითხრა, მამა ახალ წელს მოვაო“... ამას კი ველარ გაუძლო ჩემმა გულმა, რადგან, ჩემ წინ მართლაც ჩემი შვილი იდგა – ჩემი ასლი, ჩემი ალი და კვალი – და, იატაკზე მოვადინე ბრახვანი.

მართალია, მთელი ერთი კვირა რეანიმაციაში ვიწექი გულის მიოკარდიული შეტევის გამო და კინაღამ წერილიც წავიღე, მაგრამ, მაინც გადავრჩი – ეტყობა, ღმერთს უნდოდა, რომ ჩემი ბიჭი უმამოდ არ გაზრდილიყო და მე და ეკას კიდევ ორი შვილი გაგვეჩინა.

ჩვენი სამი ვაჟკაცი უკვე დიდები არიან და იმ სასწაულს ზღაპარივით უყვებიან თავიანთ მეგობრებს.

მე რომ არ დავმთვრალიყავი და მისამართი არ ამრეოდა, ვინ იცის, ახლა სად ვიქნებოდი. ასე რომ, ზოგჯერ დათრობასაც აქვს გამართლება.

**მოამზადა**
**მაია დანელიამ**

# სარჩევი


რით ჰგავდა და განსხვავდებოდა ერთმანეთისგან ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძისა და მიხეილ სააკაშვილის მართვის სტილი ...... 6

როგორი იქნება 2013 წელი პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრისთვის და რომელს მიეხმარებიან ვარსკვლავები დასახული მიზნების მიღწევაში ...... 8

რას აწყობდა ირაკლი ქადაგიშვილი იატაკქვეშეთში მალულად და სად „დაიმალა" ის პოლიტიკიდან გაუჩინარების შემდეგ ...... 10

რომელი ავტომობილებით ხვდებიან ახალ 2013 წელს მსოფლიოს ლიდერები ...... 12

როგორ შეიქმნა „იუთუბი" და რამდენ მილიარდ დოლარად გაყიდა ის მისმა ავტორმა ჩად ჰერლიმ ...... 13

ინტიმური საუბრები ...... 16

ადვოკატი გირჩევთ ...... 17

რა ოცნებები აიხდინა ამერიკაში ჩასულმა ვლად არამოვმა და რატომ სთხოვდა ის ცოლს მშობიარობის რამდენიმე დღით გადადებას ...... 18

რატომ ვერ პოულობენ საერთო ენას ოჯახში, ერთმანეთზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები ...... 20

რატომ დაკარგეს ერთმანეთი მეგობრებმა და ვის ეძებს ქალაქ ისტრაში მცხოვრები ქალბატონი ნოვოსიბირსკში ...... 21

რამ გააოგნა სიდნეიში ჩასული თამარ ივერი ახალ წელს და ვინ უწყობს მას საწოლთან ეკლებიან ვარდებს შუა ზამთარში ...... 22

რა როლი მიუძღვის თბილისის ფოტოისტორიაში დიმიტრი ერმაკოვს და რომელ ქუჩაზე გახსნა მან თავისი პირველი ფოტოსტუდია ...... 23

როგორ უბრუნდებიან ადამიანები შობის მერე წარმართულ ცხოვრებას და როგორ შორდებიან ისინი მაცხოვარს მისი შობისთანავე ...... 24

ივერიის ღვთისმშობლის ხატის სასწაულები ...... 25

მოძღვარი გვირჩევს ...... 25

რომელი ლამაზმანია ჰოლანდიელი ვარსკვლავის უესლი სნეიდერის მეუღლე და რით არის ცნობილი ლიონელ მესის ყოფილი „გერლფრენდი", ლუსიანა სალაზარი ...... 26

ექიმის რჩევები ...... 29

რატომ სთხოვა ღამით მეზობელს ბორის წიფურიამ მისი ცოლის ნახმარი „ჩულქი" ...... 30

როდის „იბუტება" ნაძვის ხე და არის თუ არა წინასწარმეტყველური შინაარსის შობის ღამეს ნანახი სიზმარი ...... 32

2012 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებად ტოპ-მოდელთა ტოპ-ათეული ...... 34

რა შანსი ეძლევა ქართველ მოდელს, გიორგი ჯავახიშვილს, რომელიც „დიორის" შოუ-რუმზე საფრანგეთში მიემგზავრება ...... 38

ვინ ჩაატარა მეორე ექსპერიმენტი კრისტი ყიფშიძესთან ერთად და სად მიიღო მან სერიოზული გამოცდილება ...... 46

რამდენიმე ტაქტიკური რჩევა მათთვის, ვისაც ხშირად უწევს საახალწლო კორპორაციულ წვეულებაზე წასვლა ...... 47

კოსმეტოლოგის რჩევები ...... 47

რატომ მოაკვლევინა „კაგებემ" ქართველ ყმაწვილს ცნობილი გენერალი ...... 48

როგორ იძია ქალმა შური გაქცეულ ქმარზე მცირეწლოვან გერთან გარყვნილი ქმედებისთვის ...... 50

რჩევები ავტომოყვარულ მძღოლებს ...... 51

ვეტერინარის რჩევები ...... 57

ფლორის სამყაროში ...... 57

მე – დაქირავებული მკვლელი ...... 58

ვინ გასცა ბაილოვის ციხიდან სტალინის გაქცევის გეგმა ...... 62

მგლები 5 ...... 66

რის გამო ჰქონდა ნათია დუმბაძეს დიდი ხნის განმავლობაში ნევროზი და რატომ დადიოდა თიკა მახალდიანი 50 გრადუს სიცხეში ჩექმებით ...... 70

რისი ოპერაციის გაკეთება დასჭირდა ოლიმპიურ ჩემპიონ ლაშა შავდათუაშვილს და რატომ არ უმღერის ის გოგონებს სერენადებს ...... 71

რა უნდა გაითვალისწინოთ 2013 წელს, რომ მომავალი კეთილდღეობა დაგეგმოთ ...... 72

კვირის დღეების ასტროპროგნოზი ...... 73

რა წარმატებები მოუტანა ამსტერდამში ჩელოს იდუმალი ხმის სიყვარულმა ქეთევან როინიშვილს და სად დადის ჰოლანდიის დედოფალი მის მოსასმენად ...... 74

რა რელიკვიას ინახავს კავსაძეების ოჯახი და ვისი გვირგვინი დაიდგა თავზე ირინა კავსაძემ ...... 75




ISSN 1987-569X
9 771987 569002